# გზა

№23 9/6/2016 ფასი 1.5 ლ



**რა ისწავლა სტანისლავ ბონდარენკომ ქართველი გოგონებისგან**

„ასეთი რამ სხვაგან არსად შემხვედრია“

გვ. 26

**უცნობმა მამაკაცმა სოფო ნიჟარაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა**

**რას ჰყვებიან თვითმხილველები**

„ის კაცი სხვა დროსაც მოდიოდა ფილარმონიაში“

გვ. 28



**გულის ამაჩუყებელი ამბები თანამედროვე გმირებზე**

გვ. 33

- გადარჩენილი ბავშვები და ოჯახი, სადაც მაშველები ანთებული კელაპტრის შუქმა მიიყვანა



გვ. 22

- „მალე ქორწილს ვგეგმავთ“
- ვინ არის შოთიკო ნოზაძის რჩეული



გვ. 47

- 11 000 საათი ჰაერში
- სამხედრო მფრინავის რისკიანი და აზარტული ცხოვრების გზა

ISSN 1987 - 5029
9 771987 502009

ოსკარ უაილდი
ორტომეული ტომი I
შემდეგი ტომი II

# წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლა

## აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას

დაგვიკავშირდით

**2 912 840 / 599 778 733**



ჩვენ ვიღებთ **5 წლის** მოსწავლეებსაც, რომლებიც დაბადებულები არიან 10 ოქტომბრის ჩათვლით

თბილისი, **ჭავჭავაძის გამზ. №82** ელ.ფოსტა: **SGS@ARDZANI.GE**

# კოლხური თეთრის რამდენი ტიპი არსებობს და რომელია მათ შორის ყველაზე იშვიათი




**კოლხური თეთრი ძვ. წ. VI-III საუკუნეების ვერცხლის მონეტაა. მის მოჭრას მკვლევართა ნაწილი კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებულ ბერძნულ ახალშენებს (ფაზისს).**

კოლხური ფული დამზადებულია მაღალმხატვრულ დონეზე, რითაც ტოლს არ უდებს იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს მოწინავე ქვეყნების ნუმიზმატიკურ ძეგლებს და ემსგავსება კიდეც მათ. კოლხური მონეტების ადრეული ცალები სტილითა და ტექნიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს ძვ.წ. VI საუკუნის მილეტურ მონეტებთან.

ბოლომდე გარკვეულია მხოლოდ შემდეგი: ეს ფულადი ნიშნები კოლხეთისთვის იჭრებოდა და ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენებოდა.

კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპი და ნომინალი არსებობს. ჩვენამდე მოღწეულ ერთეულებს შორის უდიდესია ე.წ. ტეტრადრაქმა (ანუ ოთხდრაქმიანი მონეტა). შემდეგ მოდის დიდრაქმების (ორდრაქმიანი) რიგი.

კოლხური თეთრის მსხვილი ნომინალები ძალიან იშვიათ მონეტათა ჯგუფს განეკუთვნება. ტეტრადრაქმა სულ სამი ცალია ცნობილი. პირველი ტიპის დიდრაქმა ცხრა ცალია, მეორე ტიპის დიდრაქმა – შვიდი ცალი, მესამე ტიპის დიდრაქმა კი – ერთი ცალი (დიდრაქმების წონა მერყეობს 8 და 11 გრამს შორის). პირველი ტიპის ნახევარდრაქმიანი (ტრიობოლი) სულ ოთხი ცალია აღმოჩენილი.

განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა მეორე ტიპის კოლხური ნახევარდრაქმიანი, რომლის რაოდენობა ათასობით განისაზღვრება და დასავლეთ საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტშია აღმოჩენილი, როგორც ერთეული, ასევე განძების სახით.

კოლხური თეთრი ანეპიგრაფიკულ (უწარწერო) მონეტათა რიგს განეკუთვნება. მხოლოდ ტრიობოლების მცირერიცხოვან ჯგუფზე არის მოთავსებული ბერძნული ასო-ნიშნები: A,E,O, Π, Δ და MO. ასოთა დანიშნულება გაურკვეველია. შესაძლებელია, რომ ისინი ზარაფხანებს აღნიშნავდეს, ან მაგისტრანტებს (სახელმწიფო მოხელეებს), რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ მონეტის ემისიაზე.

კოლხური მონეტები საქართველოს გარდა ასევე აღმოჩენილია ყირიმში — ნიმფეის ტაძრის ნანგრევებში; ქერსონესში; სოჭის რაიონში; ტრაპეზუნტის მიდამოებში; ქართლში — არმაზში და სხვ. თავად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნახევარდრაქმის II ტიპის კოლხური მონეტები ნაპოვნია ათასობით.

„კვირის პალიტრას“ ახლავს ალბომი, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი კოლხური მონეტების შესახებ. ფასი: 18,5 ლ (გაზეთთან ერთად — 20 ლ).



**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:**
**0(32) 2382673; 0(32) 2382674**
**და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.**
www.palitral.ge
Facebook — Palitra.L.Publishing



# ჩემი საქართველო – ის, რაც ერთხელ მაინც უნდა ნახო!

MY GEORGIA – WHAT YOU HAVE TO SEE AT LEAST ONCE IN A LIFETIME!

## 13-დან 20 ივნისამდე

სერიის VIII ტომი – სამცხე-ჯავახეთი

გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

13 ფოტოალბომი – 13 განსხვავებული ხასიათი, ტრადიცია, გარემო, ყველა მნიშვნელოვანი ნაცნობი თუ უცნობი ადგილი, ძეგლები და უბრალოდ, ულამაზესი ხედები...

აქაურობას არ შორდება წარსულის შლეიფი. ჩავიდეთ იქ, სადაც გმინავენ ძველი ლოდები. კოხტაგორიდან თვალწინ კავკასიონის ქედი გადაგვეშლება, ოღონდ არ გაგიკვირდეთ, მოწმენდილ ამინდში ფერთა ფესტივალი, ცისფერი სივრცე და შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული მთების ჯაჭვს რომ იხილავთ!

წიგნის ფასი 15.50 ₾

გაზეთთან ერთად 17 ₾



სერიის ყველა ტომი
1 აჭარა
2 გურია
3 იმერეთი
4 კახეთი
5 მცხეთა-მთიანეთი
6 რაჭა-ლეჩხუმი
7 სამეგრელო
8 სამცხე-ჯავახეთი
9 სვანეთი
10 ქვემო ქართლი
11 შიდა ქართლი
12 აფხაზეთი
• თბილისი

VIII ტომი
სამცხე - ჯავახეთი
SAMTSKHE - JAVAKHETI

ორენოვანი
ქართულ და ინგლისურ ენებზე

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

პალიტრა L www.palitral.ge Palitra.L.Publishing უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.

# ევროპის ჩემპიონატი 2016

შეავსე ალბომი სტიკერებით სრულად და მიიღე საჩუქრად 2016 წლის ევროპის ჩემპიონი ნაკრების მაისური



სტიკერების ალბომი

ალბომის სპეციალური ფასი 3 ₾







პაკეტში მოთავსებულია სტიკერების 5 ბლოკი (10-მდე სტიკერი)

სტიკერების პაკეტის ფასი 1 ₾

საუკეთესო ფეხბურთელები, 24-ვე გუნდი და მათი 200-ზე მეტი სტიკერი



სიახლე

პალიტრა L

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში, პრესის გავრცელების ჯიხურებსა და სუპერმარკეტებში. ინფორმაციისთვის დარეკეთ: 0(32) 238 38 71 www.palitral.ge Palitra.L.Publishing

გზა

№23
9 - 15 ივნისი, 2016
ფასი 1.5 ლარი

ქვეყანა



## „ვიღაც ოდესიდან იღებს დირექტივას, ვიღაც — ჭორვილიდან“

„ჭადრაკის ენაზე“ რომ ვთქვათ, ფაქტია, რომ პარტიას ის იწყებს, ვინც ფიგურებს ალაგებს. მოსწონთ ეს თუ არა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები სააკაშვილის მძევლები არიან, ხოლო „ქართული ოცნების“ წევრები, ბიძინა ივანიშვილის მძევლები... კიდევ ერთი რამ, — სულაც არ არის გამორიცხული, ამ ორმა, უკიდურესად დაპირისპირებულმა ძალამ კოალიცია ჩამოაყალიბოს...“

6



## პოლიტიკოსობაზე მეოცნებე „სექსსიმბოლო“

„ძალიან მინდოდა, პროფესიონალის მიერ გადაღებული ფოტოები მქონოდა, მაგრამ საზოგადოებამ ეს სხვანაირად გაიგო და ათასგვარი სიბინძურე ითქვა და დაიწერა. მე არ ვარ შტერი გოგო და საზოგადოებაც მალე მიხვდება, რომ ბევრი კარგი რამის გაკეთება შემიძლია. მაქვს საიმისო რესურსი, რომ სიშიშვლით კი არა, სხვა რაღაცებით გავხდე პოპულარული და აქტუალური...“

20

სახე



## ჭორფლის კომპლექსი და დაკარგული წლები

„ჩემს ბავშვობაში სხვადასხვა ფერის ფეხსაცმლის, რკინისაქსესუარებიანი ბათინკების, დახეული შარვლის ჩაცმა მოდურად მიიჩნეოდა. სკოლის ბანკეტზე ტყავის შარვლითა და პერანგით მივედი... წარმოდგინეთ, 20 წლის წინ, თმა მწვანედ, ლურჯად და „მალინისფრად“ შევიღებე. გრძელი, ფერადი თმით დავდიოდი...“

24

■ მინიატიურები 5
ჭამე ბაყაყი ანუ პაატისტები
პროვოკატორის წინააღმდეგ

■ ფაქტი და კომენტარი 6
ვიღაც ოდესიდან იღებს დირექტივას,
ვიღაც — ჭორვილიდან

■ სახელმწიფო 8
აგროდაზღვევის პროგრამა
და მისი შუქჩრდილები

■ პრობლემა 10
რის მიხედვით ირჩევენ კონკურსანტებს
სკოლამდელების აღსაზრდელად?

■ კონტაქტები 12
როგორ აფასებს ისრაელის ელჩი
საქართველოში გატარებულ 4 წელიწადს

■ ჯანდაცვა 15
ნორვეგიიდან დანახული ქართული
ჯანდაცვის პრობლემები

■ საგანძური 17
ტექნიკურ უნივერსიტეტში შემონახული
მიხაი ზიჩის უნიკალური ნახატები

■ ამპლუა 20
მოულოდნელი პოპულარობა და
პოლიტიკოსობაზე მეოცნებე „სექსსიმბოლო“

■ დაუსრულებელი წინადადება 22
შოთიკო ნოზაძის ბედისწერა
და სიყვარული

## ჩემი რჩეული მსოფლიო

ოსკარ უაილდი

ორტომეულში შედის

I დორიან გრეის პორტრეტი
პიესები

II მოთხრობები
ზღაპრები
პიესა



■ პირველი 24
ჭორფლის კომპლექსი და
დაკარგული წლები

■ სტუმარი 26
„სხვაგან ასეთი რამ არსად შემხვედრიაო...“

■ ჭრელი ამბები 28

■ სცენის მიღმა 30
კომპოზიტორი, რომელმაც საქართველოს
პატრიარქს 20 სიმღერა მიუძღვნა

■ წარმატება 31
რატომ გააწითლა პლაჩიდო
დომინგომ ოთარ ჯორჯიკია

■ თარიღი 33
წარღვნით დამეგობრებულები
და ოჯახი, რომელშიც მაშველები ანთებული
კელაპტრების სინათლემ მიიყვანა

■ ვეძებ! 36
კაცი, რომელმაც საყვარელი ქალი
ორჯერ შეირთო და მიატოვა

■ ნამდვილი ამბავი 38
თუ ქალმა გაიწია...

■ ბესტსელერი 39
ჯეინ ეარი (გაგრძელება)

■ ადამიანი 47
11 ათასი საათი ჰაერში

■ თავისუფალი თემა 49
მეზღაპრე გოგონას
საინტერესო თავგადასავალი...

■ რომანი 52
ბროწეულის გაზაფხული (გაგრძელება)

■ ტაძარი 56
მაცხოვრის ზეცად ამაღლებისას
კაცობრიობას მიეცა აღთქმა უფლის
მეორედ მოსვლისა

■ ერუდიტი 58
„ის ძლიერი, მამაკაცური
და რომანტიკულია“

■ პოლიტიკური პროზა 60
ბანქოს სახლი (გაგრძელება)

■ გურმანი 63
ლაშა ღლონტის ექსპერიმენტი
— საკუთარი ხელით მოხვეული
ხინკალი და ქაბაბი

■ ჩემი რჩეული 65
კატორღა, შეცვლილი ორიენტაცია
და დანგრეული ცხოვრება

■ პროფესია 67
მიმტანის პროფესიასთან
დაკავშირებული სირთულეები

■ კულისები 70
მარჯანიშვილის თეატრის
კოსტიუმერი და მეწაღე

■ მობილი-ზაცია 73

■ ჰოროსკოპი 79

■ ტაიმ-აუტი 80

■ სკანვორდი 82


ცხოვრება



## „ვეძებ მამას!“

„მზად ვარ, მამას ჩუმად შევხვდე თუნდაც, მხოლოდ ერთხელ და მერე ისევ გავწყვიტოთ ურთიერთობა. მაინტერესებს, ამ კაცს რითი ვგავარ. იქნებ რაიმე არასწორად ვიცი და დედა შეცდა რაიმეში?.. ერთხელ დედას ვკითხე, იმ კაცის მშობლები, ძმა ტერიტორიულად სად ცხოვრობენ-მეთქი? — და გადაირია, — შენ რა, მათ მოძებნას აპირებო? უკან დავიხიე და მას მერე, მსგავსი კითხვა აღარ დამისვამს...“

36



## რას უმალავს დედას ბაბი კირკიტაძე

„ყოველთვის ძალიან მინდოდა მსახიობობა, მაგრამ ეს პროფესია ჩემი ოჯახის წევრებისთვის, განსაკუთრებით დედისთვის, მიუღებელი იყო. მამა მასავით კატეგორიული არ იყო. ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ მსახიობობის სურვილის გამო, ჩემი არც ერთი ნათესავი არ მელაპარაკებოდა, სამყაროში თავი მარტო ვიგრძენი. გადავწყვიტე იურიდიულზე ჩაბარება და მეორე დღესვე ყველა შემირიგდა...“

58


**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“**
**გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით**
**გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება**

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლიკა ქაჯაია, მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **გიორგი ბაბუციძე**

დიზაინი: **ლაშა გიორგაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა:
**ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49; ელ.ფოსტა: gza@palitra.ge
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით,
ვებ-გვერდზე: www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03 (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!



# ჭამე ბაყაყი ანუ პაატისტები პროვოკატორის წინააღმდეგ

**შესავლის მაგიერ** „რუსთავი 2“-მა რიხით გვამცნო, რომ კორცხელში ჩვენების დარბევის გამო ევროვიზალიბერალიზაცია ოქტომბრამდე გადაიწევს და თუ ჩვენ ისევ „მოგვაწვება“ ბიძინას სასამართლო, ევროპაში კი არა, რიზეს ბაზრობაზეც ველარ ჩავლენ ქართველებიო. მოკლედ, ეს დასავლეთი გვაწვალებს: არქიფო სეთურივით იმედს არ გვიკარგავენ და თან უიმედოდ გაღებულ ნატოსა და ევროკავშირის კარს ნიშნის მოგებით გვიჩვენებს. გერმანია-საფრანგეთმა თქვა, საქართველოდან ჩამოსულები ნამეტანი კრიმინალობენ და რა ვიცით ჩვენ, ვინ ჩამაასკდება ლიონს, პარიზს, ბერლინსა და ჰალეშიო. რამ დაავიწყა ან ქართველებს, ან ევროპელებს, რომ ევროპაში წასვლის შესაძლებლობა ვისაც ჰქონდა, კაი ხანია, ბებერ ევროპაშია და ვინც ვერც ადრე ახერხებდა, ვერც სამომავლოდ ისეირნებს სენ-ჟერმენსა და ვან-დეიკზე.

„რუსთავი 2“-ის ფილიალი მეგონა ამას წინათ საზოგადოებრივი მაუწყებელი. „სალომე ასათიანი VS ბიძინა ივანიშვილი“ წარმოგვიდგინა ამ ჩვენი ფულით არსებულმა ტელევიზიამ და გადაცემის დასრულების მერე წამოვიდა ინფორმაციის ნაკადი კი არა, ნიაღვარი! აი, ჩვენი ბიძინა რა არამიშურია, არც გაბრაზებულა, არც დორბლები წამოსვლია პირიდან, არც სპეცნაზი და ფინანსური პოლიცია შეუგზავნია არხზეო. ეს ასათიანი ასოციანი სიჩქარით რომ აყრიდა ბიძინას კითხვებს და პასუხებს არ ელოდებოდა, რა წესიაო?! მოკლედ, ასათიანი ცუდიაო. ცალკე „ასათიანისტებმა“ ამაყად განაცხადეს, ხო მიჩოხა ამ ციცქნა ქალმა ეგ ოლიგარქი და საუბრის არმცოდნეო. კარგი, ბატონო, იყოს ეს ჟურნალისტი ცუდი, იყოს ბიძინაც ენადაბმული, არ მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ჩვენ საზოგადოებრივ მაუწყებელზე იმას უნდა ვუყურებდეთ, ჟურნალისტი მიჯირყნის პოლიტიკოსს თუ პირიქით?

ჯირყვნაი საკვირველი ყოფილა მუსიკოსებისა სამღვდელოთა მხრიდან და ეს სატანური „მეტალიკოსები“ მადლობელნი დარჩენილან, — ტაბურეტები რახან არ მოგვხვდა, რაღას ვჩივითო. იქვე უკითხავთ, „მარონ 5“-ს რატომ არ უშლითო? მრევლთაგან ერთს უთქვამს, — „მირონთან“ ბგერითი შემადგენლობით ახლოს დგას „მარონი“ და ეგ მისაღებიაო! თან სამი გრემი აქვს მიღებული მაგათ და გრემის საწინააღმდეგო ვისაც აქვს, ის არც სხვა ტაძრის მომხრე იქნებაო!

რახან მუსიკას შევეხეთ, ბარემ ახალი საჯილდაო საკითხი წამოვწიოთ. მეჭიაურის ახალშობილ პარტიაში სეფიაშვილია, მაგრამ მას ხმებს შეეცილება გირჩელი ხაჩიძე და თავად ბან-ბატონი პაატა. არც გაპოლიტიკოსებულ ჟურნალისტებს ადგებათ კარგი დღე! მეტრეველს ეშინოდეს, რადგან მაროშკინა ასპარეზზე გამოდის. არადა, არც ისე დიდი ხნის წინ, ცრემლით დალტობილი ცხვირსახოცის ქნევით გვემშვიდობებოდა ქალბატონი ლალი. ვერ ხედავდნენ ამ ქალს და ისიც მიდიოდა! თუმცა, მეჭიაურმა დაინახა, დაუძახა და ფაქტობრივად, ტრაპიდან ჩამოხსნა ჩვენს გადასარჩენად! ეს ახალი პარტია ბრეგაძემ და ყოფილმა „ქოცებმა“ უნდა გაამაგროს ჩრდილოური ლოგიკით, ამას თუ დაემატა რაინდ ვასაძის ფინანსები, ჩათვალეთ, რომ სახალისო შემოდგომა გველოდება წინ! მთავარ პოლიტიკურ ძალას რომ შეუტევს ჯაფარიძე გირჩებით, ვაშაძე რუსთაველის პროსპექტზე შეგროვებული სეტყვით, პაატა ვოკალით და „ნაციონალური მოძრაობა“ მიშას ჩამოსვლის დაანონსებით, ერთობ კარგი სანახავი იქნება. პაატა ვახსენე და წინა პროვოკაციის კომენტარებიდან გამომდინარე დავასკვენი, რომ ჩემს გამკრიტიკებელ „ნაც-ქოცებს“ პაატისტები მიმატებია. გამიხარდა, სწორი გითხრათ! ანუ ჭაღარა ორიოდე ღერი თმა არ ნიშნავს სიბერეს და კლავიატურა (ვილა იყენებს ახლა კალამს!) ისეთივე „მწარე“ და სამართლიანი მაქვს, როგორც უწინ!



**P.S.** „ქართულ ოცნებას“ კი მასწავლებლების იმედი აქვს. მოგეხსენებათ, პედაგოგები ცოტანი არ გახლავთ, ამას დაუმატეთ მათი ოჯახის წევრები, მოსწავლეთა მშობლები და ბებია-ბაბუები. „ოცნებამ“ კი გადადგა ნაბიჯი მასწავლებელთა გულის მოსაგებად. სანიკიძის ქალი პირველად ნახეს გაღიმებული — სიმწრის ღიმილი იყო თუ შვების, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ თურმე უხდება ამ ქალსაც სიცილი! მაგისი გაკეთებული არაფერი გვინახავსო, — გაიძახოდა ერთი პედაგოგი. მეორემ უპასუხა, — შენ მაგისი გაკეთებული მაკიაჟი თუ მაინც არ გინახავს, ხიდაშელისა რა დაინახე, აბაო?!

P.P.S. ბატონო სანდრო, სკოლებსა და უნივერსიტეტებში უამრავი პრობლემა დაგროვდა და რით მოვაგვარებთო? ბაყაყი ჭამეთ, ბაყაყიო, — ბრძანა ჯეჯელავამ და თავისი ტრენინგმასალის ლინკი გაუგზავნა შალვა ნათელაშვილს, — ნახე, თუ ვარ ბავშვების მყლაპველიო!

*პროვოკატორი*

ქვეყანა

# ვიღაც ოდესიდან იღებს დირექტივას, ვიღაც – ჭორვილიდან

## ქართული ნოუ-ჰაუ – პოლიტიკური პარტიის ჩუქება

**არჩევნებამდე სულ ცოტა დრო რჩება და ქართველი საზოგადოებაც შეეჩვია იმ აზრს, რომ წინ საკმაოდ ცხელი ზაფხული და შემოდგომა გველოდება. უკვე კარგად ნაცნობი სახეები ძველი პარტიებიდან მიდიან და ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციებს ქმნიან. ხელოვანები, სპორტსმენები, ქველმოქმედები, – ეს არ არის იმ ადამიანთა სრული ჩამონათვალი, რომლებიც პოლიტიკურ სიბრტყეში გამოჩნდნენ და მათ მიერ ჩამოყალიბებული პარტიების ლიდერებად მოგვევლინენ. შევეცადეთ გაგვერკვია, ვის რა პოტენციალი აქვს ამ ჭრელ პოლიტიკურ სპექტრში.**



მივესალმები მის გამბედაობას, ამ მართლაც რთულ რეალობაში პოლიტიკაში წასვლა რომ გარისკა

ლალი პაპასკირი

სოსო ცისკარიშვილი, *პოლიტოლოგი:*

– გიორგი კვირიკაშვილსა და კახი კალაძეს შორის, რამე საეჭვო ურთიერთობას ვერ ვხედავ, თუმცა ასეც რომ იყოს, ამ ორ ადამიანს შორის არსებობს კიდევ ერთი, უფრო სწორად, „პირველი" კაცი, რომელიც მათ ურთიერთობებს აუცილებლად გააკონტროლებს, რადგან ამ „პირველს", „თავისიანების" ერთმანეთთან დაპირისპირების საკმაოდ უარყოფითი გამოცდილება აქვს. ვგულისხმობ იმ პერიოდს, როდესაც პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტთან ურთიერთობა ეკრძალებოდა და ირაკლი ღარიბაშვილი და გიორგი მარგველაშვილი თხა და მგელივით უყურებდნენ ერთმანეთს. „ქართული ოცნება" ამ პრობლემით რამდენიმე წელი ცხოვრობდა და როგორლაც მიხვდა, რომ ასე „ვერ გაფრინდებოდნენ". ჯერჯერობით, თვალი არ ეცეთ და გიორგი მარგველაშვილსა და გიორგი კვირიკაშვილს შორის, მშვიდობიანი, საქმიანი და ცივილიზებული ურთიერთობაა. ეს ძალზე ახარებს და იმედით აღავსებს ჩვენი ქვეყნის „კადრებთუხუცესს", რომელსაც მის მიერ შერჩეულ კადრებს შორის არსებული, დალაგებული ურთიერთობა უფრო აწუხებს, ვიდრე მათი საქმიანობა... მართალია, კახი კალაძის მიმართ არაერთი უკმაყოფილების ტალღა აგორებულა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრალდებები უმეტესად საფუძველს მოკლებული იყო. თუმცა, მიმაჩნია, რომ კალაძე კვირიკაშვილის დონემდე რომ მივიდეს, საკმაოდ დიდი გზა უნდა გაიაროს... ასე რომ, გიორგი კვირიკაშვილის პირველ ნომრად დასახელება მართლაც გონივრული ნაბიჯი იყო, რადგან მისმა პერსონამ სახელისუფლებო გუნდში სიმშვიდე შემოიტანა... რაც ასევე მთავარი და შესამჩნევია, მართლაც შემცირებულია ბიძინა ივანიშვილისეული ირიბი გავლენა გუნდზე. კიდევ ერთი: არ ვიცი, რას უნდა ვუმადლოდეთ, მაგრამ „ქართული ოცნების" სასარგებლოდ მუშაობს ისიც, რომ ძალზე შემცირდა ჩვენი „კადრებთუხუცესის" აზრების პოპულარიზაცია, თუ არ ჩავთვლით, მის „მოკრძალებულ" წერილსა და გეგმაზომიერ შეხვედრებს ჟურნალისტებთან. საერთოდ კი, სინამდვილეში, გუნდის „პირველი" რაც უფრო ნაკლებად გამოჩნდება პუბლიკაში, გუნდისა და მისი ლიდერების რეიტინგი მეტად აიწევა.



წინასაარჩევნო კამპანია არც კი დაუწყია

**– ქართული პოლიტიკური სპექტრი ქველმოქმედთა სიმცირეს არ უჩივის, – დიდი სცენიდან პოლიტიკაში წავიდა პაატა ბურჭულაძე... რა შეგიძლიათ მასზე თქვათ?**

– საზოგადოება მის პოლიტიკაში წასვლას საკმაოდ არაერთგვაროვნად შეხვდა, – „რა უნდოდა პოლიტიკაში", „ემსახურა ხელოვნებისთვის და ყოფილიყო მშვიდად..." – დიახ, მის მიმართ ძალიან არასერიოზული და უსაფუძვლო კრიტიკა გაისმა, მაგრამ მე მაინც მივესალმები მის გამბედაობას, ამ მართლაც რთულ რეალობაში პოლიტიკაში წასვლა რომ გარისკა. 30 წელზე მეტია, ვიცნობ და სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ წარმატებასთან ასოცირდებოდა... რას იზამს პოლიტიკაში, ამაზე საუბარი ნაადრევია. ვიცი, თუ რატომ გადაწყვიტა პაატამ პოლიტიკაში წასვლა, რა არის მისი მიზანი და როგორ აპირებს ამის გაკეთებას. სხვა საკითხია, რამდენად შეძლებს

ის ამ ყველაფრის რეალიზებას. ამ ადამიანს ერთი ძალიან კარგი თვისება აქვს, — არასდროს არავისზე გაბოროტებული არ ყოფილა. კიდევ ერთი პლუსია, რომ მას არ აქვს პოლიტიკური წარსული. ბევრმა ეს ნაკლად ჩაუთვალა, არადა, მართლაც იმის დასტურია, რომ რაღაც კონკრეტულ დრომდე, სანამ თავად არ მივიდა იმ აზრამდე, რომ დამოუკიდებელ მოთამაშედ ჩამოყალიბებულიყო, ამის სურვილი არ გასჩენია... რაც შეეხება მის გუნდს, ალბათ ჩათვალა, საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანები, მისთვის საიმედო და საყრდენი იქნებიან. ამ ეტაპზე მასზე სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია. ბურჭულაძის კრიტიკა, იმის გამო, რომ ხელოვანია და პოლიტიკაში არ უნდა წასულიყო, სასაცილოდ მიმაჩნია. როდესაც პოლიტიკოსის რანგში დაუშვებს შეცდომებს, კი, ბატონო, მაშინ თამამად გავაკრიტიკებთ.

**— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საარჩევნო სიის პირველ ნომრად დავით ბაქრაძე დაასახელა. საზოგადოების ერთი ნაწილის თქმით, მათ ამით ამომრჩევლის გული მოიგეს, რადგან ნაკლებად ანტიპათიური პერსონით წარდგნენ მის წინაშე...**

— დიახ, საკმაოდ გონივრული სვლა იყო, ყველაზე უმტკივნეულო კადრზე გააკეთეს არჩევანი. მასაც წლებია ვიცნობ, თავისი გუნდიდან მართლაც ყველაზე ნაკლები ცოდვა და შეცდომა აქვს ჩადენილი. ის და ნიკა გილაური ორი გამონაკლისი ფიგურა იყო იმ გუნდიდან, რომელთაც ბოროტება არ დაუთესიათ, რადგან გადაწყვეტილების მიმღებთა პირველ ათეულში არ შედიოდნენ. არ ვიცით, როგორი იქნება დავითის მომავალი პოლიტიკური კარიერა, რა აპატია და ვერ აპატია მას ქართველმა საზოგადოებამ... საზოგადოებას ახსოვს, არსებობს მისი არცთუ სასიამოვნო გამოსვლები, მაგრამ ის აკადემიურ სივრცეს მაინც არ სცილდებოდა... რაც შეეხება იმ აზრს, რომ შესაძლოა, მან სააკაშვილისგან დირექტივები მიიღოს, — პოლიტიკაში სხვაგვარად არც შეიძლება, — ვიღაც ოდესიდან იღებს დირექტივას, ვიღაც — ჭორვილიდან. „ჭადრაკის ენაზე“ რომ ვთქვათ, ფაქტია, რომ პარტიას ის იწყებს, ვინც ფიგურებს ალაგებს. მოსწონთ ეს თუ არა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები სააკაშვილის მძევლები არიან, ხოლო „ქართული ოცნების“ წევრები, ბიძინა ივანიშვილის მძევლები... კიდევ ერთი რამ, — სულაც არ არის გამორიცხული, ამ ორმა, უკიდურესად დაპირისპირებულმა ძალამ კოალიცია ჩამოაყალიბოს.

**— „ნაციონალებსა“ და „ქართულ ოცნებას“ გულისხმობთ?**

— დიახ, თვითგადარჩენისთვის ეს მათ ძალიან სჭირდებათ, რადგან ურთმანეთოდ, უფუნქციოდ რჩებიან.

**— „ქართული ოცნების“ უკვე ყოფილმა სახემ, თამაზ მეჭიაურმა ცალკე პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბა. მას მეორე ადგილის მოპოვების ამბიცია აქვს. თუ მიგაჩნიათ ეს რეალურად?**

— შესაძლოა, ბატონ მეჭიაურს ჰქონდეს ამბიცია, რომ სიმართლის მთქმელი და ოდიოზური ფიგურაა, მაგრამ სინამდვილეში, ის საზოგადოების გამამხიარულებელი პერსონაა, რომელიც შეუზღალავად აჟღერებს ბატონი ბიძინას ფრაზებს და შესაბამისად, დაუფასეს და მიილო კიდეც ჯილდოდ პოლიტიკური პარტია. ყველაფრის ჩუქება გამიგია, მაგრამ პოლიტიკური პარტიის ჩუქება, მართლაც ქართული პოლიტიკური ნოუ-ჰაუა. ბევრი „იჩალიჩეს“, მაგრამ ბიძინას აზრების ზედმიწევნით გამხმოვანებელი კარგა ხანს ვერავინ იპოვეს. შემდეგ გამოჩნდა თამაზ მეჭიაური და „დააპატენტეს“ კიდეც.

**— ნინო ბურჯანაძის წარსული რას გვეუბნება მის პოლიტიკურ პოტენციალზე?**

— მას საკმაოდ მრავალფეროვანი წარსული აქვს, გამიჭირდება უფრო გამოცდილი პოლიტიკოსის დასახელება, ვიდრე ნინოა. თვალყურს ვადევნებ მის აქტივობას და ეტყობა, რომ საკმაოდ თავდაჭერილია. წინასაარჩევნო კამპანია არც კი დაუწყია, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აწონ-დაწონის პროცესშია. ეს ნიშნავს, რომ მოვლენებს სწორად აფასებს.

**— „გირჩის“ ლიდერებზეც გკითხავთ, რომელთა მიმართ საზოგადოებას, თვით „ნაციონალებსაც“ კი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ...**

— მოდი, ცოტა შორიდან დავიწყებ მის „დახასიათებას“: ქართულ პოლიტიკაში კვარტეტიც გვინახავს, „ტრიოც“ და „დუეტიც“, მაგრამ ამ „გირჩის“ არსებობის არსს ვერ ჩავწვდი. მართლა არ ვიცი, ვინ არის ლიდერი და საერთოდ, რა გზას ირჩევენ. ვერც იმას ვიტყვი, თავიანთ „მშობელ“ „ნაციონალებთან“ არიან დაპირისპირებული-მეთქი. შესაძლოა, „მეჭიაურები“ ყველას არ ჰყავს თავის პარტიაში, რომ ცალ-ცალკე პარტიებად გამოყოს და ამით მეტოქეს ხმები წაართვას. „ნაციონალებს“ შესანიშნავი „ტრიბუნა“ ჰყავთ, გიორგი ვაშაძის სახით. „გირჩის“ დამფუძნებლებისგან განსხვავებით, მას მეტი ენთუზიაზმი აქვს. თუმცა, ყველას ერთი პოლიტიკური სივრცე აქვს — „ნაციონალური მოძრაობის“ ახლომახლო ტრიალებენ.

**— წლების განმავლობაში, არაერთი მარცხის მიუხედავად, არც**



თავისი გუნდიდან მართლაც ყველაზე ნაკლები ცოდვა და შეცდომა აქვს ჩადენილი

**ლეიბორისტული პარტია და მისი ლიდერი ყრის ფარ-ხმალს, შალვა ნათელაშვილი ისევ აქტუალურია ქართულ პოლიტიკაში...**

— შალვა ნათელაშვილზე ამ ფრაზით შემიძლია შემოვიფარგლო, — არ სდევს ჟამთასვლას, ის იგივეა მარად და მარად... ■

**გახდომა 5-დან 18 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 3-დან 5-6 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება შლაკებისგან, სისხლძარღვები-ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და სტაბილურად შეინარჩუნებთ მას.

ასევე სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად. კურსით 3-5სმ მომატებით 25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია, განმეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. უკუჩვენება 0-ია.

**შედეგები 100%-იანი.**

**ტელ: 577 29-37-41, 247-58-83**
**ქ-ნი მარიამი**



# აგროდაზღვევის პროგრამა და მისი შუქჩრდილები

## რას უპირისპირებენ ქართველი ფერმერები სტიქიურ მოვლენებს?

**მაისის შუა რიცხვებში შიდა ქართლში მოსულმა სეტყვამ და უხვმა ნალექმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ბუნება მართლაც მბრძანებელია და შეუძლია, ადამიანის ნაშრომი წამებში გაანადგუროს. უფრო ადრე სეტყვა კახეთსაც დაატყდა თავს და იქაურ გლეხებს ძალიან დიდი ზარალი მოუტანა (როგორც ამბობდნენ, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ ტექნიკური პრობლემების გამო სათანადოდ ვერ იმუშავა...) ამ სიტუაციაში მოსახლეობაში გაჩნდა კითხვა — რა არის გამოსავალი? როგორ შეიძლება დავიზღვიოთ თავი ბუნების ჭირვეულობისგან?**

**ქართული სახელმწიფო გლეხებს აგროდაზღვევის პროგრამას სთავაზობს. ეს პროგრამა საქართველოში 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარებას ისახავს მიზნად. პროგრამას ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც აფორმებს ხელშეკრულებებს სადაზღვევო კომპანიებთან და სადაზღვევო თანხის სუბსიდირებასაც უზრუნველყოფს. მართალია, ფერმერების ნაწილი აცხადებს, რომ მოსავლის დაზღვევისთვის ზედმეტი ხარჯის გაწევა არ შეუძლია, მაგრამ ბევრი მათგანი უკვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაზღვევა აუცილებელია.**

ხათუნა ჩიგოგიძე

მიხეილ ედილაშვილი, *ფერმერი, ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის მკვიდრი:*

— მთელი სოფელი დაზარალდა, ზოგი მეტად, ზოგიც — ნაკლებად. დიდი ნაკვეთები მაქვს, ბევრნაირი კულტურა მაქვს დათესილი და სეტყვის გამო 200 ათასი ლარის ზარალი მაინც ვნახე. მოსავალი დაზღვეული არ მქონდა, სეტყვის მერე დავაზღვიე, მაგრამ უკვე აზრი აღარ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაზღვევა მხოლოდ 5 ჰექტარზე ვრცელდება, მაგრამ მაინც ღირს: მართალია, მთელ მოსავალს ვერ გადაარჩენ, მაგრამ სულ ხელცარიელიც არ დარჩები. სახელმწიფო თანხის 80 პროცენტს იხდის. ბევრი ამბობს, რომ საშუალება არა აქვს და დაზღვევის ფულს ვერ გადაიხდის, მაგრამ როდესაც სახელმწიფო ამხელა თანამონაწილეობას გთავაზობს, დარჩენილი თანხა კი უნდა გადაიხადო. მაინც ჯობია, თავი დაიზღვიო და ამხელა ზარალი არ ნახო.

კახა ბიჭიკაშვილი, *კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს მკვიდრი:*

— შარშან სეტყვამ მთელი ჩემი ნაშრომი 20 წუთში გაანადგურა და შემოსავლის გარეშე დამტოვა: მთელი ნაკვეთი დასეტყვილი იყო. 150 ტონა ვაშლი უნდა მიმეღო და ერთი კილოგრამიც არ დამიკრეფია. წელს მოსავალიც დავაზღვიე, თანაც, სეტყვის საწინააღმდეგო ბადე უნდა დავაყენო, ჩინეთიდან მაქვს გამოწერილი და უკვე ჩამომივიდა. თუ ამინდებიც ხელს შემიწყობს, ერთ კვირაში უნდა გადავაფარო ჩემს ბაღს. უკვე მირეკავენ ნაცნობი ფერმერები და მეკითხებიან, როგორ აკეთებო? თუმცა, ამ ბადის დაყენება საკმაოდ ძვირი ჯდება: 1 კვმ ფართობი სადღაც 70-80 თეთრი მაინც ღირს. მერე უკვე ბოძები და მავთული გჭირდება, რომელზეც ამ ბადეს გადაჭიმავ, მაგრამ წვალებად ღირს, რადგან თავიდან ბოლომდე დაზღვეული ხარ.

ზურაბ დავითაშვილი, *ფერმერი, ქარელის რაიონის მკვიდრი:*

— სეტყვამ სოფელ რუისის ტერიტორია ყველაზე მეტად დააზიანა. ამ სოფელში თანამედროვე, ევროპული სტანდარტებით გაშენებული ვაშლის ბაღი მაქვს 17 ჰექტარზე და სულ დამისეტყვა. ამ ბაღის გასაშენებლად კრედიტი მაქვს აღებული ბანკიდან. კიდევ კარგი, სხვაგანაც მაქვს ბაღები და ისინი გადამირჩა. მარტო ხილი კი არა, ვაზი, ხორბალი, ბოსტნეული — ყველაფერი მოსპო და გაანადგურა. სათბურები ჰქონდა ხალხს, ისიც დაანგრია. მე ყოველ წელიწადს ვაზღვევ მოსავალს, მაგრამ წელს სწორედ ის ბაღი დამისეტყვა, რომელიც ახალი გაშენებული მქონდა, არ ვჩქარობდი მის დაზღვევას და ვიზარალე. სადაზღვევო კომპანიას მთავრობა ურიცხავს თანხას, ამიტომ მოსავლის დაზღვევა შედარებით იაფი გვიჯდება, თორემ ისე ძალიან ძვირი იქნებოდა. რატომ არ აზღვევენ გლეხები მოსავალს? — აბა, რა გითხრათ? ბევრი ერიდება ამ ხარჯს, მაგრამ მოვა დრო და ყველა დააზღვევს თავის მოსავალს, რადგან ამ ბოლო წლებში სეტყვა და უამინდობა ძალიან შემოგვეჩვია. ვაშლის ბაღი 1 ჰექტარზე მაქსიმალურად თუ განადგურდება, 25 ათას ლარს უხდიან, ეს კი ნორმალური თანხაა. სხვათა შორის, ძალიან კარგია სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებიც, მაგრამ მათი დაყენება დიდ ფართობზე ძალიან ძვირი ჯდება. ევროპაში თითქმის ყველგან ასეთი ბადეები აქვთ გაკეთებული, ჩვენთან კი, ამის საშუალება ყველას არა აქვს.

ნინო ზამბახიძე, *ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი:*

— რატომ არ აზღვევენ გლეხები მოსავალს? — ვფიქრობ, რომ სათანადო ინფორმაცია არა აქვთ, რამდენად დადებითად იმოქმედებს აგროდაზღვევა მათ მდგომარეობაზე. შეიძლება ზოგიერთებმა კიდეც დააზღვიეს, მაგრამ იმ წელს სტიქია თუ არ მოვიდა, მიაჩნიათ, რომ ტყუილად გადაყრილი ფულია. ეს მცდარი აზრია, რადგან არასოდეს იცი, რა მოხდება, მაგრამ როცა ნაკვეთი დაზღვეული გაქვს, ის მაინც იცი, რომ ნაწილს მაინც ამოიღებ. ვფიქრობ, რომ ეს არის მიზეზი, რომლის გამოც ფერმერები დაზღვევისაგან თავს იკავებენ. არსებობს მეორე და მთავარი მიზეზი: მათ არა აქვთ სათანადო ფინანსური

რესურსი, თუმცა, მე მაინც მიმაჩნია, რომ მოსავლის დაზღვევა ძალიან კარგი გზაა. წარმოიდგინეთ გლეხი, რომელიც ყოველდღიურად შრომობს და მოსავალს ელოდება. მან კარგად იცის, რომ მთელი წელი ამ მოსავლის იმედზე უნდა იყოს და სტიქიის გამო ყველაფერს რომ კარგავს, ხომ უარეს მდგომარეობაში ვარდება? ამიტომ, როდესაც რაღაც თანხას აკოწიწებ და ინახავ, დაზღვევაც უნდა გაითვალისწინო. ასეულობით შემთხვევა ვიცი, როდესაც ადამიანებმა სახლი გაყიდეს, რადგან სტიქიის გამო მოსავალი გაუნადგურდათ და ვერც სესხი გაისტუმრეს და ვერც ის ფული ამოიღეს, რომელიც მოსავლის მოსაყვანად დახარჯეს. ჩემი აზრით, უმჯობესია, ნაკლებ მიწაზე დათესო და დაზღვევა გაითვალისწინო, ვიდრე მთლიანი ნაკვეთები აითვისო და ყველაფრის გარეშე დარჩე. ბევრს შიში აქვს, რადგან იყო ხარვეზებიც — არიან ორგანიზაციები, რომლებიც დაზღვევის თანხას დროულად ანაზღაურებენ, ზოგი — აჭიანურებს. ზოგს ის ფორმალობებიც აშინებს, რაც აგროდაზღვევის გაფორმებას ახლავს: ერთი ფერმერი მყავდა, რომელიც ჩიოდა, — დაზღვევის თანხა არ ამინაზღაურესო. ვკითხე, — რატომ-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? — საბუთები არ წამიღია, ხომ უნდა მიმხვდარიყვნენ, მეზობლის ნაკვეთი თუ დაისეტყვა, ჩემიც დაისეტყვებოდაო? მიუხედავად სირთულეებისა, მგონია, რომ აგროდაზღვევაში თანდათან ყველა ჩაერთვება. ისედაც, ამდენი წლის მანძილზე აგრარული სექტორი საქართველოში ალალბედზე იყო მიტოვებული, ალბათ წლები დასჭირდება, რომ ხალხმა აგროდაზღვევის და საერთოდ, სოფლის მეურნეობის სიკეთე დაინახოს. აგროსექტორისადმი მიდგომაც ნელ-ნელა იცვლება: თუ ადრე სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებს არავინ დებდა, ახლა ძალიან ბევრი დებს თანხას და მოგების იმედიც აქვს. სამწუხაროდ, ეს დარგი ჯერ კიდევ ვერ იქცა ბიზნესად, ბევრ გლეხს უჭირს და ინფორმაციაც არა აქვს, თუ რა დადებითი მხარეები აქვს დაზღვევას. რამდენიმე წლის შემდეგ ყველა მიხვდება, რომ ეს კარგი საქმეა.

ასეულობით შემთხვევა ვიცი, როდესაც ადამიანებმა სახლი გაყიდეს, რადგან სტიქიის გამო მოსავალი გაუნადგურდათ

ლევან მაღრაძე, *აგროდაზღვევის პროგრამის მენეჯერი:*

— მსურს, კიდევ ერთხელ განვმარტო პირობები, რომელსაც აგროდაზღვევის პროგრამა ითვალისწინებს: ნებისმიერ ადამიანს, ვისაც თავისი მოსავლის დაზღვევის სურვილი აქვს, შეუძლია მიმართოს სადაზღვევო კომპანიას და სახელმწიფოსგან სუბსიდიის სახით მიიღოს თანხის 70 პროცენტი ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა. ვაზზე სახელმწიფო თანადაფინანსება 50 პროცენტია. თუ გლეხს მიწა დარეგისტრირებული აქვს, მაშინ სახელმწიფო 80 პროცენტს იხდის ანუ 100 ლარიდან 80 ლარს სახელმწიფო გადაიხდის, ხოლო 20 ლარის გადახდა ფერმერს მოუწევს. სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგი სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებულ ზარალს: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა. დაზღვევა ეხება მხოლოდ 5 ჰექტრამდე ფართობს. შეიძლება ბენეფიციარს 10 ან 20 ჰექტარი მიწა ჰქონდეს, მაგრამ სახელმწიფო თანადაფინანსება მხოლოდ 5 ჰექტარს შეეხება. ეს პროგრამის ლიმიტირებული ბიუჯეტის ბრალია, თანაც, ფერმერების დიდი ნაწილი საქართველოში 5 ჰექტრამდე მიწას ფლობს. ვითვალისწინებთ, რომ დიდი ნაკვეთის მფლობელს ფინანსური შესაძლებლობებიც უფრო მეტი აქვს. ზიანის მიყენების შემთხვევაში გლეხმა 24 საათის განმავლობაში უნდა დარეკოს სადაზღვევო კომპანიაში და სადაზღვევო თანხის ანაზღაურება მოითხოვოს. წელს უკვე 6 500 პოლისია გაცემული ანუ 6 500 ადამიანი სარგებლობს აგროდაზღვევით. 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან დღემდე, 29 ათასმა ბენეფიციარმა ისარგებლა ჩვენი პროგრამით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აგროდაზღვევის პროგრამა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

**— ბატონო ლევან, რატომ არ სურს ზოგიერთ ფერმერს თავისი მოსავლის დაზღვევა?**

— ჩემი აზრით, თავს იკავებენ სხვადასხვა მიზეზის გამო: ხშირ შემთხვევაში ადრე ჩვენი გლეხების დიდ ნაწილს სტიქია არ შეხებია და ისინი მხოლოდ მოსავლის განადგურების შემდეგ ნანობენ, რომ ნაკვეთები არ დააზღვიეს. თუმცა, სულ უფრო მეტი ოჯახი გამოთქვამს სურვილს, რომ თავისი ფართობი დააზღვიოს. ზოგჯერ გლეხები ხელშეკრულებას არ კითხულობენ და დაზღვევის პირობებს კარგად არ იცნობენ, თუმცა სადაზღვევო კომპანიებისგანაც იყო ხარვეზები, ეს არც არის გასაკვირი, რადგან აგროდაზღვევის გამოცდილება არც ერთ მხარეს ჰქონია. დიდი პრობლემაა ისიც, რომ შემფასებელი ექსპერტების რაოდენობაც არ არის საკმარისი, მაგრამ წელს უკვე მიმდინარეობს მათი გადამზადება და სერტიფიცირება. იმედი უნდა გამოვთქვა, რომ მსგავსი ღონისძიებების წყალობით, აგროდაზღვევის პროგრამა ჩვენს ქვეყანაში წარმატებით გაგრძელდება. თანაც, საქართველო არ არის პირველი ქვეყანა, რომელიც ამ გზას გადის, ის ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ გამოიარა. ყველა ქვეყანაში, სადაც აგროსექტორი კარგად არის განვითარებული, აგროდაზღვევაც მაღალ დონეზე დგას და რადგან დაზღვევა საკმაოდ ძვირია, თანხის ნაწილს სახელმწიფო იხდის სუბსიდიის სახით. არსებობს აგროდაზღვევის წარმატებული მაგალითები ამერიკაში, კანადაში, ესპანეთში, მათი გამოცდილება ძალზე მნიშვნელოვანია. მართალია, ერთი ქვეყნის გამოცდილებას მეორეს ვერ მოარგებ, მაგრამ რაღაც ნიუანსები შეიძლება გადმოვიღოთ და გავითვალისწინოთ. იმედია, ჩვენს ქვეყანაში აგროდაზღვევის კულტურა თანდათან შემოვა და დამკვიდრდება. ჩვენი ფერმერებიც, ყველანაირად უნდა შეებრძოლონ იმ უსიამოვნო მოვლენებს, რომელსაც ბუნება გვთავაზობს. ■



ერთი კილოგრამიც არ დამიკრეფია

# რის მიხედვით ირჩევენ კონკურსანტებს სკოლამდელების აღსაზრდელად?



**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დასაქმების წყაროდ გადაიქცნენ. დაინტერესებულმა ადამიანებმა კარგად იცოდნენ, რომ ბაღში დამლაგებლადაც კი ვერ დაიწყებდნენ მუშაობას, თუ ამ პარტიისადმი კეთილგანწყობილნი არ იყვნენ. ახალმა ხელისუფლებამ იმედი ამ სფეროშიც გააჩინა, თუმცა ჩემთვის ამ იმედს ბზარი მაშინ გაუჩნდა, როდესაც ერთ-ერთ საბავშვო ბაღში გადამალული 6-7 კგ ხორცის, ერთი ტომარა კარტოფილისა და სხვა პროდუქტების აღმოჩენის შემდეგ, დირექტორის მიმართ საქმე არ აღიძრა, რამდენიმე დღე ისევ თანამდებობაზე დარჩა, ყველაფერი „გაასწორა“ და საკუთარი განცხადებით წაბრძანდა. მითქმა-მოთქმა დღესაც არ ცხრება, ზოგან ისევ „ნაციონალი“ დირექტორები განაგებენ ყველაფერს და სადაც მოხსნეს, პოლიტიკური ნიშნით დისკრედიტაციის სარჩული გამოსდეს.**

ნათია გურგენიძე

*როგორც ცნობილია, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ, საბავშვო ბაღების თანამშრომელთა საკადრო რეზერვის შექმნის მიზნით, მიმდინარე წლის იანვარში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შესარჩევი ტესტირება ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობის უფლება და დარეგისტრირება ნებისმიერ მსურველს შეეძლო, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა პედაგოგიური განათლება. გადავწყვიტე, ჟურნალისტური ექსპერიმენტი ჩამეტარებინა და რეგისტრაცია გავიარე. ტესტირებაში მონაწილეობის მსურველებს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (60-დან 21 ქულა) უნდა გადაელახა. შედეგების მიხედვით, გასაუბრებაზე კონკურსანტთა საკმაოდ დიდი ნაწილი გადავიდა. ჩვენ ზუსტ რიცხვს ვერ ვასახელებთ, რადგან სააგენტოს დირექტორმა თემურ თორდინავამ ჩვენთან ინტერვიუ სასაცილოდ მზაკვრული ხერხებით აიცილა თავიდან და არც ერთ შეკითხვას არ უპასუხა. გასაუბრების ეტაპი კი აღმოჩნდა სწორედ ის საფეხური, რომელზეც ფუჭად დაიმედებული, გამოცდაჩაბარებული აპლიკანტები უნდა „გაეცხრილათ“.*

## ინიშნებიან არაკვალიფიციური დირექტორები, რომლებსაც განათლების სფეროში არა აქვთ ნამუშევარი, სკოლამდელი სისტემა არ იციან

*კონკურსი გამოცხადებული იყო საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელის თანაშემწის, აღმზრდელისა და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის პოზიციებზე. ტესტირებაში მიღებული 42 ქულით, როგორც იქნა, აპრილის ბოლოს, გასაუბრებაზე დამიბარეს. ქულათა რა რაოდენობა უნდა დააგროვოს აპლიკანტმა შესაბამისი პოზიციის რეზერვში მოსახვედრად (რადგან ეს დასაქმებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს) და ვინ არიან კომისიის ის წევრები, რომლებსაც ბატონმა თორდინავამ ამ საკითხის გადაწყვეტა მიანდო, დაინტერესებულ კონკურსანტთა შორის კითხვის ნიშნებს ბადებს. „კომპეტენტური“ ჟიური სამი ქალბატონისგან შედგებოდა. როცა, როგორც აპლიკანტმა, განაცხადი შევავსე, სასურველ რაიონად გლდანი-ნაძალადევი მივუთითე, ჟიურის ერთ-ერთ წევრს კი რატომღაც ეგონა, რომ მუშაობა ერთდროულად ორ რაიონში მსურდა. განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი რომელიმე სადარბაზოში გახსნილი სასწავლებელი კი არა, თბილისის ერთადერთი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი რომ იყო ჩემი თაობის ადამიანების სტუდენტობისას, ჟიურის წევრისთვის, ვეჭვობ, ესეც გაუგებარი იყო. სხვა კონკურსანტებისგან მაქვს ინფორმაცია, რომ განსაკუთრებული მონდომებით „ბლოკავდნენ“ აღმზრდელისა და კოორდინატორის პოზიციების მსურველ კანდიდატებს. მეც აღმზრდელის პოზიცია დავაფიქსირე, რაზეც ჟიურისგან კატეგორიული უარი მივიღე — „თქვენ არ მოიაზრებით აღმზრდელის პოზიციაზეო“ და მინდოდა, ბატონ თემურ თორდინავას ეპასუხა შეკითხვაზე — რატომ? თუ ეს სარეზერვო ფონდი ფორმალურად არ იქმნება და შერჩეულ კანდიდატებს გადაამზადებენ, კონკურსანტი ტესტირების 42 ქულით, უმაღლესი განათლების ორი დიპლომით, მათ შორის ერთი*

*ფილოლოგიური (ქართული ენა და ლიტერატურა) და გაზეთ „სახალხო განათლებაში“ მუშაობის დაახლოებით 30-წლიანი ჟურნალისტური გამოცდილებით, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პრობლემებსა და მიღწევებზე ვწერდი, აღმზრდელის პოზიციაზე არ მოვიაზრები? მე მისწავლია ის პედაგოგიკა, რომელსაც ჟიური კატეგორიულად სთხოვდა მათ, ვისაც ჯავახიშვილის უნივერსიტეტის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ჰქონდა და კვლავ დიდი კითხვის ნიშანი მიჩნდება, — რატომ მისცეს ტესტირებაში მონაწილეობის უფლება არაპროფესიონალებს? იმიტომ ხომ არა, რომ ზოგიერთი მათთვის სასურველი კანდიდატი ტექნიკური, ეკონომიკური თუ ფარმაცევტული განათლებით იყო. თემასთან ახლო ერთადერთი შეკითხვა, რომელიც დამისვეს და რომლითაც განსაზღვრეს ჩემი კომპეტენტურობა, იყო, — დასჯის რა მეთოდები გაქვთო?*

*ამ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციის — „საქართველოს სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებების დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელს, ექსპერტ მზია ფაილოძეს ვესაუბრე, რომელსაც დახმარებისთვის ცნობილი ფრაზით — „თქვენ არ მოიაზრებით აღმზრდელის პოზიციაზე“, დაწუნებულმა არაერთმა კონკურსანტმა მიმართა.*

მზია ფაილოძე, *ექსპერტი:*

— საკადრო-სარეზერვო ფონდის შექმნის მიზნით ჩატარებული ტესტირებით „ქართულმა ოცნებამ“ უამრავ ადამიანს გაუჩინა იმედი, აქტივისტებს დასაქმებას დაჰპირდა და არ მინდა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები თავიანთ საქმეში ხელმოცარული ადამიანების საცდელ პოლიგონად გადაიქცეს. ტესტირება ეროვნული გამოცდების ცენტრის დახმარებით ჩატარდა და ვინც ბარიერი გადალახა, ყველა გასაუბრებაზე გავიდა პროფესიული განათლების მიუხედავად და აქ დახვდათ სამი ქალბატონისგან შემდგარი არაკვალიფიციური კომისია, რომელთაგან არც ერთი არ არის სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტი. მხოლოდ ერთი მათგანი, დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა ბაღის დირექტორად და ამ საფეხურის შემდეგ, სააგენტოში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნეს. მე ბევრმა კონკურსანტმა მომმართა, მათ შორის — სკოლისა და საბავშვო ბაღების ყოფილმა დირექტორებმა, რომლებმაც ვერ გაიარეს გასაუბრება და „ვერ მოიაზრებიან კოორდინატორისა და აღმზრდელის პოზიციებზე“. ბევრ მათგანს გაუჩნდა ეჭვი, რომ ადგილი აქვს კორუფციას ან მხოლოდ სასურველი კანდიდატების შერჩევას. ჩემი აზრით, აღმზრდელიც და თანაშემწეც დირექტორმა უნდა შეარჩიოს, რადგან მან უკეთ იცის, როგორი კადრი სჭირდება. 40 წელია, ამ სისტემაში ვარ. სარეზერვო ფონდი ყოველთვის იყო და როცა რიგითობის მიხედვით მოუწევდათ, დირექტორი კვალიფიკაციის მიხედვით საზღვრავდა, ვინ მიეღო, მაგრამ ახლა დირექტორები უფლებააყრილები არიან, დღევანდელმა სააგენტომ ყველანაირი უფლება ჩამოართვა, ამასთან არაკვალიფიციურ დირექტორებს ნიშნავენ ტექნიკური, ფარმაცევტული, ეკონომიური განათლებით, წარმოდგენა არა აქვთ პედაგოგიკაზე, ფსიქოლოგიასა და სკოლამდელ აღზრდაზე. ამბობენ, გადამზადების კურსებს გავატარებთო, რაც თავის მხრივ, ზედმეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამასთან, განცხადებებიც ურთიერთგამომრიცხავია, მაშინ მხოლოდ სასურველ კანდიდატებს რატომ არჩევენ? მდგომარეობა, რომელიც ამჟამად თბილისის ბაგა-ბაღებშია, არასოდეს ყოფილა. თორდინავამ აბსოლუტური მონოპოლია მოიპოვა. ეს საბოლოოდ, ძალიან ცუდ შედეგს გამოიღებს. ინიშნებიან არაკვალიფიციური დირექტორები, რომლებსაც განათლების სფეროში არა აქვთ ნამუშევარი, სკოლამდელი სისტემა არ იციან, მაშინ, როცა უამრავი კვალიფიციური კადრია. მიმართეს თორდინავას, გაიარეს ეს ტესტირებაც, მაგრამ რა თქმა უნდა, უშედეგოდ. „ნაციონალების“ დროს, ის კვალიფიციური კადრები გაათავისუფლეს, რომლებსაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მუშაობის სოლიდური სტაჟი ჰქონდათ. უამრავი კადრია სკოლამდელი და დაწყებითი განათლების მქონე და რა საჭიროა სხვა კადრების გადამზადება? სამწუხაროდ, მომავალ პარლამენტს ბევრი ჩასწორების გაკეთება მოუწევს იმ პროექტში, რომელიც სკოლამდელ დაწესებულებებში დღეს ხორციელდება და რაც მთავარია, საბავშვო ბაღი რატომ უნდა იყოს პოლიტიზებული?! „ნაციონალებმა“ დაიწყეს და „ოცნება“ აგრძელებს. საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივარი მაქვს შეტანილი. სააგენტო აგონიაშია ჩავარდნილი, მხოლოდ სადამსჯელო ღონისძიებებითაა დაკავებული. ხალხს ერთი და იმავე შაბლონური პასუხებით ისტუმრებენ.

P.S. *ამ საკითხებთან დაკავშირებით თემურ თორდინავას სააგენტოში ვესტუმრე, მაგრამ ათასნაირი მიზეზი მოძებნა, პირდაპირი პასუხებისთვის თავი აერიდებინა. ელფოსტის მისამართი მომცა, რომელზეც*



არ მინდა, ხელმოცარული ადამიანების საცდელ პოლიგონად გადაიქცეს

*კითხვები სამჯერ გადავუგზავნე, ის კი დუმს... ორიოდე დღის წინ კი, ტელეფონზე შეტყობინება მომივიდა, — თქვენ წარმატებით გაიარეთ კონკურსის დასკვნითი ტური (გასაუბრებაში 20,66 ქულა) და მოხვდით საკადრო რეზერვში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, აღმზრდელის პოზიციაზე არ მოვიაზრებოდი, აღმზრდელის თანაშემწეობაზე კი თავად ვთქვი უარი და საინტერესოა, ახლა რომელ საკადრო რეზერვში მოვხვდი...*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი. გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა. კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, კოლიტი, ბუასილი, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით (უფასოა). ანონიმურობით. მყარი 100%-იანი შედეგით.

**მის: წერეთლის 142, I სართული, VI კაბინეტი**
**ტელ: 599 90-54-78, 234-02-38 ქეთი**

# როგორ აფასებს ისრაელის ელჩი საქართველოში გატარებულ 4 წელიწადს



„დიპლომატებისთვის ნორმალურია, „ნახვამდის“ უთხრა ადამიანებს, რომლებიც გიყვარს“

**ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი, მეოთხე წელია, დიპლომატიური მისიით იმყოფება. უმაღლესი განათლება ისრაელსა და გერმანიაში აქვს მიღებული — ისტორიისა და ფილოსოფიის განხრით. პოლიტიკით გასული საუკუნის 90-იან წლებში დაინტერესდა. იმ პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოცხადებულ ტენდერში მიიღო მონაწილეობა. აუცილებელი საფეხურების გავლის შემდეგ, ამავე სამინისტროს თანამშრომელი გახდა და მას შემდეგ უკვე 22 წელია, რაც ამ სისტემაში საქმიანობს.**

ანა კალანდაძე

**— ბატონო იუვალ, იქნებ მოკლედ შეაჯამოთ საქართველოში თქვენი ყოფნის ოთხწლიანი საქმიანობა...**

— ძალიან დიდი დრო დამჭირდება, რომ შევაჯამო ეს პერიოდი, მაგრამ თუ რამდენიმე წინადადებით შემოვიფარგლებით, შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი აქ ყოფნა ძალიან ნაყოფიერი იყო. იყო გამოწვევები, მაგრამ არა უარყოფითი, არამედ დადებითი. საქართველოში არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ჩამოვედი და გამგზავრებაც მორიგი არჩევნების წინა პერიოდში მომიწევს. შევეესწარი თქვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კუთხით განვითარებას. აქტიურად ვმუშაობდი ჩემს კოლეგებთან, რომ ისრაელისა და საქართველოს ურთიერთობა ახალ საფეხურზე აგვეყვანა, თუმცა რასაკვირველია, ბევრი რამაა მომავალში გასაკეთებელი. ერთი სიტყვით, ძალიან კმაყოფილი ვარ საქართველოში გატარებული პერიოდით. აქვე მინდა აღვნიშნო, გული მწყდება, რომ მომიწევს მეგობრების და იმ ქვეყნის დატოვება, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ძალიან შემიყვარდა.



აქტიურად ვმუშაობდი ჩემს კოლეგებთან, რომ ისრაელისა და საქართველოს ურთიერთობა ახალ საფეხურზე აგვეყვანა

**— უკვე იცით თუ არა, სექტემბერში თქვენი დიპლომატიური მისიის დასრულების შემდეგ, როგორ და სად გაგრძელდება თქვენი კარიერა?**

— ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობ. იმედია, უახლოეს მომავალში შემდეგ დანიშვნას მივიღებ და საქმიანობას გავაგრძელებ.

**— საქართველოში ძირითადად ორი წამყვანი პოლიტიკური პარტიაა ლიდერი — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. როგორ ფიქრობთ, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ხმები როგორ გადანაწილდება?**

— წარმოდგენა არ მაქვს. მაგრამ თქვენი ჩამოთვლილი პარტიების გარდა, ხომ არის კიდევ სხვა პარტიები: „თავისუფალი დემოკრატები“, რესპუბლიკური პარტია, ახალი პოლიტიკური ცენტრი — „გირჩი“ და სხვა და აქედან გამომდინარე, გამიჭირდება რაიმე პროგნოზის გაკეთება. მით უმეტეს, არჩევნებამდე დიდი დროა დარჩენილი. მოგეხსენებათ, რა მოხდა წინა არჩევნების დროს, ყველა პროგნოზი მცდარი აღმოჩნდა. ამ შემთხვევაშიც რთულია, რამე წინასწარ განსაზღვრო. ასეა თუ ისე, არა აქვს მნიშვნელობა,

როგორ დასრულდება არჩევნები, და პარტიების პროცენტები როგორ გადანაწილდება. მთავარია, რომ ეს არჩევნები როგორც წინა (ისევე როგორც ნებისმიერი არჩევნები), იქნება საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნისთვის გამოცდა. დარწმუნებული ვარ, არჩევნები იქნება თავისუფალი და გამჭვირვალე.

**— ბოლო წლებში საქართველოში მომხდარი პროცესებიდან, ყველაზე პროგრესულ ნაბიჯებად რას მიიჩნევთ?**

— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო უვიზო რეჟიმი, რომელიც მოცემულ მომენტში არსებობს საქართველოსა და ისრაელს შორის, რომლის შესახებ შეთანხმებას ხელი 2013 წლის ბოლოს მოეწერა და ძალაში 2014 წლის მარტში შევიდა. ეს გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ვვარაუდობდი, რადგან აღნიშნული შეთანხმება ხანგრძლივი პროცედურების შემდეგ მიიღწევა. უვიზო რეჟიმი იყო კარგი სვლა და ისრაელის მხრიდან პოლიტიკური ნება — ამ ფაქტმა ახალ ეტაპზე გადაიყვანა ისრელისა და საქართველოს ურთიერთობები. გაიზარდა ქართველი ტურისტების რიცხვი ისრაელში და — პირიქით. ამ ორ ქვეყანას შორის არსებული უვიზო რეჟიმი საქართველოსა და ისრაელს შორის ნდობის დასტურია. გარდა ამისა, ბევრი სხვა დადებითი მოვლენები და სიახლე გვქონდა. ჩვენ შევქმენით ურთიერთობების ახალი ფორმატები, მაგალითად, ერთობლივი ეკონომიკური კომისია, ასევე მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს კონსულტაციები ისრაელისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის, არის კონტაქტები ორი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის და ა.შ. მოკლედ, რომ შევაჯამოთ, ახალი ფორმატები შეიქმნა ყველა სფეროში — იქნება ეს პომიდვრის მოყვანა თუ ტერორიზმთან ბრძოლა. მოხარული ვარ, რომ ეს ფორმატები არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ადამიანებზე და მომავალში ვინც უნდა იყოს სათავეში, თანამშრომლობა გაგრძელდება.

> უვიზო რეჟიმი იყო კარგი სვლა და ისრაელის მხრიდან პოლიტიკური ნება

**— ტურიზმს შეეხეთ, გიდად მუშაობის მცირე გამოცდილება გაქვთ, საქართველოს ყველა მხარეში არაერთხელ ხართ ნამყოფი და ისრაელიდან ჩამოსულ ტურისტებს რომელი კუთხეების მონახულებას ურჩევდით?**

— დიახ, მცირე ხანს გიდად ვმუშაობდი, მაგრამ ვფიქრობ, ისრაელელ ტურისტებს შორის საქართველოს მაინცდამაინც გაპიარება და რეკომენდაციები არ სჭირდება.



რამდენიმე დღის წინ ახალციხეში ვიყავი, არაჩვეულებრივ სასტუმროში გავჩერდით. ახალციხეში ერთ-ერთი უძველესი სინაგოგის დაარსებიდან 275 წლისთავი აღინიშნა. ეს იყო გამგზავრების მთავარი მიზეზი, მაგრამ გარდა ამისა სხვა შეხვედრებიც გვქონდა, მათ შორის მიტროპოლიტ თეოდორესთან. მოვინახულეთ ვარძია, შევიარეთ ბორჯომში. საქართველოში, სადაც უნდა წახვიდე, ისრაელელი



ყოველ დილით, როცა ძაღლს ვასეირნებ, ვაანალიზებ, რომ ხვალ-ზეგ ასე აღარ იქნება

ტურისტების ჯგუფებს ხშირად შეხვდები. ისრაელიდან საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 70 ათასი ტურისტი ჩამოდის. მათ უყვართ თქვენი ქვეყანა, კულტურა, კერძები. თან ყველა თაობის ხალხი გსტუმრობთ, ახალგაზრდები მთებში მიდიან, ხანში შესულები უფრო მშვიდ და, ასე ვთქვათ, კულტურულ კერებს ანიჭებენ უპირატესობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ისრაელში სულ უფრო ხშირად იხსნება ქართული რესტორნები, განსაკუთრებით ბევრია თელ-ავივში. ასე თუ გაგრძელდა, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ისრაელში არ იარსებებს ოჯახი, რომლის თუნდაც ერთი წევრი საქართველოში არ იქნება ნამყოფი. სადაც ხმა მიმიწვდება, სიამოვნებით გავაპიარებ თქვენს ქვეყანას, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო, რადგან თქვენი ქვეყანა, კულტურა და ხალხი საკმარისია, რომ საქართველო მიმზიდველი იყოს ნებისმიერი ტურისტისთვის.

**— სად გაატარეთ ბავშვობის წლები და ოჯახზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა?**

— 1961 წელს, ხაიფაში დავიბადე. ეს არის ისრაელში სიდიდით მესამე ქალაქი. არ არის მეგაპოლისი, მაგრამ ულამაზესია: მთა კარმელი, ზღვა, ტყეები და არაჩვეულებრივი გარემო. მამა დღემდე იქ ცხოვრობს და მასთან ჩავდივარ ხოლმე მოსანახულებლად. ჩემი მშობლებიც ამავე ქალაქში არიან დაბადებულნი, რაც ისრაელში არცთუ ისე ხშირია, რადგან ჩემი დედ-მამის თაობა უმთავრესად ისრაელში მოგვიანებით არის დამკვიდრებული. არა მხოლოდ მათი, არამედ დედას წინაპრები, კერძოდ ექვსი თაობა, ქალაქ ცვათში ცხოვრობდნენ. უბანი, სადაც გავიზარდე, უმთავრესად საშუალო კლასის სამეზობლოსგან შედგებოდა. ხაიფა მრავალეროვანი ქალაქია, სადაც უმთავრესად სამი რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობენ. იქვე დავამთავრე სკოლა. სამხედრო სამსახურის შემდეგ, ერთი წელი კიბუცში ვცხოვრობდი, რის შემდეგაც იერუსალიმში უნივერსიტეტში ფილოსოფიას ვსწავლობდი და მოგვიანებით გერმანიაში გავემგზავრე სასწავლებლად. 1994 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობ. სამსახურიდან გამომდინარე, 3 წელი ჩეხეთში ვცხოვრობდი, 3 გერმანიაში და 4 რუსეთში გავატარე. ბოლო ოთხი წელი კი საქართველოში ვარ. მყავს მეუღლე — სანდა და სამი შვილი. მალე ისინი 18-ის, 15-ის და 12-ის გახდებიან. პირველი პრაღაში დაიბადა, მეორე — გერმანიაში, მესამე — იერუსალიმში. ახლა ჩემი ოჯახი საქართველოშია. ჩვენ „ქართველი“ კატა და ძაღლი გვყავს, რომელსაც რასაკვირველია, ისრაელში წავიყვანთ (*იღიმის*).

**— დაბოლოს, სად აპირებთ ზაფხულის გატარებას და რა შედის თქვენს უახლოეს გეგმებში?**

— ჯერჯერობით საქართველოში მუშაობა მიწევს, რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ჩასატარებელი. რამდენიმე კონფერენციაა ბათუმსა და თბილისში, ასევე უნდა დავესწრო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას, მიმდინარეობს პროექტი კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში, რაც თვალყურის დევნებას საჭიროებს, ასევე დასასრულებელია ორი კულტურული ღონისძიება. გარდა ამისა, ელჩის რანგში ბოლო ხანს აქტიურად ვიყენებ დროს, რომ კიდევ ერთხელ სიამოვნებით ვნახო ის ადამიანები, მოვინახულო ადგილები, რომელიც საქართველოში ყოფნის პერიოდში გავიცანი. ისრაელში შუა ზაფხულში დავბრუნდებით და იმ დროს მთლიანად დავუთმობთ ბავშვებსა და ოჯახს. კიდევ ერთხელ უნდა დავფუძნდეთ იმ ადგილას, საიდანაც წარმოშობით ვართ და უნდა დავუბრუნდეთ ძველ ახალ ცხოვრებას, ძველ ახალ მეგობრებს. შეიძლება, ეს არ ჟღერდეს როგორც დიადი გეგმები, რადგან ჰავაისა და ავსტრალიაში არ ვაპირებთ ზაფხულის გატარებას, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ემოციურ დონეზე. ყოველთვის სენსიტიურია და იოლი არ არის დატოვო ის ადგილი, სადაც შენი ცხოვრების გარკვეული პერიოდი გაატარე. ყოველ დილით, როცა ძაღლს ვასეირნებ, ვაანალიზებ, რომ ხვალ-ზეგ ასე აღარ იქნება. რასაკვირველია, ისრაელიდან საქართველომდე შორი გზა არ არის, თვითმფრინავით 2 საათ-ნახევარი გიწევს ფრენა და რა თქმა უნდა, ჩამოვალთ ხოლმე, მაგრამ ბუნებრივია, ეს იგივე არ იქნება, რაც ახლაა. დიპლომატებისთვის ნორმალურია, „ნახვამდის“ უთხრა ადამიანებს, რომლებიც გიყვარს. ეს ადრეც გამიკეთებია და ახლაც იგივე მომიწევს, მაგრამ საქართველოს დავტოვებ იმ განცდით, რომ ამ ქვეყანაში ყოფნა შესანიშნავი გამოცდილება იყო პირადად ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. ნებისმიერ დიპლომატსა და მეგობარს ვუსურვებდი, საქართველოში მსგავსი ყოველდღიურობა და პროფესიული გამოცდა მიეღოთ. ■

> შეიძლება, ეს არ ჟღერდეს როგორც დიადი გეგმები, რადგან ჰავაისა და ავსტრალიაში არ ვაპირებთ ზაფხულის გატარებას

# ნორვეგიიდან დანახული ქართული ჯანდაცვის პრობლემები



**XX საუკუნის ბოლოდან მსოფლიოში დაიწყო ე.წ. „ტვინების გადინების“ პროცესი. გამონაკლისი არც საქართველოა. ზაზა წერეთელი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, ვისაც სამშობლოში არაერთხელ აგრძნობინეს, რომ პროფესიონალზე უფრო მნიშვნელოვანია „ვინმეს თვალში მოხვედრილი კადრი“. ზაზა ამჟამად უფროსი მრჩეველია ნორვეგიის სამეფოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში.**

როლანდ ხოჯანაშვილი

**— ბატონო ზაზა, თქვენი აზრით, თვისებრივად რაიმე თუ შეიცვალა საქართველოში ჯანდაცვის საკითხებისადმი მიდგომაში?**

— ეს საკმაოდ ვრცლად სასაუბრო თემაა, თუმცა ვეცდები, მოკლედ გიპასუხოთ. აქვე განვმარტავ, რომ ჩემი პასუხი გამომდინარეობს იქიდან, თუ რას ვუსმენ, ვკითხულობ და ვიგებ მეგობრებისგან. თავიდან მკითხველს შევახსენებ, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (ჯანმო) რეკომენდაციის მიხედვით, ჯანდაცვის სისტემის გამართული მუშაობისთვის შემდეგი 6 ფაქტორია აუცილებელი: სისტემის ხელმძღვანელობა და მართვა, ფინანსირება, ადამიანური რესურსები, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა, სამედიცინო პროდუქტები და ტექნოლოგიები, მომსახურების გაწევა. შესაბამისად, პრობლემა რომელიმე ამ საკითხში, ქმნის პრობლემას მთელი სისტემისთვის. საქართველოს რომ დავუბრუნდეთ, პროგრესად უნდა ჩავთვალოთ, რომ შეწყდა ნადირობა ჩვენი პროფესიის წარმომადგენლებზე, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა გამოცხადებული. ისინი ცდილობდნენ ექიმის პროფესიის დისკრედიტაციას და სამედიცინო პერსონალის სრულ დემორალიზაციას. იყო განუწყვეტელი ლანძღვა, დადანაშაულება არაკომპეტენტურობასა და უცოდინარობაში. მოკლედ, ექიმის პროფესია ყველას სალანძღავად იყო ქცეული. შესაბამისად, გამართული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — ადამიანური რესურსები, სრულიად უგულებელყოფილი იყო. შემდეგი ცვლილება შეეხება სისტემის ხელმძღვანელობასა და მართვას. შეიძლება ითქვას, ესეც დადებითი კუთხით შეიცვალა თუნდაც იმიტომ, რომ ყოფილი პირველი ლედის არაფორმალური ლიდერობა აღარ არის ჯანდაცვაში. აღარ არიან ის ადამიანები სისტემაში, რომელთა მთავარი ამოცანა იყო სისტემის სრული განადგურება... დადებითია ის ფაქტიც, რომ აღარ არის ყოვლად გაუაზრებელი ჰოსპიტალური სისტემის პრივატიზაციის და ე.წ. „კერძო სადაზღვევო“ სისტემის ბუმი. ორი მიმართულება, რომელმაც მოშალა როგორც ჯანდაცვის სისტემა, ასევე გააუფასურა მოსახლეობის დამოკიდებულება დაზღვევისადმი. ამას ემატება დეცენტრალიზების წარუმატებელი განხორციელება და სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-დამუშავების შეწყვეტა. ეს უკანასკნელი, ჯანდაცვის სამინისტრომაც კი ვერ შეძლო დაეფარა და მეტად კრიტიკულად შეაფასა მის მიერ 2009 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევებისას. სიტუაცია მართლაც კრიტიკული უნდა იყოს, რომ მუდამ ზომიერმა სამინისტრომ ქვეყნის მთავრობა გააკრიტიკოს (თან იმ დროს, როდესაც ქვეყნის პირველი ლედი მისი „კეთილი ნების ელჩია“).

**— მიგაჩნიათ, რომ ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ საქმე უკეთესობისკენ დაიძრა?**

— გვაქვს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა (პირველები მსოფლიოში), საყოველთაო დაზღვევა (რამაც მოქალაქეებს გაუდვილა სისტემასთან ურთიერთობა, რადგან ტერმინმა — „უფასო“ გაიჟღერა), გვყავს მინისტრი, რომელიც კარგი ექიმი და ადამიანია და შეიძლება ჩაითვალოს, რომ სწორ გზაზე ვართ, მაგრამ ვინმემ იცის, როგორი სისტემა გვაქვს ახლა? იცის, გვაქვს თუ არა ჰოსპიტალური სისტემის განვითარების გეგმა? რას ვაკეთებთ პირველად ჯანდაცვასთან დაკავშირებით? როგორ ვაფინანსებთ და ვამუშავებთ პროფილაქტიკურ პროგრამებს? იცის, როგორ და რამდენ ხანს შეუძლია საყოველთაო ჯანდაცვას, დააფინანსოს დახმარება იმ ქვეყანაში, სადაც ასე დიდია უმუშევრობა, დაბალია ხელფასები და გადამხდელუნარიანობა? არის სადმე მონაცემები, თუ რა ტენდენციები გვაქვს ამა თუ იმ დაავადებასთან, მათ მკურნალობასა და გამოსავალთან? აკეთებს ვინმე გათვლებს, ამ ტენდენციების გათვალისწინებით, რომ ვიცოდეთ, თუ რა დაფინანსება დაგვჭირდება იმისათვის, რომ ჯანდაცვის მთავარი პრინციპი — ხელმისაწვდომობა და თანასწორობა არ დაირღვეს და სისტემამ გამართულად იმუშაოს? ყველაზე მდიდარმა ქვეყანამაც იცის, რომ თუ პაციენტმა დროულად მიმართა პირველად ჯანდაცვის სისტემას და დროული დახმარება გაუწიეს, ის თავიდან ირიდებს ამ დაავადების გართულებას და შესაბამისად, ჰოსპიტალურ

სისტემაში მოხვედრას. ადამიანის ჰოსპიტალურ სისტემაში მოხვედრა კი, ცხადია, სახელმწიფოს უფრო ძვირი უჯდება. შესაბამისად, უფრო ეფექტიანია გამართული პირველადი ჯანდაცვის ქსელის არსებობა, ხოლო გამოთავისუფლებული ფულით პროფილაქტიკური პროგრამების დაფინანსება. მაგალითისთვის ერთ შემთხვევას მოვიყვან: რაიონში მცხოვრებ მოქალაქეებს ვკითხე, — თქვენთან თუ არის მოწყობილი ამბულატორია? მიპასუხეს: — არ არის და 20 კილომეტრი მაინც უნდა გაიარონ, რომ მივიდნენ უახლოეს ამბულატორიამდე. შესაბამისად, ავადმყოფი ამჯობინებს, წავიდეს ქალაქში და პირდაპირ ჰოსპიტალს მიმართოს. ნახეთ, რამდენი რამ ირღვევა: წესით, ჰოსპიტალში ავადმყოფი ამბულატორიის ექიმის მიმართვით უნდა მიდიოდეს, რადგან ამას ჯანდაცვის სისტემა მოითხოვს. ჩვენთან ამას არ აკეთებენ. გზა ფულია, რომელიც ცხადია, არ იფარება. ჰოსპიტალი კერძოა, რაც ნიშნავს, რომ პაციენტის იქ მომსახურება საყოველთაო ჯანდაცვას იაფი არ დაუჯდება. იქ გამოწერენ წამლებს, რომლებიც ასევე ავადმყოფმა თავისი ფულით უნდა იყიდოს, აფთიაქში წამლები იაფი არ არის და არც სისტემაა შექმნილი, რომელიც გააკონტროლებდა ექიმებს, თუ რა წამლებს გამოწერენ ისინი და ცდილობენ თუ არა, რომ პაციენტის მატერიალური მდგომარეობა გაითვალისწინონ, რათა ავადმყოფები უწამლოდ ან უფულოდ არ დარჩნენ. ხოლო, თუ უეცრად აღმოჩნდა, რომ გვიან მიხვედით და უკვე ჰოსპიტალიზებაა საჭირო, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ხარჯებთან იქნება ეს დაკავშირებული თქვენთვისაც და სახელმწიფოსთვისაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კერძო კლინიკას შემოტანილი აქვს ძვირად ღირებული აპარატურა. იგი ამით ცდილობს მიიზიდოს პაციენტები, ხოლო ძვირი აპარატი, შესაბამისად, ძვირ მომსახურებასაც ნიშნავს. ასე რომ, ზედაპირული უკეთესობის უკან, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, ბევრი პრობლემა იმალება. კიდევ რამდენ ხანს შეძლებს ეს სისტემა ასეთ შემთხვევებთან გამკლავებას? საინტერესო იქნებოდა ამაზე პასუხის მიღება, რადგან ჯანდაცვის სისტემა მარტო ერთი კარგი პროგრამა და ერთი კარგი პიროვნება არ არის, ეს უფრო რთული მექანიზმია, რომელსაც რაც უფრო დიდხანს არ მოვუვლით, მომავალში უფრო გაჭირდება მისი გამართვა.

**— რა ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისათვის?**

— ამ თემაზე სხვადასხვა ქვეყანაში სპეციალურ გამოკვლევებსაც კი ატარებენ და წიგნებს გამოსცემენ. ამიტომ ვეცდები, შეძლებისდაგვარად მოკლედ გიპასუხოთ. ამისათვის კი მხოლოდ ორ ასპექტს შევეხები: პირველადი ჯანდაცვა და ჰოსპიტალური სექტორი. დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ჯანდაცვის მთავარი პრიორიტეტია მოსახლეობა (და არა მარტო სამედიცინო დაწესებულება), მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის პირობებში უთანასწორობის შემცირება და მოსახლეობაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება. ეს თავისთავად გულისხმობს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობას. მოვიძიე ბოლო მონაცემები, რომელიც საქართველოდან 2012 წელს არის წარდგენილი და წელიწადში ერთი ადამიანის მიერ პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტის მონახულების რაოდენობას გვიჩვენებს. საქართველო ამ მაჩვენებლით ბოლო ადგილზეა ევროპულ რეგიონში — 2,1 მონახულება წელიწადში! ზოგიერთი პოლიტიკოსი ალბათ ამაზე გვეტყვის, რომ კარგი ფაქტია, თუ ჩვენი მოსახლეობა იმდენად ჯანმრთელია, რომ არ სჭირდება ექიმთან ვიზიტი. მე კი ამაზე საბჭოთა კავშირის დროინდელი ცნობილი გამოთქმა მახსენდება: „ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფი საბჭოთა ავადმყოფია“. თუ ჯანდაცვაზე გაზრდილ დანახარჯებსაც გავითვალისწინებთ, ვხვდები, რომ დიდი პრობლემები გვაქვს! პირველად ჯანდაცვას Gate-ს ანუ კარსაც უწოდებენ. წარმოიდგინეთ თქვენი სახლი, რომელსაც კარი არ უვარგა და ნორმალურად არ ფუნქციონირებს. შესაძლო შედეგები არც ისე მიმზიდველია.

**— თქვენი აზრით, ამ პრობლემიდან გამოსავალი რა იქნება?**

— არანაჩქარევი სტრატეგიის შემუშავება, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი, რა სურს საქართველოს ჯანდაცვის სისტემას და როგორ აპირებს ამის მიღწევას. ეს უნდა იყოს დეტალურად გაწერილი ქმედებები. კარგად ორგანიზებული პირველადი ჯანდაცვა უნდა გახდეს სისტემის ქვაკუთხედი. ის უნდა ეცადოს, მართოს არა მარტო ინფექციური, არამედ არაინფექციური დაავადებებიც, უნდა იყოს დაკავებული დაავადებათა პრევენციით და ჯანმრთელობისათვის ხელშემწყობი პირობების დანერგვით. ამ სისტემის დანერგვას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს ქვეყნისთვის, რადგან ის სოფლებისა და რაიონების გაძლიერებას შეუწყობს ხელს, ხოლო ქვეყნის სიძლიერე არა მარტო მისი დედაქალაქის, არამედ სწორედაც



ზედაპირული უკეთესობის უკან, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, ბევრი პრობლემა იმალება

რომ სოფლებისა და რაიონების სიძლიერით არის განპირობებული. ცხადია, გამოჩნდებიან კრიტიკოსები, რომლებიც იტყვიან, სად არის ამდენი სამედიცინო პერსონალი ან მათი მუშაობისა და ცხოვრებისთვის საჭირო პირობებიო... გიპასუხებთ, თუ ნორმალური ქვეყანა გვინდა შევქმნათ, მაშინ, იმის მაგივრად, რომ უცხოეთიდან შემოვიტანოთ უძვირესი აპარატურა, რომელსაც წელიწადში მხოლოდ 3-4-ჯერ გამოვიყენებთ და შენახვა კიდევ ცალკე ხარჯია, ამ ფულით შესაძლოა, 3-4 ამბულატორია მოვაწყოთ, ადგილობრივი კადრებიც მოვამზადოთ. ასე უნდა მოვიქცეთ, თუ ქვეყნის აშენება გვსურს და ხალხის მომავალზე ვფიქრობთ. საქართველოში ყველაზე პოპულარული ჰოსპიტალური სისტემაა. ჯერ კიდევ გამეფებულია მოსაზრება, რომ სწორედ ჰოსპიტალია ჩვენი ჯანმრთელობის მთავარი დამცველი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძვირი გვიჯდება ჩვენც და სახელმწიფოსაც, ჯიუტად არ ვიცვლით ამ მოსაზრებას. 100 ჰოსპიტლის ამბავი, უახლოესი წარსულიდან ამის ნათელი მაგალითია. არაფერს ვამბობ კერძო კლინიკების მომრავლებაზე, რომელიც ნამდვილად არ არის იმის მანიშნებელი, რომ ქვეყანა მის მოქალაქეებზე ფიქრობს. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ჰოსპიტალური მომსახურების ფასების დადგენა ხდება ე.წ. დიაგნოზზე დამყარებული ჯგუფების საფუძველზე. ეს ხელს უწყობს ქვეყანას, აკონტროლოს მისი ფინანსური დანახარჯები უფრო გამართულად, რადგან მეტ-ნაკლებად განსაზღვრული და სტანდარტულია, თუ რა დაჯდება ამა თუ იმ დაავადების ჯგუფის მკურნალობა. პაციენტისთვისაც კარგია ეს, რადგან მან იცის, რა დაუჯდება მკურნალობა. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა, საქართველოში ეს სისტემა დანერგილი არ არის და ჰოსპიტალები მეტ-ნაკლებად თავიანთი დანახარჯების გათვალისწინებით ადგენენ მოთხოვნებს სამინისტროსადმი. ცხადია, სამინისტრო ამ გათვლების გარკვეულ სტანდარტიზაციას ახდენს, მაგრამ ჰოსპიტალები თავისუფალი არიან გათვლებში. უბრალო მაგალითი: თუ ერთ ჰოსპიტალს საოპერაციო აქვს 30 კვმ, ხოლო მეორეს მხოლოდ 10კვმ, ერთი და იგივე ოპერაცია



გამეფებულია მოსაზრება, რომ სწორედ ჰოსპიტალია ჩვენი ჯანმრთელობის მთავარი დამცველი

პირველს უჯდება გაცილებით მეტი, ვიდრე მეორეს, ფართობის განსხვავებით გამოწვეული გადასახადების გათვალისწინებით. შესაბამისად, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე პაციენტისთვის ძნელია დანახარჯების განსაზღვრა. ცხადია, ჰოსპიტალები არ იქნებიან უკმაყოფილოები არსებული სისტემით, მაგრამ ყველას ავიწყდება, რომ ჯანდაცვის სისტემის მთავარი ამოცანაა მოსახლეობა და ისიც ავიწყდება, რომ ქვეყნის ბიუჯეტიც არ არის უძირო.

**— თქვენი დღევანდელი მუშაობისას თუ გაქვთ რომელიმე პოსტ-საბჭოურ ქვეყანასთან შეხება და რა თავისებურება აქვს მას?**

— 1,5 წლის წინ ნორვეგიის სამეფოს ჯანდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერა ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოლდავეთთან. ამ თანამშრომლობის კოორდინაცია ახლა მე მეხება. თანამშრომლობის ერთი ნაწილი სწორედ მოლდავეთის ჰოსპიტალური სისტემის რეორგანიზაციის ხელშეწყობაა. იცით, როდესაც ნორვეგიის დელეგაცია ჩავიდა მოლდავეთში და რამდენიმე საავადმყოფო დაათვალიერეს, გაოცებულებმა ჰკითხეს მოლდაველ კოლეგებს, თქვენ მდიდარი ქვეყანა ხართო? ცხადია, მოლდაველებს გაეცინათ. ნორვეგიელებმა, — ჩვენ კი ვართ მდიდარი ქვეყანა, მაგრამ ჩვენც კი ვერ მივცემთ თავს უფლებას, შევინახოთ ისეთი ჰოსპიტალური სისტემა, რაც თქვენ გაქვთ დანერგილიო. მდიდარი ნორვეგიაც კი მუდმივად აკეთებს ფინანსურ გათვლებს, სისტემამ რომ გამართულად იმუშაოს და ზედმეტი ხარჯები არ გაიღოს. ალბათ საქართველოსთვისაც საყურადღებო უნდა იყოს ეს ფაქტი.

**— თუ გაქვთ კიდევ სხვა სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც საინტერესოა საქართველოსთვის?**

— ჯანმრთელობის სამინისტრო პერიოდულად გამოითვლის ხოლმე, თუ რა პროცენტს ფარავს ქვეყანა ჯანდაცვის დანახარჯებში და შესაბამისად, რამდენის გადახდა უწევს პაციენტს თავისი ჯიბიდან. ბოლო მონაცემები არის 2011 წლის და საქართველო ბოლო ადგილზე იმყოფებოდა. მოსახლეობას უწევდა დანახარჯების 82%-ის საკუთარი ჯიბიდან გადახდა. შედარებისთვის: ესტონეთში იყო 20%, ნორვეგიაში — 15%. სავარაუდოდ, საყოველთაო დაზღვევის შემდეგ საქართველოში დანახარჯის მაჩვენებელი დაიწევდა და სასურველია, ის, რაც შეიძლება მცირე იყოს! თუმცა, სახელმწიფოს წილის გაზრდა, მისი არაეფექტიანი ხარჯვის ფონზე ასევე ძალზე ცუდია. ■

ძვალ-სახსართა პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება.

მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. სისხლის მიმოქცევის აღდგენით, მარილების, შლაკებისა და ქოლესტერინისაგან გაწმენდით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესო და მყარი.

ტელ: 599 91-37-65 ქ-ნი: ქეთათო

# ტექნიკურ უნივერსიტეტში შემონახული მიხაი ზიჩის უნიკალური ნახატები

**„უნგრელ მხატვარს, მიხაი ზიჩის დიდი ადგილი უკავია ქართულ კულტურაში — იმდენად დიდი, რომ ბევრს იგი ქართველიც კი ჰგონია. ზიჩი საქართველოში იონა მეუნარგიას წყალობით მოხვდა. მეუნარგია უდიდესი ქართველი იყო, უდიდესი კოლხი კაცი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულს და ამ ენაზე „ვეფხისტყაოსანი" თარგმნა. სწორედ მისი დამსახურებაა, ზიჩიმ „ვეფხისტყაოსნის" შესახებ რომ გაიგო.**

თეა ხურცილავა

*მეუნარგია ჰიუგოსა და სხვა ფრანგი მწერლებისა და პოეტების მეგობარი გახლდათ და მათ დააკავშირეს იონა მეუნარგია ზიჩისთან. 8 წელი იმუშავა „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებზე და ერთი კაპიკი არ აუღია გასამრჯელოდ! ეს ყველაფერი კი მეუნარგიას დამსახურებაა! ამიტომ, ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ხაზს უსვამდა იონა მეუნარგიას დიდ ღვაწლს. როცა ზიჩი თბილისში ჩამოვიდა, თქვენი აზრით, პირველ რიგში, რა დახატა? ნარიყალას ციხე! ეს არის უზუსტესი სურათი. ჩვენთან ასევე ინახება იშვიათი სურათი — „ზიჩის სამუშაო ოთახი". ზიჩის შესრულებულია „წმინდა ნინო", ეს სურათიც ჩვენთან ინახება. მას საქართველოში დიდ პატივს სცემდნენ და არაერთგზის იყო მიწვეული სხვადასხვა რეგიონში. განსაკუთრებით, იმერეთში ჩასვლა უყვარდა, გამორჩეულად მოსწონდა იმერელი ქალის ტიპაჟი, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვაჟა პაპასკირმა და გვიამბო საინტერესო ამბავი „ვეფხისტყაოსნის" უნიკალურ გამოცემასა და მხატვრის სხვა უნიკალურ ნაწარმოებებზე.*



პირველ რიგში, რა დახატა? ნარიყალას ციხე!



მსგავსი ალბომი რამდენიმე ცალი შეიძლება იყოს შენახული

ვაჟა პაპასკირი:

— ეს ესკიზები არის ის, რაც ზიჩიმ „ვეფხისტყაოსნისთვის" შექმნა. ეს არის სრული კომპლექტი. ესკიზები 60-იან წლებში გამოვიდა ალბომად და მასში შედის 26-ვე სურათი! ისინი მხოლოდ ჩვენთანაა ხელუხლებლად შენახული.

**— როგორ მოხვდა ეს ალბომი ტექნიკურ უნივერსიტეტში?**

— ეს ალბომი თავის დროზე, საქართველოს ინდუსტრიულმა ინსტიტუტმა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის, შემდგომ — ტექნიკური უნივერსიტეტის წინამორბედმა შეიძინა. ეს არის საოცრად კარგი გამოცემა, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებშია შექმნილი. ალბომს სუფთა ტყავის ყდა აქვს, რომელიც იხსნება და სასოებითაა ჩასმული ყველა ის ნახატი, რომელიც ზიჩიმ „ვეფხისტყაოსნისთვის" შეასრულა. მსგავსი ალბომი რამდენიმე ცალი შეიძლება იყოს შენახული, მაგრამ ის, რაც ჩვენთან ინახება, ერთადერთია, ასეთი სრულყოფილი არც ერთი ეგზემპლარი აღარ მოიძებნება.

**— გამოდის, რარიტეტია.**

— დიახ, ეს უკვე დიდი ხანია, რარიტეტადაა აღიარებული. ზიჩიმ მეტი ესკიზი გააკეთა, მაგრამ დიდმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე იყო და ამ კომისიის სულისჩამდგმელმა იონა მეუნარგიამ, აგრეთვე — ივანე მაჩაბელმა, საუკეთესო ესკიზები შეარჩიეს. დავიწყოთ პირველი სურათით. რომელს ვეძახით პირველს? „ვეფხისტყაოსნის" ქართველიშვილისეულ გამოცემაში პირველი სურათია ის მომენტი, როცა შოთა რუსთაველი თამარ მეფეს მიართმევს „ვეფხისტყაოსანს". საქართველოში ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ეს არ არის ერთადერთი ესკიზი. მრავალი ესკიზი შეიქმნა, მაგრამ საბოლოოდ, ეს შეარჩია. რატომ? ზიჩის პერსონაჟებს რამდენიმე პროტოტიპი ჰყავდა. შოთა რუსთაველის პროტოტიპად რამდენიმე მსახიობი ჰყოლია. ამ ცნობილ სურათზე რუსთაველის პროტოტიპი — ქუთაისელი კაცია, გვარად ქაჯაია. მას არ ჰქონდა საშუალება, დედანში წაეკითხა პოემა, ამიტომ სცენებს დგამდა. თამარ მეფის პროტოტიპი კი იოსელიანის ქალბატონი იყო. სპექტაკლს დგამდა და სპექტაკლის უკან იკითხებოდა მხოლოდ ერთი სცენა. ეს შემდეგ ძალიან მოდური გახდა და „ვეფხისტყაოსანი" ევროპაში დაიდგა — პრაღაში, ესტონეთში. ეს სცენები რუსეთშიც ორჯერ დაიდგა,

ერთხელ — პეტერბურგში, ერთხელ კი — მოსკოვში.

**— საქართველოში რამდენჯერ დაიდგა?**

— საქართველოში სულ ათი ცოცხალი სურათი დაიდგა. 1901 წლიდან იდგმებოდა სცენები. საინტერესო ის იყო, რომ ამ პროცესში მხატვარი ცვლიდა პერსონაჟებს და, ყველაზე მეტად რომელიც მოეწონებოდა, იმას ტოვებდა. ზიჩის ქართული ცეკვის ილეთები კარგად რომ ესწავლა, ამისთვის მოუყვანეს ანსამბლი, რომელიც 100 ქალ-ვაჟისგან შედგებოდა. ამიტომაა სურათებში ქართული სული. პირველ სურათზე საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი: აქ არიან კოლხი, ქართლელი, იმერელი. ეს სურათი თავიდან სხვაგვარი იყო, რაც რადიკალურად განსხვავდება მეორისგან. პირველ სურათს თურქულ-სპარსული ელფერი დაჰკრავს. ეს სურათი ქუთაისშია შექმნილი. ქართულ სინამდვილეში რატომღაც, მიჩქმალულია ის ფაქტი, რომ ზიჩი თბილისში ჩამოსვლამდე, დაუსწრებლად ხატავდა კავკასიის პეიზაჟებს. მან შექმნა ლერმონტოვის „მწირის“ ილუსტრაციები, დემონის ილუსტრაცია, რაც საუკეთესოდაა მიჩნეული. ზიჩის „ვეფხისტყაოსანი“ ისე შეუყვარდა, რომ ის ფრანგულად მიაწერდა ხოლმე სურათებს თავის შეხედულებებს. ჩვენთან ეს სურათებიც არის შემონახული. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს შორის, ნაკლებად ცნობილია სცენა, როდესაც ნესტანმა შეიტყო, რომ ტარიელი ხვარაზმელზე მის გათხოვებას მეფეს დათანხმდა. ასევეა სცენა, როდესაც ფატმანის დავალებით, ავთანდილმა ჭაშნაგირი მოკლა. ყველა გამოცემაში შევიდა სცენა, როდესაც ნესტანი მამიდამისმა დავარმა კიდობანში ჩასვა და ზღვას მისცა. პოემაში მითითებულია, რომ ამაში ორი შავი კაცი და ერთი შავი ქალი მონაწილეობდნენ, ქალი კი სურათში გამოსახული არ არის.

**— დავათვალიერე თქვენი გალერეა და აღმოვაჩინე, რომ თქვენთან „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი უნიკალური გამოცემაც ინახება.**

— დიახ, ჩვენთან 200-ზე მეტი ეგზემპლარია შენახული. იუნესკომ 2016 წელი შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა, რასაც პირველები ჩვენ — ტექნიკური უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკა გამოვეხმაურეთ. აქ წარმოდგენილია დიდი კოლექცია, რომელიც 1912 წლიდან გროვდებოდა. ამ დროს ვორონცოვმა რუსეთის იმპერატორის დავალებით შექმნა დოკუმენტაცია, საქართველოში რომ უმაღლესი სასწავლებელი გახსნილიყო. გაიხსნა ეს სასწავლებელი, რომელიც შემდეგ ლენინმა დახურა, მაგრამ წიგნები არ დაკარგულა და 1922 წელს ჩვენ გადმოგვეცა.

საბედნიეროდ, ბიბლიოთეკაში თავისი საქმის დიდოსტატები მუშაობდნენ. დღეს ჩვენთან სამი ქალბატონი მუშაობს. ისინი გაისად 80-80 წლისანი გახდებიან, 20 წლის იყვნენ, ბიბლიოთეკაში რომ მოვიდნენ!..



პირველი სურათია ის მომენტი, როცა შოთა რუსთაველი თამარ მეფეს მიართმევს „ვეფხისტყაოსანს“

**— გამოფენაზე წარმოდგენილ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?**

— ყველა უნიკალურია, მაგრამ გამოვყოფ ქართველიშვილის გამოცემას, რომელიც 1888 წელს გამოვიდა ორ ვარიანტად — ჩვეულებრივი და ქსოვილიანი (რუსთაველის ბარელიეფით) ყდით. ქსოვილიანი ყდით 200 ეგზემპლარი გამოვიდა, ჩვეულებრივი კი — 600. 200 ცალიდან ათიოდე ეგზემპლარია შემონახული. დაუზიანებელი ვარიანტი ჩვენთანაა, რაც კარგად იცის საჯარო ბიბლიოთეკამ და ისინი ხშირად მოდიან, გვეკითხებიან, ხომ არ დავუთმობდით მათ ამ ეგზემპლარს, მაგრამ ეს არის ჩვენი სავიზიტო ბარათი და ვერ ვიმეტებთ. ამ წიგნს კორექტირება გაუკეთეს აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და, რაც მთავარია, პირველად აქ გამოჩნდა ზიჩის ნახატები.

ბოლოს მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ზიჩი სათანადოდ არაა დაფასებული. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: ზიჩი ჩამოვიდა მისთვის სრულიად უცხო ქვეყანაში, შეიყვარა ჩვენი სამშობლო, ხალხი, იმუშავა და ერთი კაპიკიც არ აუღია გასამრჯელოდ! ის კი არა, ბოლოს, ქართული დაუდევრობის გამო, კინაღამ უწიგნოდ დარჩა: ბევრი ეძებეს და ძლივს იპოვეს ერთი ეგზემპლარი, რომელიც მხატვარს აჩუქეს. ზიჩი გახლდათ ერთ-ერთი ბრწყინვალე ილუსტრატორი ევროპელი მწერლებისა და პოეტებისა, რომლის არაერთი ნამუშევარი სანქტ-პეტერბურგში, „ერმიტაჟის“ აღმოსავლეთის დარბაზშია დაცული. ქართველებს კი, ნამდვილი განძი — „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ილუსტრაციების კრებული დაგვიტოვა.

**სახე**

# მოულოდნელი პოპულარობა და პოლიტიკოსობაზე მეოცნებე „სექსსიმბოლო“

## „სიშიშვლით მიღწეული წარმატება არ მხიბლავს“

სოფო ჭონიშვილი

— სტუდენტი ვარ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ და თან, თბილისის საკრებულოში ვმუშაობ. პარალელურად, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ვარ.

**— ვინ არიან შენი მშობლები?**

— დედა პროფესიით ფილოლოგია, მამა ბიზნესმენი და ასევე, საზოგადო მოღვაწე უკრაინაში. მყავს 13 წლის ძმა.



ვფიქრობ, რომ მოდელობისთვის საჭირო მონაცემები არც მაქვს

**წარმოშობით უკრაინელი, 18 წლის დიანა ოვანოვა უკვე 2 წელია, საქართველოში ცხოვრობს. როგორც ამბობს, ის ერთი უბრალო ფოტოსესიით გახდა პოპულარული და მას მერე „სექსსიმბოლოს“ ეძახიან... თავს ქართველი ლამაზმანების კონკურენტად არ მიიჩნევს და ამბობს, რომ სხვების მსგავსად, ტანისამოსის გახდითა და ეროტიკულ ფილმებში მონაწილეობით არ აპირებს  პოპულარობის შენარჩუნებას. მომავალში პოლიტიკაშიც სურს სცადოს ბედი.**

**— ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში სწრაფად აღმოჩნდი. ეს როგორ მოახერხე?**

— საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვედრა გეგმაში ნამდვილად არ მქონდა. არასდროს მიოცნებია პოპულარობაზე. უბრალოდ, ეს ყველაფერი სამოყვარულო დონეზე გადაღებულ ფოტოსესიას მოჰყვა.

**— სამოდელო სფეროში არასდროს ყოფილხარ?**

— ვფიქრობ, რომ მოდელობისთვის საჭირო მონაცემები არც მაქვს. თუმცა, იმისთვის, რომ ფოტოსესია მოიწყო, სულაც არ არის აუცილებელი მოდელისთვის საჭირო პარამეტრები. ძალიან მინდოდა, პროფესიონალის მიერ გადაღებული ფოტოები მქონოდა, მაგრამ საზოგადოებამ ეს სხვანაირად გაიგო და ათასგვარი სიბინძურე ითქვა და დაიწერა. მე არ ვარ შტერი გოგო და საზოგადოებაც მალე მიხვდება, რომ ბევრი კარგი რამის გაკეთება შემიძლია. მაქვს საიმისო რესურსი, რომ სიშიშვლით კი არა, სხვა რაღაცებით გავხდე პოპულარული და აქტუალური.

**— შენი წარმომავლობის შესახებ მომიყევი...**

— ნახევრად ოსი ვარ, ნახევრად ქართველი. დედა ოსია, ხოლო ორივე ბებია — დედის და მამის მხრიდანაც, გვარად კანდელაკები არიან. თინა კანდელაკი ჩემი ნათესავია. უკრაინაში დავიბადე და გავიზარდე, სკოლაც იქ დავამთავრე. მერე ქართულმა სისხლმა თავისი ქნა და საქართველოში ცხოვრება გადავწყვიტე, სწავლაც აქ გავაგრძელე.

**— მშობლებს როგორი რეაქცია ჰქონდათ, როცა საზოგადოებამ შენს ფოტოებზე დაიწყო ლაპარაკი?**

— მშობლებს (განსაკუთრებით კი მამას) თავიდან გაუჭირდათ ჩემი პოპულარობის აღქმა. მიუხედავად იმისა, რომ მამა წლებია, უკრაინაში ცხოვრობს, მაინც კავკასიელად რჩება და მსგავსი რაღაცები არ მოსწონს. მითხრა კიდეც, — შეგეძლო, სხვა რამით გამხდარიყავი პოპულარულიო. დედამაც ინერვიულა, მაგრამ მერე გააცნობიერა, რომ ეს მიზანმიმართულად არ გამიკეთებია და ახლა მხარში მიდგას.

**— ცნობილ მსახიობს — მონიკა ბელუჩის გამსგავსებენ, არა?**

— მონიკა ბელუჩი ჩემთვის ქალის იდეალია. ეს მსახიობი ძალიან მომწონს და შესაბამისად, ისიც სასიამოვნოა, როცა მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ქალს გამსგავსებენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე არ მაქვს ჩემი, ინდივიდუალური სტილი. ბავშვობიდანვე თანატოლებისგან განსხვავებული რაღაცები მომწონდა და მიყვარდა. ვცდილობ, ყოველთვის ქალური ვიყო. მიყვარს დეკოლტე, მაგრამ არა ვულგარულობა.

**— პლასტიკური ოპერაცია თუ გაქვს გაკეთებული?**

— არაფერი არ მაქვს გაკეთებული და საერთოდაც, წინააღმდეგი ვარ გარეგნობაში ქირურგიული ჩარევების... სხვათა შორის, ამ კითხვას ხშირად მისვამენ, რაც სიმართლე გითხრათ, არ მომწონს. ჯერ 18 წლის ვარ და საინტერესოა, როდის მოვასწრებდი პლასტიკური ქირურგიით რაიმეს შეცვლას? მერწმუნეთ, ყველაფერი ბუნებრივი მაქვს (*იღიმის*).

**— შეყვარებული გყავს?**

— შეყვარეული არ მყავს. კარიერაში საკმაოდ დიდი წინსვლები მაქვს, ეს კი ცოტა დროს მიტოვებს საიმისოდ, რომ პირად ცხოვრებაზე

ვიფიქრო. მომავალში გამოჩნდება ჩემთვის სასურველი მამაკაციც.

**— რთულია შენი გულის მოგება?**

— ჩემი გულის მოგება არცთუ ისე იოლია. ვფიქრობ, ბევრმა დაკარგა მამაკაცის სახე და ის ღირებულებები, ქალის მიმართ რომ უნდა ჰქონდეს. მინდა, ჩემ გვერდით მყოფი მამაკაცი კარგად აღზრდილი იყოს და რა თქმა უნდა, ჩემზე ძლიერიც, ყველა ასპექტში. სუსტი მამაკაცი ჩემ გვერდით დაიჩაგრება, არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩნდება.

**— პოპულარობამ რა მოგიტანა?**

— პოპულარობამ ბევრი ვერაფერი მომიტანა. ადამიანები რას არ სჩადიან იმის გამო, რომ ხალხის ყურადღება მიიპყრონ, მე კი საამისოდ მსგავსი არაფერი გამიკეთებია. პოპულარობამ და ცნობადობამ ზედმეტი თავის ტკივილი, უაზრო ზარები მომიტანა... ქუჩაში მესმის ფრაზები: „უი, ეს დიანა არ არის?“ „ახალგამოჩენილი „სექსსიმბოლო“ და ა.შ. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი მალე გაივლის და გამოჩნდება ვინმე ისეთი, ვინც ხალხს ჩემს თავს დაავიწყებს (*იღიმის*).

**— მამაკაცები შენი გულის მოგებას როგორ ცდილობენ?**

— დღეს მამაკაცებს სულიერების ჩვენება არ უნდათ, პირდაპირ ბრილიანტებით, მანქანებით და ძვირად ღირებული ნივთებით ცდილობენ ქალის გულის მოგებას, ჩემთვის კი სულიერებასა და ადამიანურობაზე ძვირფასი არაფერია. ვერანაირი ძვირად ღირებული საჩუქრით ვერ მოიგებ ჩემს გულს, თუ შენში არ დავინახე ის, რაც ჩემთვის ყველზე მნიშვნელოვანია. ამას წინათ შემომთავაზეს ერთ-ერთ ეროტიკულ ფილმში მონაწილეობა, მაგრამ არ დავთანხმდი, რადგან ეს ჩემს კარიერას ხელს შეუშლის და ყველაფერს დამინგრევს. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო ცხოვრება მაქვს და რაღაც სისულელის გამო ამ ყველაფერს არ გავაფუჭებ. ეროტიკული როლებით პოპულარობას და ამ გზით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას არ ვაპირებ.

**— შენზე ამბობენ, შორენა ბეგაშვილს ეჯიბრებაო... ამაზე რას იტყვი?**

— შორენა ბეგაშვილს არ და ვერ გავეჯიბრები... არ ვთვლი, რომ ის ჩემზე რაიმეთი მაღლა დგას. ცნობადობით არაფრის მიღწევა არ მინდა. ყველაფერი ისედაც კარგად მაქვს. ბედნიერი ვარ იმ სფეროში მუშაობით, სადაც ახლა ვარ.



სასიამოვნოა, როცა მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ქალს გამსგავსებენ

**— რა გეგმები გაქვს სამომავლოდ?**

— პოლიტიკაში წასვლას ვაპირებ. ჯერ კი საამისოდ არც ასაკი მიწყობს ხელს და არც გამოცდილება. მინიმუმ 21 წლის უნდა იყო, რომ ამ საქმიანობით დაკავდე. 21 წლამდე გამოცდილებას დავაგროვებ და შევიმუშავებ გეგმას, თუ როგორ წარვდგები ამომრჩევლის წინაშე. სხვათა შორის, ერთი თვის წინ საქართველოს მოქალაქეობა მივიღე.

**— საქართველოში ვისთან ერთად ცხოვრობ?**

— 2 წელია, თბილისში დედასთან ერთად ვცხოვრობ და ძალიან მიყვარს აქაურობა. თუმცა, აქ მყავს ძმაც და ბებიაც. მამა უკრაინაშია და ხშირად ჩამოდის ჩვენს მოსანახულებლად. სამომავლოდ საქართველოში გეგმავს ცხოვრებას და უკვე შეიმუშავა ბიზნესგეგმა, რომელსაც აქ განავითარებს.

**— როგორ ზრუნავ საკუთარ გარეგნობაზე?**

— საამისოდ განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. უბრალოდ, ვცდილობ, ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვრო, სწორად ვიკვებო და ა.შ. ძალიან მიყვარს ფიტოთერაპია. ყველაზე მთავარი მომხიბვლელი რომ იყო, მოწესრიგებული ძილია. ჩემი ცხოვრება შეიცვალა მას შემდეგ, რაც გვიან ღამით დაძინებას გადავეჩვიე და დილით ადრე გაღვიძება ვისწავლე — ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი რამ, რაც შეიძლება ადამიანმა საკუთარ თავს გაუკეთოს. ჯანსაღი ცხოვრების წესი სილამაზის საწინდარია.

პოპულარობამ და ცნობადობამ ზედმეტი თავის ტკივილი, უაზრო ზარები მომიტანა...



# შოთიკო ნოზაძის ბედისწერა და სიყვარული

„მაქვს განცდილი, როგორ კვდება ადამიანი“

**„დავინახე, ძალიან მომეწონა და ვიფიქრე, ამ გოგოს ხელიდან არ გავუშვებ-მეთქი“, — ამბობს მსახიობი შოთიკო ნოზაძე. მალე მის ცხოვრებაში სასიამოვნო ამბავი მოხდება: ის საყვარელ გოგოზე დაქორწინებას აპირებს. ვინ არის მისი რჩეული, რა არის სიყვარული, რატომ სჯერა ბედისწერის, რატომ უფრთხის რისკს და როდის ჯიუტდება? — ამ ყველაფერს მის მიერ დასრულებული წინადადებებიდან შევიტყობთ.**

თამუნა კვინიკაძე

**— დაბადების თარიღი...**

— ...1989 წლის 5 დეკემბერი.

**— ბავშვობაში მინდოდა გამოვსულიყავი...**

— ...ფეხბურთელი. სპორტის ამ სახეობაზე დავდიოდი და 7 წელი ვთამაშობდი. დღეს სასაცილოა, მაგრამ თავდაპირველად ბურთი არ გვქონდა და მწვრთნელი ფეხბურთს თეორიულად გვასწავლიდა. მერე ბურთი შევიძინეთ, თამაში დავიწყეთ და ბედნიერები ვიყავით. საფეხბურთო სკოლა მაქვს დამთავრებული. სკოლის უკან სტადიონი იყო, სტადიონზე — უამრავი კენჭი. ჯერ ამ კენჭებს გვასუფთავებინებდნენ და მერე გვიშვებდნენ სათამაშოდ. ვარჯიშის წინ სტადიონის გაწმენდა რიტუალივით იყო. ტურნირზე რომ გაგვიყვანეს, საკუთარ კარში 2 გოლი გავიტანე. ამ ამბის გამო კალაძეს მადარებენ ხოლმე. მერე ისე მოხდა, მოყინულზე წავიქეცი, ლავიწის ძვალი გავიტეხე და თამაშს თავი დავანებე.

**— ჩემზე ამბობენ...**

— ...სახლში რას ამბობენ, ვთქვა? რა ნიჭიერი გვყავსო! ჩემი მეგობრები ამბობენ, რომ არაპუნქტუალური ვარ. უმეტეს შემთხვევაში, მათთან მისვლა მაგვიანდება.

**— თვისება, რომელიც ჩემში ყველაზე მეტად მომწონს...**

— ...ეს შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობაა.

**— თვისება, რომელიც არ მომწონს და ვცდილობ, გამოვასწორო...**

— ...სიზარმაცე. თუმცა, თავს ძალას ვატან და გასაკეთებელს მაინც ვაკეთებ.

**— სიყვარული ეს...**

— ...ჩემთვის ყველაფერია, მთელი ცხოვრებაა...

**— ახლა შეყვარებული...**

— ...ვარ. უფრო მეტიც, მე და სოფო დანიშნულები გახლავართ და მალე ქორწილს ვგეგმავთ. სოფო 3 წლის წინ, ქორწილში გავიცანი. დავინახე თუ არა, მომეწონა. პირველი ემოცია როგორი იყო? — გავიფიქრე, ამ გოგოს ხელიდან არ გავუშვებ-მეთქი. იმ დღეს ჩვენი ურთიერთობა არ გაგრძელებულა. მეორე დღეს სოციალურ ქსელში შევეხმიანე; ჯერ ერთმანეთს ვწერდით, მერე შევხვდით...

**— მისი გულის მოგება...**

— ...ვერ ვიტყვი, რომ ძალიან გამიჭირდა. ერთმანეთი ერთი ნახვით არ შეგვყვარებია, ჯერ დავმეგობრდით და ჩვენი ურთიერთობა სიყვარულში თანდათან გადაიზარდა. სოფოს იურიდიული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და ახლა სამსახურის ძიების პროცესშია. გარდა იმისა, რომ გარეგნულად მომეწონა, მისმა შინაგანმა სამყარომ არანაკლებად მომხიბლა. ის ძალიან ყურადღებიანი და მართალი ადამიანია. ჩემი დამრიგებელია. სოფოსგან ბევრ რამეს ვსწავლობ. მის რჩევას ვითვალისწინებ და სხვათა შორის, ამართლებს. როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მაქვს მისაღები და ვყოყმანობ, ამ დროს მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. „ჩემი ცოლის დაქალებს“ რა თქმა უნდა, უყურებს. თენგო, როგორც პერსონაჟი, მოსწონს და ხალისობს. მსახიობი არ არის, მაგრამ მაყურებლის თვალით დანახულ შეცდომებზე შენიშვნებს მაძლევს. მაგალითად, შენიშვნა მომცა ფოთში გადაღებულ ეპიზოდზე და რომ დავფიქრდი, მართალი იყო, მგზავრობისგან დაღლილი ვიყავი.

**— ჩვენს ურთიერთობას რომანტიკა...**

— ...ნამდვილად არ აკლია. მიუხედავად იმისა, რომ სანთლებისა და ყვავილების მოყვარული არ ვარ.

**— ჩემი რომანტიკა არის...**

— ...ყველასგან განმარტოება, მყუდრო გარემოში ყოფნა და ჩვენს მომავალზე ფიქრი. ერთ დღეს სოფო სამსახურის თაობაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში იყო მისული. რომ გამოვიდა, მე და ჩემი მეგობრები ყვავილებით დავხვდით, მისთვის ეს

იმდენად მოულოდნელი იყო, გაუხარდა და ესიამოვნა.

**— ამ წუთში ძალიან მინდა ვიყო...**

— ...შეყვარებულთან ერთად. მთელი კვირაა, არ მინახავს და მენატრება. მასთან ერთად სიამოვნებით წავიდოდი იტალიაში და მერე — ამერიკაში. ჩვენ ჯერ არც ჯვარი დაგვიწერია და არც ხელი მოგვიწერია.

**— ბედნიერი ვარ, რომ...**

— ...ჩემი მეორე ნახევარი ვიპოვე.

**— არ მჩვევია...**

— ...ჭორაობა.

**— ჩემი პირველი წარმატება...**

— ...2004 წელი იყო, პირველად დავდექი სცენაზე და „ხუთკუნჭულა" ვითამაშე. იმდენი ენერგია დავხარჯე და მაყურებლისგან ისეთი ემოცია მივიღე, მას შემდეგ ჩემი პროფესია და სცენა თავდავიწყებით შემიყვარდა.

**— ჩემს გარეგნობაში შევცვლიდი...**

— ...არაფერს.

**— ყოველთვის მრცხვენია, როცა...**

— ...ჩემზე ლაპარაკობენ, საჯაროდ მაქებენ. თითქოს კომპლექსი მაქვს. არ მინდა, აღმატებულ ხარისხში ამიყვანონ, ასეთ დროს თავს უხერხულად ვგრძნობ.

**— პოპულარობა...**

— ...მომიტანა გმირმა, რომელსაც „ჩემი ცოლის დაქალებში" ვასრულებ. პოპულარობა ერთდროულად, სასიამოვნოც არის და დამღლელიც. ქუჩაში ძალიან ბევრი ადამიანი მცნობს, პირველი რეაქცია სიცილია. განსაკუთრებით ბავშვები და თინეიჯერები ლაპარაკობენ თენგოს ტერმინებით. ჩემს ხაშურელ მეგობრებს ეს პერსონაჟი მოსწონთ, რაც მახარებს. ეს როლი ხომ გარკვეულწილად, მათი დამსახურებით შევქმენი.

**— ვნანობ, რომ...**

— ...არაფერს ვნანობ.

**— პატიება შემიძლია, თუ...**

— ...უმეტეს შემთხვევაში, ვპატიობ. მიმტევებელი ვარ, მაგრამ არსებობს დეტალები, რომელსაც გულის სიღრმიდან ვერ წავშლი. ბუნებრივია, შეცდომები მეც დამიშვია. როცა ჩადენილ საქციელს ვაცნობიერებ, ბოდიშს ვიხდი.

**— ვიბნევი როცა...**

— ...არც კი მახსოვს, ბოლოს ასეთ მდგომარეობაში როდის ვიყავი.

**— დაშვებული შეცდომები...**

— ...ვცდილობ, აღარ გავიმეორო. ისეთი შეცდომები არც მაქვს დაშვებული, დიდი ტკივილით რომ მახსენდებოდეს.

**— წონასწორობიდან ჩემი გამოყვანა შეუძლია...**

— ....ვითმენ, ვითმენ, ვუთმენ... მაქსიმალურად ვცდილობ, დავუთმო. კონფლიქტური არ ვარ, მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი და მერე ბიჭი ცუდი ვხდები.

**— ვრისკავ, როცა...**

— ....ძალიან ცუდია, რომ რისკიანი არ ვარ. სულ ვფიქრობ, კონკრეტულ ნაბიჯს რა შეიძლება მოჰყვეს, ფრთხილი ვარ.

**— ხშირად მსაყვედურობენ...**

— ...მოუცლელობის გამო, მეგობრების ნახვას ვერ ვახერხებ.

**— ვარ შეუმდგარი...**

— ....ფეხბურთელი.

**— ძალიან ბევრი ფული რომ მქონდეს...**

— ...ამაზე არასდროს მიფიქრია და ბევრ ფულზე არც არასდროს მიოცნებია. მე რომ მილიარდერი ვიყო? ეს ვერც წარმომიდგენია. რაც დანამდვილებით ვიცი, ის არის, რომ ფულს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის არ დავხარჯავდი. ვისაც ძალიან სჭირდება, ყველას დავეხმარებოდი.

**— თავისუფლებაა...**

— ...როცა მე ვარ ჩემი თავის უფალი. თავისუფლება ვალდებულებებისგან გაქცევა არ არის.

**— ბედისწერის...**

— ...მჯერა. რამდენიმე წლის წინ, დენმა დამარტყა, ვკვდებოდი და გადავრჩი. მაღალ ძაბვაზე 20 წამის განმავლობაში ვიყავი მიერთებული და ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა. ეს ამბავი რუსთავში მოხდა. კლუბური თეატრი „ბრავო" ჩვენი გაკეთებული იყო, იქ ფიზიკურად ვმუშაობდით, ბანერის კონსტრუქცია შენობაზე დასამაგრებლად აგვქონდა. სიმაღლეზე რომ ავედი, აღმოჩნდა, რომ კაბელი გახეხილი იყო და რკინაზე, რომელიც ხელში მეჭირა, დენი გადავიდა, გამაშეშა, მაგრამ ვერავინ ვერაფერს მიხვდა. ჩემ გვერდით ელექტროშემდუღებელი იყო და იმან დაიძახა, — გამორთეთო. ეგონათ, აპარატს ჰქონდა პრობლემა და ის გათიშეს. შენობიდან რომ გამოვიდნენ და ისევ იმ მდგომარეობაში, გაშეშებული დამინახეს, მერე მიხვდნენ, რაც ხდებოდა. ეს ყველაფერი 20 წამს გაგრძელდა. მე მაქვს განცდილი, როგორ კვდება ადამიანი. ამ 20 წამის განმავლობაში მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გონებაში კადრებად ჩაიარა. ვნახე, რა გამიკეთებია ცუდი და რა — კარგი. ბოლოს ვხედავდი, როგორ უნდა ჩამოვეხსენი ადამიანებს რკინის კონსტრუქციიდან და ამ დროს ჩამომხსნეს კიდეც. მერე რეალობაშიც დავბრუნდი. იმ დღეს ძალიან ცუდად ვიყავი.

**— როდესაც დაძაბული პერიოდი მაქვს...**

— ...ამ დროს საუკეთესო წამალი მარტო დარჩენა და საკუთარ თავთან დიალოგია.

**— ვჯიუტდები, როცა...**

— ...სიმართლეს ვერ ვამტკიცებ.

**— ადამიანი, ვის აზრსაც ყოველთვის ვითვალისწინებ...**

— ...ეს არის ჩემი საცოლე.

**— დარიგება, რომელიც არასდროს დამავიწყდება...**

— ...მთელი ცხოვრება მშობლებისგან მესმის, რომ კარგი, წესიერი, შრომისმოყვარე, დამთმობი ადამიანი უნდა ვიყო. მშობლების მიზანი ყოველთვის ჩემი და ჩემი ძმის კარგად აღზრდა გახლდათ. მათ ამისთვის მადლობას ვუხდი.



მასთან ერთად სიამოვნებით წავიდოდი იტალიაში და მერე — ამერიკაში

**— დაბოლოს, გეტყვით, რომ...**

— ...ყველას ძალიან დიდი მადლობა გულშემატკივრობისა და იმ სიყვარულისთვის, რომელსაც ქუჩაში გავლისას მაყურებლისგან ვგრძნობ. სოციალურ ქსელში ბევრი წერილი მომდის. მე ბედნიერი ვარ. ■

# ჭორფლის კომპლექსი და დაკარგული წლები

## „მე უფრო დამყოლი ცოლი ვიყავი“

**მსახიობი სოფია სებისკვერაძე ზაზა ურუშაძის ფილმში გადასაღებად ემზადება, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს — დიდ ეკრანზე მუსიკის მასწავლებლის ამპლუაში გამოჩნდება... სოფია კომედიურ სერიალშიც — „ნიკა და ლიკა“ მონაწილეობს... „პირველი ამბების“ გახსენებამდე, ამ სერიალზეც ვისაუბრეთ.**

ეთო ყორღანაშვილი

— სერიალში ჩემი განსახიერებული პერსონაჟებისგან განსხვავებულ როლს ვასრულებ. ამ მხრივ, მასში მონაწილეობა ძალიან საინტერესოა. მე და პაატას წინათ არასოდეს გვითანამშრომლია. როცა მსახიობები ერთმანეთს არ იცნობენ და მთავარ როლებს ასრულებენ, ეს ცოტა რთულია, მაგრამ ჩვენი „შეთამაშება“ მარტივად მოხდა: როგორც მსახიობები, ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ. თავს კომფორტულად ვგრძნობ.

**— თქვენს გმირთან — ლიკასთან რა საერთო გაქვთ?**

— ძირითადად, ლიკა ჩემგან განსხვავებულია, მაგრამ საერთოც გვაქვს: გათხოვილი მეც ვიყავი. თუმცა, მე უფრო დამყოლი ცოლი გახლდით...



ჩემი პირველი სიყვარული ვინც იყო, იმას ცოლად გავყევი

**— „ნიკა და ლიკას“ პირველი სერიის პირველი ეპიზოდის გადაღება გაიხსენეთ...**

— ალბათ, ვღელავდი, რადგან პირველი იყო. სიუჟეტი ზუსტად არ მახსოვს — საკმაოდ ბევრი სერია გადავიღეთ. საერთოდ არ მქონია იმის განცდა, რომ არავის ვიცნობდი — სერიალზე ძალიან კარგი ხალხი მუშაობს. თან, ჩემ გარშემო სრულიად უცნობი ადამიანებიც არ ყოფილან: მაგალითად, მეზობლის როლის შემსრულებელს — კობა ბარათელს ბავშვობიდან ვიცნობ. მოგეხსენებათ, ქუთაისში დავიბადე. იქ მე და კობას კონცერტებში, სალამოებში ერთად მიგვიღია მონაწილეობა. სერიალის „სტაფიდან“ კიდევ ბევრს ვიცნობდი. მოკლედ, ჯგუფმა ყველანაირად ხელი შემიწყო, რომ გადაღება დაძაბულობის გარეშე დასრულებულიყო.

**— პირველი შეხვედრა ეკრანულ ქმართან — პაატა გულიაშვილთან...**

— ეს მაშინ მოხდა, როდესაც სერიალის კასტინგზე მეორედ დამიბარეს. პირველ კასტინგზე „მამაჩემის“ ცოლის როლი შევასრულე. სერიალში ან „მამაჩემის“ ცოლი უნდა ვყოფილიყავი, ან — შვილი. მეორედ უკვე შვილის როლზე გამსინჯეს. კასტინგი პაატასთან ერთად გავიარე. მივხვდი, რომ მოეწონათ.

**— პირველი რეაქცია, როცა საკუთარი თავი ლიკას როლში ეკრანზე იხილეთ...**

— ვნერვიულობდი, როგორი გამოვიდოდა. პირველ სერიას შვილთან ერთად ვუყურე. მისი რეაქციებიდან მივხვდი, რომ ამ პროექტში მონაწილეობა ღირდა. თან, თითქოს მარის გემოვნებას ვენდობი — ყველაფერს კარგად აფასებს. სერიალის ყურებისას ბევრჯერ გაეცინა.

**— პირველი სერიოზული გადაწყვეტილება ცხოვრებაში...**

— თეატრალურ უნივერსიტეტში, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე. ოჯახში ყველამ იცოდა, რომ მსახიობობა მინდოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში, დედას ჩემი არჩევანი არ მოსწონდა. მეუბნებოდა, რომ მე არც ვემზადებოდი, არავის ვიცნობდი და შეიძლებოდა, ვერ ჩამებარებინა, რის გამოც გული მეტკინებოდა. მაინც დავიჟინე, — უნდა ვცადო-მეთქი. საგამოცდო პროგრამაც კი არ ვიცოდი, ისე მივედი გამოცდაზე. მხოლოდ სარკის წინ მომზადებული იგავ-არაკები, მოთხრობებიდან ნაწყვეტები, ლექსები ვიცოდი. სხვათა შორის, ძალიან კარგი ნიშნები მივიღე და „უფასოზე“ მოვხვდი. იმ დღეებში ისე ვნერვიულობდი, რომ მაღალი სიცხე მქონდა. გამოცდებზე ჩემი მეგობარი — თამუნა გოგელიძე დამყვებოდა. მერე, დედაჩემი რომ მიხვდა, ვაბარებდი, ბოლო გამოცდაზე ისიც მოვიდა...

**— სინანულის პირველი განცდა...**

— სამსახიობო ფაკულტეტი რომ დავტოვე და ხელოვნებათმცოდნეობაზე გადავედი. თუმცა, იქაც უამრავი საინტერესო ადამიანი გავიცანი, ხელოვნების შესახებ ბევრი რამ ვისწავლე... ვინანე, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საქართველოში არ ვცხოვრობდი — ჩემს ქმართან ერთად, კიევში ვიყავი, იქ კი არაფერს ვაკეთებდი — ჩემი პროფესიით არც ვმუშაობდი, არც ვსწავლობდი. მოკლედ, 7-8 წელი დავკარგე...

**— პირველი მეგობარი...**

— ქუთაისში ერთ გოგოსთან — სალომე ბაშალეიშვილთან ვმეგობრობდი. სულ ერთად ვიყავით, ვთამაშობდით, ვკითხულობდით. ერთად ვიზრდებოდით. ახლა ახლო ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ ყოველთვის კარგად მახსენდება.

**— პირველი საჩუქარი თაყვანისმცემლისგან...**

— ალბათ — სკოლაში, როცა შოკოლადს მჩუქნიდნენ. იმ ბიჭს რა ერქვა, ზუსტად არ მახსოვს. დაახლოებით მესამე კლასში ვიქნებოდი...

**— პირველი პაემანი...**

— ჩემი პირველი სიყვარული ვინც იყო, იმას ცოლად გავყევი. ალბათ, პირველი პაემანი ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მქონდა, ჩემს ყოფილ ქმართან. საერთო მეგობრები გვყავდა. ჩვენი ურთიერთობა წლების განმავლობაში გაგრძელდა.

**— პირველი პლატონური სიყვარული...**

— სკოლაში სწავლის პერიოდში, მაიკლ ჯექსონი მიყვარდა. შემდეგ მაიკლი კურტ კობეინმა შეცვალა...

ხშირად მესიზმრებოდნენ კიდეც, განსაკუთრებით მაშინ, როცა რამე მიჭირდა ან რჩევა მჭირდებოდა. რაღაცნაირად, ყოველთვის ჩემ გვერდით იდგნენ (*იცინის*). მახსოვს, სამსახიობო ფაკულტეტზე რომ ვაბარებდი, კობეინი დამესიზმრა და მითხრა, რომ რაც მინდოდა, ყველაფერი უნდა გამეკეთებინა, სტიმული მომცა. რა თქმა უნდა, ეს ალბათ, ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაგრამ იმ დროს ძალიან დამეხმარა: როდესაც ვინმე გიყვარს, გგონია, რომ ის ყოველთვის შენთანაა და ასეთ დროს დადებითად იმუხტები.

**— თქვენ შესახებ გავრცელებული პირველი ჭორი...**

— ჭორებს არ ვიმახსოვრებ. პირველი რა იყო (*ფიქრობს*)?.. ბავშვობაში გავიგე, რომ ნაშვილები ვიყავი.

**— პირველი ავტოგრაფი...**

— ბავშვობაში ზურა მახნიაშვილის ჯგუფში — „სუპერგოგონები" ვმღეროდი. ავტოგრაფები კონცერტების მერე დამიწერია...

**— პირველი სირცხვილი...**

— აუ, ეგ ვის ახსოვს (*იცინის*)?.. გარდატეხის პერიოდში, კომპლექსები ყველა ადამიანს აქვს. ალბათ, მეც იმ პერიოდში მრცხვენოდა ხოლმე. პირველად რის გამო შემრცხვა, არ მახსოვს, მაგრამ გარდატეხის ასაკში ჭორფლის კომპლექსი მქონდა. ვცდილობდი, მზისგულზე ხშირად არ დავმდგარიყავი ან სახეზე ტონალური კრემი წამესვა, რომ ჭორფლი არ გამომჩენოდა. ჭორფლის გამაუფერულებელს ვიყენებდი.

**— პირველი რეაქცია, როცა შვილმა „დედა" დაგიძახათ...**

— არ მახსოვს... დედის ნაცვლად, „კვაცირას" მეძახდა, თან — საკმაოდ დიდხანს (ვიდრე სკოლაში სწავლას დაიწყებდა). არავინ იცის, „კვაცირა" რას ნიშნავს.

**— პირველი ტყუილი...**

— საერთოდ, ტყუილების თქმა არ მიყვარს. ალბათ, ყველა მოგატყუებს, ვინც გეტყვის, რომ პირველი ტყუილი ახსოვს. სავარაუდოდ, ეს „ღრმა" ბავშვობაში ვთქვი...

**— პირველი სასჯელი მშობლებისგან...**

— სხვათა შორის, ჩემი მშობლები დიდად არ მსჯიდნენ. ალბათ, მეც მშვიდი ბავშვი ვიყავი: პროტესტს მშობლების მიმართ აგრესიით არ გამოვხატავდი. თინეიჯერობისას ჩაცმის განსხვავებული სტილი მქონდა, მაგრამ ამის გამო არ მსაყვედურობდნენ. ჩემს ბავშვობაში სხვადასხვა



როგორც მსახიობები, ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ

ფერის ფეხსაცმლის, რკინისაქსესუარებიანი ბათინკების, დახეული შარვლის ჩაცმა მოდურად მიიჩნეოდა. სკოლის ბანკეტზე ტყავის შარვლითა და პერანგით მივედი... ბავშვებთან თამაშზე მეტად, წიგნების კითხვა და მუსიკის მოსმენა მიყვარდა. ბევრი პლაკატი მქონდა. გარდატეხის ასაკში როკს ვუსმენდი. ჩემი ოთახიდან მუსიკის ხმა ხშირად ისმოდა... ნის შუქზე ვკითხულობდი. კიდევ, დედ-მამა მთხოვდა, წვნიანი კერძები მეჭამა.

**— პირველი ფილმი, რომელმაც თქვენზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა...**

— „ტალღების გაპობისას". მეშვიდე-მერვე კლასში ვიყავი, როცა ეს ფილმი ვნახე. ჩემზე უძლიერესი ზეგავლენა მოახდინა. მაშინ საბ-



პირველად რის გამო შემრცხვა, არ მახსოვს

მშობლებს არასოდეს უთქვამთ, — ეს რა არის, როგორ გაცვიაო? დედა ყოველთვის ამბობდა, — ეს დროებითიაო... წარმოიდგინეთ, 20 წლის წინ, თმა მწვანედ, ლურჯად და „მალინისფრად" შევიღებე. გრძელი, ფერადი თმით დავდიოდი. მშობლებს მაშინაც არაფერი უთქვამთ... ბავშვობაში ავტოავარიაში მოვყევი. შიდა ქალის წნევა მქონდა, თვალებთან დაკავშირებული პრობლემა მაწუხებდა და ერთადერთი, რასაც მიშლიდნენ, ღამით კითხვა იყო, მაგრამ ჩუმად მაინც ვახერხებდი და წიგნს ფარ-

ოლოოდ გადავწყვიტე, რომ მსახიობი გავმხდარიყავი.

**— დამოუკიდებლობის პირველი განცდა...**

— სტუდენტობისას. ძალიან კარგი იყო! ეს შეგრძნება მიყვარს და ალბათ, არასოდეს დავკარგავ. არ მომწონს, როცა ვილაცაზე დამოკიდებული ვარ. მართალია, სტუდენტობისას მარტო არ ვცხოვრობდი — ბიძასთან ვიყავი, მაგრამ ჩემი დამოუკიდებელი ცხოვრება სწორედ სტუდენტობიდან დაიწყო და კომფორტულად ვიგრძენი თავი. ■

# რით გააოცეს ქართველმა გოგონებმა სტანისლავ ბონდარენკო



„სხვაგან ასეთი რამ არსად შემხვედრიაო...“

**ეს ადამიანი ქართველ გოგონებში იმაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე ალბათ, თავად წარმოიდგენდა, როცა თბილისში პირველ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობდა. ჩემმა ერთ-ერთმა „ფეის-ფრენდმა“ თავის „კედელზე“ იხუმრა: „რაც წლების განმავლობაში ქართველმა კაცებმა რუს ქალებს უქნეს და „იგულავეს“ თავიანთი 37-მანეთიანი ბილეთებით, ერთმა ბონდარენკომ აილო რევანშიო“. სტანისლავ ბონდარენკოს ფანებს „ფეისბუკზე“ ათასნაირი გვერდი აქვთ გახსნილი, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს განსაკუთრებით სახალისო სახელწოდება აქვს: „სტას, შენგან შვილი მინდა“. მოკლედ, ქართველი გოგონების არცთუ ისე მცირე ნაწილი, „სტანისლავიზაციამ“ მოიცვა და ამ „მიმდინარეობას“ უფრო და უფრო მეტი მიმდევარი ემატება. თუმცა, ისეთი ხალხიც მოიძებნება, ვისაც ბონდარენკოს ასეთი პოპულარობა ძალიან აღიზიანებს და მის მიმართ კრიტიკულ და ზიზღნარევ ფრაზებსაც არ იშურებს. მაგალითად: „ვინ არის ასეთი?“ „რას წარმოადგენს?“ „ნუ შეგვჭამეთ ამ ბიჭით, საქართველოში ნაკლები ტიპები არიან?..“**

თამთა დადეშელი

*თუმცა, ვფიქრობ, ჩვენთვის სასიხარულო უნდა იყოს, როცა სხვა ქვეყნის მოქალაქე ასე აქტიურად და უსასყიდლოდ მონაწილეობს ქართველი ბავშვების დასახმარებლად გამართულ ღონისძიებებში და ჩვენი ქვეყნისა თუ ხალხის მიმართ დიდ სიყვარულს, პატივისცემას გამოხატავს. როგორც აღვნიშნე, პირველად სწორედ ამ მისიით ესტუმრა მსახიობი თბილისს. მარტის თვეში, პროექტის ორგანიზატორების: ელენე თარგამაძისა და ნათია ქარდავას თხოვნით, ბონდარენკომ მიხეილ სხვიტარიძის დასახმარებლად, მოზარდ მაყურებელთა თეატრში — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ ქართველ მსახიობებთან ერთად ითამაშა და ზურიკელას როლი მოირგო. რადგან საჭირო თანხა ვერ შეგროვდა, დამატებითი სპექტაკლი დაანიშნინა. მის სანახავად და სელფის გადასაღებად მაშინაც უამრავი გოგონა მიაწყდა თეატრის შესასვლელებს და ჟურნალისტური ხრიკების წყალობით, სპექტაკლის შემდეგ, მისი ექსკლუზიური ინტერვიუს მოპოვებაც შევძელი...*

*ამას მოჰყვა შემოთავაზება „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ და სტასის პოპულარობამაც ერთიორად იმატა. სხვათა შორის, როგორც ადრე აღნიშნა, ანალოგიურ პროექტში მოსკოვშიც შესთავაზეს მონაწილეობა, მაგრამ ვინაიდან მაშინ ფილმის გადაღებაზე მუშაობდა, უარი განაცხადა. რამდენიმე დღის წინ, საქველმოქმედო კონცერტი ბათუმშიც ჩატარდა და ლუკა ჩხარტიშვილის მხარდასაჭერად, ქართული ესტრადის მომღერლებთან ერთად, ღონისძიებას სტასიც შეუერთდა. მასთან ერთად გადაღებული ფოტოები ტელეწამყვანის — ზაალ წულუკიძის (ვინი) „ფეისბუკის“ გვერდზე ვნახე. სტანისლავ ბონდარენკოს ინტერვიუმდე, ვინის კომენტარს შემოგთავაზებთ:*

— ბათუმში საქველმოქმედო კონცერტი ლუკა ჩხარტიშვილის დასახმარებლად ჩატარდა, რომელსაც ორგანიზება ბათუმის „ქალთა კლუბმა“ და კიდევ რამდენიმე კომპანიამ გაუწია. კონცერტში მონაწილეობდნენ: დათო ხუჯაძე, სოფო ხალვაში, ნიკო ბერიძე, ნანა მესხი, რუსეთიდან ჩამოსული ქართველი მომღერლები. ღონისძიებაში ჩემი ძმისშვილი — სალომე წულუკიძეც ჩაერთო და მე, როგორც ბიძა, გავყევი. სტანისლავ ბონდარენკო ლუკას მხარდასაჭერად ჩამოვიდა. გოგონებმა რომ დაინახეს, ფოტოების გადაღებაზე რიგი იდგა. თავი „ბითლზების“ კონცერტზე გეგონებოდა. ეს კაცი სადაც ჩადის, ყველგან ასეთი აჟიოტაჟია ხოლმე (იცინის).

**— თვითონ სტასი რა კუთხით მონაწილეობდა ამ კონცერტში?**

— მთავარი კონცერტზე მისი დასწრება იყო, ბევრი სწორედ მის გამო მოვიდა. სტასის გამოჩენა ხალხის ნაკადის მისვლას განაპირობებს. ის სცენაზე სიტყვით გამოვიდა და დამსწრე საზოგადოებას კონცერტის მიზნის შესახებ ესაუბრა.

**— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა მასზე?**

— ძალიან უშუალოა, „თავში ავარდნილი“ ტიპის შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. პირიქით, ყველას ულიმოდა, თბილად და მეგობრულად ექცეოდა, ლუკას გვერდიდან არ მოშორებია, სულ ამხნევებდა. ღონისძიების შემდეგ სადაც წავედით, პატარა შეკრებასავით გვქონდა, მაგრამ ვინ აცდიდა ჭამას? გოგონებმა იქაც იპოვეს და არ მოასვენეს. ეტყობა, სტასს ქართული სამზარეულო უკვე კარგად აუთვისებია და ძალიანაც მოსწონს, ჩვენებური წესით ჭამაც კარგად იცის. მაგალითად, მწვადი ლავაშით როგორ

უნდა გამოაძროს შამფურიდან (*იცინის*). ისეთი სუფრა არ ყოფილა, რომ ძალიან მოგველხინა, ლუკას ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გვაძლევდა ამის საშუალებას, თუმცალა, თვითონ ლუკამ კი ძალიან გაიხარა და იმხიარულა. სტასს რაღაც ვასწავლე. თხოვნის აღმნიშვნელი ჟესტი რომ არის — ყელის ორი თითით გამოწევა, იმაზე მკითხა: რას ნიშნავს ეს? ასეთი რამ არსად შემხვედრია, საქართველოს გარდაო. ეტყობა, ამ გოგონებმა გადარიეს, ამ ჟესტით სთხოვდნენ, შენთან ფოტოს გადავიღებთო და მე ვასწავლე, შენც იმავენაირად გაუკეთე და თან დააყოლე: გთხოვთ, შემეშვით-მეთქი. დაუმახსოვრებია და მერე, გამოიყენა კიდეც (*იცინის*). „ჩუვაკ, რაბოტაეტ!“ — მითხრა ანუ „იმუშავა“ ჩემმა რჩევამ.

*აქვე გთავაზობთ სტასის ინტერვიუს მის ცხოვრებაზე, პირად თუ საქმიან საკითხებზე.*

### შეხვედრა პატრიარქთან

— გაგებული მქონდა, რომ მეგობრული, სტუმართმოყვარე ხალხი ხართ. ქართველებთან ერთად ადრეც მიმუშავია და ასე თუ ისე, გიცნობდით, მაგრამ რაც აქ დამხვდა, ამას არ ველოდი, მართლა ძალიან მომეწონა! ასეთი ყურადღების ღირსიც არ ვარ. მეც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი გახლავართ, როგორიც ნებისმიერი თქვენთაგანი. ქართულმა კულინარიამ აღმაფრთოვანა! პირდაპირ გასაოცარია: ჭამ, ჭამ, აღარ ჩაგდის და მაინც კიდევ გინდა, მაგრამ სადღაა ადგილი (*იცინის*)? სხვათა შორის, ერთხელ „ხაში“ მოვამზადე, ძალიან მიყვარს. თბილისში ბევრი რამ მომწონს. მაგალითად, ძველი თბილისი. ვგიჟდები ქალაქებზე, სადაც ძველი, პატარა სახლებია. ორთაჭალის აბანოებიც ძალიან მაგარია! ყველაზე მთავარი კი, რაც მომეწონა, უძველესი ეკლესიებია. ასეთი ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს. სხვათა შორის, როცა თბილისში პირველად ჩამოვედი (მარტის თვეში), საქართველოს პატრიარქს პირველად შევხვდი და მან მითხრა: შენ საქართველოში აუცილებლად, კიდევ ჩამოხვალო. მასთან შეხვედრამ შესანიშნავი ემოცია დამიტოვა.

**— რას ეძებთ ცხოვრებაში? რა არის თქვენთვის ბედნიერება?**

— გამუდმებით სანთებელას ვეძებ.

**— ანუ აქედან გამომდინარე, ბედნიერება ისაა, როცა სანთებელას პოულობთ?**

— კი, კი, სწორედ ესაა (*იცინის*): როცა იპოვი, სიგარეტს მოუკიდებ და გემრიელად გააბოლებ.

**— თავისუფალ დროს ძირითადად, რას აკეთებთ?**

— თავისუფალ დროს თვითგანვითარებას ვუთმობ, პროფესიულ ზრდას, სპორტს, მოტოციკლეტით სეირნობას... მოწევას თავი ჯერ ვერ დავანებე, მომწონს (*იცინის*).

**— შესაძლებლობა რომ გქონდეთ, რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?**

— სიმართლე გითხრათ, არაფერს შევცვლიდი.

### უკრაინულ-რუსული ბავშვობა და სტუდენტობა

— 1985 წლის 2 ივლისს, უკრაინაში დავიბადე. 30 წლის ვარ. 11 წლის ვიყავი, საცხოვრებლად მოსკოვში რომ ჩავედი. უკრაინაში ნათესავები, ბებია-ბაბუები მყავს და მათთან დღესასწაულებზე ჩავდივარ. ტყუპი და და ძმა მყავს. დიდი ოჯახი გვაქვს: ზოგი მოსკოვში ვცხოვრობთ, ზოგიც — უკრაინაში. რაც შეეხება სოფელს: ბებიასთან ხშირად ჩავდიოდი და როგორც ზურიკელას ოლღა, მეც ისე დამდევდა უკან. ერთი ამოჩემებული ხე მქონდა, ალუბლის, რომელიც ახლაც ძალიან მიყვარს და ამ ხეზე ავძვრებოდი ხოლმე; თან ვჭამდი, თან ვფიქრობდი, სხვები კი მეძებდნენ. ბაბუა ჩემს სპორტულ აღზრდაზე ზრუნავდა, დედა — ქორეოგრაფიულზე. მოსკოვში გადასვლის შემდეგ, კარატეზე დავიწყე სიარული, მერე ბავშვებსაც ვასწავლიდი. თანამედროვე ცეკვებზე ერთი გოგონას გამო დავდიოდი (*იცინის*). ის ჩემს სკოლაშიც სწავლობდა და ამგვარად, მას უფრო ახლოს გავიცნობდი. მაშინ 14 წლის ვიყავი. ცეკვაზე რომ დავდიოდი, ამას მეგობრებს ვუმალავდი. შემდეგ, სხვა სტუდიაშიც გადავედი, სადაც ჩემი ტყუპი და დადიოდა. ეს თანამედროვე ცეკვები შემდგომში „გიტისში“ ჩაბარების დროსაც დამეხმარა. სკოლაში „ოროსანი“ და „სამოსანი“ ვიყავი, მაგრამ ინსტიტუტში უპრობლემოდ ჩავაბარე. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში დიდი ხნის ჩასული ვიყავი, უკრაინული აქცენტი მაინც მქონდა. „თეატრალურში“ მიმიღეს, მაგრამ მითხრეს, — თუ შენს ხმაზე, აქცენტსა და მეტყველების აპარატზე არ იმუშავებ, არაფერი



მარკი 8 წლისაა

გამოგივაო. მესამე კურსის ბოლოსკენ უკვე რაღაც შედეგი მქონდა... სხვათა შორის, ბავშვობისას მინდოდა, მილიციონერი გამოვსულიყავი, რადგან მას პისტოლეტი აქვს და ყველას იცავს (*იცინის*).

მე და ჩემი დედმამიშვილები, ხუთივე აქეთ-იქით ვართ გაფანტული, მაგრამ მშობლები ამას არ აპროტესტებენ. გვეუბნებიან: ბავშვებო, თქვენ ყველაფერი უნდა ნახოთ,



თანამედროვე ცეკვებზე ერთი გოგონას გამო დავდიოდი

სანამ ამისი შესაძლებლობა გაქვთ. ნუ იღლევბთ ჩვენზე, რადგან ამქვეყნად მხოლოდ ერთხელ ვცხოვრობთ. როგორც იცით, შვილი მეც მყავს — მარკი 8 წლისაა. ის ფეხბურთითაა დაკავებული და კარგი იუმორის გრძნობა აქვს.

**კერპი მსახიობი**

— ჩემთვის კიანუ რივზი ძალიან მაგარი მსახიობია; ასევე, ლეონარდო



კინოსგან მეტ „კაიფს“ ვიჭერ

დიკაპრიო. ის უნიჭიერესია, შესანიშნავად თამაშობს და ფილმებში წარმოუდგენელ რამეებს აკეთებს. თუ ადრე ეს მსახიობები უბრალოდ მომწონდა, ახლა უკვე სხვა თვალით ვაფასებ და მათი პროფესიონალიზმით აღფრთოვანებული ვარ. ფილმში „დიდი გეტსბი“ ძალიან მომწონს ის მომენტი, როცა გეტსბი დარცხვენილია დეიზისთან პირველი შეხვედრის გამო და წვიმაში სახლს წრეს დაარტყამს — ამ ეპიზოდს გასაოცრად თამაშობს! ასეთი დეტალები ქმნის დიდ როლებს. კიანუ რივზს საოცარი სიღრმე აქვს თვალებში.

**— ვისთან იმუშავებდით?**

— ტარანტინოსთან!.. იცით, კინოსგან მეტ „კაიფს“ ვიჭერ. თუმცა, თეატრიც ძალზე საინტერესოა. ყველა მსახიობი ცდილობს, ისეთ რეჟისორებთან იმუშაოს, რომლებთანაც ადრეც უმუშავია და იცის, რომ თუნდაც ცუდი სცენარიდან მართლაც კარგ, ხარისხიან ფილმს „გააკეთებენ“. პირადად მე, როცა რაიმე საქმეს ვიწყებ, მთლიანად მასში ვარ ჩართული, სხვაგვარად კარგი არ გამოვა.

# სოფო ნიჟარაძეს სცენაზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს

„ექიმებმა მსუბუქი ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს“

**6 ივნისს, „X ფაქტორის“ დასრულების შემდეგ, ფილარმონიის სცენაზე ინციდენტი მოხდა: უცნობი მამაკაცი სცენაზე ავიდა და მომღერალ სოფო ნიჟარაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მომხდარის შესახებ სოფოს გუნდის წევრი, ამ ამბის თვითმხილველი, გიგი ადამაშვილი გვიამბობს:**

თამუნა კვინიკაძე

— მოგეხსენებათ, პროექტი მალიბუს გავარდნით დამთავრდა. შოუს დასრულების შემდეგ, მონაწილეები, მენტორები — ყველანი სცენაზე ვიყავით და მალიბუს ვამხნევებდით. სოფო სცენიდან კულისებისკენ რომ გადიოდა, დარბაზიდან ვიღაც მამაკაცი ამოვარდა და მუშტი დაარტყა, ყურთან მოხვდა. გარშემო უამრავი ადამიანი იყო. დაცვამ დაიჭირა და თუ არ ვცდები, სცემეს.

**— სოფო როგორ იყო? როგორც ვიცი, საგრიმიოროში გასვლის შემდეგ მასთან ერთად შენ, ნიკა გვარამია და დედამისი იყავით.**

— ძალიან ანერვიულებული იყო. ბუნებრივია, თავს ცუდად გრძნობდა.

**— სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა მოვიდა, არა?**

— დიახ და რენტგენის გადასაღებად წაიყვანეს. მე საავადმყოფოში აღარ გავყოლივარ.

**— იმ ადამიანს სოფო იცნობდა?**

— არა.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას სოფოსთან დაპირისპირება სხვა დროსაც ჰქონდა.**

— მგონი, სხვა დროსაც მოდიოდა ფილარმონიაში და შეურაცხმყოფელ სიტყვებს იძახდა, მაგრამ არა გამიზნულად სოფოს მისამართით.



შეიძლება, ნიკასთანაც ჰქონოდა პრობლემა. უბრალოდ, იმ მომენტში სოფო დაინახა.

**— დაცვას როგორ გაექცა?**

— არ ვიცი. ეგ კითხვა ძალიან მაწუხებს. მისი ვინაობის დადგენა რთული არ არის, კამერამ გადაიღო და თან, ინციდენტის დროს სცენაზე მობილური ტელეფონი დაუვარდა. მან სოფოს ჯერ ფიზიკური, შემდეგ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

**— სოფოს დღეს ელაპარაკე? თავს როგორ გრძნობს?**




დაცვამ დაიჭირა და თუ არ ვცდები, სცემეს

— გუშინ გვიან დავურეკე და მითხრა, რომ ექიმებმა მსუბუქი ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს.

მაია კაჭკაჭიშვილი, *კომპოზიტორი:*

— ინციდენტს პირადად არ შევსწრებივარ, ამ დროს ფილარმონიის ბუფეტში ვიყავი. დათუნა და ლევანი შემოცვივდნენ და მითხრეს, რაც მოხდა. მსგავსი სითავხედე სად გაგონილა? ყველანი მოვითხოვთ, რომ ეს ადამიანი ქალზე ხელის აღმართვის გამო გასამართლდეს. გაოგნებულები და შოკირებულები ვართ.

დათუნა ლაზარიშვილი, *„X ფაქტორის" მონაწილე:*

— ამ დროს სცენაზე ვიყავი, სოფოს გვერდით ვიდექი. დარბაზიდან ვიღაც კაცი ამოვარდა და სოფოს ჩაარტყა. მერე მისი კივილის ხმა გავიგონე. შემეშინდა.

*ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ მოახერხა თავდამსხმელმა გაქცევა? ფილარმონიის საკონცერტო დარბაზს ერთ-ერთი დაცვის სამსახური იცავს.*

*ჩვენ ოპერატიული სამსახურის უფროსს, გიორგი გოგლიჩიძეს დავუკავშირდით. მომხდართან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ გვთხოვა, — ახლა საქესთან ვზივარ, ბათუმში მივდივარ და 2 საათში დამიკავშირდითო. 2 საათის შემდეგ რომ დავუკავშირდით, კომენტარზე უარი გვითხრა:*

— მე არ ვიცი, თქვენ ვინ ბრძანდებით.

**— 2 საათია, გელოდებით. პირველი სატელეფონო საუბრის დროს რატომ არ მითხარით, თუ კომენტარს ვერ გააკეთებდით? მრჩება შთაბეჭდილება, რომ კითხვებზე პასუხის გაცემას თავს არიდებთ.**

— რატომ ვარიდებ? ახლა ბათუმში ვარ, მოვიდეს აქ თქვენი წარმომადგენელი, წარმომიდგინოს საბუთი და დაველაპარაკები.

*გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელი ჭიათურელი მამუკა ყაველაშვილია. თავდასხმის მიზეზი უცნობია. მომხდარზე მოკვლევა მიმდინარეობს. შსს-ში განმარტავენ, რომ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით აღიძრა, რაც ცემას გულისხმობს. ისჯება ჯარიმით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომითი ვადით 120-იდან 180 საათამდე ან 2-თვიანი პატიმრობით.*

*არსებობს ვერსია, რომ თავდამსხმელს ფსიქიკური პრობლემა აქვს.* ■

# ქეთა თოფურია შვილთან ერთად



ქეთა თოფურიას ქალიშვილი მალე ერთი წლის გახდება. მომღერალი პატარა ოლივიას სახეს საზოგადოებას აქამდე არ უჩვენებდა. თუმცა, ცოტა ხნის წინ, მან შვილს გრანდიოზული ფოტოსესია მოუწყო, ეს ფოტოები კი გლამურულ ჟურნალში დაიბეჭდა.

ფოტოებზე ოლივია დედიკოს დიზაინით შექმნილ ტყავის ქურთუკშია გამოწყობილი. მოგეხსენებათ, რომ ქეთამ დიზაინერობა წამოიწყო და ქმნის კოლექციებს როგორც უფროსებისთვის, ისე პატარებისთვის. ■

# ლელა მებურიშვილი მეორე ბავშვს ელოდება



მსახიობი და ტელეწამყვანი ლელა მებურიშვილი ფეხმძიმედაა. მისი პირველი შვილი, ალექსანდრე ივლისში ორი წლის ხდება, სექტემბერში კი მათ ოჯახს კიდევ ერთი პატარა შეემატება.

ლელა მებურიშვილი:

„ვფიქრობდი, რომ ბავშვებს შორის განსხვავება 4 წელი მაინც უნდა ყოფილიყო. ამ დროისთვის უფროსი უკვე ბაღში ივლიდა და მეორის გაჩენისთვის ეს კარგი პერიოდი იქნებოდა. ზოგადად, ფეხმძიმობა ჩემს პროფესიაში პასიურ პერიოდთანაა დაკავშირებული, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე ჩემს საქმიანობაში ორსულობა არანაირად არ მიშლიდა ხელს, გადავწყვიტე, მეორე გამეჩინა.

ორსულობისას ყველაზე რთული ჩემთვის გადაღებები იყო, მაგრამ სერიალიდან წამოვედი. სამაგიეროდ, ტელევიზიაში აქტიურად ვარ დაკავებული, თეატრშიც სულ ახლახან მქონდა პრემიერა. ორსულობის 7 თვემდე მაინც ვითამაშებ სპექტაკლებში... ვაკეთებ იმ საქმეებს, რაც ფეხმძიმობასთან თავსებადია და პრობლემას არ წარმოადგენს. სექტემბერში უკვე ბავშვს გავაჩენ და ამასთან ერთად, მზად ვიქნები ახალი პროექტებისთვის..." ■

ცხოვრება

# კომპოზიტორი, რომელმაც საქართველოს პატრიარქს 20 სიმღერა მიუძღვნა

„სიმღერის წერამ ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანს შემახვედრა“

**„მოგეხსენებათ, საქართველოს პატრიარქი ჩვენი ყველაზე დიდი იმედია. უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მაქვს მის მიმართ და ამიტომაც, ბოლო ორი წლის განმავლობაში 20 სიმღერა მივუძღვენი, ალბომიც გამოვეცი“, — კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე-ლაშქარაშვილი თავის საინტერესო ცხოვრების გზაზე გვიამბობს.**

მანანა გაბრიჭიძე

— ჩემი ბავშვობა მზიან დღეებს მაგონებს. ოთხი წლის ასაკიდან ვუკრავდი და ვმღეროდი... ერთნაირად გატაცებული ვიყავი როგორც კლასიკური, ასევე საესტრადო მუსიკით. კარგი პედაგოგის ხელში აღმოვჩნდი — ბატონ ნიკოლოზ ბახტაძის კლასში და გადავწყვიტე, მუსიკოსის პროფესიას გავყოლოდი. თუმცა, მშობლების დაჟინებული თხოვნა იყო, რომ ექიმი გავმხდარიყავი. კონცერტებს არ ვტოვებდი, ყველა შემოთავაზებულ ღონისძიებაში ვმონაწილეობდი და გორში ძალიან საინტერესო ხალხს დავუახლოვდი... იქ სტუმრად ჩამოდიოდნენ: სულხან ცინცაძე, პეტრე გრუზინსკი, თენგიზ მუშკუდიანი და სხვა მრავალი მუსიკოსი... სულხან ცინცაძეს ძალიან მოსწონდა ჩემ მიერ შესრულებული მისი სიმღერები. ფილმები: „აბეზარა“ და „ჭრიჭინა“ ახალი გამოსული იყო, როცა ამ ფილმებიდან სიმღერებს სმენით ვუკრავდი, რაც ძალიან სიამოვნებდა. მე მის ავტოგრაფს დღემდე ვინახავ... ბატონი თენგიზ მუშკუდიანი ხშირად სტუმრობდა



ჩემი ბავშვობა მზიან დღეებს მაგონებს



მომავალ წელს 70 წელი შემისრულდება

გორს და ბედნიერება მქონდა, მისთვის დამეკრა „ღვინო კახური“. ჩემთვის დაუვიწყარია გორის თეატრში, ბატონ რევაზ ლაღიძესთან შეხვედრა. მახსოვს, საღამო რომ მოუწყვეს, თავად სცენაზე იჯდა. როცა გამოაცხადეს, რომ შესრულდებოდა „ლელას არია“, გაუკვირდა, — ამას ვინ შეძლებსო? ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა ვოკალისტმა, დიანა როსტომაშვილმა ჩემი კონცერტმაისტერობით შესანიშნავად შეასრულა არია და ბატონი რევაზ ლაღიძის მადლობაც დავიმსახურეთ. ასევე, დაუვიწყარი იყო შეხვედრა: გიორგი ცაბაძესთან, ბათუ კრავეიშვილთან, პეტრე გრუზინსკისთან, ნანი ბრეგვაძესთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან... სამწუხაროდ, გიორგი ცაბაძესთან შეხვედრა დიდი ტრაგედიით დამთავრდა: იგი გორის სცენაზე გარდაიცვალა, მისივე სიმღერის შესრულების შემდეგ...

**— სიმღერების წერა როდის დაიწყეთ?**

— სიმღერის წერამ ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანს შემახვედრა. განსაკუთრებული იყო მედეა ძიძიგური... პირველად რომ დავწერე სიმღერა, მერიდებოდა და ვერ ვბედავდი, ვინმესთვის მეთხოვა, მოისმინეთ-მეთქი. ბოლოს გადავწყვიტე, რუსუდან სეფისკვერაძეს მოესმინა. მან მითხრა, — ამ სიმღერაში მედიკოს ხმას ვხედავო. მერე თავის მანქანაში ჩამსვა და მედიკოს სახლში წამიყვანა... ძიძიგურს სიმღერა იმდენად მოეწონა, რომ დაუყოვნებლივ ჩაწერა ფონოგრამა და თუ ვინმე ნაცნობი ჰყავდა, ყველას ასმენინებდა. შემდეგ მეორე სიმღერაც დამაწერინა — „სიყვარულზე ღიღინი“... მედეა ძიძიგურის გარდა, ჩემი სიმღერა შეასრულა ტრიო „ჰანგმა“, თემურ წიკლაურმა... 2000 წელს ნუნუ გაბუნიამ შემოქმედებითი საღამო მომიწყო. ამ საღამოს

# „ბრავო, ტენორო!“ რატომ გააწითლა პლაჩიდო დომინგომ ოთარ ჯორჯიკია

„ლეგენდის გვერდით ვიდექი“

ბოლო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის სოლისტს, ოთარ ჯორჯიკიას განსაკუთრებულად დატვირთული სამუშაო რეჟიმი აქვს. 27 მაისს, პეტერბურგში, მარიას თეატრში ჯუზეპე ვერდის „სიმონ ბოკანეგრაში“ იმღერა. მსოფლიოში წამყვან სოლისტებთან ერთად, ოთარს პარტნიორობა გაუწიეს თანამედროვე ცნობილმა შემსრულებლებმა, რომელთა შორის ერთ-ერთი პლაჩიდო დომინგო გახლდათ. ის აუდიტორიის წინაშე ბოკანეგრას როლში წარდგა, ხოლო ოთარ ჯორჯიკიამ გაბრიელე ადორნოს როლი შეასრულა. მალევე, თბილისის ოპერაში პრემიერის სამზადისზე გადაერთო — მუსიკალურ-ქორეოგრაფიული დრამა „სამოსელი პირველი“ გურამ დოჩანაშვილის რომანის მიხედვით დაიდგა.

ანა კალანდაძე

**— ოთარ, პირველ რიგში, პრემიერის შემდგომი შთაბეჭდილებები გაგვიზიარე...**

— „სამოსელ პირველში“ დიდი შრომაა ჩადებული და თითოეული მონაწილე ვეცადეთ, ეს ძალისხმევა მაყურებლამდე მაქსიმალურად მიგვეტანა. გარდა სიმღერისა, სპექტაკლში მაქვს რამდენიმე ეპიზოდი, სადაც დრამატულ მსახიობებთან ერთად ვთამაშობ. ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის, როცა ასეთი პროფესიონალების გვერდით მიწევს ჩემი არტისტიზმის გამოვლენა და ასე ვთქვათ, მათთვის მხარის აბმა. ვფიქრობ, სპექტაკლი შედგა. მაყურებელი, ვისაც ვესაუბრე, კმაყოფილი დარჩა, პირველ რიგში იმით, რომ გურამ დოჩანაშვილის გენიალური ნაწარმოები სცენაზე განხორციელდა.

**— გურამ დოჩანაშვილის ბევრ ნაწარმოებს იცნობს საზოგადოება, მაგრამ ალბათ, „სამოსელი პირველი“ ის რომანია, რომელთანაც პირველ რიგში ასოცირდება ეს მწერალი. ალბათ ხელახლა მოგიხდათ გადაკითხვა...**

— რა თქმა უნდა. როცა რაღაც წლების წინ გაქვს წაკითხული, დეტალები არ გახსოვს და აუცილებელია არა მხოლოდ ხელახლა წაკითხვა, არამედ წვრილმანების უფრო მეტად გააზრება და მაქსიმალური ყურადღება. ალბათ, სპექტაკლის ყველა მონაწილე თავიდან ჩაეძიე-



კადრი სპექტაკლიდან „სიმონ ბოკანეგრა“

შემდეგ, ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით, ღირსების ორდენით დამაჯილდოეს. დღემდე აქტიურად ვმონაწილეობ გორისა და თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. ვმეგობრობ იტალიელ ტენორთან, პაოლ ოლევანტილოსთან და მასთან ერთად ვმონაწილეობ საქველმოქმედო კონცერტში. ჩემს სიმღერებს უამრავი ცნობილი მომღერალი ასრულებს, როგორც საოპერო, ისე საესტრადო სფეროდან.

**— როგორც ვიცი, ქართველ კომპოზიტორებს შორის, ყველაზე მეტი სიმღერა საქართველოს პატრიარქს თქვენ მიუძღვენით...**

— უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მაქვს მის მიმართ. ამიტომაც, ბოლო ორი წლის განმავლობაში 20 სიმღერა მივუძღვენი და ალბომიც გამოვეცი. შარშან პატრიარქმა მიგვიღო, ჩემი სიმღერები შევუსრულეთ მე და ქართველმა საოპერო მომღერალმა მზია დავითაშვილმა... ჩემმა მოწაფემ, ზურიკო ხომასურიძემ პატრიარქზე დაწერილი სიმღერა მარმარისის კონკურსზე შეასრულა და გაიმარჯვა კიდეც. ამ ბავშვზე დიდი ამაგი მაქვს, მე ავამღერე! 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, მას მამა მოუკლეს. სოციალურად დაუცველია და მეჯვრისხევში ცხოვრობს. მე „ქალთა საბჭოს“ წევრი ვარ და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, ბავშვს პიანინო ვუყიდეთ, მეჯვრისხევში ავუტანეთ. ჰოდა, შარშან პატარა ზურიკო მარმარისის კონკურსიდან დიდი წარმატებებით დაბრუნდა, მის სიგელს ათი ქვეყნის წარმომადგენელი მუსიკოსი აწერს ხელს! მეც, როგორც პედაგოგი, საერთაშორისო სერტიფიკატით დამაჯილდოეს.

**— თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ რამე...**

— მყავს ერთი ქალიშვილი — პიანისტი ნინო ლაშქარაშვილი და სამი შვილიშვილი: გიორგი კირკიტაძე უნივერსიტეტის სტუდენტია, თორნიკე „დინამოს“ ფეხბურთელი და საქართველოს ნაკრების წევრი, ირინა კი მეშვიდე კლასის მოსწავლეა. მეუღლე, პროფესორი გიორგი ლაშქარაშვილი, რომელიც გორის უნივერსიტეტში მუშაობდა, 2000 წელს გარდაიცვალა... დაბოლოს, ვისარგებლებ შემთხვევით და გეტყვით, რომ მომავალ წელს 70 წელი შემისრულდება და საიუბილეო საღამოსთვის აქტიურად ვემზადები. ■

ბოდა რომანს, მისი „სამზარეულოს“ უკეთ გასაცნობად. ყოველ შემთხვევაში, მე ყოველთვის ასე ვიქცევი.



მეგონა, რომ დომინგოსთან ერთად სიმღერა ძალიან შორეული ოცნება იყო

**— პრემიერის შემდეგ, ბატონ გურამთან გასაუბრების საშუალება თუ მოგეცათ?**

— სპექტაკლის ბოლოს აპლოდისმენტები მიიღო ბატონმა გურამმა. ფარდა რომ დაეშვა, ძალიან ბედნიერი და გახარებული ჩანდა. მონაწილეებს რამდენიმე სიტყვით მოგვეფერა, შეგვაქო და სითბო გვიწილადა. ეს დიდი სტიმულია ჩვენთვის. ლაშა ონიანი და ზაზა მარჯანიშვილი მასთან კონსულტაციებს გადიოდნენ, მაგრამ რეპეტიციებზე დასწრება მისთვის რთული იქნებოდა.

**— „სიმონ ბოკანეგრას“ ამბავსა და დომინგოსთან შეხვედრაზე ვისაუბროთ. როდის გაიგეთ, რომ მასთან ერთად მოგიწევდათ სცენაზე დგომა?**

— „სიმონ ბოკანეგრას“ პირველი პრემიერა 22 მარტს ვიმღერე, მარიას თეატრში. მაშინ საკმაოდ მცირე დროში მომიხდა როლის მომზადება და სიმღერა. ამჯერად, სპექტაკლი ფესტივალ „თეთრი ღამეების“ ფარგლებში, 27 მაისს წარმოადგინეს. დომინგოს გარდა, იქ მღეროდა მსოფლიოში ცნობილი სოპრანო ტატიანა სერჟანი და შესანიშნავი ბანი მიხაილ პეტრენკო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ ოპერაში დომინგოსთან ერთად მომიწევდა სიმღერა. რეპეტიცია ერთ დღეში გავიარეთ. როგორც ტენორისთვის, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მის სიმღერებზე ვართ გაზრდილები არა მხოლოდ მე, არამედ ოპერის ბევრი შემსრულებელი და მოყვარული. ასაკიდან და მისი



საერთოდ, არ მქონია ის მომენტი, რომ ლეგენდის გვერდით ვიდექი

ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ახლა ის ბარიტონზე გადაერთო, ტენორის რეპერტუარს მცირე დოზით „ულალატა“, მაგრამ ხმა შესანიშნავ ფორმაში აქვს. ფანტასტიკური პიროვნებაა. საერთოდ, არ მქონია ის მომენტი, რომ ლეგენდის გვერდით ვიდექი და რასაკვირველია, ეს პირველ რიგში თავად პლაჩიდო დომინგოს დამსახურებაა. ის, როგორც დიდი ხნის მეგობარს, ისე გექცევა და ყოველგვარი დაძაბულობაც გეხსნება.

**— დიდი ხანია, ეს ადამიანი სცენაზე დგას. ჯერ კიდევ ჩვენს ბავშვობაში მაგნიტოფონის კასეტებზე ვისმენდით პავაროტის, დომინგოსა და კარერასის კონცერტებს. ალბათ მაშინ ვერც წარმოიდგენდით, რომ წლების შემდეგ ერთ სცენაზე იდგებოდით?**

— ძნელია, ამაზე იფიქრო. ყოველთვის შორს გგონია ასეთი მომავალი, მაგრამ არავინ იცის, ვის რა ელის ხვალ. მართლაც მეგონა, რომ დომინგოსთან ერთად სიმღერა ძალიან შორეული ოცნება იყო. სტუდენტი რომ ვიყავი, მაშინ ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ჩვენ ოქრო და მარგალიტ ოპერის მომღერლებთან ერთად დავდგებოდი სცენაზე, მაგრამ საბედნიეროდ, დადგა ის მომენტი, რომ ჯერ მათთან ერთად ვიმღერე, ახლა კი დომინგოსთან ერთადაც. ვნახოთ, ხვალ რა იქნება (*იღიმის*).

**— ახალგაზრდებს რჩევა-დარიგება მოგცათ თუ მსგავსი რამ არ ყოფილა?**

— მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს შორის ასაკით ყველაზე უმცროსი ვიყავი, მაესტრო დომინგოსგან შექების გარდა, არაფერი გამიგონია. არც ერთხელ არ უთქვამს: აი, ოთარ, ასე კი არა, ასე უნდა იმღეროო. პირიქით, როცა მომისმინა, მოვიდა და შემაქო. ასევე დიდი სტიმული მომცა მისმა მეუღლემაც. როცა ასეთი მომღერალი ამგვარ შეფასებას გაძლევს, უფრო მეტად „იქოქები“ (*იღიმის*). დამშვიდობებისას კიდევ შევხვდი მაესტრო პლაჩიდო დომინგოს — „ტრავიატას“ დირიჟორობდა და რეპეტიციის შემდეგ შევხვდი. ემოციურად და ფიზიკურად დაღლილი იყო. როგორც კი დამინახა, გამიღიმა და არა ჩემი, არამედ პერსონაჟის სახელით მომმართა: „ბრავო, გაბრიელე, კიდევ ერთხელ გილოცავ, გუშინ შესანიშნავი გამოსვლა გქონდა! იცი, ვის მაგონებ? შენ მაგონებ კარლო ბერგონცის ხმას, მაგრამ შენი უფრო ლამაზია! ბრავო, ტენორო!“ ბერგონცი ერთ-ერთი ლეგენდა და იტალიაში აღიარებული ტენორია. ჰოდა, დომინგოს ასეთ შეფასებებზე გავწითლდი და დავიმორცხვე. თუმცა, ამავდროულად, ძალიან ბედნიერი და გახარებული ვიყავი, ეს ჩემთვის უდიდესი სტიმულია (*იღიმის*). ■

> მაყურებელი კმაყოფილი დარჩა, პირველ რიგში იმით, რომ გურამ დოჩანაშვილის გენიალური ნაწარმოები სცენაზე განხორციელდა



# წაროღვნით დამეგობრებულები და ოჯახი, რომელშიც მაშველები ანთებული კელაპტრების სინათლემ მიიყვანა

**13 ივნისი უკვე ისტორიის ნაწილია. დიდი ტკივილით, მსხვერპლით, თანადგომისა და სოლიდარობის საოცარი მაგალითებით. ერის მეხსიერებას შემორჩა სტიქიასთან ნაომარ ქალაქში, ქუჩებში მოსიარულე ნიჩბიანი, ტალახით დასვრილი, ერთ მუშტად შეკრული, ერთი ტკივილით გაერთიანებული ახალგაზრდები, ქვეყნის ხვალინდელი დღის მშენებლობის სიმბოლოდ რომ იქცნენ. 13 ივნისის საღამოს ის ადამიანები იხსენებენ, რომლებსაც ეს ტრაგედია უშუალოდ შეეხოთ.**

თამუნა კვინიკაძე

**წაროღვნით დამეგობრებულები**

*გიგი კეშელავამ სიკვდილს 7 თვის ორსული გოგონა გადაარჩინა. მაშინ იმაზე არ ფიქრობდა, რომ საფრთხეში საკუთარი სიცოცხლე ჩაიგდო. როგორც დღეს იხსენებენ, სიცოცხლემ სიკვდილს რამდენიმე წამით გაუსწრო. რამდენიმე თვის შემდეგ დემეტრე დაიბადა. ბიჭი, რომელიც მალე მისი გადამრჩენის ნათლული გახდა.*

— იმ საღამოს ორ მეგობართან ერთად ვიყავი. ვაკეში მინდოდა მეგობართან ასვლა. თამარაშვილის ქუჩა გადაკეტილი დამხვდა და ვიფიქრე, ახალი გზით ავალ-მეთქი. გვირაბიდან რომ გავედი, გზაზე წვიმის გუბეები იდგა. მე პოლიციის მხარეს ვიყავი. მოპირდაპირე ზოლში იმდენად დიდი წყალი იყო, რომ 20 მანქანა მაინც გახლდათ გაჩერებული, ვერ მოძრაობდნენ. უკან პატრული მომყვებოდა. მანქანა გავაჩერე, პატრულიც გაჩერდა. ის თავის ტერიტორიაზე მოძრაობდა, გამოძახებით არ მოსულა. ხალხის მანქანებიდან გადმოყვანა დაიწყეს. წყალი უკვე მანქანის სალონამდე აღწევდა, დაახლოებით 5 წუთში კი წყლის დონემ იმდენად აიწია, ბორდიურიდან მარჯვენა ხაზში იწყო გადმოსვლა. მივხვდი, იქ რომ გავჩერებულიყავი, ჩემი მანქანა აუცილებლად დაიტბორებოდა. მე და ჩემი მეგობრები ჩავსხედით. „სტარტერი“ გაფუჭებული მქონდა. ვიწვალე და როგორც იქნა, მანქანა დავქოქე. აღმართზე, პოლიციის შენობასთან ავედი. ვფიქრობდი, იმ სიმაღლეზე წყალი ვერ ამოვიდოდა. შორიდან შემზარავი ხმა ისმოდა, ყველაფერი გრგვინავდა. ვიფიქრე, წლის მილები თუ გასკდა-მეთქი და იმასაც ვგრძნობდი, რომ ეს ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა. ის იყო, აღმართზე უნდა ავსულიყავი, რომ შევნიშნე, ბორდიურზე ბიჭთან ერთად ორსული გოგო იდგა.

მარი მოსიძე:

— მე და ჩემი მეუღლე 13 ივნისის ღამეს სტიქიის ეპიცენტრში აღმოვჩნდით. ძალიან მოკლე დროში, ისეთი საცობი წარმოიქმნა, გადაადგილება შეუძლებელი იყო. მალე წყლის დონემ აიწია, უკვე მანქანის სალონი დასველდა. გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა, გადმოვედით და ბორდიურზე დავდექით. მაშინ 7 თვის ორსული ვიყავი. ვხედავდით, წყლის დონე სწრაფად იმატებდა. ვიდექით, მაგრამ რას ველოდებოდით, არ ვიცოდით. ამ დროს მანქანა მოგვიახლოვდა.

გიგი:

— დავუძახე, — სწრაფად ჩასხედით-მეთქი. ეს ამბავი პოლიციიდან დაახლოებით 30 მეტრის მოშორებით ხდებოდა. მათ ხომ არ მივატოვებდი? მე ჯიპით ვიყავი და ამან მიშველა, დაბალი გამავლობის მანქანით ვერ ავიდოდი. ძალიან გავრისკე, ჯერ ზემოთ ავედი, მერე ისევ უკან დავბრუნდი. ბორდიურიდან ეგრევე სალონში შემოძვრნენ. უკან რომ მივბრუნდი, იმ აღმართზე ასვლა უკვე ძალიან გამიჭირდა. წყლის დიდი ტალღა გვიახლოვდებოდა, მანქანის ქვეშ ხეებიც კი გამომედო. გადარჩენის ინსტინქტით ვმოქმედებდი. აღმართზე ავედი თუ არა, უკანა ნაწილს პირველმა დიდმა ტალღამ დაარტყა.

მარი:

— 20-30 წამით რომ დაგვეგვიანა, ჩვენც ის ტალღა გაგვიტაცებდა. გიგიმ 3 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ჩვენი მანქანა წყალმა წაიღო და მოგვიანებით გმირთა მოედანზე ვიპოვეთ.

უსაფრთხო ადგილზე რომ ავედით, გიგი და მისი მეგობრები ხალხის მისაშველებლად გაიქცნენ. ჩემს მეუღლესაც უნდოდა წასვლა, მაგრამ



მე და ჩემი მეუღლე 13 ივნისის ღამეს სტიქიის ეპიცენტრში აღმოვჩნდით

იმდენად შეშინებული ვიყავი, მარტო ველარ დამტოვა. მალე ხალხი აყვირდა, მანქანებში არავინ გაჩერდეთო. გადმოვედით. უცხოელები შეგვხვდნენ, თავიანთ მანქანაში ჩაგვსვეს და სახლამდე მიგვიყვანეს.



სოხუმში რაც მქონდა, ყველაფერი ცეცხლმა დამიწვა და თბილისში წყალმა წამართვა

გიგი:

— უკან მობრუნებულმა დავინახე, როგორ წაიღო წყალმა პატრულის მანქანა. ერთი პოლიციელი გადმოსული იყო, მეორე კი ნიაღვარმა მანქანასთან ერთად გაიტაცა. საოცარი სურათი იყო. თავდაპირველად ვხედავდით, როგორ ამოყო თავი მანქანიდან, ამოძრომას ცდილობდა, მერე საერთოდ გაქრა, აღარც კაცი ჩანდა და აღარც — მანქანა.

იმ დღეს ნანახი და განცდილი არც



მაშველი სანდრო არეშიძე

კი ვიცი, როგორ აღვწერო. მსგავსი რამ ფილმებშიც არ მინახავს. ჩვენ თვალწინ ნიაღვარს მოჰქონდა სახლები, ანთებულფარნიანი მანქანები, ხეები, საყოფაცხოვრებო ნივთები. მთელი ახალი გზა იყო მდინარის ვეებერთელა კალაპოტი, ძალიან ჩქარი დინებით.

ეს ხდებოდა პირველ წუთებში, როცა იქ არც „სასწრაფო დახმარება“ და არც სამაშველო სამსახურები არ იყვნენ. მხოლოდ 30-მდე კაცი ვიქნებოდით. იმ სწრაფ დინებაში ჩასვლას აზრი არ ჰქონდა, მსხვერპლს მსხვერპლი მიემატებოდა. მხოლოდ ის მოვახერხეთ, რომ ერთი მანქანა, რომელიც წყალს მოჰქონდა, ნაპირისკენ გამოვატრიეთ. ვხედავდით ადამიანებს, რომლებიც ბოძებს ეჭიდებოდნენ. ეს ბოძები ჩვენ თვალწინ ილეწებოდა, საშინელი სურათი იყო. წყალს ძალიან დიდი ხეები მოჰქონდა. მახსოვს ერთი კაცი ბოძზე იყო შემოხვეული, მას ვუყურებდით, მაგრამ ვერ ვშველოდით, მხოლოდ

## რა დროს შიშზე იყო ლაპარაკი, როცა ვხედავდი, ქალები, მოხუცები ჩვენ თვალწინ სიცოცხლისთვის როგორ იბრძოდნენ

ტელეფონის ფარნებს ვუნთებდით და ფსიქოლოგიურად ვამხნევებდით. ის კაცი იღბლიანი აღმოჩნდა. წყალმა თითქმის ყველა ბოძი გადაამტვრია, ერთ-ერთზე კი ხე გაიჭედა, დინების მთლიან დარტყმას ეს ხე იღებდა და მომდევნო ბოძი, რომელზეც კაცი იყო შემოხვეული, წაქცევას გადაურჩა.

მაშველები რომ მოვიდნენ, ამ კაცის გადმოსაყვანად სახანძრო სამსახურის მანქანების კიბეებით „ხიდები“ გააკეთეს, მაგრამ მაინც ვერ მისწვდნენ, ახლოს ვერ მიდიოდნენ. ის კაცი გაძლებაზე იყო, წუთი წუთზე წყალი იმ ბოძსაც გადატეხდა, მაგრამ საბედნიეროდ, გადარჩა.

მალე ცხოველებიც გამოცვივდნენ, ქუჩაში დარბოდნენ. ძაბვის ხაზები დაბლა ეყარა. ჩემ გვერდით ქალი აკივლდა, მისი ახლობელი წყალმა წაიღო. მერე სინათლე გაითიშა, გარშემო ყველაფერი ჩაბნელდა. ისეთი პანიკა იყო, იმ წუთებში აზროვნებაც გამიჭირდა. 2-3 დღე რომ გავიდა, მომხდარი მერე უფრო გავაანალიზე.

ჩემს მანქანასთან რომ მივედი, ის ორსული გოგო და მისი მეუღლე აღარ დამხვდნენ. სახლში გამთენიისას, 7 საათზე დავბრუნდი.

მარი:

— ძალიან გვაინტერესებდა და გვინდოდა გვცოდნოდა, ვინ იყვნენ ჩვენი და ჯერ დაუბადებელი ბავშვის გადამრჩენელები. მხოლოდ მანქანის ფერი და მარკა ვიცოდით. ტელევიზიაში დავრეკეთ და ვითხოვეთ, მათ მოძებნაში დაგვეხმარებოდნენ. გიგი არც სახეზე მახსოვდა, არც სახელი და გვარი ვიცოდი.

გიგი:

— ამ გადაცემას ჩემი მეგობარი უყურებდა. მან მისცა ჩემი ნომერი და ასე დამიკავშირდნენ. ერთმანეთს შევხვდით, ოჯახის წევრები გავიცანით, დავმეგობრდით. მითხრეს, — ბავშვი რომ დაიბადება, ნათლია შენ უნდა იყოო. რამდენიმე თვეში დაიბადა პატარა დემეტრე, რომელიც მე და ჩემმა მეგობარმა მოვნათლეთ.

მოგვიანებით გავიგე, რომ ის პატრულის თანამშრომელიც გადარჩა. არადა, ისეთმა დიდმა ნიაღვარმა წაიღო, ყველას გვეგონა, დაიღუპებოდა. მისი მეწყვილე ძალიან ნერვიულობდა, შოკში იყო, მიშველებას ცდილობდა და არ გავუშვით, დავიჭირეთ, — აბა, ამას რა აზრი ჰქონდა? წყალი მასაც წაიღებდა.

მარი:

— არ არსებობს ახალ გზაზე გავიარო და ეს ამბავი არ გამახსენდეს. როცა წვიმს, ცუდი ამინდია, შიში მიპყრობს. მიხარია, რომ ჩემი შვილის ნათლიები გიგი და ნიკა არიან. ჩვენ წარღვნამ დაგვამეგობრა.

*20 წლის* **გიორგი ხარებაშვილი** *სვანიძის ქუჩაზე, თანამოქალაქეების დასახმარებლად ნახალოვკიდან მაშველებზე ადრე მივიდა და არაერთი ადამიანის გადარჩენა მოახერხა. დღესაც არ იცის, ვინ იყვნენ ის ადამიანები ან ამას რა მნიშვნელობა აქვს?*

— ძალიან შემზარავი კადრები ვნახე. თავშესაფრის მხრიდან მივედი, ცხოველების გადარჩენა მინდოდა, მაგრამ ისეთი სურათი დამხვდა, დღემდე თვალებიდან არ ამოდის. ადამიანები ყვიროდნენ, დახმარებას ითხოვდნენ, ძაღლების თავშესაფრიდან ცხოველების განწირული ხმა

ისმოდა... წყალი მკერდს მიფარავდა. რა დროს შიშზე იყო ლაპარაკი, როცა ვხედავდი, ქალები, მოხუცები ჩვენ თვალწინ სიცოცხლისთვის როგორ იბრძოდნენ და როგორი უმწეოები იყვნენ. შევცურე, მაგრამ ხალხის გამოყვანა ძალიან რთული იყო. მოხალისეები ვცდილობდით, ადამიანები ხელიდან წყალს არ გამოეტაცა, დამოუკიდებლად მდინარის დინებას ვერ გაუმკლავდებოდნენ. მერე ისე დავდექით, დაზარალებულებს ერთმანეთს ხელიდან ხელში ვაწვდიდით. იმ ღამეს და შემდეგ დღეებშიც, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე.

დღე არ გავა, იქ ნანახი არ გამახსენდეს და როცა ახლოს გავივლი, სვანიძის ქუჩის მხარეს ვიხედები. ერთხელ ჩავედი, მინდოდა მენახა, რა ხდებოდა. სტიქიის ნაკვალევის ნახვაც არანაკლებ შემზარავი აღმოჩნდა. განსაკუთრებით მძაფრად რამდენიმე კადრი მახსოვს.

*წყნეთის ქუჩა 60 ერთ დროს ქარდავების ოჯახის მისამართი იყო. ეს ოჯახი განსაცდელში უკვე მეორედ აღმოჩნდა. წლების წინ, როცა აფხაზეთიდან დევნილებად იქცნენ, ბინა ამ ქუჩაზე დაიდეს, სახლიააშენეს, ხილი და ვაზი გააშენეს...*

გულნაზი ქარდავა:

— 13 ივნისამდე 1 კვირით ადრე, მდინარე ვერე ადიდდა. ჩვენი რამდენიმე მეზობელი გაიყვანეს და ბინა დაუქირავეს, რადგან მათი საცხოვრებლები დაიტბორა. მაშინ ჩვენს სახლში წყალი არ შემოსულა და მთელი სამეზობლო შევიფარეთ. 13 ივნისს საღამოს ძლიერი წვიმა რომ დაიწყო, ჩემმა რძალმა თქვა, — ბავშვი ხომ არ გავიყვანოო? მაგრამ სანდროს ეძინა და გარეთ გაყვანაც გაჭირდა. უეცრად წყალი ისე მოვარდა, ვეღარსად წავიდოდით. უკვე წყალი კი არა, ლაფი მოდიოდა, ხეები მოჰქონდა. სახლს ხე დაეჯახა, ფანჯარა ჩატეხა და პირველ სართულზე წყალი ერთიანად შემოვარდა. ყველანი მეორე სართულზე ავედით. ყოველ წუთას სამაშველო სამსახურში ვრეკავდით, განსაკუთრებით იმის გამო ვნერვიულობდით, რომ სახლში პატარა გვყავდა. მოგვიანებით ვიპოვეთ საათი, რომელიც 2-ის წუთებზე იყო გაჩერებული; იმ დროს გაჩერდა, როცა წყალში ჩავარდა.

მეორე სართულზე ავედით, მაგრამ ვხედავდით, კიბეზე როგორ იწევდა წყლის დონე. საშინელი ხმა იყო. წინ ყველაფერი ოკეანესავით ჩანდა და წყლის გარდა ვერსად ვერაფერს ვხედავდით.

ჩემი ძმა გვამხნევებდა, — ეს სახლი იმდენად მყარად არის ნაშენები, ისეთი ძლიერი საძირკველი აქვს, ნუ გეშინიათ, არ დაინგრევაო. ჩვენ კი ვხედავდით, როგორ მიჰქონდა ნიაღვარს ჩვენი მეზობლების სახლები.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთულ მდგომარეობაში ვიყავით, იმედი წუთითაც არ დამიკარგავს, სასოწარკვეთა არ მქონია. მალე წყალმა მკერდამდე მოაღწია. ბავშვი სხვენში ავიყვანეთ. სინათლე გაითიშა. გულში ვლოცულობდი, 2 კელაპტარი ვიპოვე, ავანთე და ერთი წუთით არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ ვერ გადავრჩებოდით. ამ დროს მაშველების 5-კაციანი ჯგუფიც მოვიდა, რომლის ხელმძღვანელი ირაკლი მაისურაძე იყო. ის ფანჯარასთან მოცურდა. თურმე, ლაფი თვალში ჩასხმია და ვეღარ ხედავდა. თქვა, — საკუთარ თავს შემოვუძახე და მაინც მოვედიო. კელაპტრები რომ მეჭირა, ირაკლი ჩვენამდე ამ შუქმა მოიყვანა. ისეთი ძლიერი ბიჭები იყვნენ, მათი წყალობით გადავრჩით. ირაკლიმ გაგვამხნევა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გაგიყვანოთ, არ შეშინდეთო. თავდაპირველად ნავებს ელოდებოდა, მაგრამ რომ დაინახა, წყალი კატასტროფული სიჩქარით იმატებდა, სახლს კარი ჩამოგლიჯა და წაიღო, სხვა მაშველებს დაუძახა, — თოკები გამოჭიმეთო. სახლში მარმარილოს სვეტი იყო, ცალ მხარეს თოკი იმ სვეტს მოაბა, მერე მაშველს დაუძახა: სანდრო მოდი, პატარა სანდრო გაიყვანეო. მაშინ გავიფიქრე, — სანდრომ სანდრო გადაარჩინა-მეთქი. ეს სიტყვები გონებაში ჩამებეჭდა.

სამშვიდობოს პირველი ბავშვი გაიყვანეს, მერე — ოჯახის დანარჩენი წევრები. ორგანიზებულად, ძალიან სწრაფად მოქმედებდნენ. სახლში ძაღლი გვყავდა და ისიც კი გამოიყვანეს, არ დატოვეს. ძაღლი ძალიან შეშინებული იყო.

**— როგორც ვიცი, შემდეგ თქვენი გადამრჩენელი მაშველები მოძებნეთ და გაიცანით.**

— დიახ. იმ დღეებში ისეთ შოკში ვიყავით, არაფერი მახსოვდა. არც მაშველის სახელი და სახე. რამდენიმე დღის შემდეგ აღვიდგინე კადრები და გამახსენდა, ირაკლი როგორ მოვიდა, როგორ გაგვეცნო, გაგვამხნევა. როგორ დაუძახა სანდროს და კიდევ უამრავი დეტალი.

**— შემდეგ სად დაგაბინავეს?**



დაზარალებულებს ერთმანეთს ხელიდან ხელში ვაწვდიდით



გიგი კეშელავამ სიკვდილს 7 თვის ორსული გოგონა გადაარჩინა

— სასტუმროში გადაგვიყვანეს. ვამბობდი, — ჯოჯოხეთიდან სამოთხეში მოვხვდით-მეთქი.

**— ახლა სად ცხოვრობთ?**

— ჩვენი სახლი, მიუხედავად იმისა, რომ მყარად იყო ნაშენები, გარემონტებული და კეთილმოწყობილი, სპეციალისტებმა რომ შეამოწმეს, ცხოვრების უფლება არ მოგვცეს. მერიისგან კომპენსაცია მივიღეთ და ბინა შევიძინეთ. ეზოში ბევრი ხილი გვქონდა. კიდევ კარგი, მამა ამ განსაცდელს არ მოესწრო. ნოემბერში გარდაიცვალა. ის ალბათ, მეორე დევნილობას ისედაც ვეღარ გადაიტანდა. ლექსებს წერ. ჩემი ნაწერები წყალმა გამინადგურა და გული დამწყდა, მაგრამ რადგან გადავრჩით, ეს სალაპარაკო აღარ არის. როგორი ბედი მაქვს, სოხუმში რაც მქონდა, ყველაფერი ცეცხლმა დამიწვა და თბილისში წყალმა წამართვა.



# „მამას ვეძებ“

## კაცი, რომელმაც საყვარელი ქალი ორჯერ შეირთო და მიატოვა

**„ვეძებ მამას, რომელმაც დედაჩემი და მასთან ერთად მეც, წლების წინ მიგვატოვა. მინდა, გავიცნო, თვალებში ჩავხედო და ვკითხო: რატომ მოგვექცა ასე? შეძლებს თუ არა ჩემსავით მიატოვოს ის შვილები, რომლებიც სავარაუდოდ, სხვა ქალისგან ჰყავს? მინდა, ჩემი და-ძმებიც გავიცნო. გთხოვთ, დამეხმარეთ ამ ოცნების ასრულებაში. იქნებ თქვენი სტატიის წაკითხვის შემდეგ ვინმე მისიანი გამომეხმაუროს. მადლობა წინასწარ!“ — წერილის ავტორი ვიკი თევზაძეა. მას დედის გვარი აქვს, რადგან ბიოლოგიურმა მამამ მისთვის გვარიც ვერ გაიმეტა. ვიკი ახლა 27 წლის არის.**

ლიკა ქაჯაია

— დედისგან ვიცი, რომ ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი საავადმყოფოში გაიცნეს. დედა მაშინ სტაჟიორი ექთანი იყო, მამა კი სამედიცინო დაწესებულებაში დაჭრილი მიიყვანეს და მას კარგა ხანს სწორედ დედა უვლიდა. თურმე, იქ გაუჩნდათ გრძნობა. მერე მამა გაწერეს და დედას ის კარგა ხანს არ უნახავს. რამდენიმე თვის შემდეგ გამოეცხადა თურმე და მას მერე უკან დასდევდა, მოსვენება დაუკარგა. როცა მიხვდა, რომ გოგო ყურებამდე იყო შეყვარებული, ცოლობას დაჰპირდა და სახლში მიიყვანა. ფაქტობრივად, გაიპარნენ. რამდენიმე დღე მარტო ცხოვრობდნენ. ჩემი ბებია-ბაბუა კი მისულან ქალიშვილის სანახავად და გაჰკვირვებიათ, სიძის ოჯახის წევრები რომ არ დაუხვდნენ სტუმრებს, მაგრამ მამას თავი ასე უმართლებია მათ წინაშე: ჯერ მინდა, ცოლთან ყოფნით დავტკბე და ცოტა ხანში ჩემს სახლშიც დაგპატიჟებთ. ჩემები ახლახან წავიდნენ, რადგან არ გელოდებოდითო. თურმე, დედას გაუკვირდა, ასეთი ტყუილი რაში დაგჭირდაო? მაგრამ კაცმა ანიშნა, გაჩუმდი, ასეა საჭირო, თორემ წაგიყვანენო. მერე თურმე, ისე ილაპარაკა თავის ოჯახზე, რომ ბებია-ბაბუას უფიქრიათ, ავუშენდით, ნამდვილად კარგი სიძე გვეყოლებაო. სინამდვილეში, თურმე მამას სხვა ცოლი ჰყოლია და დედას შერთვა არც უფიქრია. მასთან უბრალოდ, ერთი ღამის გატარება უნდოდა, ეს ჟინი კლავდა და ამიტომაც წაიყვანა სახლში, მოტყუებით. პირველი ორი დღე რომ არავინ მიაკითხათ, იფიქრა თურმე, ეს გოგო უპატრონოა, როგორც მინდა, ისე მოვექცევიო. მერე კი, როცა სასიდედრო და სასიმამრო ნათესავებთან ერთად დაადგნენ თავს, სხვა რა გზა ჰქონდა და მათ ტყუილებით გამოუჭედა თავი. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა უკვე მიხვდა, რომ ღრმად შეტოპა და ასე გაგრძელებაც შეუძლებელი იყო, დედას გამოუტყდა: ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი და ახლა არ ვიცი, რა მოხდება. ცოლი მყავს და შენ ვერ შეგირთავ. ნამდვილი ნაძირალა ვარ და თუ გინდა, აქვე მომკალიო. დედა ძალიან გაბრაზებულა, მაგრამ მისი მოკვლაც ვერ გაუბედავს. სახლში დაბრუნებულა, გამწარებული. შინ მისულს, მშობლებისთვის უთქვამს: ჩემი საქმრო მოკვდა! მისი სახელიც აღარ მიხსენოთ, თორემ მეც მის გზას გავყვებიო. გადარეულა ბაბუა, — რას ამბობო? მერე წასულა იმ სახლში, უძებნია სიძე, მაგრამ მის კვალსაც ვერ მიაგნო. იმ ბინაში კი თურმე, მარტოხელა ქალი ცხოვრობდა, რომლისგანაც რამდენიმე დღით უქირავებია ოთახი. დიდხანს ეძებდა ბაბუ და იმუქრებოდა, — არ ვაცოცხლებ ჩემი ოჯახის შემარცხვენელსო, მაგრამ ვერსად მიაგნო. დედა კი სახელსაც არ ახსენებდა მისას, ვერაფერი დააცდენინეს.

**— მას მერე აღარ უნახავს დედათქვენს ის კაცი?**

— როგორ არა! რამდენიმე თვის მერე საავადმყოფოში მიაკითხა თურმე. დედას კივილი აუტეხია, — ახლავე აქედან წაეთრიეო. ისტერიკა დამართნია და ნერვიულობის ნიადაგზე, გულიც წასვლია, ძლივს მოუბრუნებიათ. მეორე დღესაც მიაკითხა. თურმე, საავადმყოფოს გასასვლელთან ელოდა მთელი დღე. როცა შინისკენ მიმავალს მოჰკრა თვალი, უკან აედევნა და შუა ქუჩაში დაუწყო სიყვარულის ახსნა. დედა მიყვებოდა: იმდენი ილაპარაკა, ტვინი ამირია. მითხრა, რომ ცოლს დაშორდა ჩემ გამო. მემუდარებოდა, ოღონდაც შემირიგდი და შენ გამო სიცოცხლესაც დავთმობო. დედას ეს კაცი ძალიან უყვარდა. ჰოდა, იმანაც ამით ისარგებლა, დროთა განმავლობაში, ქალის გული ისევ მოიგო. დედას ის სახლში წაუყვანია და მამასაც ოფიციალურად უთხოვია მისი ხელი. ბაბუა თურმე, თავიდან სახლში არ უშვებდა, მაგრამ „ნამუსის მოსაწმენდად“ და შვილის ხათრით, მაინც მიათხოვა ქალიშვილი.

**— მათთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მარტო მივიდა?**

— მარტო რომ მისულიყო,

ალბათ, აღარ ენდობოდნენ. ძმა მიუყვანია, რძალი და რამდენიმე მეგობარი... მოკლედ, სამ დღეში წაიყვანეს დედა. სულ 5-6 თვე იცხოვრეს ერთად, ნაქირავებ ბინაში. მამას ბინა პირველი ცოლისთვის დაუთმია, მშობლების სახლში კი ვეღარ დარჩებოდა, რადგან იქ მისი ძმა ცხოვრობდა, თავის ცოლ-შვილთან ერთად... დედა მუშაობდა, ის კი კაცმა არ იცის, მთელი დღე სად დადიოდა, მაგრამ ფულს მშობლებისგან ყოველდღე იღებდა. მერე დედა დაფეხმძიმებულა და როგორც ამბობს, მას მერე ისევ აერიათ ურთიერთობა: შინ სულ მთვრალი მოდიოდა ან რამდენიმე დღით იკარგებოდაო. მერე მიმხვდარა, რომ ყოფილ ცოლთან განაახლა ურთიერთობა. როცა დედას პრეტენზია გამოუთქვამს, მამამ წამოაყვედრა: შენ წაართვი იმას ჩემი თავი და ახლა სამდურავი რა გაქვს? რა პრობლემაა, ხან შენთან ვიქნები, ხანაც იმასთან, ჩემ გარდა მაინც სხვა გზა არ გაქვს, სითბოს კი ორივეს გაგინაწილებთო. დედა ამბობს, ამ სიტყვების გაგონებისთანავე გაქრა ჩემი სიყვარული. თბილი გრძნობა სიძულვილმა ჩაანაცვლა და ერთ დღეს, როცა სახლში არ იყო, ჩემს ნივთებს ხელი დავავლე და დაქალის სახლში გადავედი საცხოვრებლადო.

თურმე, მშობლებთან მისვლის შერცხვა და გადაწყვიტა, დამოუკიდებლად ეცხოვრა, გზა გაეკვალა, ჯერ კიდევ არდაბადებულ შვილზე მარტოს ეზრუნა. პირველ ხანებში თურმე, მამა ძალიან აწუხებდა, შინ უვარდებოდა. ამიტომ მისი მეგობარი იძულებული გახდა, დედას ძმისთვის ეთქვა სიმართლე. მერე ყოფილა „საქმის გარჩევები“, ერთმანეთის ცემა-ტყეპა და საბოლოოდ, მას აუკრძალეს დედასთან მიახლოებაც კი. თურმე, როცა მე გავჩნდი, მამის დედამ ერთხელ მნახა, მამას კი უთქვამს: კაცმა არ იცის, ის ბავშვი ვისიაო. მას შემდეგ ერთმანეთი აღარ უნახავთ. როგორც დედა ამბობს, მერე ის რუსეთში წავიდა და უკან აღარც დაბრუნებულა. მაგრამ მე ეჭვი მაქვს, რომ მატყუებენ. ეშინიათ, ამ კაცთან ურთიერთობა არ აღვადგინო...

**— მამა პროფესიით ვინ არის?**

— ღვინის ტექნოლოგია, თუ არ ვცდები... ბევრს ვეცადე, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენი. ალბათ, ოჯახი ჰყავს და შვილებიც. ძალიან მინდა გავიცნო, თვალებში ჩავხედო და გავიგო, სინამდვილეში როგორი ადამიანია? როგორ შეეძლო, ასე სასტიკად მოჰქცეოდა ქალს, რომელსაც სიგიჟემდე უყვარდა ან შვილი როგორ მიმატოვა. მისთვის ხომ პირველი ვიყავი.

**— მამა რა გვარია?**

— კოპაძეა... სულ ესაა, რაც მამის შესახებ დედამ მიამბო, სხვა არაფრის გახსენება არ სურს და მეც არ ვაძალებ. მესმის, მისი გახსენება გულს სტკენს და რაც მიამბო, ესეც საკმარისია... ქმართან დაშორების შემდეგ, დედას ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ არ გათხოვდა. კაცებს აღარ ენდობა და მეც სულ იმას ჩამჩიჩინებს, — ყურადღებით იყავი, ჩემი შეცდომა არ გაიმეოროო. დედა ექთანად მუშაობს დღემდე. მეც მაქვს ჩემი შემოსავალი და მატერიალურად ბიძაც გვეხმარება, რომელსაც რამდენიმე მაღაზია აქვს თბილისში. ასე რომ, მამის „ფულები“ არაფერში მჭირდება. უბრალოდ, მასთან გასაუბრება მსურს. არ ვიცი, მას ოდესმე „მამას“ დავუძახებ თუ არა ან შევძლებ კი იმის პატიებას, რაც დედამ მის გამო გადაიტანა, მაგრამ მაინც, აუცილებლად უნდა გავიცნო. მზად ვარ იმისთვისაც, რომ გული მატკინოს. მე მაქვს უფლება, ვიცნობდე და ვიცოდე, მყავს თუ არა და ან ძმა.

სიმართლე გითხრათ, ის უფრო მეტად მაინტერესებს, ისევ პირველ ცოლთან არის თუ სხვა შეირთო? იმედია, ცოცხალია და გამომეხმაურება. ბებია-ბაბუასაც სიამოვნებით შევხვდებოდი. სამწუხაროდ, დედის მხრიდან ბებო აღარ მყავს და ამას ძალიან განვიცდი. მამის დედა მის მაგივრობას ვერასდროს გამიწევს, მაგრამ მაინც, სიამოვნებით ვიქნებოდი მისი შვილიშვილი.

**— დედამ იცის, მამას რომ ეძებ?**

— არა, არ იცის და იმედია, ამას რომ გაიგებს, ძალიან არ გამიჯავრდება. მზად ვარ, მამას ჩუმად შევხვდე თუნდაც, მხოლოდ ერთხელ და მერე ისევ გავწყვიტოთ ურთიერთობა. მაინტერესებს, ამ კაცს რითი ვგავარ. იქნებ რაიმე არასწორად ვიცი და დედა შეცდა რაიმეში?.. ერთხელ დედას ვკითხე, იმ კაცის მშობლები, ძმა ტერიტორიულად სად ცხოვრობენ-მეთქი? — და გადაირია, — შენ რა, მათ მოძებნას აპირებო? უკან დავიხიე და მას მერე, მსგავსი კითხვა აღარ დამისვამს. ახლა ისღა დამრჩენია, ნათესავები მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით ვეძებო. იქნებ გამოვიდეს რამე.

P.S. *„გზა“ გაძლევთ შანსს, თქვენც გახდეთ ჩვენი რესპონდენტი! თუ ფიქრობთ, რომ სხვებისგან რაიმეთი გამოირჩევით ან საკუთარი საინტერესო თავგადასავლის მოყოლა გსურთ, თუ სურვილი გაქვთ ვინმეს სიყვარულში გამოუტყდეთ ან სულაც, სოციალურ პრობლემებზე საკუთარი აზრი დააფიქსიროთ, მაშინ მოგვწერეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მეილზე:*
lika.qajaia@gmail.com



სულ 5-6 თვე იცხოვრეს ერთად, ნაქირავებ ბინაში

# თუ ქალმა გაიწია...

ინგა ჯაყელი

ხვიჩა ბიზნესმენია და მაშინ გავიცანი, როცა ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე წარმატებული, განვითარებადი ბიზნესის მეპატრონედ დაასახელეს და გაწეული ქველმოქმედებისთვის მადლობის სიგელით დააჯილდოეს. რა თქმა უნდა, მის გვერდით იდგა ულამაზესი ქალი — მეუღლე და ოთხი შვილი. დაცვაც დასტრიალებდა თავს...

ყველაფერ ამის საპირისპიროდ, გაოცებას იწვევდა მისი გარეგნობა: დაახლოებით მეტრ-ნახევარი სიმაღლის, უსაშველოდ შავი, ბოქსიორივით „მიტყლეჟილი“ ცხვირით და ჩინელივით ვიწრო თვალებით...

მოგვიანებით, როცა გავუბედე და ვუთხარი, — ეგზოტიკური გარეგნობა გაქვთ-მეთქი, მივხვდი, არც იუმორის გრძნობა ღალატობდა, რადგან გაეღიმა (ისედაც ვიწრო თვალების ჭრილი სულ გაუქრა სახიდან) და ალალად მითხრა:

— ისე ძალიან ვგავარ მამას და ბაბუას, ეჭვიანობის არანაირი საბაბი რომ არ მრჩება, თორემ მეგონებოდა, სადღაც შუა აზიაში მიშვილეს და იქიდან ჩამომიყვანეს... რაც წამოვიზარდე და მივხვდი, რომ გამორჩეული გარეგნობაც მქონდა, მწარედ ჩავფიქრდი რეალობაზე და მივხვდი — „ჯიშის გასაკეთილშობილებლად“ ულამაზესი ქალი უნდა შემერთო ცოლად, ასეთი გოგონები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეამჩნევდნენ ჩემნაირ კაცს, თუ ბევრი ფული მექნებოდა და ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ წარმატებული ბიზნესმენი გავმხდარიყავი. ეტყობა, ღმერთს ვუყვარვარ ან შერცხვა, — ეს საწყალი ბიჭი ასეთი გარეგნობისთვის როგორ გავწირეო და ხელი გამიმართა. შედეგად კი მართლა ისეთმა გოგომ ინდომა ჩემი ცოლობა, წარმოუდგენელი რომ იყო ყველანაირი გაგებით: ნინო ჩემი მეზობლის შორეული ნათესავი იყო და სწავლის გასაგრძელებლად სოფლიდან ჩამოსული, მათთან ცხოვრობდა...

უბედნიერესი კაცი ვიყავი, რადგან ეს გოგო ცოლად გამომყვა. თუმცა, ახალი სადარდებელიც გამიჩნდა, შვილი არ გვეყოლა. ექიმთან მივედით, იმან კი მითხრა, რომ მე ვიყავი უშვილო და მკურნალობასაც კი არ ჰქონდა აზრი. ნინომ დამამშვიდა: ერთმანეთი ხომ გვყავს და ბავშვს ავიყვანთ, გავზრდითო. დავიწყეთ კიდეც მიტოვებული პატარის ძებნა, მაგრამ ამ დროს ნინომ გერმანიაში მოინდომა სწავლის გაგრძელება. ერთი წლით უნდა წასულიყო და არც ამაზე ვუთხარი უარი, დავაფინანსე. არადა, სამი თვეც არ იყო გასული, რომ შემომითვალა: იტალიელი ბიჭი შემიყვარდა. არც საქართველოში და არც შენთან დაბრუნებას აღარ ვაპირებო.

რამდენიმე წელიწადი ქალისკენ აღარ გამიხედავს შეურაცხყოფილსა და დათრგუნვილს... ერთხელაც სამსახურში ახალი ბუღალტერი ავიყვანე, ნახევარ განაკვეთზე, რადგან ბავშვების გამო მთელი დღე მუშაობა არ შეეძლო, ძიძის აყვანის საშუალებაც არ ჰქონდა. მისი ქმარი კაზინოში თამაშობდა და ვალების გასტუმრება რომ ველარ შეძლო, თურმე, თავი მოიკლა. ასე დატოვა ახალგაზრდა ცოლი მარტო, ორ ბავშვთან ერთად. ეს ამბავი რომ ვიცოდი, თანაგრძნობის გამო უფრო ავიყვანე სამსახურში. მაკა მაგარი სპეციალისტი იყო და თანაც, ერთგული ადამიანი. დავიახლოვე და მალე სიყვარულიც ვიგრძენი მხოლოდ მის მიმართ კი არა, მისი შვილებიც შემიყვარდა. ჰოდა, საუკეთესო ვარიანტად მივიჩნიე შვილებიან ქალზე ქორწინება.

ძალიან ბედნიერი ვიყავი, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს მაკამ არ გამომიცხადა, — ფეხმძიმედ ვარო. მისთვის არ გამიმხელია, რომ უშვილობის დიაგნოზი მქონდა დასმული. რა უნდა მეფიქრა, გარდა იმისა, რომ მანაც მომატყუა და მიღალატა. მოვკიდე ხელი და წავიყვანე იმ ექიმთან, რომელმაც დიაგნოზი დამისვა და ვუთხარი: ბატონი შალვა გეტყვის, რატომ არ შეიძლება, რომ ჩემგან იყო ფეხმძიმედ-მეთქი...

არასოდეს დამავიწყდება მაკას გამოხედვა:

— შენ გგონია, რომ უღირსი ქალი ვარ?

— უთხარით! — ვუყვირე ექიმს, რომელსაც ჭირის ოფლმა დაასხა, მაგრამ ტყუილი მაინც არ იკადრა და აღიარა, რომ სულაც არ ვიყავი უშვილო და ასეთი რამ ჩემი პირველი ცოლის, ნინოს თხოვნით დამაბრალა:

— მას არ უნდოდა თქვენგან შვილი ჰყოლოდა. ძალიან დიდი ფული გადამიხადა და...

თავიდან მოკვლაც მინდოდა მისი, მაგრამ მერე რომ გავიაზრე, საკუთარი შვილი უნდა მყოლოდა, ამის ხათრით ვაპატიე სულის წაბილწვა. თურმე, მაკა ტყუპზე იყო ორსულად და ახლა ოთხი შვილის — ოთხი ვაჟკაცის მშობლები ვართ. ქველმოქმედება მას შემდეგ დავიწყე, რაც გავიგე, რომ შვილებით დამასაჩუქრა განგებამ. ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ ვიდრე ცოცხალი ვიქნები, ჩემი შვილების ლუკმას მშიერ ბავშვებს აუცილებლად გავუყოფ.



ოთხი შვილის – ოთხი ვაჟკაცის მშობლები ვართ



# ჯეინ ეარი

## შარლოტა ბრონტე

დასაწყისი იხ. „გზა“ №6-22

თამარ მაღრაძისა და ზეინაბ ხახანაშვილის თარგმანი

### თავი ოცდამეერთე

— დიახ, სერ, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მოხდა. მაშინ ის სხვა პირობებში ცხოვრობდა. ჩემთვის ადვილი გადასატანი არ იქნება, რომ მის სურვილს წავუყრუო.

— რამდენ ხანს დარჩებით? პირობა მომეცით, რომ მხოლოდ ერთ კვირას დარჩებით.

— პირობას ვერ მოგცემთ, სერ, იქნებ სიტყვის გატეხა მომიხდეს.

— რაც უნდა მოხდეს, თქვენ უკან დაბრუნდებით. რამე მიზეზს შეუძლია გაიძულოთ და მასთან დარჩეთ სამუდამოდ?

— ოჰ, არა! აუცილებლად დავბრუნდები, თუ ყველაფერი კარგად იქნება.

— ვინ მოდის თქვენთან ერთად? მარტო ხომ ვერ იმოგზაურებთ ასი მილის მანძილზე.

— არა, სერ, მან თავისი მეეტლე გამომიგზავნა.

— მაგ ადამიანის ნდობა შეიძლება?

— დიახ, სერ, ათი წელია მათ ოჯახში ცხოვრობს.

მისტერ როჩესტერი შეფიქრიანდა.

— როდის აპირებთ წასვლას?

— ხვალ, დილით ადრე, სერ.

— კეთილი, ალბათ, ფული გჭირდებათ. უფულოდ ხომ ვერ იმოგზაურებთ. ამასთანავე, ვფიქრობ, არცთუ ისე დიდი თანხის პატრონი უნდა იყოთ. მე ხომ ჯერ თქვენთვის ჯამაგირი არ მომიცია. მაინც სულ რამდენი გაქვთ, ჯეინ? — მკითხა მან ღიმილით.

მე ქისა გადმოვატრიალე. ის თითქმის ცარიელი იყო.

— ხუთი შილინგი, სერ.

მან საფულე გამომართვა, შიგ რაც იყო, ხელისგულზე გადმოიყარა და ჩუმად ჩაიცინა, თითქოს ამ თანხის სიცოტავე სიამოვნებდა. შემდეგ ჯიბიდან თავისი საფულე ამოიღო, აიღეთო, მითხრა და 50 პაუნდის ღირებულების ბანკნოტი გამომიწოდა. ჩემი მას მხოლოდ თხუთმეტი პაუნდი ემართა და მაშინვე ვუთხარი, რომ ხურდა არ მქონდა.

— არ მინდა, თქვენ ეს კარგად იცით. ეს თქვენი ჯამაგირია.

უარი განვაცხადე, ამელო იმაზე მეტი, რაც სამართლიანად მეკუთვნოდა. პირველად კოპები შეიკრა, შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდა და მითხრა:

— სწორია, სწორი! უმჯობესია, ახლა სულ ერთად

არ მოგცეთ, თორემ, შესაძლებელია, ორმოცდაათი პაუნდი წაიღოთ და სამი თვე იქ დარჩეთ. აი, აიღეთ ათი, საკმარისია?

— დიახ, სერ, მაგრამ ახლა თქვენ ჩემი ხუთი პაუნდი გმართებთ.

— ჰოდა, დანარჩენისთვის უკან დაბრუნდით. მე ვიქნები თქვენი ბანკირი და ორმოც ფუნტს შეგინახავთ.

— მისტერ როჩესტერ, რადგან შემთხვევა მომეცა, მინდა, ერთ სხვა საქმეზეც მოგელაპარაკოთ.

— საქმეზე? ძალიან მინდა გავიგო, მაინც რა საქმეზე.

— თქვენ ნათლად მაგრძნობინეთ, რომ მალე ჯვარს იწერთ, სერ.

— დიახ, მერე რა, ჯეინ?

— ამ შემთხვევაში უმჯობესია, ადელი სკოლაში გაგზავნოთ: დარწმუნებული ვარ, თქვენ კარგად ხვდებით ამის აუცილებლობას, სერ.

— თავიდან ავაშორო ჩემს მომავალ მეუღლეს. შესაძლებელია, მისთვის ძნელი ასატანი გახდეს, არა? თქვენი წინადადება მართლაც გონივრულია. უეჭველია, ასე იქნება. ადელი, როგორც თქვენ ამბობთ, სასწავლებელში უნდა წავიდეს, თქვენ კი, რასაკვირველია, პირდაპირ ჯანდაბაში, არა?

— ვფიქრობ, არა, სერ, მაგრამ სხვა სამუშაო კი უნდა მოვძებნო სადმე.

— ეს სწორედ მოსალოდნელი იყო თქვენგან, — წამოიძახა მან და მისმა ხმამ უცნაურად გაიჟღერა; მერე სახე დაემანჭა და რამდენიმე წუთს რაღაც გამოუცნობი, სასაცილო გამომეტყველებით მიყურებდა.

— ვფიქრობ, მოხუცი მადამ რიდი და მისი ქალიშვილები შუამდგომლობას გაგიწევენ, რომ ახალი სამუშაო მოძებნოთ.

— არა, სერ. მე ისეთი დამოკიდებულება არა მაქვს ჩემს ნათესავებთან, რომ დახმარების იმედი ვიქონიო. მომიწევს, კვლავ გაზეთში გამოვაცხადო.

— ასეთს ვეღარაფერს ჩაიდენთ! — ჩაიბუტბუტა მან თავისთვის, — აბა, გაბედეთ და შეიტანეთ განცხადება! უმჯობესი იყო, ათი პაუნდის მაგიერ ერთი გირვანქა სტერლინგი მომეცა. ცხრა პაუნდი დამიბრუნეთ, ჯეინ, ფული მჭირდება.

— მეც მჭირდება, სერ, — ვუპასუხე და შევეცადე, ქისა ზურგს უკან გადამემალა. — ამ ფულის გარეშე ვერავითარ შემთხვევაში იოლად ვერ გავალ.

— პატარა ძუნწი! — თქვა მან, — უარსაც მეუბნება ფულის უკან დაბრუნებაზე! მომეცით ხუთი პაუნდი, ჯეინ!

— ხუთ პაუნდს კი არა, სერ, ხუთ პენსსაც ვერ მოგცემთ.

— ერთი მაინც დამახედეთ ფულზე, ჯეინ!

— არა, სერ, მე თქვენ ვეღარ გენდობით.

— ჯეინ!

— სერ?

— ერთი პირობა მაინც მომეცით.

— ყველაფრის პირობას მოგცემთ, სერ, რის შესრულებაც შემიძლია.

— განცხადება არ გაგზავნოთ გაზეთში. ადგილის გამოძებნის საქმე მე მომანდეთ. მე გიშოვით ადგილს თავის დროზე.

— ძალიან მოხარული ვიქნები, სერ, თუ თქვენ, თქვენი მხრივ, პირობას მომცემთ, რომ მე და ადელს, ორივეს, მანამდე გაგვამგზავრებთ ამ სახლიდან, სანამ აქ თქვენი საცოლე შემოვა.

— ძალიან კარგი! კეთილი! პატიოსან სიტყვას გაძლევთ. მაშ, თქვენ ხვალ წახვალთ, არა?

— დიახ, სერ, ადრე დილით.

— სადილობის შემდეგ ჩამოხვალთ სასტუმრო ოთახში?

— არა, სერ, მე სამგზავროდ უნდა მოვემზადო.

— მაშ, მე და თქვენ ერთმანეთს ცოტა ხნით უნდა გამოვემშვიდობოთ, არა?

— დიახ, ასე ვფიქრობ, სერ.

— როგორ ემშვიდობებიან ადამიანები ერთმანეთს განშორების დროს, ჯეინ? მასწავლე, მე კარგად არ ვიცი.

— ისინი ეუბნებიან ერთმანეთს, ნახვამდისო, ან რამე მსგავსს.

— მაშ, მითხარით ასე, ჯეინ.

— მომავალ შეხვედრამდე, ნახვამდის, მისტერ როჩესტერ.

— მე რაღა უნდა გითხრათ?

— თუ ინებავთ იგივე, სერ.

— ნახვამდის, მის ეარ, მომავალ შეხვედრამდე, სულ ეს არის?

— დიახ.

— ასეთი გამომშვიდობება, ვფიქრობ, სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი; ის ძალიან მშრალია და არამეგობრული. მე რაღაც უფრო სხვას ველოდი, ჩვეულებრივი წესისგან ცოტაოდენ განსხვავებულს. ხელის ჩამორთმევა? ოჰ, არა, ესეც ვერ დამაკმაყოფილებდა. ამგვარად, ნახვამდის. მეტი არაფერია საჭირო და სხვა აღარაფერს მეტყვით, არა, ჯეინ?

— ეს სრულიად საკმარისია, სერ. შესაძლოა, ერთი გულთბილი სიტყვით იმდენი კეთილი სურვილი გამოვხატოთ, რამდენსაც სიტყვათა კორიანტელით გადმოვცემთ ხოლმე.

— ადვილი შესაძლებელია, მაგრამ ასეთი დამშვიდობებაც მეტად მშრალი და ცივია.

— ნახვამდის!

„ნეტა, რამდენ ხანს აპირებს ასე კარზე ზურგმიყრდნობილი დგომას?“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს გუნებაში. მინდოდა, უკვე ჩალაგება დამეწყო. სწორედ მაშინ დარეკეს სადილობის ზარი. იგი მოულოდნელად და უსიტყვოდ მოწყდა ადგილიდან. მთელი დღის განმავლობაში აღარსად მინახავს, ხოლო მეორე დილით ადრე მის ადგომამდე გავემგზავრე.

პირველ მაისს, დაახლოებით ნაშუადღევის ხუთ სა-

ათზე, გეიტსჰედ-ჰოლში საყარაულო ქოხს მივაღწიეთ. სანამ სახლში ავიდოდი, იქ ვარჩიე შესვლა; ქოხი მეტად სუფთად და ფაქიზად იყო მოვლილი. მოჩუქურთმებულ სარკმლებზე პატარა თეთრი ფარდები ეკიდა. იატაკი წკრიალებდა; ცეცხლის შუქზე, რომელიც მხიარულად გიზგიზებდა, ბუხარსა და რკინის საკეცეებს ლაპლაპი გაჰქონდა. ბესი ბუხრის წინ იჯდა და თავის ნაბოლარას უვლიდა, რობერტი და მისი და კი კუთხეში წყნარად თამაშობდნენ.

— ღმერთო ჩემო! ვიცოდი, მოხვიდოდით! — წამოიძახა მისის ლივენმა, შევედით თუ არა.

— დიახ, ბესი, — ვუპასუხე მას შემდეგ, რაც გადავეხვიე და გადავკოცნე. — იმედი მაქვს, დაგვიანებული არ არის. როგორაა მისის რიდი? ჯერ ხომ ცოცხალია?

— დიახ, ცოცხალია და თითქმის უფრო მშვიდად და კარგად გრძნობს თავს, ვიდრე აქამდე იყო. ექიმს იმედი აქვს, ასე, ერთ ან ორ კვირას კიდევ იცოცხლებსო, მაგრამ მთლიანად მისი გამოკეთება კი საეჭვოა.

— ამ ბოლო ხანს კიდევ მახსენა?

— თქვენზე ის მხოლოდ დილით ლაპარაკობდა და ნატრობდა მოსულიყავით, მაგრამ ახლა სძინავს. ყოველ შემთხვევაში, ათი წუთის წინ ეძინა. ნაშუადღევს, ჩვეულებრივ, სალათას ძილი ეუფლება ხოლმე და დაახლოებით ექვს ან შვიდ საათზე იღვიძებს. ხომ შეისვენებთ ერთ საათს ჩვენთან? მერე კი მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

ამ დროს რობერტი შემოვიდა. ბესიმ მძინარე ბავშვი აკვანში ჩააწვინა და მის შესახვედრად გაემართა. მერე მთხოვა, ქუდი მომეხადა და ჩაი დამელია, რადგან, როგორც ამბობდა, თურმე ძალიან ფერმკრთალი და დაღლილი ვჩანდი. მისმა სტუმართმოყვარეობამ გამახარა და, როდესაც სამგზავრო ტანსაცმელს მხდიდა, უთქმელად ვემორჩილებოდი, სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში ვიცოდი დაძინების წინ. მისი ფუსფუსის დანახვაზე წარსული მომაგონდა. ჩაის ლანგარი გადმოიღო და ზედ თავისი საუკეთესო ფინჯნები დააწყო. პურს ჭრიდა, კარაქს უსვამდა და ცეცხლზე აწითლებდა. პატარა ჯეინსა და რობერტს კი ხან ხელს ოდნავ წაჰკრავდა, რომ ფეხებში არ მოსდებოდნენ, ხან კი ალერსით წამოარტყამდა, სწორედ ისევე, როგორც მე მექცეოდა ოდესღაც პატარაობისას. ბესის ისეთივე ხასიათი შემორჩენოდა, ისევ ფიცხი და ელვასავით სწრაფი იყო, მაგრამ კეთილი ღიმილი არ შორდებოდა მის მშვენიერ სახეს.

ჩაი გაამზადეს. ვაპირებდი მაგიდასთან ახლოს მისვლას, მაგრამ ბესიმ ძველებური მბრძანებლური კილოთი განმიცხადა: მშვიდად იჯექით ცეცხლის პირას და მანდვე ბუხართან მოვიტან ყველაფერსო. მართლაც, სწორედ ისე, როგორც ჩემს ბავშვობაში იცოდა, მრგვალი პატარა მაგიდა წინ დამიდგა და ერთი ფინჯანი ჩაი და დაბრაწული პური მომიტანა. კარგად მახსოვდა, როდესაც პატარა სკამზე ვიჯექი მაგიდასთან და ის ჩემთვის ჩუმად გადანახული რაიმე ტკბილეულით მიმასპინძლდებოდა. ახლა ეს ყოველივე ღიმილს მგვრიდა და მაინც ვემორჩილებოდი მას ისევე, როგორც დიდი ხნის წინ.

ძალიან აინტერესებდა გაეგო, ბედნიერი ვიყავი თუ არა თორნფილდჰოლში ან როგორი დიასახლისი მყავდა. როდესაც ჩემგან შეიტყო, რომ სახლის მფლობელი მამაკაცი იყო, მაშინვე გამომკითხა: მომწონდა თუ არა ის? ან, საერთოდ, როგორი გარეგნობის იყო. მე ვუპასუხე, მისტერ როჩესტერი საკმაოდ შეუხედავი მამაკაცია, მაგრამ ამასთანავე, ნამდვილი ჯენტლმენი; ის კეთილად მეპყრობა და მეც კმაყოფილი ვარ-მეთქი. მერე კი ვუამბე იმ ოჯახური წვეულებისა და იმ მხიარული სტუმრების შესახებ, რომლებიც შინ დავტოვე. ბესი ყოველ წვრილმანს დიდი სიამოვნებით ისმენდა. ეს სწორედ ისეთი ამბები გახლდათ, როგორიც მას სიამოვნებას ჰგვრიდა.

ამ საუბარში ერთი საათი მალე გავიდა. ბესიმ ქუდი და მოსასხამი მომიტანა. მე მისი თანხლებით საყარაულო ქოხი დავტოვე და გეიტსჰედ-ჰოლისკენ გავეშურე — სწორედ ამ ბილიკით, რომლითაც ცხრა წლის წინ მან გამაცილა. მაშინ გეიტსჰედ-ჰოლიდან გზას თავქვე დავუყევი, ახლა კი მისკენ აღმართზე მივიჩქაროდი. მაგონდებოდა იანვრის ერთ ბნელ, ცივსა და ნისლიან დილას ნაღვლიანმა და სევდამწარებულმა, როგორ დავტოვე ეს საძულველი ჭერი იმ ფიქრით, რომ გამაძევეს და თითქმის სამუდამოდ დამგმეს. იმ დღიდან ჯერ კიდევ უსუსურს, სრულიად უცხო მხარეში, ლოვუდის ცივსა და არასტუმართმოყვარე კედლებს შორის, მარტოდმარტოს უნდა მეძებნა თავშესაფარი... და, აი, ახლაც ჩემ წინ იგივე მტრული ჭერი აღმართულიყო. ჩემი მომავალი ჯერ კიდევ საეჭვო იყო. გული ჯერ ისევ ტკივილს გრძნობდა. თავი ამქვეყნად ისევ მოხეტიალე მოგზაურად მიმაჩნდა, მაგრამ საკუთარი თავისადმი მეტი რწმენა გამჩენოდა და მის ძლიერებაშიც უფრო მეტად ვიყავი დარწმუნებული. ახლა უფრო ნაკლებად მაძრწუნებდა იმის შიში, რომ ვინმე დაჩაგვრას გამიბედავდა. ასე მეგონა, თითქოს მძიმე ჭრილობები სრულიად მოშუშდა და გულისწყრომის ცეცხლიც გაქრა.

— თქვენ ჯერ სასადილო ოთახში შეხვალთ, — მითხრა ბესიმ, როდესაც დერეფანში წინ მიმიძღოდა: — ახალგაზრდა ქალბატონები იქ იქნებიან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე უკვე სასადილო ოთახში ვიყავი. თითოეული ნივთი ისევე გამოიყურებოდა, როგორც იმ დილით, როდესაც მისტერ ბროკლეჰერსტის წინაშე წარმადგინეს. ბუხრის წინ სწორედ იგივე ხალიჩა იყო დაფენილი, რომელზეც მაშინ ის იდგა. წიგნების კარადას გადავხედე თუ არა, გავიფიქრე, მესამე თაროზე შემეძლო თამამად გამომერჩია ბივიკის „ბრიტანეთის ფრინველების“ ორი ტომი, რომელთაც თავიანთი ძველი ადგილი ეკავათ, ხოლო „გულივერის მოგზაურობა“ და „ათას ერთი ღამე“ სწორედ მათ მაღლა ეწყო. უსულო საგნებს ცვლილება არ ემჩნეოდათ. სამაგიეროდ, მისი მკვიდრნი ისე შეცვლილიყვნენ, რომ მათი ცნობაც კი შეუძლებელი იყო.

ჩემ წინ ორი ახალგაზრდა ქალიშვილი იდგა. ერთი მეტად მაღალი იყო, თითქმის ისეთივე მაღალი, როგორიც მის ინგრემი; ამასთანავე, ძალიან გამხდარი, ყბებჩაცვენილი და მკაცრი გარეგნობის. მის გამოხედვაში მაშინვე შეამჩნევდით რაღაც ასკეტურს. ამას ემატებოდა მისი მთლად უბრალოდ შეკერილი სწორი, შავი შალის კაბა, თეთრი ტილოს გახამებული საყელოთი. საფეთქლებთან თმის ბეწვიც კი არ მოუჩანდა, ისე სწორად ჰქონდა უკან გადავარცხნილი, ყელზე კი მონაზონი ქალების მსგავსად მძივისებური ებანოზის სამკაული და ჯვარცმა ეკიდა. მაშინვე დავრწმუნდი, რომ ეს ელიზა უნდა ყოფილიყო, თუმცა ძალიან ცოტა მსგავსება შეიძლებოდა აღმომეჩინა მის უწინდელსა და ამჟამინდელ გრძელსა და ფერმკრთალ პირისახეს შორის.

მეორე, რასაკვირველია, ჯორჯიანა გახლდათ, მაგრამ არა ის ჯორჯიანა, რომელიც მე მახსოვდა: სუსტი, ფერიასავით მშვენიერი თერთმეტი წლის გოგონა. ეს იყო ახალგაშლილი, ხორცშესხმული ლამაზი ქალი, როგორც სანთლისგან გამოთლილი ქანდაკება. მისი ლამაზი სხეულის, სწორი ნაკვთების, ცისფერი სევდიანი თვალებისა და ქერა კულულების მხილველი აღტაცებას ვერ დაფარავდა. მასაც შავი კაბა ეცვა, მაგრამ ისე ლამაზად გამოჭრილი და შეკერილი, რომ მისი დის კაბა, მასთან შედარებით, მართლაც მეტისმეტად სადა მოგეჩვენებოდათ.

დები სხვადასხვანაირად წააგავდნენ დედას. გამხდარსა და ფერმკრთალ უფროს ქალიშვილს, მისის რიდივით მოყვითალო თვალები ჰქონდა, ხოლო უმცროსს, ყვავილივით ახალგაშლილ ხორცსავსე ჯორჯიანას კი დედის ყბისა და ნიკაპის მოყვანილობა გამოჰყოლოდა, რასაკვირველია, ცოტა უფრო უკეთესი. მაგრამ ამ ჯანმრთელსა და მგრძნობიარე სახის ნაკვთებზე ენით აღუწერელი უგულობის ნიშნებს მაინც შენიშნავდით.

შევედი თუ არა, ჩემს შესახვედრად ორივე ქალიშვილი ფეხზე წამოდგა. საუბარში ორივე „მის ეარს" მიწოდებდა. ელიზასთან შეხვედრა მოკლე, უცაბედად წარმოთქმული სიტყვებით ამოიწურა; სახეზე ღიმილის ნატამალიც არ შემინიშნავს; მერე კვლავ დაჯდა; თვალები ცეცხლს მიაპყრო და თითქმის გადავავიწყდი კიდეც. ჯორჯიანამ კი პირველ მოკითხვას საზოგადო საუბარში გამოსაყენებელი რამდენიმე სიტყვაც დაუმატა; მეკითხებოდა მგზავრობისა და ამინდის შესახებ, თუმცა გაბმითა და უგულოდ. ამასთანავე, თავიდან ფეხებამდე მზომავდა მრავლისმეტყველი, გვერდული მზერით. ხან ჩემი ყავისფერი მერინოსის მოსასხამის ნაკეცებს შეავლებდა ხოლმე თვალს, ხან კი სამგზავრო, სრულიად უბრალოდ მორთულ ქუდს. ახალგაზრდა ქალებს აქვთ უნარი, უსიტყვოდაც მიგახვედრონ, რომ დაცინვის საგნად მიაჩნიხართ. ამას ისინი რაღაც განსაკუთრებული ქედმაღლური გამომეტყველებითა და ცივი დამოკიდებულებით ახერხებენ. დაუდევარი ტონით კი უფრო ნათლად გამოხატავენ თავიანთ გრძნობას ამა თუ იმ შემთხვევაში და, ამასთანავე, თავს არიდებენ ტლანქ, ულამაზო სიტყვებსა და საქციელს.

დაცინვას, ეს ფარული იყო თუ პირდაპირი, აღარ ჰქონდა ჩემზე ის გავლენა, რომელიც ოდესღაც მეუფლებოდა ხოლმე. ახლა, როდესაც ჩემს ბიძაშვილებს შორის ვიჯექი, მაოცებდა კიდეც ის გარემოება, რომ ასე თავისუფლად ვგრძნობდი თავს. არაფრად მიმაჩნდა ერთისგან სრული უყურადღებობა და მეორისგან კი ნახევრად ცინიკური, მქირდავი ტონი. ელიზას საქციელის გამო გული არ მტკიოდა და ვერც ჯორჯიანას დამცინავი კილო მირღვევდა სიმშვიდეს. საქმე ის გახლდათ, რომ მე ამ დროს სულ სხვა ამბით ვიყავი გატაცებული. ამ უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში გრძნობები ისეთი ძლიერი ძალით აღიგზნენ ჩემს გულში, რომ სხვა გულის გამგმირავსა თუ მტანჯველ გრძნობას, სიხარულსა თუ ნაღველს აღარ შეეძლო რაიმე კვალი დაეჩნია ჩემს გულზე. ამიტომ ელიზა და ჯორჯიანა რიდების საქციელს აღარ შეეძლო გამოეწვია ჩემში არც კეთილი და არც ბოროტი ზრახვანი.

— როგორ არის მისის რიდი? — ვიკითხე და მშვიდად ვაკვირდებოდი ჯორჯიანას, რომელმაც სავალდებულოდ ცნო, ამპარტავნულად აეზიკა ცხვირი პირდაპირი შეკითხვის გამო, თითქოსდა ჩემი თავისთვის რაღაც მოულოდნელი თავისუფლება მიმენიჭებინოს.

— მისის რიდი? აჰ! დედაზე მეკითხებით; ის ძალიან სუსტად გრძნობს თავს.

— თუ თქვენ ახლავე ახვალთ და ეტყვით მას, რომ მე უკვე ჩამოვედი, დიდად დამავალებთ, — ვუთხარი მე.

ჯორჯიანა თითქმის წამოხტა ადგილიდან და ცისფერი თვალები განცვიფრებისგან გაუფართოვდა.

— ვიცი, მისის რიდს ძალიან სურს ჩემი ნახვა, — დავუმატე. — არ მინდა დავაყოვნო მისი სურვილების შესრულება, მით უფრო, რომ ეს აუცილებელიც ყოფილა.

— დედას ეჯავრება, როცა საღამოობით აწუხებენ, — შენიშნა ელიზამ. მაშინვე წამოვდექი. მშვიდად გავიხადე ხელთათმანი, მოვიხადე ქუდი და, თუმცა არავის დავუპატიჟებივარ, განვაცხადე:

— მაშინ ბესის ვნახავ. ის, ალბათ, სამზარეულოშია და ვთხოვ, შეიტყოს, აქვს თუ არა მისის რიდს განწყობა, ამ საღამოსვე ვინახულო.

გავედი. ბესი ვიპოვე და დავალების შესასრულებლად გავგზავნე. წინათ ჩვეულებად მქონდა, უკან დამეხია ისეთი ქედმაღლობის წინაშე, როგორიც დღეს შემხვდა. რასაკვირველია, ასე მოვიქცეოდი თუნდაც ერთი წლის წინათაც. გეიტსჰედს მეორე დღეს, დილითვე დავტოვებდი, მაგრამ ეს გზა მოჭრილი მქონდა. ეს მხოლოდ სისულელედ მიმაჩნდა ახლა. ასი მილი გამოვიარე მისის რიდის სანახავად და კიდეც უნდა დავრჩენილიყავი მასთან, სანამ ან ცოტა უკეთესობას არ იგრძნობდა, ან, უარეს შემთხვევაში, სულს არ განუტევებდა; რაც შეეხება მისი ქალიშვილების სიამაყესა თუ უგუნურებას, ამისთვის კი გვერდი უნდა ამეხვია; უმჯობესი იყო სრული დამოუკიდებლობა გამომეჩინა და არაფრად ჩამეგდო მათი საქციელი; ასე რომ, მაშ-

ინვე მნეს მივმართე და ვთხოვე, ეჩვენებინა ოთახი, სადაც შემეძლო ღამით მომესვენა; ამასთან, — რათა თადარიგი დაეჭირა, — განვუცხადე, რომ შესაძლებელი იყო, ერთი ან ორი კვირა დავრჩენილიყავი მათთან სტუმრად; მერე კი ვთხოვე, ჩემოდანი ჩემთვის განკუთვნილ ოთახში აეტანათ და მეც მასთან ერთად იქით გავეშურე; კიბის თავში ბესი შემოგვხვდა.

— მისის რიდს ღვიძავს, — მითხრა მან. — მე უკვე ვუთხარი, რომ ჩამოხვედით. მოდი, შევიდეთ, იქნებ გიცნოთ.

არ მჭირდებოდა ვინმეს გაყოლა ჩემთვის იმ კარგად ნაცნობი ოთახის მისაგნებად, სადაც ბავშვობაში ასე ხშირად გამომიძახებდნენ ხოლმე დასასჯელად ან საყვედურის გამოსაცხადებლად. ავჩქარდი, ბესის გავუსწარი და ფრთხილად გავაღე კარი. ბნელდებოდა. მაგიდაზე შუქფარით ჩაბნელებული სინათლე შევნიშნე. დავინახე ისევ ის უზარმაზარი, ოქროსფერი ფარდებით მორთული საწოლი, რომელიც ბავშვობიდანვე მახსოვდა. თავის ადგილზევე იდგა ტუალეტის მაგიდა, სავარძელი და ფეხის მოსასვენებელი დაბალი სკამი. ამ სკამზე ხომ ერთი ასჯერ მაინც დავუჩოქებივარ დასჯილი, რომ ბოდიში მომეხადა იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც არასოდეს ჩამიდენია. მე იმ კუთხისკენ გავიხედე და თითქმის ველოდი კიდეც იმ წვრილი წკეპლის ჩრდილს, რომელიც ერთ დროს შიშით მზარავდა. ის თითქოს იქ ჩასაფრებული იცდიდა და ეშმაკისეული სიმარდით გადმოხტებოდა ხოლმე, რომ ჩემი აცახცახებული ხელისგული ან შიშით მთლად მოკრუნჩხული კისერი აეჭრელებინა. საწოლს მივუახლოვდი; ფარდები გადავწიე და ბალიშებისკენ დავიხარე.

ძალიან კარგად მახსოვდა მისის რიდის გარეგნობა, მოუთმენლად ვეძებდი ნაცნობი სახის ხილვას. დიდი ბედნიერებაა, რომ დრო ახშობს შურისძიების სურვილს და აყუჩებს წყრომითა და სიძულვილით აღსავსე გულის კარნახს. ეს ქალი სიძულვილით აღსავსემ და მძიმე განსაცდელით გამწარებულმა დავტოვე. ახლა კი მასთან დავბრუნდი მისდამი მხოლოდ ერთი, სიბრალულის გრძნობით გამსჭვალული. მისი განუზომელი ტანჯვა-წამების მნახველს წრფელი სურვილი მამოქმედებს, დავივიწყო და ვაპატიო ყველა შეურაცხყოფა და წყენა. მსურს, კვლავ შევურიგდე და მეგობრულად შევთავაზო ჩემი ხელი.

აი, ეს ჩემთვის ნაცნობი სახეც, ისეთივე მკაცრი და ულმობელი, როგორიც ოდესმე მინახავს. აი, ის უცნაური თვალებიც, რომლებშიც სითბოს ნატამალი არ შეინიშნება. მისი ოდნავ მაღლა აზიდული, მბრძანებლური, მტარვალური იერით გამომზირალი წარბები... ვინ იცის, რამდენჯერ შეჭმუხნილან ისინი ჩემ მიმართ მუქარითა და სიძულვილით აღსავსენი. როდესაც მათ უსიამოვნო მოყვანილობას ვაკვირდები, ჩემს სულში სწრაფად იღვიძებს ბავშვობის დროინდელი მოგონებები, შიში და ნაღველი. მაინც დავიხარე და ვემთხვიე ამ ქალს. მან შემომხედა.

— ეს ჯეინ ეარია? — იკითხა მან.

— დიახ, მისის რიდ, როგორ ბრძანდებით, ძვირფასო ძალუავ?

ოდესღაც დავიფიცე, რომ მას აღარასოდეს დავუძახებდი ძალუას, მაგრამ ცოდვად არ ჩამეთვლება, დავივიწყო და დავარღვიო ეს ფიცი ახლა. ჩემი თითები სწრაფად ეხება მის ხელს, რომელიც ზეწარზე ზემოდან უდევს. მის ხელს ოდნავი ალერსიც რომ ეგრძნობინებინა, ნამდვილ სიხარულს განვიცდიდი, ალბათ, მაგრამ ასეთ უგრძნობელ არსებებს ასე ადვილად ვერაფერი აუჩუყებს გულს. არც ძვალ-რბილში გამჯდარი ბუნებრივი სიძულვილის აღმოფხვრა ძალუძს რამეს. მისის რიდმა ხელი უკან წაიღო და სახეც ამარიდა. მერე კი ჩაილაპარაკა: რა თბილი ამინდიაო. კვლავ ისე ცივად დამაცქერდა, მაშინვე მივხვდი, არც აზრი და არც გრძნობა ჩემ მიმართ არ შესცვლოდა და არც შეეცვლებოდა. მისმა ქვასავით ცივმა თვალებმა, რომლებმაც არც ცრემლი იცოდნენ და არც სიბრალული, მიმახვედრეს: ღრმად სწამდა, რომ ჩემგან მხოლოდ ცუდი ადამიანი გამოვიდოდა; თუნდაც ჩემს სიკარგეში დარწმუნებულიყო, ვიცოდი, ეს მას არათუ წრფელ სიხარულს მოუტანდა, არამედ ძალიან დიდ წყენასაც აგრძნობინებდა.

გულში უჩვეულო ტკივილი ვიგრძენი. შემდეგ კი საშინელი აღშფოთება დამეუფლა, მაგრამ მალევე გადავწყვიტე, მისის რიდს არ დავმორჩილებოდი. მე უნდა გავმხდარიყავი როგორც მისი შინაგანი ბუნების, ისე მისი სურვილების მბრძანებელი. ცრემლი მომაწვა, როგორც ბავშვობაში მჩვეოდა, მაგრამ თავი შევიკავე. სკამი მივიტანე; საწოლის თავთან დავდგი; დავჯექი და მისკენ გადავიხარე, ბალიშთან სულ ახლოს.

— თქვენ გამოგზავნეთ, არა, კაცი ჩემს ჩამოსაყვანად? — ვკითხე მე. — აი, მეც აქა ვარ უკვე. მინდა, მანამდე დავრჩე, სანამ კარგად არ გახდებით.

— ოჰ, რა თქმა უნდა! ჩემი ქალიშვილები უკვე ნახეთ, ალბათ?

— დიახ.

— კეთილი, შეგიძლიათ გადასცეთ მათ, რომ მინდა მანამ დარჩეთ, სანამ შეიძლება, და გეტყვით ყველაფერს, რაც ჩემს სულს აფორიაქებს. ამაღამ უკვე გვიან არის, ძალიან მიმძიმს ყველაფრის გახსენება, მაგრამ რაღაც მაინც მინდა გითხრათ. დამენახვეთ!

მისმა დაბნეულმა და შეცვლილმა გამომეტყველებამ მამცნო, რა დიდი ქარტეხილი გადაევლო მის ერთ დროს ძლიერ ორგანიზმს. მოუსვენრად ტრიალებდა; ბოლოს, ჩემკენ შემობრუნდა და გარშემო ლოგინის თეთრეული შეისწორა. იდაყვით მისი საბნის ერთ ნაწილს ვეყრდნობოდი, ალბათ, დაბლა ვწევდი, რადგან მაშინვე გაჯავრდა:

— გასწორდით! — მითხრა მან. — ნუ მაღიზიანებთ თქვენი უხერხული ჯდომით. ვერ გრძნობთ, რომ საბანს იჭერთ? თქვენ ჯეინ ეარი ხართ?

— დიახ, ჯეინ ეარი გახლავართ.

— განა ვინმე დამიჯერებს, რაოდენი ტანჯვა გადამხდომია ამ ბავშვის გულისთვის. ეს რა ტვირთი შემატოვეს ხელში, რაოდენ აღშფოთებას ვიტანდი ყოველდღე და ყოველ საათს მისგან, მისი უმსგავსი საქციელით, უცაბედი სიანჩხლითა და დაუსრულებელი, არაადამიანური თვალთვალით ყოველ ნაბიჯზე. სრულიად თავისუფლად შემიძლია განვაცხადო, რომ ერთხელ ისე მელაპარაკა, როგორც ნამდვილი გიჟი; თითქოს ეშმა ჩასახლებოდეს სხეულში. ამქვეყნად, ალბათ, არც ერთ ბავშვს ასე არც ულაპარაკია და არც ისეთი გამომეტყველება ჰქონია სახეზე, როგორიც მას ჰქონდა მაშინ. ძალიან გამიხარდა, რომ თავიდან მოვიშორე. რა დაემართა მას ლოვუდში? როგორც შევიტყვე, იქ ტიფი მძვინვარებდა ერთხანს და მრავალი მოწაფე იმსხვერპლა. ჯეინი, როგორღაც, გადაურჩა ავადმყოფობას, არ მომკვდარა, მაგრამ მე განვაცხადე, გარდაიცვალა-მეთქი. მინდოდა ასე მომხდარიყო და იმიტომ!

— უცნაური სურვილია, მისის რიდ, რატომ გეჯავრებათ თქვენ ის ასე ძალიან?

— მისი დედაც მძულდა ყოველთვის, ის ხომ ჩემი მეუღლის ერთადერთი და იყო და მასაც თავდავიწყებით უყვარდა. მახსოვს, როგორი თავგამოდებით იცავდა და რაოდენ წინააღმდეგობას უწევდა ოჯახს, როდესაც მათ ამ ქალის საქციელი დაგმეს, თუმცა — კანონიერი ქორწინების გამო. მისი სიკვდილის ამბავმა კი იმდენად იმოქმედა მასზე, რომ მიამიტი ბალღივით ქვითინებდა. შემდეგ ბავშვის მოსაყვანად გაგზავნა კაცი, თუმცა დაჟინებით ვთხოვდი, ბავშვი ძიძისთვის დაგვეტოვებინა და შესანახი თანხა გადაგვეხადა. დავინახე თუ არა ბავშვი, მაშინვე შემძულდა. ავადმყოფურად მტირალა, მოწუწუნე არსება, მთელი ღამე გაუთავებლად ჩხაოდა აკვანში. არასოდეს სხვა ჯანმრთელი ბავშვივით არ ტიროდა. აუცილებლად ღნაოდა და კვნესოდა. რიდს ებრალებოდა ის. ისე უვლიდა და იმდენ მზრუნველობას იჩენდა, თითქოს საკუთარი ყოფილიყოს, მგონია, უფრო მეტადაც. საკუთარ შვილებს ოდნავ თუ აქცევდა ყურადღებას ასეთ ასაკში. ის გამუდმებით ცდილობდა, მის საკუთარ შვილებს გულით შეეყვარებინათ ეს პაწაწინა მათხოვარი, მაგრამ ჩემი პატარები დასანახავადაც ვერ იტანდნენ მას. ის კი ბავშვებს უწყრებოდა, რადგან ისინი სიძულვილს ვერ ფარავდნენ. როდესაც, საბოლოოდ, ლოგინად ჩავარდა, გამუდმებით მოითხოვდა, ბავშვი მასთან მიეყვანათ, ხოლო სიკვდილამდე ერთი საათით ადრე ფიცი დამადებინა, რომ ბავშვი შემენახა. განა ჩემთვის სულერთი არ იყო, ამ ბავშვისა თუ სამოწყალო სახლიდან გამოყვანილი მაწანწალის აღზრდას დამავალებდნენ? მაგრამ მისტერ რიდი ბუნებით სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო. მოხარული ვარ, რომ ჯონი არ ჰგავს თავის მამას. ის მე და ჩემს ძმებს გვგავს ხასიათით, ნამდვილი გიბსონია! ძალიან მინდა შეწყვიტოს ჩემი წამება და წერილებით ფულის თხოვნა. მეტი ფული აღარ მაქვს, რომ ვაძლიო, თანდათან ვღარიბდებით. ნახევარზე მეტი მსახურები უნდა დავითხოვო და სახლის ერთი ნახევარი გამოვკეტო ან გავაქირაო. მაგრამ მე ხომ ამას არასოდეს ჩავიდენ. მაშ, როგორ უნდა ვიცხოვროთ? ჩემი შემოსავლის ორი მესამედი კრედიტორების სასარგებლოდ იხარჯება. ჯონი მეტად აზარტულად თამაშობს და ყოველთვის აგებს. საცოდავი ბიჭი! ის გაიძვერებითაა გარშემორტყმული. ჯონი ჩავარდა, ოჰ, როგორ დააბეჩავეს და მიწასთან გაასწორეს! გამომეტყველება საშიში გაუხდა. მე მრცხვენია მის მაგიერ, როდესაც ვნახულობ.

— ის თანდათან უფრო ღელავს, უმჯობესია, დავტოვოთ ახლა, — მივმართე ბესის, რომელიც საწოლის მეორე მხარეს იდგა.

— შესაძლებელია, უმჯობესი იყოს, მის, ის საღამოობით ყოველთვის ასე ბევრს ლაპარაკობს, დილით კი უფრო დამშვიდებულია.

წამოვდექი.

— შეჩერდი! — წამოიძახა მისის რიდმა. — კიდევ მინდოდა სხვა რამის თქმაც. ის მემუქრება, დაუსრულებლად მემუქრება, რომ ან თავს მოიკლავს, ან მე მომკლავს. ხანდახან სიზმარში ვხედავ, ყელში დიდი ჭრილობა აქვს და დაბლა გდია. ხან კი მისი შეშუპებული და გაშავებული სახე მელანდება. რაღაც განსაცდელი მელის, მძიმე მოვალეობა მაკისრია. რა ვქნა? როგორ ვიშოვო ფული?

ბესიმ ბევრი იწვალა, როგორმე დაერწმუნებინა მისის რიდი, რომ ნერვების დასამშვიდებელი წვეთები მიეღო. წამალი დალია თუ არა, ოდნავ დამშვიდდა, თვლემა დაიწყო და მეც იქაურობა დავტოვე.

ათ დღეზე მეტმა გასტანა, სანამ კვლავ გაიმართებოდა საუბარი ჩვენ შორის. ამ ხნის განმავლობაში მისის რიდი ხან ბოდავდა და ხან ლეთარგიულ ძილს ეძლეოდა. ექიმმაც მკაცრად აკრძალა ყოველივე, რასაც შეეძლო მისი ნერვული აფორიაქება გამოეწვია. ამასობაში, მე როგორღაც შევეთვისე ჯორჯიანასა და ელიზას, თუმცა პირველად ისინი ძალიან ცივად შემხვდნენ. ელიზა შუადღემდე ან კერვით იყო გართული, ან კითხულობდა. ხანდახან რაღაცას წერდა კიდეც. ძლივს თუ გამოიმეტებდა ერთ ან ორ სიტყვას ჩემი და ჯორჯიანას მისამართით. ჯორჯიანა კი საათობით მხოლოდ თავის იადონზე ჰყვებოდა სულელურ ამბებს და ყურადღებას სრულებით არ მაქცევდა. გადავწყვიტე, არ დავბნეულიყავი, სამუშაოც გამეჩინა და გასართობიც. თან ჩამოვიტანე სახატავი ალბომი, ყველა საჭირო ხელსაწყო და ორივე ძალიან გამომადგა.

ფანქრებითა და რამდენიმე ცალი სახატავი ფურცლით ხელში მათგან მოშორებით სარკმელთან ვიჯექი და წამიერად ოცნებაში წარმოდგენილ სურათებს ვხატავდი. ისინი ჩემი გონების კალეიდოსკოპში სწრაფად იქმნებოდნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. უცებ წარმომესახებოდა ორ კლდეს შუა მომწყვდეული ზღვის ყურე, ამომავალი მთვარე, რომლის ნათელ დისკოს გემი შუაზე ჭრის; შამბნარად ქცეული ლერწმისა და

წყლის შროშანები, რომელთა შორის ლოტოსის ყვავილებით შემკულ ნაიადას თავი წამოუყვია; ან კიდევ წყლის ფერია, რომელიც ბელურას ბუდის ნაპირზე ჩამომჯდარა, წითლად აყვავებული კუნელის ტოტებქვეშ.

ერთ დილას გადავწყვიტე, ადამიანის სახე დამეხატა, მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ის, ჯერ კიდევ არ ვიცოდი და არც ვზრუნავდი ამაზე. ავიღე შავი, რბილი ფანქარი, ფართოდ წავუთალე წვერი, და მუშაობა დავიწყე. მალე ქაღალდზე მოვხაზე ფართო და წინ წამოწეული შუბლი, სახის ქვედა ნაკვთთა კუთხოვანი მოყვანილობა. სახის იერმა სიამოვნება მაგრძნობინა. თითები ენერგიულად ამოძრავდნენ, რომ ყოველი ნაკვთი სრულყოფილი გამოეყვანათ. ამ შუბლის ქვეშ უნდა დამეხატა: შავი და გრძელი წარბები, ფართო ნესტოების გამყოფი, კარგად გამოკვეთილი, სწორი ცხვირის ძვალი, მეტყველი და ხორცშესხმული ბაგე; ძლიერებისა და შეუდრეკლობის გამომხატველი ნიკაპი, რომელსაც ქვემოთ, სწორედ შუა ადგილას მკვეთრად ემჩნეოდა გამყოფი ღარი; შავი ულვაში და ყორნისფრთისფერი თმა, ოდნავ ხვეული საფეთქლებთან და ტალღისებურად წყობილი — შუბლის ზემოთ. რაც შეეხება თვალებს, გადავწყვიტე, ისინი ბოლოს დამეხატა. თვალები ჩემგან ყველაზე ფრთხილ მუშაობას მოითხოვდნენ. დავხატე დიდი თვალები ლამაზი ჭრილით, წამწამები — გრძელი და მუქი, თვალის გუგები კი — ფართო და მოციმციმე. „კარგი! მაგრამ ეს ის არ არის, რაც განზრახული მქონდა!“ გავიფიქრე ჩემთვის, როდესაც დამკვირვებლის თვალით შევამოწმე, რა შთაბეჭდილებას ახდენდა სურათი. ამ თვალებს მეტი ძალა და მეტყველება სჭირდებოდათ. ჩრდილები ჩავამუქე, რათა მათ ბრწყინვალება მომატებოდათ. ორი-სამი მოსაზრებული შტრიხიც და ჭეშმარიტი გამარჯვება მოვიპოვე. ახლა ჩემ თვალწინ ნაცნობი მეგობრის სახე გამოჩნდა. ამიერიდან რაღას უნდა ნიშნავდეს, თუნდაც ამ ახალგაზრდა ქალბატონებმა პირი იბრუნონ ჩემგან? სურათს დავყურებდი და აღუწერელი მსგავსების გამო ვიღიმებოდი. მისმა მზერამ მთლად შთანმთქა და დიდი კმაყოფილებაც მომანიჭა.

— ეს ვინმე თქვენი ნაცნობის სურათია? — შემეკითხა ელიზა, რომელიც სრულიად შეუმჩნევლად მოსულიყო ჩემთან ახლოს. მე კი ვუპასუხე, მხოლოდ უბრალოდ, ოცნებით წარმოდგენილი სახეა-მეთქი, და ავჩქარდი, როგორმე სხვა ფურცლების ქვემოთ შემემალა. რასაკვირველია, ვიცრუე. სინამდვილეში, ის ხომ მისტერ როჩესტერის სურათი იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას ან მისთვის, ან ვინმე სხვისთვის, გარდა ჩემი საკუთარი თავისა. ჯორჯიანაც მოგვიახლოვდა და დააცქერდა. სხვა სურათებს ის აღტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ მის სურათს კი „გონჯი მამაკაცი“ უწოდა. ორივე განცვიფრებულნი იყვნენ ჩემი უნარით. მე, ჩემი მხრივ, შევთავაზე, რომ, თუ ნებას დამრთავდნენ, მათ პორტრეტებსაც დავხატავდი. მართლაც, ისინი რიგრიგობით ისხდნენ, რომ ფანქრით კონტურები მომეხაზა. ჯორჯიანამ თავისი ალბომი შემომთავაზა. მეც დავპირდი, რომ მასში წყლის საღებავებით შევასრულებდი რამეს. ამან ის კარგ გუნებაზე დააყენა და მთხოვა, ბაღში გაგვესეირნა. ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ ჩვენ შორის უკვე მეტისმეტად გულწრფელი საუბარი გაიმართა: ჯორჯიანა მიყვებოდა იმ შესანიშნავ ზამთარზე, რომელიც ორი წლის წინათ ლონდონში გაეტარებინათ; იმ საერთო აღტაცებაზე, რაც მის იქ ყოფნას გამოეწვია და იმ დიდ ყურადღებაზე, რომელიც იქ მიეღო. გადაკვრით მელაპარაკა აგრეთვე ვიღაც მაღალი წოდების პირთან დამოკიდებულების შესახებ. ნაშუადღევს და საღამო ხანს კი ეს გადაკრული სიტყვები უფრო ნათელი გახდა. ნაზად, ნაირფერი ფორმის საუბრითა და სენტიმენტალური სცენებით გადმოსცემდა ამბებს. ერთი სიტყვით, იმ დღეს მე მოვისმინე ვრცელი რომანი მაღალი საზოგადოების ცხოვრებიდან. მისი აღსარება ყოველდღიურად იცვლებოდა და ახლდებოდა, მაგრამ მისი საუბარი მუდამ ერთ თემას შეეხებოდა: საკუთრივ მას, მის სიყვარულსა და მისსავე მწუხარებას. რასაკვირველია, არასოდეს ახსენებდა დედის ავადმყოფობას ან ძმის სიკვდილს, არც ოჯახის მძიმე მდგომარეობას ითვალისწინებდა, რომელიც მომავალში მოელოდათ. ჩანდა, მისი სული მოუთმენლად შთაენთქა მოგონებებს, წარსულ ბედნიერებასა და სიხარულს; ახლა კი ბედნიერი მომავლის მოახლოებაზე ოცნებობდა. ის ყოველთვის მხოლოდ ხუთი წუთით შემოდიოდა ავადმყოფი დედის ოთახში, ეს იყო და ეს.

ელიზა ძველებურად სიტყვაძვირობდა. ცხადად ჩანდა, დრო არ რჩებოდა სალაპარაკოდ. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს მასზე უფრო მოუცლელი ადამიანი, თუმცა ძნელია გითხრათ, სახელდობრ, მაინც რას აკეთებდა. ნეტა, ერთხელ მაინც მენახა ამ გულმოდგინე შრომის შედეგი! დილით ადრე, მაღვიძარას ხმაზე დგებოდა. არ ვიცი, საუზმემდე რას საქმიანობდა, მაგრამ მის შემდეგ ყოველი წუთი უკვე ზუსტად ჰქონდა განაწილებული. თითოეული საათი გარკვეულ ამოცანას შეიცავდა. დღეში სამჯერ ის სწავლობდა რაღაცას ერთი პატარა წიგნიდან; როგორც დათვალიერების შემდეგ აღმოვაჩინე, ეს იყო ჩვეულებრივი ლოცვების წიგნი. მახსოვს, ერთხელ ვკითხე კიდეც, რა უფრო იტაცებდა ამ წიგნში, და პასუხად მივიღე: სათაურები და მითითებანი ღვთისმსახურების ზოგიერთი წესის შესახებო. დღეში სამ საათს ის ოქროსფერი ძაფის ფოჩების შემოვლებას უნდებოდა მეწამული ქსოვილის ნაპირებზე, რომელიც იმდენად დიდი იყო, რომ ხალიჩად გამოდგებოდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ რაში უნდა გამოეყენებინათ ის, მიპასუხა, რომ გეიტსჰედის ახლოს ახალაშენებულ ეკლესიაში საკურთხევლის გადასაფარებელ სუფრად უნდოდა. ორი საათის განმავლობაში დღიურს წერდა; შემდეგ ორ საათს ბოსტანში მუშაობდა, ერთი საათი კი საშემოსავლო ანგარიშს აწესრიგებდა. ჩანდა, არც

საზოგადოება ესაჭიროებოდა და არც ვინმესთან საუბარი. დარწმუნებული ვიყავი, თავს ასედაც ბედნიერად გრძნობდა. დროის ასეთი გადანაწილება აკმაყოფილებდა და არც არაფერს შეეძლო გაეღიზიანებინა ისე, როგორც ისეთ შემთხვევას, რომელიც აიძულებდა და ასე განაწილებულ დროს შეაცვლევინებდა.

ერთ საღამოს ელიზა ჩვეულებრივზე უფრო მეტად კეთილგანწყობილი იყო ჩემდამი და მითხრა, რომ ჯონის საქციელსა და ოჯახის დაღუპვის მომავალ საშიშროებას ძალიან დიდი გავლენა მოეხდინა მასზე.

— ახლა, — დასძინა მან, — ყველაფერი გავაანალიზე და გადაწყვეტილებაც მიღებულია.

მან იზრუნა და შეძლო საკუთარი ქონების გადარჩენა და დედამისის გარდაცვალების შემდეგ (წარმოუდგენელია, მან კიდევ იცოცხლოს ან გამოკეთდესო, — სრულიად მშვიდად წარმოთქვა ეს სიტყვები) განახორციელებს თავისი დიდი ხნის გულის წადილს — მოძებნის მშვიდსა და განმარტოებულ თავშესაფარს, სადაც საღვთო წესების მუდმივი და ზუსტი დაცვით შეძლებს ყველა ამქვეყნიური შფოთვა თავიდან აირიდოს, გარდაუვალი ზღვარი დადოს მასა და ამ ფუქსავატ სამყაროს შორის.

ვკითხე, ჯორჯიანაც თუ აპირებდა მასთან ერთად წასვლას.

— რასაკვირველია, არა.

ჯორჯიანას და მას არაფერი ჰქონდათ საერთო და არც არასოდეს ჰქონიათ. არავითარ ძალას არ შეეძლო დაერწმუნებინა ის, რომ თავისი დის სახით ასე მძიმე ტვირთის ზურგზე წამოკიდება ეკისრა. ჯორჯიანას თავისი გზა ჰქონდა, ელიზას — თავისი.

ჯორჯიანა დროის უმეტეს ნაწილს დივანზე წამოწოლილი ატარებდა, თუ თავისი გულის ზრახვებს არ მიზიარებდა. მას აწუხებდა ამ სახლის მუდმივი მდუმარება და მოწყენილობა. მხოლოდ იმაზეღა ოცნებობდა, რომ ძალუა გიბსონს ხშირ-ხშირად გამოეგზავნა მიწვევის ბარათები ქალაქიდან.

— რამდენად კარგი იქნება ჩემთვის, — ამბობდა ის ხშირად: — ერთი ან ორი თვით გამგზავრება, სანამ ყველაფერი დამთავრდებოდეს.

არ მიკითხავს, რას გულისხმობდა „ყველაფრის დამთავრებაში“, მაგრამ, ვფიქრობ, ის უთუოდ დედის მოსალოდნელ სიკვდილსა და დასაფლავების მოსაწყენ ცერემონიალს გულისხმობდა. ელიზა, ჩვეულებრივ, ყურადღებას აღარ აქცევდა დის უსაქმურობასა და გულის გამაწვრილებელ ჩივილს, თითქოს ეს მობუზღუნე, უქმად დროის მატარებელი არსება მის თვალწინ არც ყოფილიყო. ერთ დღეს კი მან, გადადო თუ არა თავისი საშემოსავლო წიგნი და გაშალა საქარგავი, ასეთი სიტყვებით მიმართა ჯორჯიანას:

— ჯორჯიანა! ჯერ დედამიწის ზურგი არ დაუმძიმებია შენზე უფრო დიდების მოყვარულსა და მაცდურ პირუტყვს. შენ უფლება არ გქონდა, გაჩენილიყავი. ამ ქვეყნისთვის მხოლოდ ზედმეტი ბარგი ხარ. იმის მაგიერ, რომ იცხოვრო ამქვეყნად, შენს ქერქში დაეტიო და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეს, როგორც ეს გონიერ არსებათა წესია, ცდილობ, შენი სისუსტე და უღონობა სხვა ვინმე ძლიერს მოახვიო თავზე და, თუ ვერავის იპოვი ისეთს, ვინც ტვირთად აგიკიდებს ასეთ მძიმე, დონდლო, უხერხემლო და სრულიად გამოუყენებელ ნივთს, მაშინ მოჰყვები ტირილს, რომ ცუდად გეპყრობიან, მიგატოვეს და გაგაუბედურეს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ასე გგონია, არსებობა განცდების განუწყვეტელი ცვლა უნდა იყოს შენთვის. თუ არა და, ეს ქვეყანა მიწისქვეშა საპყრობილედ მიგაჩნია. შენ უნდა გეთაყვანებოდნენ, გეალერსებოდნენ, სიყვარულს გიხსნიდნენ და მლიქვნელობდნენ შენ წინაშე. შენ ირგვლივ თავს უნდა იყრიდეს საზოგადოება. შენთვის აუცილებელია მუსიკა, ცეკვა, ხოლო, თუ ეს ყველაფერი არა გაქვს, გულის გამაწვრილებელ წუწუნს იწყებ, სასოწარკვეთილებას ეძლევი და აქეთ-იქით აწყდები. ნუთუ მეტი მოსაზრების უნარი არ გაგაჩნია, ისე მოაწყო შენი ცხოვრება, რომ დამოუკიდებელი იყო. სხვის სურვილებსა და მიზნებს არ დაექვემდებარო და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეს. თუნდაც ერთი დღე აიღე და ისე გაანაწილე, რომ დღის თითოეული ნაწილი რაიმე გარკვეულ ამოცანას შეიცავდეს. უსაქმოდ ნუ გაატარებ თუნდაც ერთ წუთს. გამოიყენე ყოველი წამი. ყველა საქმიანობას თავისი დრო მიუჩინე, დადგენილ წესს არ გადაუხვიო. ყველაფერ ამას მკაცრი სიზუსტით უნდა იცავდე და დღე ისე დამთავრდება, ვერც კი შეიტყობ, არც დაუცდი დახმარებას, რომ როგორმე თავიდან უსაქმო წუთები აიცილო, არც საზოგადოება დაგჭირდება, არც საუბარი, არც თანაგრძნობა და არც მხარდაჭერა. ერთი სიტყვით, იცხოვრებ ისე, როგორც უნდა ეცხოვრა დამოუკიდებელ არსებას ამქვეყნად. მიიღე ეს რჩევა; პირველად და უკანასკნელად გირჩევ. რაც უნდა მოხდეს, არც მე დაგჭირდები და არც სხვა. თავი ანებე ყოველივე ძველს, მაგრამ თუ ისევ განაგრძობ წუწუნსა და უქნარობას, შენივე თავქარიანობით გამოწვეული მძიმე განცდებით დაიტანჯები. სრულიად აშკარად გიცხადებ და ყური მიგდე: არასოდეს გავიმეორებ იმას, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, მაგრამ მტკიცედ ვიმოქმედებ. დედაჩემის სიკვდილის შემდეგ შენზე ხელს ვიღებ. სწორედ იმ დღიდან, როდესაც გეიტსჰედის ეკლესიის აკლდამაში მის კუბოს შევასვენებთ, ჩვენ ისე განვშორდებით ერთმანეთს, თითქოს არასოდეს გვცნობოდეს ერთმანეთი. ამასთანავე, გაფრთხილებ: ნუ იფიქრებ, რადგან ერთი დედ-მამის შვილები ვართ, ოდნავ მაინც შეგიბრალო და შევისმინო შენი მცირედი თხოვნაც კი. ესეც იცოდე: კაცობრიობაც რომ აღიგავოს პირისაგან მიწისა და მთელ ქვეყნიერებაზე მხოლოდ მე და შენ ორნი გადავრჩეთ, შენ იმ ძველ სამყაროში მიგატოვებ და ახლისკენ გავეშურები.

ის დადუმდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# 11 ათასი საათი ჰაერში

**„ხუთი წლის წინ, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა, რომ ადამიანს ასე თავისუფლად შეეძლებოდა ჰაერში თარეში. ის, რაც ოცნებას წარმოადგენდა, უკვე სინამდვილედ იქცა... ჩვენმა საზოგადოებამ იცის, რომ ბესარიონ ქებურიამ ააწყო საფრენი მანქანა: მეტად მსუბუქი, ჰაერში კოხტად დასრიალებს და ქართან გამკლავებაც შეუძლია, რადგან მოძრავი ფრთები აქვს...“, — წერდა 1912 წელს გაზეთი „თემი“ პირველ ქართველ მფრინავ-კონსტრუქტორზე... ალბათ, მაშინ მხოლოდ ქართული ავიაციის ფუძემდებელს წარმოედგინა, რომ წლები გავიდოდა და ჩვენი ქვეყნის თავზე, მისი შექმნილი პირველი კონსტრუქციის ბევრად დახვეწილი და გაუმჯობესებული მფრინავი ობიექტები გადაადგილებისა თუ ქვეყნის საზღვრების დასაცავად ერთ-ერთ კომფორტულ საჰაერო ტრანსპორტად იქცეოდა...**

## 82 წლის სამხედრო მფრინავის ცხოვრების გზა

თორნიკე ყაჯრიშვილი

1977 წელს, მაშინ, როცა გიორგი დანელია ლეგენდარულ „მიმინოს“ იღებდა და თბილისის ცაზე ვალიკო მიზანდარის „პეპელა“ დაფრინავდა, საბჭოთა პერიოდში ყველა ძალოვან სტრუქტურას უკვე საკუთარი ავიცია ჰქონდა.

საბჭოთა სასაზღვრო ჯარების ავიაციის ჯგუფის შექმნა სამხრეთ კავკასიაში პირველად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, პრიშიბის აეროდრომზე ცალკეული საავიაციო რგოლების ჩამოყალიბებით, 1962 წელს დაიწყო. მაშინ საავიაციო რგოლის შეიარაღებაში „მი-4“ ტიპის რამდენიმე შვეულმფრენი შედიოდა, რომელთა ეკიპაჟებს განგაშის სიგნალზე გაფრენა ევალებოდათ, საზღვრის დამრღვევთა აღმოსაჩენად კასპიის ზღვის სანაპიროსთან, სადაც საბჭოთა კავშირი ირანს ესაზღვრებოდა. სამი წლის შემდეგ, პრიშიბის საავიაციო რგოლის ბაზაზე შეიქმნა სასაზღვრო ჯარების ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ცალკეული საავიაციო ესკადრილია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა სასაზღვრო ჯარების გენერლები ხვდებოდნენ, რომ პრიშიბის აეროდრომიდან ძალზე გაუჭირდებოდათ შავი ზღვისა და თურქეთ-საქართველოს საზღვრის გაკონტროლება. ამიტომაც, 1972 წელს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ კავკასიის შუაგულში ანუ თბილისში უნდა შექმნილიყო მე-12 ცალკეული სასწავლო-საავიაციო პოლკი. ამ პოლკის ერთი ესკადრილია აზერბაიჯანში, პრიშიბში დარჩა, მეორე თბილისში, „ალექსეევკაში“, მესამე კი ქობულეთის აეროდრომზე განთავსდა.

საბჭოთა კავშირისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრის საქართველოს მონაკვეთზე, 1974 წელს ვიღაც გადმოვიდა და მესაზღვრეებს მაღალ ბუჩქნარში დაემალა. მის მოსაძებნად გაგზავნილი შვეულმფრენის ეკიპაჟის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ჯემალ ძნელაძემ საფრენი აპარატი ბუჩქნარის თავზე რამდენიმე მეტრ სიმაღლეზე დასწია და წარმოქმნილმა ქარბორბალამ საზღვრის დამრღვევის ადგილსამყოფელი გამოაჩინა...

ჯემალ ძნელაძე დღეს 82 წლის არის და სიბერის წლებს მშობლიურ ბათუმში ატარებს. უკვე 32 წელია, „მიწიერ კაცად“ ითვლება. არადა, წლების წინ ცაში უფრო მეტ დროს ატარებდა, ვიდრე მიწაზე... მის სახელს არაერთი გადარჩენილი სიცოცხლე და კეთილი საქმე უკავშირდება...

ავიაგამანადგურებლების, ბომბდამშენების ფრთოსანი რაკეტმზიდებისა და ვერტმფრენების მართვის დიდოსტატს, ავღანეთის ომის ვეტერანს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს. ჩვენი ინტერვიუ სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია, აღარ მუშაობს, საიდუმლო ფრენებსა და მისიებზე საუბარი ახლაც არამართებულად მიაჩნია.

მაშინ, როცა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა, ქართველმა კაცმა პოლკოვნიკობას მიაღწია. უშიშროების დაცვის ჯარი და მთელი სამხრეთის საზღვრის საჰაერო დაცვის კონტროლი მას მიანდეს...



თავდაუზოგავი შრომის წყალობით, ჩემთვის დიდი ავიაციის კარი გაიღო

**ჯემალ ძნელაძე:**

— 1933 წლის 25 აგვისტოს სუფსაში დავიბადე. ბათუმში ვიზრდებოდი. პატარას მეზღვაურობა მინდოდა. ერთ ზაფხულს ჩემი მეგობარი თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდა. ის ჭიჭიკო ბენდელიანის სკოლაში სწავლობდა და იმდენი მელაპარაკა ავიაციაზე, მფრინავებზე, რომ 13 წლისამ უკვე ზუსტად ვიცოდი, მფრინავი უნდა გამოვსულიყავი. მეც ჭიჭიკო ბენდელიანის ავიაციის სკოლა დავამთავრე. შემდეგ, რამდენიმე წელი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში ვეუფლებოდი სხვადასხვა საფრენი აპარატის მართვას. ბოლოს სევასტოპოლში, „შავი ზღვის ავიაციაში“ ვსწავლობდი. თავდაუზოგავი შრომის წყალობით, ჩემთვის დიდი ავიაციის კარი გაიღო. თავიდანვე სამხედრო მფრინავობა მინდოდა, სამოქალაქო ავიაციაში წასვლაზე არასდროს მიფიქრია. მიუხედავად იმისა, რომ მამა პროკურორი იყო და ალბათ ოჯახში ფიქრობდნენ, რომ მეც მის გზას ავირჩევდი, ოჯახის წევრებმა ჩემს არჩევანს პატივი სცეს... ფრენა — ეს არის ავადმყოფობა! თუ ერთხელ „მოიწამლე“, ჩათვალე, რომ მთელი ცხოვრება ვერ გამოჯანმრთელდები. მიუხედა-

ვად იმისა, რომ ჩემს საქმიანობას დიდი ხანია, ჩამოვშორდი, ამ ასაკშიც გაფრენის საოცარი სურვილი მაქვს. ხშირად მესიზმრება, რომ დავფრინავ. მეფიქრება ხოლმე განვლილ ცხოვრებაზე და ასეთ დროს, ყველაზე გამორჩეულად ავლანეთი მახსენდება. ეს იყო ყველაზე საინტერესო, რისკის შემცველი და აზარტული დღეები ჩემს ცხოვრებაში. ბევრჯერ ჩამიხედავს სიკვდილისთვის თვალებში, მაგრამ არასდროს მინანია პროფესიული არჩევანი.



ისევ ფრენაზე ოცნებობს. ახლაც ხმით ცნობს, რომელი თვითმფრინავი რა მიმართულებით და რამდენ მეტრ სიმაღლეზე მიფრინავს

**ცირა ძნელაძე,** *ჯემალ ძნელაძის მეუღლე:*

— 13 წლის იყო, სახლიდან რომ გაიპარა და თბილისში წავიდა, რათა ბენდელიანის სკოლაში ესწავლა. ძალიან უყვარს ის საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურა. ამას წინათ, ბავშვებს ეუბნებოდა: ბუზი არ მოკლათ, დაფრინავსო... 1970 წლიდან, ვერტმფრენის ჯგუფი, როგორც სასაზღვრო ესკადრილიის შემადგენლობის ნაწილი, მისი ხელმძღვანელობით ქობულეთში იყო დისლოცირებული. 1981 წელს ქობულეთიდან ავლანეთში წავიდა, სპეციალური დანიშნულების ცალკე საფრენოსნო ნაწილით. წავიდა მოხალისედ, მიუხედავად იმისა, რომ არ უშვებდნენ, — აქაც საჭირო ხარო. მონაწილეობდა ყველა დიდ საბრძოლო ოპერაციაში მოჯაჰედების წინააღმდეგ. 176 პირადი საბრძოლო გაფრენა ჰქონდა მფრინავ ტანკად წოდებულ „მი 24"-ით. მის სახელს არაერთი კეთილი საქმე უკავშირდება. ყოველთვის მხარში ედგა აჭარის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას. დიდთოვლობისა და ზვავების დროს, ვინ მოთვლის, რამდენი ავადმყოფი გადმოუფრენია ბათუმში სამკურნალოდ...

წლების განმავლობაში, დილის 4 საათზე დგებოდა და სამსახურში მიდიოდა. ძნელი ყოფილა მფრინავის ცოლობა. როცა სახლიდან გადიოდა, არ ვიცოდი, უკან დაბრუნდებოდა თუ ვერა. სულ ვღელავდი, ვნერვიულობდი. მაშინ მობილური ტელეფონი სად იყო და როცა სადმე უშვებდნენ, თანამშრომლებს გზავნიდა სახლში: კარგად ვარ და ერთ კვირაში დავბრუნდებიო. შინ სამსახურზე არასდროს ლაპარაკობდა... თურმე, ბევრჯერ გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ მაშინ ესეც არ ვიცოდი; ბოლო წლებია ძველ ამბებს იხსენებს. ერთხელ შევარდნაძე მიჰყავდა სადღაც. დაშვების დროს, ერთი საბურავი არ გახსნილა და ძლივს დაუსვამს საფრენ ბილიკზე. მერე ამბობდა, ეს იყო ყველაზე დიდი გამოცდა, მერე კი მსგავსი რამ ბევრჯერ მოხდაო. დიდი ავიაციიდან წამოსვლის შემდეგ, 1997 წლამდე ბათუმის აეროპორტის დირექტორად მუშაობდა. მაშინ ბათუმის აეროპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტი იყო, ხოლო მის განახლებაზე არავინ ზრუნავდა. ფინანსურად და ორგანიზაციულად სოხუმის გაერთიანებულ ავიარაზმში შედიოდა და მის მიერ იმართებოდა, მოგების დიდი ნაწილი მიჰქონდათ. ჯემალის სახელს უკავშირდება ბათუმის აეროპორტში არაერთი კარგი საქმე, მათ შორის, ათჯერ გადიდდა გამტარუნარიანობა, დაგრძელდა ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, აშენდა ავტოპარკი, აეროპორტის ტერიტორიას ბეტონის ლობე შემოავლეს და ა.შ.

აფხაზეთის ომის დროს, მოგეხსენებათ, ბევრი დევნილი შეიფარა აჭარამ. მათთვის აეროპორტში უფასო სასადილო მოაწყო. აეროპორტის დირექტორობის პერიოდში, ამერიკაში მიიწვიეს. იმ დროს ჯერ კიდევ ბილ კლინტონი გახლდათ აშშ-ის პრეზიდენტი. იქ შესთავაზეს სამუშაო, მაგრამ უარი თქვა, — საქართველოს გარდა ვერსად ვიცხოვრებო. 82 წლის არის და ისევ ფრენაზე ოცნებობს. ახლაც ხმით ცნობს, რომელი თვითმფრინავი რა მიმართულებით და რამდენ მეტრ სიმაღლეზე მიფრინავს. გული მწყდება, რომ დღეს ჩემი მეუღლე თითქმის აღარავის ახსოვს. ვფიქრობ, ასეთ ადამიანებს ჩვენი ქვეყანა უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს. ■

# მეზღაპრე გოგონას საინტერესო თავგადასავალი...

## ...და დაუვიწყარი შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან

**დაუვიწყარ ემოციებთან ასოცირდება ხოლმე რომელიმე დიდ, შენთვის საყვარელ მწერალთან შეხვედრა. გურამ დოჩანაშვილთან საუბარზე, მის გაცნობაზე ალბათ, ბევრი ოცნებობს. ახალგაზრდა ხელოვანს, კესანე გვეტაძეს კი არა მხოლოდ მასთან შეხვედრის, არამედ მისგან შექების ბედნიერება ხვდა წილად დაახლოებით 7-8 წლის ასაკში, როცა მწერალმა მისი ზღაპრები წაიკითხა და აღფრთოვანება ვერ დაფარა...**

ლიკა ქაჯაია

**კესანე გვეტაძე:**

— ძალიან ადრეული ასაკიდან დავიწყე შემოქმედებითი ცხოვრება. წლისა და 2 თვის ვიყავი, როცა დედამ ნახატი ძალიან შემიქო და მას მერე, ჩემს ნამუშევრებს ინახავდა. აქედან გამომდინარე, მაქვს ნახატების ძალიან მდიდარი კოლექცია. 6 წლიდან დავიწყე წერა: ჯერ ლექსებს ვწერდი, მერე ზღაპრებმა, ჩანახატებმა გამიტაცა. მეტწილად, მეზღაპრე ვარ. ჩემს შემოქმედებაში აუცილებლად შეამჩნევთ ინდივიდუალიზმს. ზღაპრები გაჯერებულია განსხვავებული პერსონაჟებით, საკუთარი, გამოგონილი ქვეყნებით, სავსეა ოპტიმიზმით, თავგადასავლებით; აღწერილია ურთიერთთანადგომის, ბრძოლისუნარიანობის, სიყვარულის ძალა და ა.შ. უკვე სამი კრებული მაქვს გამოცემული.

**— ცოტა არ იყოს ძნელია, ამ საუკუნეში შექმნა რაღაც ახალი, ღირებული და თან, შენს შემოქმედებაში ვინმეს ზეგავლენა არ იგრძნობოდეს...**

— თუმცა, სხვებიც ისე აფასებენ ჩემს ნამუშევრებს, როგორც ძალიან თვითმყოფადს. არც ერთი ზღაპრის გმირს არ ვიმეორებ...



გურამ დოჩანაშვილთან ერთად

**— ვინ არიან შენი ნაწარმოებებისა თუ ნახატების შემფასებლები?**

— ჩემი ნამუშევრები უკვე ძალიან ცნობილმა მწერლებმა, მხატვრებმა დადებითად შეაფასეს. ამის დასტურია ის უამრავი სერტიფიკატი თუ დიპლომი, რომელსაც შინ ვინახავ (კესანემ ფაილში კოხტად ჩაწყობილი, წლების მიხედვით დალაგებული სერტიფიკატებისა და დიპლომების შეკვრა დამილაგა მაგიდაზე)... ჩემი ზღაპრები წაიკითხა ბატონმა გურამ დოჩანაშვილმა. მასთან შეხვედრა და მისგან ქების მოსმენა — ეს საოცარი რამ იყო. ჩემი ნამუშევრები ასევე დადებითად შეაფასეს მწერალთა კავშირშიც — ბატონმა დავით მჭედლურმა, თამაზ წივწივაძემ... სწორედ მწერალთა კავშირის ინიციატივით გამოიცა ჩემი პირველი წიგნი. მითხრეს: საჭიროა, რომ ბავშვებმა წაიკითხონ შენი ზღაპრებიო. ახლა მეც მწერალთა კავშირის წევრი ვარ. დაუვიწყარია შეხვედრა გიგა ლორთქიფანიძესთან, რომელმაც ჩემი პიესები წაიკითხა და აღნიშნა, რომ საბავშვო პროფილის თეატრებში ამ პიესების დადგმა მართებული იქნებოდა. სამწუხაროდ, საჭირო ფინანსების უქონლობის გამო, ეს ვერ მოხერხდა.

*„გავეცანი ფენომენალური ბავშვის, 10 წლის კესანე გვეტაძის შემოქმედებას: ზღაპრებს, ჩანახატებს, პიესებს, ნახატებს... ჩემი ყურადღება ბუნებრივია, მიიპყრო კესანეს პიესებმა. ჩემი ღრმა რწმენით, ბავშვი უაღრესად ნიჭიერია, რაც სავსებით შესაძლებელს ხდის ამ პიესების დადგმას საბავშვო პროფილის თეატრებში. ამ საოცარ ბავშვს ყველანაირად სჭირდება ხელის შეწყობა, მატერიალური დახმარება, პირობების შექმნა მისი ტალანტის განვითარების, სათანადო განათლების მიღებისა და ჰარმონიული აღზრდისთვის.*

*თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე“.*



**— რაში გადგება ამდენი დიპლომი, სერტიფიკატი?**

— ეს არის ჩემი ისტორია. მიხარია, რომ ვიღაცებს მოსწონთ ჩემი ნახატები, საერთაშორისო მიღწევები კი ბიოგრაფიას მივსებს და როცა ამდენ სერტიფიკატს, დიპლომს ერთად შეკრულს ნახულობენ, ადამიანები შთაბეჭდილების ქვეშ ექცევიან. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, სამსახური მაინც არ მაქვს ანუ დიპლომები დასაქმებაში ვერ მეხმარება. სად არ მოვსინჯე საქმის დაწყება, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ეტყობა, ნათესავი უნდა მყავდეს სადმე, რომ დამასაქმონ, სხვანაირად ვერაფერს გავხდი. ძალიან მინდოდა ტელევიზიაში მუშაობა, მაგრამ ესეც არ გამოვიდა. თუმცა, ოპტიმისტი ვარ და ხვალინდელი დღის იმედს არასდროს ვკარგავ.

**— როგორც ვიცი, ნახატების პერსონალური გამოფენაც გქონდა...**

— უკვე 4 პერსონალური გამოფენა მქონდა და მხატვართა კავშირის წევრიც ვარ... სხვათა შორის, გამოცემულია ჩემი ნახა-

ტების კატალოგები, სადაც შესულია ის ნამუშევრები, რომლებიც საერთაშორისო ფესტივალებზე გაიგზავნა. ბოლო გამოფენაზე 22 ნამუშევარი გავიტანე... ნახატების პირველი გამოფენა მოეწყო პირველი წიგნის პრეზენტაციასთან ერთად, „თეატრალურ სარდაფში".



კესანე დედასთან და დეიდასთან ერთად

ყოველთვის ძალიან შრომისმოყვარე ვიყავი. ბოლო გამოფენაზე დედაჩემის ნაქარგებიც გამოვიტანე. დედა — ნუნუ იაკობაშვილი თვითნასწავლი ხელოვანი იყო, ძალიან საინტერესოდ ქარგავდა. უნიკალური სურათები აქვს, საიდანაც დიდი სითბო მოდის.

*7 წლის იყო, როცა დახატა „უკვდავი კაშჩეი" და ბოლოს ფუნჯი ხელიდან გაუვარდა: შეეშინდა თავისივე ნახატზე გამოსახული მამაკაცის. დედამისმა თავიდან ამ ნახატის დახევა გადაწყვიტა, მერე გადაიფიქრა და შეინახა.*



მითხრა: შენ ხარ მწერალი? ეს წიგნი შენ დაწერეო?

— ეს ნახატი მთელი კვირა არ გვიხსენებია. ვიცოდი, რომ დედა მას „ზალაში" ინახავდა და ამიტომ, ამ ოთახში შესვლასაც ვერ ვბედავდი. ბოლოს, როგორც იქნა, შიში დავძლიე, ნახატთან მივედი და დავხედე. ეს ნამუშევარი წარმატებული აღმოჩნდა... თავისუფალი ხატვის წრეებზე კი დავდიოდი, მაგრამ იქ ჩემთვის არავის არაფერი უსწავლებია. უბრალოდ, იქიდან ნამუშევრებს ფესტივალებზე გზავნიდნენ და ამიტომაც დავდიოდი. სხვათა შორის, წარმატებები მქონდა. მაგალითად, ორი ნახატი ცნობილმა მუსიკოსმა, ვლადიმირ სპივაკოვმა წაიღო: ჯერ „უკვდავი კაშჩეი" და მერე — „ქრისტეს დაბადება". „ქრისტეს დაბადება" გაიყიდა საფრანგეთში და დღემდე ინახება მარინა ცვეტაევას მემკვიდრის კოლექციაში. მაშინ 7 წლის ვიყავი და მგონი, 50 დოლარი გადამიხადეს... „უკვდავმა კაშჩეიმ" კი მთელი მსოფლიო მოიარა. ნიუიორკშიც იყო გამოფენილი და ვაშინგტონშიც... მერე ჩემი ნამუშევრები გაგზავნეს ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო გამოფენაზე და ჩემი ნახატი ამ კომიტეტის მუზეუმში ინახება, სერტიფიკატიც მომივიდა. ნახატები წაიღეს ასევე, ეგვიპტის ბიენალეზე, ბულგარეთშიც, სადაც ევროპის დედაქალაქების პედაგოგთა კონფერენცია გაიმართა და იქიდან პირველი ხარისხის დიპლომი ჩამომიტანეს და ა.შ...



მამა ისე მეთამაშებოდა, როგორც თანატოლს

**— ამდენს რომ შრომობ, მატერიალურად თუ ხარ უზრუნველყოფილი?**

— მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი ნამუშევარი მაქვს და ახლაც ჩაფიქრებული იყო ჩემი ზღაპრების ახალი კრებულის გამოცემა, ფინანსური პრობლემების გამო, ეს საქმე შეჩერებულია. სამწუხაროდ, უფულობა ხელის შემშლელი ფაქტორია ხელოვანებისთვის. პროფესიით კინორეჟისორი ვარ. ვსწავლობდი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. მანამდე, ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლაში დავდიოდი და წარმატებულ კარიერასაც მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მერე რაღაც პრობლემები შემექმნა და ბალეტს შევეშვი... კინოგადაღება ძალიან მომწონს. ეკრანი წარმოსახვის მაცოცხლებელი ძალაა. მაქვს საინტერესო იდეები და ვფიქრობ, აუცილებლად გავაკეთებ იმას, რაც ჩაფიქრებული მაქვს.

**— რის გადაღებაზე ოცნებობ?**

— საშუალება რომ მქონდეს, ალბათ, დრამაზე შევაჩერებდი არჩევანს. თუმცა, შემიძლია იუმორისტულ ჟანრზე მუშაობაც, თრილერსაც გადავიღებდი... მთავარია, ხარისხიანი ნამუშევარი შექმნა და მასში შემოქმედებითი დონე იგრძნობოდეს.

*„როდესაც კესანე გვეტაძის ნიჭიერებაზე ვლაპარაკობთ, ეს უბრალო სიტყვები როდია. კესანეს ნიჭიერებაზე თვით მისი შემოქმედება მეტყველებს — 9 წლის ბავშვს შექმნილი აქვს იმდენი, რასაც ზოგჯერ ზრდასრული ვერ ახერხებს. ძნელი ჩამოსათვლელია პატარა ხელოვანის ტალანტების სია: მხატვარი, მწერალი, პოეტი, დრამატურგი და ვინ იცის, კიდევ სად გამოვლინდება კესანეს ნიჭი...*

*რუსუდან ფეტვიაშვილი".*

პატარა კესანე თურმე, ამბობდა, — შუბლი გამიცხელდაო და მისი ოჯახის წევრებმა იცოდნენ, რომ ასეთ დროს მას იდეები აწუხებდა. როცა წერდა ან დედას ჰკარნახობდა სიტყვებს ჩასაწერად, ასეთ დროს მის სამუშაო ოთახში შესვლა არავის შეეძლო.

— მამა 4 წლის წინ გარდაიცვალა, დედა კი იანვარში დავკარგე. მამა საკმაოდ ცნობილი მეცნიერი, არქეოლოგი, ასირიოლოგი ჯემალ გვეტაძე გახლდათ. ძალიან საინტერესო ნაშრომები ჰქონდა, ბევრი არქეოლოგიური ძეგლის აღმომჩენი გახლდათ. ჩემს მშობლებს დიდი

წვლილი მიუძღვით ჩემი, როგორც შემოქმედის განვითარებაში. ბავშვობაში, როცა ჯერ კიდევ წერა არ ვიცოდი, დედას ვკარნახობდი ზღაპრებს და ის იწერდა. ზოგჯერ იღლებოდა, რადგან ძალიან სწრაფად ვკარნახობდი, წყალივით მოდიოდა გონებიდან სიტყვები, მაგრამ მაინც არ წყვეტდა წერას. ძალიან თბილი მშობლები მყავდა. ქველმოქმედები იყვნენ და ბევრი ადამიანი ემადლიერებოდა მათ. თუმცა, ახლა ამაზე ლაპარაკი ალბათ, არ ღირს... მამა ჩემთვის მშობელიც იყო და ძმაც. ისე მეთამაშებოდა, როგორც თანატოლს. საოცარი ურთიერთობა გვქონდა...

*2001 წელს, კესანე, როგორც ყველაზე პროდუქტიული პატარა შემოქმედი და მრავალი ზღაპრის ავტორი, გინესის მსოფლიო რეკორდებზე იყო წარდგენილი საქართველოს პარლამენტის მიერ. პასუხიც მოუვიდათ უცხოეთიდან და, გოგონას ნიჭიერება რომ ელიარებინათ, დამატებით რამდენიმე საბუთი მოითხოვეს. ყველაფერი შეგროვდა და თითქოს, კესანეს სახელი რეკორდსმენთა სიაშიც უნდა შეეტანათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვიღაცამ ამ საქმეს რაღაც დააკლო და საბუთებს ადრესატამდე არ ჩაუღწევია.*

*„სიამოვნებით გავეცანი მშვენიერი, პატარა გოგონას პირველ კრებულს „მზე, ყვავილები და გოგონა“... მრავალმხრივი ნიჭი, ინდივიდუალობა და ნათელი გონება გამოსჭვივის მის თითოეულ ზღაპარსა თუ ნახატში. კესანემ თითქოს, თავისივე ზღაპრებიდან, ნახატებიდან გადმოაბიჯა და ჩვენ უსაზღვრო სითბო, სიკეთის გამარჯვების რწმენა და საოცარი სილამაზე მოგვიტანა... საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, ლევან ბერძენიშვილი“.*

— ვიყავი საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტიც. ძალიან კარგად მახსოვს ის დღე, როცა ჩვენთვის ღონისძიება მოაწყვეს. ეს იყო 1999 წელს, ჯერ „მეტეხი პალასში“, მერე — კონსერვატორიაშიც. ჩემთვის ეს დიდი სტიმული იყო და ცხადია, პასუხისმგებლობაც, ინსპირაციის წყაროც. მახსოვს, ბატონმა ედუარდმა რომ დამინახა, მოვიდა და მითხრა: შენ ხარ მწერალი? ეს წიგნი შენ დაწერეო? გაუკვირდა, მის წინაშე ძალიან პატარა გოგონა რომ ვიდექი... ჩემი პირველი წიგნი 8 წლის ასაკში გამოსცეს... კარგად მახსენდება შეხვედრა პატრიარქთან: გაზეთ „ნერგთან“ არსებული სწავლულ ბავშვთა დარბაზი არსებობდა, რომლის წევრებიც საზოგადო მოღვაწეებს ვხვდებოდით ხოლმე და ამ პროექტის ფარგლებში შევხვდით პატრიარქსაც. მახსოვს, დამლოცა,



ბოლო გამოფენაზე დედაჩემის ნაქარგებიც გამოვიტანე

რამაც ძალიან გამახარა. შევხვდი ტონინო გუერასაც, რომელსაც ჩემი წიგნი ვაჩუქე და მთელი საღამო ხელიდან არ გაუგდია. ნახატები რომ დაათვალიერა, მეხუმრა: ხატვა შენგან უნდა ვისწავლოო. თვითონაც ხატავდა...

დაბოლოს, ჩემი ბავშვობის კარგი მოგონებებიდან მახსოვს ის დღე, როცა ჩემს ჩასაწერად ოთხი ჟურნალისტი ერთდროულად მოვიდა. ჩამწერეს არაერთი რუსული თუ ქართული გამოცემისთვის; ჩვენს სახლში მოდიოდნენ ტელეჟურნალისტებიც და სიუჟეტებს ამზადებდნენ. იმ დროს ძალიან ბედნიერი ვიყავი.

*P.S. თუ თქვენც ხართ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ან რომელიმე თქვენი ნაცნობი რაიმე ნიშნით გამორჩეული ადამიანია, მოგვწერეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58). 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com*



„უკვდავმა კაშჩეიმ“ კი მთელი მსოფლიო მოიარა. ნიუ-იორკშიც იყო გამოფენილი და ვაშინგტონშიც...

# ბროწეულის გაზაფხული



**ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით**


http://svetnov.wordpress.com/

*gza.fantazia@gmail.com*

სვეთა კვარაცხელია


დასაწყისი იხ. „გზა“ №22

ქალი ისე შეცბუნდა ჩემს დანახვაზე, თვალები დააჭყიტა.

— მობრძანდით, მობრძანდით, — ჩაილაპარაკა გაოცებულმა და განზე გადგა, რომ გავეტარებინე.

უეცრად ჰოლში მირზა გამოჩნდა. ტანსაცმელი გამოეცვალა, ცისფერი პერანგი და უზადოდ მორგებული შავი პიჯაკი ეცვა. ისიც გაოგნებული შემომაჩერდა.

— თქვენ აქ რა გინდათ? ხომ მშვიდობაა? — მკითხა.

ჩვენ სამს შორის ყველაზე გაოცებული მე დავრჩი. მზად ვიყავი, ამ თავხედისთვის თვალები ამომეჩიჩქნა.

— თავად არ დამიბარეთ? მოგიტანეთ მასალები. დღესვე მჭირდებაო და... — ძლივს ამოვთქვი, ტირილამდე მისულმა.

— რა იდიოტებთან მაქვს საქმე! — უკმაყოფილოდ ჩაიდუდუნა და ქეთის მიუბრუნდა:

— შეიძლება, კაბინეტში შევიდეთ?

ქალმა უსიტყვოდ დაუქნია თავი. ჩემთვის სულერთი იყო, სად შემიყვანდნენ, სიცივისგან ერთიანად ამიტანა კანკალმა.

— მთლად გალურჯებულხართ, — თან თავს აქნევდა, თან წინ მიმიძღოდა.

— თქვენც გალურჯდებოდით, ასეთ ამინდში ლაბადით რომ გევლოთ.

ისე გამომხედა, თითქოს უდიდესი შეურაცხყოფა მიმეყენებინოს.

— მერედა, პალტო ვერ ჩაიცვით? თუ არ გაქვთ?

ყელში მქონდა ამოსული მისი დამცინავი ტონი.

— არ მეგონა, თუ გათოვდებოდა.

— და დილიდან რომ ექვსი გრადუსი ყინვა იყო, ეგ არაფერი? — დამტუქსა.

კაბინეტისკენ რომ მივდიოდით, თვალი ჰოლში ჩამოკიდებული სარკისკენ გამექცა და თვალებს არ დავუჯერე — იქიდან თმაგაწეწილი, ფერდაკარგული და ტუჩებგაფითრებული უბადრუკი არსება შემომცქეროდა.

— დარწმუნებული ვარ, ჩემნაირი თანაშემწე დედამიწის ზურგზე სხვას არავის ჰყავს, — გაიხუმრა მირზაშვილმა და პატარა ოთახში შემიძღვა.

შესვლისთანავე ელექტრობუხარი ჩართო და მითხრა:

— ახლავე მოვალ.

ბუხართან მივიყუჟე, რომ ოდნავ მაინც გამეთბო გაყინული სხეული.

მირზა პირსახოცითა და ხაოიანი ხალათით ხელში დაბრუნდა.

— ქეთინო სტუმრებს ვერ დატოვებს, ამიტომ მე მოგემსახურებით. იმედია, უარს არ მეტყვით, — თქვა და მომხიბვლელად გამიღიმა.

— გმადლობთ, არ ვსაჭიროებ არავის მომსახურებას, მე თვითონაც მოვუვლი ჩემს თავს.

— ეჭვიც არ მეპარება, — შემრიგებლური ტონით მომიგო, — მაგრამ მე ხომ თქვენი უფროსი ვარ, ამიტომ, ნუ მომაკლებთ ამ სიამოვნებას, — ისევ გაიხუმრა, მაგრამ საცოდავად აკანკალებულს რომ შემომხედა, მაშინვე დასერიოზულდა. — გაიხადეთ ლაბადა და ეს ხალათი ჩაიცვით, მალე გათბებით. მერე კი ცხელი შხაპი მიიღეთ.

ლაბადის ღილებს წავეტანე, მაგრამ ისე მქონდა თითები გაყინული, არაფერი გამომდიოდა.

მიმიხვდა. მომიახლოვდა და თვითონ ჩამიხსნა ღილები, მერე გახდაშიც დამეხმარა.

— მე თვითონ! — გავაპროტესტე, მაგრამ — მხოლოდ სიტყვებით, რადგან ვიცოდი, რომ ვერც პიჯაკის გახდას შევძლებდი დამოუკიდებლად.

როცა მეხებოდა, გული ამოვარდნაზე მქონდა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს კაცი მომწონდა.

— ვხედავ, არ ხართ შეჩვეული მამაკაცისგან გახდას, ჭირვეულო ანიკა, მაგრამ მე სხვა ვარ, ჩემი არ უნდა მოგერიდოთ, — ისე ალერსიანად მითხრა, ღიმილი ვერ შევიკავე.

— ბლუზასაც ხომ არ გაიხდით ბარემ? აჯობებს, წყალი ახლავე გადაივლოთ, ასე უცებ გათბებით, — და სანამ რამის თქმას მოვასწრებდი, ხელის სწრაფი მოძრაობით ჩამიხსნა ზედატანის ელვაშესაკრავი.

— კიდევ დაგრჩათ რამე? — ისე მკითხა, რომ ნამდვილად ბიუსტჰალტერის სამაგრს გულისხმობდა.

უკან გავხტი, უარის ნიშნად, თავს უაზროდ ვაქნევდი და რაღაცის თქმას ვცდილობდი. ამჯერად მირზამ შეიწყნარა ჩემი უარი და დამრიგებლურად მომმართა:

— ნუ ღელავთ, აქ არაფერი გემუქრებათ, მე ხომ სხვა ვარ.

— აბაზანის მიღებას არ ვაპირებ,

ისედაც გავთბები! — პირქუშად ვუთხარი, გაუნძრევლად ვიდექი და ცრემლმორეული შევყურებდი მწვანეთვალება კაცს.

— უცნაური გოგო ხართ, ანიკა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და თვალებში სითბო გაუკრთა. მერე ხალათი მომაწოდა და ოთახიდან გავიდა.

ფართხაფურთხით გავუყარე უზარმაზარ ხალათში ხელები და თბილად გავეხვიე შიგნით. ელექტრობუხართან ახლოს, ხალიჩაზე ჩავცუცქდი და კარს მიღმა მხიარულ ხორხოცს მივაყურადე. ამ დროს ჩემს ზურგს უკან კარი გაიღო და სტუმრების სიცილ-ხარხარის ხმა ქარიშხალივით შემოიჭრა კაბინეტში. მოვიხედე და ჩემი შეფი დავინახე.

— აი, ეს დალიეთ, ლიმონიანი ჩაი, ცხელი სითხე მოგიხდებათ. ცოტა გონს მოხვალთ, სანამ ვილაპარაკებთ, — და ლანგარი მომაწოდა.

— ვილაპარაკებთ? იმედია, აქაც არ ვიმუშავებთ! — წამოდგომა ვცადე, მაგრამ ხელით მანიშნა, იჯექიო.

— ვხედავ, ძველებური რიხი დაგბრუნებიათ, — ალერსიანად შენიშნა და სკამი ჩემკენ გამოაჩოჩა. — ისადილეთ მაინც დღეს?

— ამწუთას. კაფეში შევიარე, რომ ცოტა მეჭამა. დღეს ძალიან აირია ამინდი, — ვთქვი და შევხედე. — უკვე ჩავთბი.

— კარგია, დალიეთ ჩაი.

ისევ დაიწყო მბრძანებლობა. ასეთი კი ნამდვილად არ მომწონს. მინდა, რომ მუდამ ალერსიანსა და ყურადღებიანს ვხედავდე. ღმერთო, რა აზრები მომდის თავში, მთლად გავრეკე! როგორც ჩანს, თოვლმა ტვინი გამიყინა.

— მაპატიეთ, შეგაწუხეთ, დროს ტარებას მოგაცდინეთ, — დამნაშავესავით წავიჩურჩულე და სურნელოვანი ჩაი მოვსვი. — მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, მე თქვენს მითითებას ვასრულებდი.

— რას ვიფიქრებდი, ასე თუ გადადებდით თავს?! ბოლოს და ბოლოს, შეგეძლოთ დაგერეკათ, — ცივად წარმოთქვა.

— თქვენ არ გითქვამთ, დამირეკეთო... მე ახლავე წავალ, — გამომწვევად მივუგე.

— იჯექით, სადაც ზიხართ! არსადაც არ წახვალთ! — გამომიტანა მირზამ განაჩენი.

შეკამათების დაუძლეველმა სურვილმა წამომიარა. ჩემი ახალშემთბარი, ყველაფრის უარმყოფელი სული შეფთან საბრძოლველად მოემზადა.

— კიდევ რას მიბრძანებთ? იქნებ სადმე კუთხეში მივიკუნჭო გათენებამდე? — ავიფოფრე.

— უკეთესი ადგილის მონახვაც შეიძლება, — გამიღიმა. იყო რაღაც მაგიური ამ ღიმილში. — თუმცა, ცნობისათვის: ამ სახლში ყველა საძინებელი დაკავებულია.

— როგორ? რა საძინებელი? გგონიათ, ამაღამ აქ ვაპირებ დარჩენას? მე ჩემი სახლი მაქვს, — რაღაც საფრთხე ვიგრძენი.

— კი არ აპირებთ, დარჩებით. ამაღამ არსად არ ვაპირებ თქვენს გაშვებას. სულაც არ მინდა, გაცივდეთ და სამსახური გამიცდინოთ. ამიტომ სხვა არჩევანი არ გაქვთ. ნუ მეკამათებით, — გამაჩერა, როცა შეპასუხება დავაპირე. — აქ დარჩებით და ჩემს ოთახში დაწვებით. იქ არის მეორე თავისუფალი საწოლი.

— ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია! არავითარ შემთხვევაში! ტაქსის გამოვიძახებ!

— იმას გააკეთებთ, რასაც გეუბნებით! არ გვინდა ეს ბავშვური ჯიუტობა, კარგი? — ტონი შეარბილა.

— მაგრამ ქეთი... ქალბატონი ქეთის მერიდება.

— ნუ გერიდებათ. მან უკვე იცის.

— მერე? თანახმაა? — ჩემდა უნებურად წამომცდა. მიუხედავად იმისა, რომ მის ბრძანებას თუ წინადადებას ვაპროტესტებდი, გულში მიხაროდა, მასთან ღამის გათევა რომ მომიწევდა. ერთადერთი, რაზეც ვნერვიულობდი, ჩემს ბინაში მარტო დატოვებული ბებიაჩემი იყო. უნდა დამერეკა.

მირზაშვილმა გამომცდელად შემომხედა და, თითქოს ჩემი შეკითხვა არც გაუგონიაო, გააგრძელა:

— ქეთინომ გასათბობი ლეიბიც ჩაგირთოთ და ღამის პერანგიც მოგიმზადათ.

აი, სასწაული! მისმა საყვარელმა ისე მოაწყო ყველაფერი, რომ მირზაშვილი სხვა ქალთან გაატარებს ღამეს. ნეტავ რას ფიქრობს, ამას რომ აკეთებს? ნუთუ ჩემში მეტოქეს საერთოდ ვერ ხედავს? ცოტა არ იყოს, გავბრაზდი, რითი ვარ ნაკლები?

შევთბი თუ არა, დაღლილობამ დამრია ხელი. ფინჯანი ხმაურით დავდგი ლანგარზე და წამოვდექი.

— თითიც რომ დამაკაროთ ამაღამ, მოგკლავთ! — რიხით დავემუქრე.

— ასეთი სურვილი, ღმერთმა ნუ ქნას და, რომც გამიჩნდეს, თქვენ არ შეგაწუხებთ, მე თვითონ მოვიკლავ თავს, — სიცილით გამომიცხადა.

ამწუთას მძულდა, რომ დამცინოდა. ნერვები მეშლებოდა, არა-



რაობად რომ გამოვყავდი, მაგრამ ვერც ვაპროტესტებდი. ისევ გაჩუმება ვამჯობინე.

— შეიძლება, დავრეკო?

— ქალაქის ტელეფონზე?

— დიახ.

— კი, ბატონო, ახლავე შემოგიტანთ. მეგობარი მამაკაცი უნდა გააფრთხილოთ?

— არა, ოჯახის წევრები. შინ მელოდებიან და არ მინდა, ინერვიულონ.

— აკი... — უნდოდა ეთქვა, შენ ხომ მშობლები არ გყავსო, მაგრამ გაჩუმდა, აღარ გააგრძელა. მიხვდა, რომ ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენდა.

გავიდა და ტელეფონი შემოიტანა.

— დარეკეთ და მერე შემოვალ.

ბებიას არ ეძინა. ტელევიზორს ვუყურებო. ვთხოვე, ფრთხილად ყოფილიყო, გაზი და ელექტროგამათბობელი ჩართული არ დარჩენოდა. მეგობართან ვრჩები, სამუშაო მაქვს-მეთქი, მოვატყუე. ხვალამდე როგორმე გაძელი და დილას წილკანში დაგაბრუნებ-მეთქი.

ლაპარაკი დამთავრებული არ მქონდა, რომ მირზა შემოვიდა.

— მორჩით?

— დიახ, — თავი დავუქნიე და ტელეფონი გავთიშე.

დერეფანში მიმავალი მის ფართო მხრებს და გამართულ ზურგს ხარბად ვათვალიერებდი. როგორ მომიხდებოდა ასეთი კაცი, ვფიქრობდი ეშმაკურად.

მირზამ საძინებლის კარი გამოაღო და წინ გამატარა. ორი საწოლი ერთმანეთის პარალელურად იდგა, მათ შუა კი ღამის ლამპა ენთო. ის იყო, ღვარძლიანად უნდა მეკითხა, ჩემი საწოლი რომელია-მეთქი, რომ გვერდი ამიარა და სააბაზანოში შევიდა.

ადგილიდან არ დავძრულვარ, სანამ არ გამოვიდა.

— შხაპი მიიღეთ და ჩაწექით! — გასცა მორიგი ბრძანება.

— დიდი მადლობა, მაგრამ შხაპს არ მივიღებ, არ მინდა! — აშკარად მღალატობდა მოთმინება.

— ან შეხვალთ წყლის გადასავლებად, ან ჩემი ხელით შეგიყვანთ. იმედია, თქვენით მოახერხებთ ამას! — მუქარასავით გაისმა მისი სიტყვები, თან პიჯაკის გახდა დაიწყო. — არ მინდა თქვენი პნევმონიაც დამედოს სინდისზე ვალად!

— არ ვიცოდი, სინდისიც თუ გქონდათ! — ჯიბრით მივუგე და ყოველი შემთხვევისთვის, უკან დავიხიე.

მირზაშვილმა პერანგის სახელოები დაიკაპიწა და ჩემკენ დაიძრა.

— კარგი, გნებდებით. დაბრუნდით სტუმრებთან. მე თვითონ შევალ! — ვეღარ მოვითმინე და კედლისკენ უფრო მივიწიე.

— სიტყვას მაძლევთ?

— სიტყვას გაძლევთ, — დავნებდი.

როცა სააბაზანოდან გამოვედი, მირზაშვილი ფანჯარასთან იდგა.

— მართლა შემათრევდით იქ? — ფრთხილად ვკითხე.

ჩემკენ შემობრუნდა და გაიღიმა.

— ადამიანისთვის ხასიათის გაფუჭების დიდი ნიჭი გაქვთ, — მითხრა, პიჯაკს ხელი წამოავლო და გავიდა.

ხასიათის გაფუჭებისო? იმიტომ ხომ არა, რომ საკუთარი ხელებით ჩემი დაბანის შესაძლებლობა არ მივეცი? დამბანდა კი? ისე, ერთობ საინტერესო პროცესი იქნებოდა. ამის გაფიქრებაზე ღიმილი მომერია.

ქეთის თავი გამოუდვია. სააბაზანოში, მამაკაცის ტუალეტის ნივთების გარდა, ძვირფასი სურნელოვანი საპონი და ახალი კბილის ჯაგრისიც დამხვდა ახალი პასტითურთ. ღამის პერანგიც უძვირფასესი იყო და, რაც მთავარია, ძალიან სექსუალური.

შხაპმა მომაღონიერა, გამომაცოცხლა. იმდენად გამომაცოცხლა, რომ ბიკინიც ამოვრეცხე და პირსახოცის ქვეშ, ბატარეაზე მივაფინე გასაშრობად. თუ კომფორტია, კომფორტი იყოს, ფეხებზე მკიდია მირზაშვილი! — უდარდელად გავიფიქრე და საწოლზე ნებივრად გავიშოტე. გასათბობ ლეიბს ლოგინი გაეხურებინა. რაც არის, არის, მართალია, საშინელი კაცია, მაგრამ როგორმე ერთ ღამეს გავძლებ მის გვერდით. იმედია, პირუტყვივით არ მეცემა.

მეძინებოდა, მაგრამ თვალს რული მაინც არ ეკარებოდა. ჯერ ერთი, ადგილს ვუცხოობდი. უხერხულად ვგრძნობდი თავს, უცხო ადამიანებთან რომ მიწევდა ღამის გატარება, თანაც ვის, უბრალო მდივანს. მეორეც, მირზას გვერდით დაძინება უჩვეულოდ მიფორიაქებდა სულს.

ერთხანს ველოდი. მეგონა, ქეიფი საცაა, დამთავრდებოდა და ისიც გაემზადებოდა დასაძინებლად, მაგრამ ისე ჩამეძინა, არაფერი გამიგონია... ღრმა, ტკბილმა ძილმა მალევე წამართვა თავი.

როგორც კი გამეღვიძა, მაშინვე მეორე საწოლს გადავხედე. ცარიელი იყო. ახლა ნამდვილად არ მინდოდა შეფთან შეხვედრა. თვალი ოთახს მოვავლე. ჩემი ტანსაცმელი სკამზე აკურატულად გადაეფინა ვიღაცას. იქვე, ტუმბოს გვერდით გამშრალ-გაწმენდილი ჩემი ფეხსაცმელი იდო, ხოლო ტუმბოზე წყვილი ახალი კოლჰოტი შევნიშნე. ალბათ მოსამსახურის ნახელავია ეს ყველაფერი, ქეთინო ასე არ გაირჯებოდა საცოდავი მდივნის გამო, თუმცა მითითებებს, იმედია, თვითონ გასცემდა. მადლობის მეტი რა მეთქმოდა? ისე, ეს ქალი ყოველთვის მომწონდა, მაგრამ მირზაშვილთან მის ურთიერთობას ვერა და ვერ ვეგუებოდი.

„ეს შენი საქმე არ არის!“ — კიდევ ერთხელ გავუმეორე ჩემს თავს, წამოვხტი და პირველ რიგში ბატარეას ვეცი, სადაც ჩემი ბიკინი მეგულებოდა. ახლა შხაპს მივიღებ და წავალ. ბებია უნდა ჩავიყვანო წილკანში.

ჩაცმა მოვათავე და ის იყო, ფეხსაცმელი უნდა ჩამეცვა, რომ კარი გაიღო და ოთახში ფეხაკრეფით მირზა შემოვიდა. წასასვლელად გამზადებული რომ დამინახა, გაოცდა, თუმცა არ შეიმჩნია და მკითხა:

— როგორ გრძნობთ თავს?

— არაჩვეულებრივად, — ჩავიბურტყუნე და მაშინვე შეფის მკაცრი მზერა დავიმსახურე.

— მე გკითხეთ, როგორ ხართ-მეთქი? — გამიმეორა იმ კაცის ტონით, რომელსაც ერთი შეკითხვის დასმა ორჯერ არ უყვარს.

ჩემზე ზრუნავს. რა კეთილშობილი რაინდია, ღმერთო ჩემო! — გულში დავცინე.

— როგორ გამოვიყურები? — უდარდელად ვკითხე და ვაგრძნობინე, არც მე მიყვარს ერთსა და იმავე შეკითხვაზე პასუხის ორჯერ გაცემა-მეთქი.

სულაც არ მჭირდება მისი მზრუნველობა, ჯობს, თავაზიანად მომექცეს.



— ძალიან დახვეწილი ხართ, — რბილად მომიგო და ყურადღებით შემათვალიერა.

მისი მზერა არ ჰგავდა სხვა მამაკაცების მზერას, თვალებით არ მაშიშვლებდა. არც სიბილწე იგრძნობოდა ამ მზერაში, ზოგიერთებს რომ სჩვევიათ, ხარბად მოგაჩერდებიან და მთლიან პორნოპროცესს რომ ხედავ მათ პირუტყვულ გამოხედვაში. მირზაშვილი მართალი აღმოჩნდა — ის ნამდვილად სხვა იყო.

— როგორც ორქიდეა? — კეკლუცად შევაგებე კითხვა, დარწმუნებულმა, რომ მისთვის სულერთი იყო ჩემი თითოეული სიტყვა.

მამაკაცი მოიღუშა.

— კვლავინდებურად ღვარძლიანი გახდით, — შენიშნა. — ესე იგი, თავს კარგად გრძნობთ, — დაასკვნა. — საუზმეზე რას იტყვით?

ღიმილი ბაგეზე შემეყინა.

— არა! — აღმომხდა თავისთავად. ქეთისთან და მასთან ერთად საუზმობა ნაკლებად მიზიდავდა. — მადლობა ყურადღებისთვის, ბატონო მირზა, მაგრამ მირჩევნია, წავიდე.

— ერთად გვეძინა და მაინც „ბატონო მირზა“ ვარ? — თვალებში ეშმაკური ნაპერწკალი აუციმციმდა.

— ჩვენ მხოლოდ საერთო ოთახით ვისარგებლეთ. ეს სულ სხვა რამეა, — გავაპროტესტე.

— ვფიქრობ, ჩვენ იმდენად კარგად გავიცანით ერთმანეთი, რომ უკვე შეგვიძლია, მხოლოდ სახელებით მივმართოთ ერთიმეორეს, — ინიციატივა ხელში ჩაიგდო შეფმა, როცა დაინახა, რომ ხმელეთზე გარიყული თევზივით ვამოძრავებდი ტუჩებს.

— თუ ასეა... — ღმერთო ჩემო, რა საშინელი ჩვევა მაქვს, ყველაფერზე ვწითლდები, თანაც — ყველაზე შეუფერებელ დროს. წინადადება აღარ დავამთავრე და ჩანთას წამოვავლე ხელი. — მე წავალ, შინ უნდა მივიდე, მეჩქარება.

— ასე ძალიან რატომ მიგეჩქარებათ?

— უნდა გამოვიცვალო. სამსახურში ასე ვერ გავალ.

— მე წაგიყვანთ...

რა უცნაური კაცია, როგორ შეუძლია, ასეთი მშვიდი და აუმღვრეველი იყოს?

— თქვენ ხომ სტუმრად ხართ, ისედაც ჩაგიშხამეთ საღამო.

— მე ეს არ მითქვამს!

— არა, მაგრამ...

— მომისმინეთ, ანიკა! შინ მე წაგიყვანთ და მერე უკან მოვბრუნდები, არაა პრობლემა.

ისევ მბრძანებლური ტონი — „გააკეთეთ, რასაც გეუბნებიან!“

— თქვენს მასპინძლებთან უხერხული იქნება.

— ყველას სძინავს, ამიტომ ვერავინ გაიგებს.

— არა, არ არის საჭირო, — ჯიუტად ვიდექი ჩემსაზე. — აჯობებს, მარტო წავიდე. თუ მაინცდამაინც ჩემი პატივისცემა გსურთ, სამსახურში წასვლას რომ გადაწყვეტთ, გამომიარეთ და...

წამით ჩაფიქრდა, თან მზერას არ მაშორებდა.

— კეთილი, მშვენიერი იდეაა. მაშინ, დაახლოებით ორ საათში გამოგივლით, — საათს დახედა. — ზუსტად თორმეტისთვის.

— კარგი, შევთანხმდით, — გამიხარდა, ასე ადვილად რომ დავიყოლიე: ბებიას წილკანში გაშვებას მოვასწრებდი. — ქალბატონ ქეთის დიდი მადლობა გადაეცით ჩემგან ასეთი მიღებისთვის.

— აუცილებლად გადავცემ, — შემპირდა. — ოღონდ თქვენი მისამართი დამიტოვეთ, — დააყოლა და როცა მისამართი ვუკარნახე, ხელკავგამოდებულმა გამომაცილა.

ქუჩაში გამოვედით თუ არა, ტაქსი გამიჩერა და მძღოლს ოცლარიანი გაუწოდა.

— მოემსახურეთ ამ ქალბატონს, ხურდა საჭირო არ არის! — იმასაც უბრძანა და, ჩავჯექი თუ არა მანქანაში, კარი მომიხურა.

ესეც ასე. ოცი ლარი იმასაც ეყოფა, მძღოლმა სახლამდე მიმიყვანოს, და იმასაც, რომ ბებია წილკანში გავამგზავრო. ვენერას დავურეკავ და ვეტყვი, ტაქსის ჩიშკართან დახვდეს, რომ ბებიამ ისევ არ გადაუხვიოს გზიდან. ჩემი გაყოლა სულაც არ იქნება აუცილებელი.

ორ წუთში მოვაგვარე ბებიაჩემის საქმე და როცა იგი ტაქსის მძღოლს ანტიკვარული ნივთივით ჩავაბარე, შვებამოგვრილი, ბინაში ავბრუნდი, რომ ტანსაცმელი გამომეცვალა და მირზას მოსვლას დაველოდებოდი.

როგორ გაიწელა ორი საათი, თითქოს საუკუნე გავიდა. არადა, ჩემს შეფს წამითაც არ გადაუცილებია დათქმული დროისთვის.

როგორც კი დამირეკა, ჩავირბინე. მირზაშვილის ჯიპი ჩემს ბათქაშჩამოყრილ სადარბაზოსთან იდგა.

— ფინჯან ყავაზე ხომ არ დამეწვევით? — თავაზიანობის გულისთვის ვკითხე. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ უარს მივიღებდი.

— სიამოვნებით, — ჩემდა გასაკვირად, იმწამსვე დამთანხმდა...

ელდანაკრავივით შევხედე...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

სამყარო

# მაცხოვრის ზეცად ამაღლებისას კაცობრიობას მიეცა აღთქმა უფლის მეორედ მოსვლისა

**მაცხოვრის ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ მაცხოვრის ზეცად ამაღლება, როდესაც საბოლოოდ მოხდა ადამში შემცოდე კაცთა მოდგმის ღმერთთან შერიგება. ვიცით, რომ ძველი აღთქმის პერიოდში, ადამიანთა თვალთახედვა უფრო მიწიერი იყო, ხოლო უფლის მკვდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლების შემდეგ, რასაც მალევე მოჰყვა სულიწმიდის გარდამოსვლა, ადამიანის თვალთახედვა მკვეთრად შეიცვალა. ამაღლების შემდეგ ქრისტეს მორწმუნე და ღვთის მცნებების აღმასრულებელმა ადამიანებმა, უპირველესად, მოციქულებმა შეიმეცნეს, რომ ისინი არ იყვნენ ამ ქვეყნისანი, არამედ ზეცის მკვიდრნი, სადაც მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი ამაღლდა. ამაღლებამდე უფალი ეუბნება მოციქულებს: მე წავალ — ავმაღლდები, რათა გაგიმზადოთ ადგილი თქვენო. უფალმა ადამიანის გონება მიწიდან ზეცისკენ გადაიტანა...**

შორენა მერკვილაძე

**— უპირველესად, ამაღლების არსსა და მნიშვნელობაზე ვისაუბროთ. რა მოხდა კაცობრიობის ისტორიაში უფლის ზეცად ამაღლებით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოვლენას...**

**მამა მაკარი:**

— მკვდრეთით აღდგომიდან ორმოცი დღის მანძილზე უფალი კვლავ დედამიწაზე იმყოფებოდა, ეცხადებოდა მოციქულებს და ღვთის სასუფევლის შესახებ მო-



უთხრობდა. როგორც წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს, მოწაფეებს „სასუფევლის საიდუმლოებებს ასწავლიდა“, აღდგომიდან მეორმოცე დღეს კი, უფალი ხორციელად ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით ღვთისა და მამისა. მაცხოვარი ზეცად ამაღლდა იმ ხორცით, რომლითაც მკვდრეთით აღდგა. ჯვარცმამდე მაცხოვარი შემოსილი იყო ისეთივე ხორცით, როგორიც ჩვენ გვაქვს, რომელიც ყოვლადწმინდა ქალწულისგან შეიმოსა, რომლითაც ჯვარს ეცვა, როგორადაც იქცა ადამიანის ხორცი ცოდვით დაცემის შემდგომ, ხოლო განკაცებული უფალი მკვდრეთით აღდგა უხრწნელი, გასულიერებული ხორცით. ასეთივე ხორცით შეიმოსებიან ადამიანები — საყოველთაო აღდგომის შემდეგ, რომლებიც ღვთის წინაშე გამართლდებიან.

**— რატომ იყო საჭირო, რომ მაცხოვარს მკვდრეთით აღდგომიდან ორმოცი დღე კვლავ დედამიწაზე გაეტარებინა?**

— მოციქულები და ყველა მისი მიმდევარი დარწმუნებულიყო მკვდრეთით აღდგომის ჭეშმარიტებაში, არ ეფიქრათ, რომ ეს იყო მოჩვენებითი, მხოლოდ და მხოლოდ გამოცხადება. ხოლო როდესაც ქადაგებას დაიწყებდნენ, სხვებიც დაერწმუნებინათ მაცხოვრის აღდგომასა და ჭეშმარიტებაში. ასევე ეს იყო ის პერიოდი, რაც მოციქულებს დასჭირდათ იმისათვის, რომ უფალს ის საღვთო სწავლება მიეცა მათთვის, რაც შემდეგ ჩვენ გადმოგვცეს და გვაუწყეს. უფალმა უამრავი სწავლება მისცა მოციქულებს ჯვარცმამდე და მკვდრეთით აღდგომამდე, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ამას ასწავლიდა მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი. აღდგომის ხილვის შემდეგ, მოციქულებში სარწმუნოება გაცილებით მაღალი იყო, რადგან მათ ცხადად იხილეს ყველაფერი — ჯვარცმა, აღდგომა, რომლის შესახებაც უფალმა ამ დრომდე ასწავლა და უქადაგა მოციქულებს. მაცხოვარმა ყველაფერი ხელახლა კი არ ასწავლა მოციქულებს, არამედ იმ ორმოცდღიანმა სწავლებამ, რასაც აღდგომიდან ამაღლებამდე აძლევდა, მოციქულებში აღადგინა და განამტკიცა ის სწავლებები, რაც წელიწად-ნახევრის მანძილზე ჰქონდათ მოსმენილი და ნაქადაგები, როდესაც განუყრელად დაჰყვებოდნენ თავიანთ მოძღვარს.

**— რა მოხდა საკუთრივ უფლის ზეცად ამაღლებით, რა იყო ამ მოვლენის არსი?**

— ეს იყო მოვლენა, როდესაც უფალი მკვდრეთით აღდგომილი ხორცით განეშორა მოწაფეებს და მათ უკვე დამოუკიდებლად დაიწყეს მოღვაწეობა. უფალმა მეტი დამოუკიდებლობა მისცა მოციქულებს, რათა ის სარწმუნოება გამოემჟღავნებინათ, რაც მაცხოვართან ყოფნის დროს შეიძინეს და ამ სარწმუნოებით არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ მთელი კაცობრიობა გამოეხსნათ საუკუნო წარწყმედისგან. თავად ქრისტეს ხორციელად ზეცად ამაღლებით, მოხდა ადამიანის შერიგება ღმერთთან, გახსნა იმ გზისა, რა გზაც უფალმა თავიდანვე მიანიჭა ადამიანებს მასთან მისასვლელად. ეს მოხდა იმის გამო, რომ ადამიანური ბუნება უფლისა დაჯდა მარჯვენით ღვთისა, ღვთის დიდებაში ამაღლდა ადამიანური ბუნება, ქრისტეს ადამიანური ხორცი, რომლითაც ვენათესავებით ჩვენ უფალს. თავის ღვთაებრიობით უფალი არც არასოდეს განშორებია ზეცას, არც ხილულ სამყაროს. სამყაროს არც ერთი ნაწილი არასოდეს ყოფილა

**უფალმა ქმნა ყველაფერი იმ დოზით, ზუსტად იმდენი, რაც საჭირო და აუცილებელი იყო ადამიანის ცხონებისთვის, არც მეტი და არც ნაკლები უფალს არ უქმნია**

ძე ღვთისას გარეშე და არც მაშინ, როდესაც განკაცებული უფალი ხორციელად დადიოდა დედამიწაზე. ამაღლება მოხდა ადამიანური ბუნებისა, ადამიანური ხორცისა და არა ღვთაებრივი ბუნებისა, რამეთუ ღვთაებრივი ბუნება ყოველთვის მყოფობდა იქ, სადაც ქრისტეს ხორციელმა ბუნებამ დაიმკვიდრა. თუ ჯვარცმითა და აღდგომით უფალმა გამოიხსნა ადამიანები და გახსნა სასუფევლის კარი, ამაღლებით საბოლოოდ მოხდა ადამიანისა და ღმერთის შერიგება. მაცხოვარმა საბოლოოდ სრულყო და განახორციელა ის, რისთვისაც ადამი იყო შექმნილი, როგორი მიმართულებითაც უნდა განვითარებულიყო ადამიანი სულიერად. ადამიანი შექმნილი იყო ღმერთთან განუშორებლად მყოფობისთვის. ეს მაცხოვარმა აღასრულა თავისი ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით და ადამიანებს გაუხსნა ღმერთთან მისასვლელი გზა.

**— წმინდა წერილიდან ვიცით, რომ უფალი თავისი მოწაფეების თვალწინ ამაღლდა ზეცად. რატომ უნდა ეხილა ადამიანის თვალს უფლის ზეცად ამაღლება?**

— უფალი ხორციელად ამაღლდა ზეცად. რა ტექნოლოგიაც უნდა შევქმნათ ადამიანებმა, როგორადაც უნდა განვითარდეს სამყარო, ვერასოდეს მივაღწევთ ზეცამდე. მეცნიერული თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ზეცა აბსოლუტურად სხვა განზომილებაა, რომლის დაფიქსირების უნარიც მატერიალურ ხელსაწყოებს არ შესწევს, რადგან ხილული სამყარო არის მატერიალური და ზეციური — არამატერიალური. როდესაც უფალი ამაღლდა და ღრუბლებს ზემოთ მიეფარა, ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ეს მოვლენა იმ დროს მოციქულებისთვის აღსაქმელი ყოფილიყო, თორემ უფალს შეეძლო, რომ მოციქულთა თვალწინ ხორციელადაც გამქრალიყო და ისე გადასულიყო ზეციურ სამყაროში. იმ დროს, ჯერ კიდევ სულიერად ჩვილობის ასაკში მყოფი ქრისტეს მიმდევრების გონება იმ ღვთაებრივ სიღრმეებს ვერ ჩასწვდებოდა, რაც შემდგომში მოციქულებს, მათი სახით კი მთელ კაცობრიობას განუცხადა უფალმა. ამიტომ ჯერ ხორციელი თვალით იხილეს ამაღლებული მაცხოვარი, რათა მოციქულთა სარწმუნოება კიდევ მეტად გამხდარიყო სრული. სულიწმიდის გარდამოსვლის შემდგომ, მოციქულებმა მიიღეს სულიწმიდა, მათი გონება სულიწმიდის მადლით განიბრძნო და მათში სარწმუნოება, ფაქტობრივად, სრულყოფილი გახდა. ეს შემდგომში თითოეულმა მოციქულმა დაამტკიცა ამქვეყნიური ცხოვრებით. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ უფალმა ქმნა ყველაფერი იმ დოზით, ზუსტად იმდენი, რაც საჭირო და აუცილებელი იყო ადამიანის ცხონებისთვის, არც მეტი და არც ნაკლები უფალს არ უქმნია.

**— წმინდა წერილის თანახმად, მაცხოვრის ზეცად ამაღლების შემდეგ, ანგელოზები გამოეცხადნენ მოციქულებს და აუწყეს, — იესო როგორც იხილეთ ზეცად აღმავალი, ასევე იხილავთ მას მომავალს, მეორედ მოსვლის ჟამსო ანუ ეს იყო კაცობრიობისადმი მიცემული ახალი აღთქმა, — მოლოდინი უფლის მეორედ მოსვლისა.**

— რა თქმა უნდა. ამის შემდეგ ადამიანები უნდა ელოდონ იმ დროს, როდესაც უფალი თავისი დიდებით მეორედ მოვა და მოხდება განსჯა ყველა მოაზროვნე არსებისა. არა მხოლოდ ადამიანებისა, არამედ — ანგელოზებისაც. მეორედ მოსვლის ჟამს, უფალი უკვე მოვა არა სიმდაბლით, არა ბაგაში შობით, არამედ მთელი თავისი დიდებით, ანგელოზთა დასებით და მოვა მთელი გონიერი სამყაროს მსაჯულად.

უფლის ზეცად ამაღლება მოხდა ბეთანიაში, ზეთისხილის, იმავე ელეონის მთაზე, რომელიც ძველი იერუსალიმის აღმოსავლეთით მდებარეობს. IV საუკუნეში ამ ადგილას ელენე დედოფალმა ტაძარი ააგო. ტაძარს ღია გუმბათი ჰქონდა, რათა მომლოცველებს



საშუალება ჰქონოდათ, ტაძრიდან ეხილათ ცა, სადაც მაცხოვარი ამაღლდა. იქ მყოფ ადამიანს ისეთი შეგრძნება უჩნდება, თითქოს ცა მისი თავის მახლობლადაა, ხელს გაიწვდის და შეეხება.

ამჟამად მაცხოვრის ამაღლების ადგილზე მეჩეთი დგას. მომლოცველები გარკვეულ საფასურს იხდიან იმისათვის, რომ ეს წმინდა ადგილი მოილოცონ. მეჩეთში დაცულია ქვა, რომელზეც უფლის მარცხენა ფეხის ნატერფალია აღბეჭდილი. მეჩეთს აკრავს გალავანი, სადაც უფლის ზეცად ამაღლების დროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და ქრისტეს მოწაფეები იდგნენ. ■

# „ის ძლიერი, მამაკაცური და რომანტიკულია“

**ახლა III კურსზეა, იურისტის პროფესიას ეუფლება, მაგრამ საზოგადოება „ილო ბეროშვილის შოუდან“ იცნობს, როგორც მსახიობსა და მომღერალს. ბაბი კირკიტაძე ინტელექტუალური თამაშების მოყვარულია, ამიტომ შეხვედრაზე სიამოვნებით დამთანხმდა. მოუცლელობის მიუხედავად, მაინც ახერხებს, იყოს აქტიური მკითხველი. არდადეგების პერიოდს სქელტანიანი ნაწარმოებების გასაცნობად იყენებს, ნოველებსა და მოთხრობებს კი ხშირად კითხულობს.**

## რას უმალავს დედას ბაბი კირკიტაძე

თამუნა კვინიკაძე

## პრეამბულის მაგიერ

— ახლახან ჰოფმანის „კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“ დავასრულე, ახლა შტეფან ცვაიგის „მარია სტიუარტს“ ვკითხულობ.

ბავშვობაში წიგნებს დედა მირჩევდა. მეუბნებოდა, რომ ისტორიული ჟანრის ლიტერატურა მეკითხა და მიხსნიდა, ადამიანისთვის საკუთარი წარსულის ცოდნა, რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო.

ბიოგრაფიული რომანები მიყვარს. ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ირვინგ სტოუნის რომანმა „წყურვილი სიცოცხლისა“, რომელიც ვან გოგის ცხოვრებას ასახავს.

სიამოვნებით ვიმეგობრებდი შერლოკ ჰოლმსთან, მისგან ბევრ რამეს ვისწავლიდი. საოცარი ინტუიცია აქვს, ადამიანებს ქცევებით, მანერებით, სიარულით ცნობს. მგონია, რომ ერთმანეთს კარგად გავუგებდით. მის შესახებ რომ წავიკითხე, ვცდილობდი, ეს უნარები საკუთარ თავში მეც განმევითარებინა. სხვათა შორის, კარგი ინტუიცია მაქვს.

ისტორიული პერსონაჟებიდან გამორჩეულად დავით აღმაშენებელი მიყვარს. სიამოვნებით ვიქნებოდი ისეთი ძლიერი ქალი, როგორიც დედოფალი ელისაბედია.

როგორც ქალს, რომელი პერსონაჟი შემიყვარდებოდა? რთული სათქმელია. ჯეინ ოსტინის პერსონაჟი, მისტერ დარსი მომწონს. ძლიერი, მამაკაცური და ამავე დროს რომანტიკულია. არ ვიცი, ასეთი ადამიანები ცხოვრებაში თუ არსებობენ.

ყოველთვის ძალიან მინდოდა მსახიობობა, მაგრამ ეს პროფესია ჩემი ოჯახის წევრებისთვის, განსაკუთრებით დედისთვის, მიუღებელი იყო. მამა მასავით კატეგორიული არ იყო. ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ მსახიობობის სურვილის გამო, ჩემი არც ერთი ნათესავი არ მელაპარაკებოდა, სამყაროში თავი მარტო ვიგრძენი. გადავწყვიტე, იურიდიულზე ჩაბარება და მეორე დღესვე ყველა შემირიგდა.

ახლა ეკრანზე რომ მხედავენ, უხარიათ, მგულშემატკივრობენ. რამდენიმე დღის წინ დედამ მკითხა, სამსახიობოზე ხომ არ ჩააბარებო? ძალიან გავბრაზდი.

მაყურებლისგან ყოველთვის დადებით განწყობას ვგრძნობ. განსაკუთრებით ბავშვების გულწრფელი დამოკიდებულება მახარებს, ამ დროს ძალიან ბედნიერი ვარ.

ჩემი პოპულარობა უნივერსიტეტში ნიშნების დაწერის დროს, არავის აინტერესებს. გაგიმხელ, მაგრამ დედაჩემს არ უთხრა: მომავალში ჩემი პროფესიით მუშაობას არ ვაპირებ.

**— რომელი ქვეყნიდან გავრცელდა სერენადა?**

— ესპანეთიდან თუ იტალიიდან, ხომ?

**— დიახ, შუა საუკუნეების იტალიიდან და ესპანეთიდან გავრცელდა. ვინ იყო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ისტორიაში პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი?**

— მარგარეტ ტეტჩერი.

**— რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის „მიმინო“?**

— გია ყანჩელმა.

**— მულტიპლიკაციურ ფილმში რა ჰქვია კომბლეს ძროხას?**

— უნდა გავიხსენო, გთხოვ, არ მითხრა. (*პაუზის შემდეგ*) ვერ ვიხსენებ, რა ჰქვია?

**— ჭრელა. „მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულით ერთხელაც არ ამძგერებია გული. თუმცა მოჩვენებით ხშირად მომჩვენებია თავი, ტრფიალების ალი მწვავს-მეთქი. ეტყობა, ვერც ვერასდროს ვიგრძნობ ამ გულის ძგერას... ავხორცი თუ ვარ? მაშა! არ მოუტყუებიხართ, ოღონდ განა საშიშარი ვარ. ქალს დავინახავ თუ არა, როდი შევყვილებ და ვეძგერები. სრულიად ურისკოდ შეიძლება ჩემთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა, მით უმეტეს, თუ ხმის მისაწვდენ ადგილზე პოლიციელი მორიგეობს“... — ეს არის მწერლის მიერ შეულამაზებლად დახატული ავტოპორტრეტი. დაასახელე ეს მწერალი.**

— ბალზაკი.

**— ცდები.**

— ჰიუგო?

**— გი დე მოპასანზეა ლაპარაკი. შანტაჟი ფრანგული სიტყვისგან „შანტე“ არის ნაწარმოები. რას ნიშნავს იგი?**

— სიმღერას, გალობას. ფრანგმა ჩიტის დამჭერებმა იციან სიმღერა, რომელიც ჩიტის გალობას ჰგავს. ამ „გალობით“ მოიტყუებენ ხოლმე ჩიტებს და იჭერენ.

**— შენი დაშანტაჟება ვინმეს უცდია?**

— არა, მხოლოდ მეგობრები თუ გამეხუმრებიან და სოციალურ ქსელში იმ ფოტოს გამოქვეყნებით მაშანტაჟებენ, რომელზეც საკუთარი თავი არ მომწონს.

**— მას შეუძლია, 1 ღამეში 91-მეტრიანი გვირაბი გათხაროს.**

— თხუნელა.

**— ამ მდინარეზე 4 ევროპული ქვეყნის დედაქალაქი (ვენა, ბრატისლავა, ბელგრადი, ბუდაპეშტი) მდებარეობს. მას ევროპის დედამდინარეს უწოდებენ. რომელ მდინარეზეა ლაპარაკი?**

— დუნაიზე.

**— რა ჰქვია მეცნიერებას სამყაროს შესახებ?**

— ასტრონომია. სწორად ვამბობ?

**— დიახ. რომელ სისხლძარღვებში მიედინება სისხლი ყველაზე ნელა?**

— კაპილარებში.

**— რომელ ქართულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?**

— „ქეთო და კოტეში“.

**— ერთხელ კომპოზიტორმა ჯუზეპე ვერდიმ განაცხადა, რომ ეს არის მუსიკის ზოგიერთი სახეობის განუყოფელი ნაწილი და მისი პარტიტურაში ჩაწერაც კი მოითხოვა. რის შესახებ ლაპარაკობდა ვერდი?**

— (*ფიქრობს*)

**— მიგანიშნებ, მას მსახიობები ხშირად იღებთ...**

— აპლოდისმენტები.

**— კოლექციონერები მათ ხელში ჩასაგდებად საათობით დგანან რიგებში, წერენ წერილებს და ზოგჯერ ქურდობასაც არ ერიდებიან. რაზეა საუბარი?**

— ავტოგრაფებზე.

**— 1931 წელს, მწერალთა ფედერაციამ ეს მწერალი თავისი ორგანიზაციის რიგებიდან ერთხმად გარიცხა. „ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალური თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმის და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. თავისი გამოსვლებით მან არაერთხელ საბჭოთა საზოგადოების ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა... პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაშრომებს აქვეყნებს. თავისი პოლიტიკური მავნებლობით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოების წინაშე“. — ეს არის ამონაწერი გარიცხვის ოქმიდან. დაასახელე ეს მწერალი?**

— კონსტანტინე გამსახურდია.

**— ერთხელ სალვადორ დალის ერთ-ერთმა პარფიუმერიულმა ფირმამ შეუკვეთა ფლაკონი ახალი სუნამოსთვის. მხატვარმა ჩვეული ორიგინალობა გამოიჩინა, სახლში მოიძია საგანი, ლითონის ნაწილი მოხსნა, ოქროსფრად შეღება და დამკვეთებს განუცხადა, რომ ის ფლაკონის თავსახურის მაგივრობას გასწევდა. თან შესთავაზა, სუნამოსთვის „გაელვება“ დაერქმიათ. რისგან დაამზადა მან ფლაკონი?**

— (*პაუზის შემდეგ*) ვერ ვხვდები.

**— მიგანიშნებ, ეს საყოფაცხოვრებო ნივთი ყველა ოჯახშია.**

— ნათურა.

**— დიახ. თუ ის კარგია, ქაფი 3 წუთზე ადრე არ უნდა უქრებოდეს, უნდა შედგებოდეს პატარა ბუშტუკებისგან, მისი არომატი უფრო საგრძნობია, როცა ის ცივია. რაზეა ლაპარაკი?**

— ლუდზე. დალევა არ მიყვარს, მაგრამ ისეთი დასხმა ვიცი, ქაფს საერთოდ არ იკეთებს. ოჯახში სულ მე მასხმევინებენ.

**— ერთ ქართველ პოეტს სახლის შესასვლელ კარზე ასეთი წარწერა ჰქონდა: „მეგობრებო! ჩემს ბინაში,/ რომ მოდიხართ ასე ხშირად,/ ბოდიშს ვიხდი, თქვენს წინაშე,/ მაგრამ გეტყვით პირდაპირად:/ თუ არა გსურთ, რომ ჩვენს შორის/ უძრახობა ჩამოვარდეს,/ სურნელება ჰქონდეს შმორის/ ჩვენს გულებში დარგულ ვარდებს,/ თუ არა გსურთ, მძლედ და უხმოდ/ დამიჩაგროთ პოეტს გული,/ წიგნებს ნუ მთხოვთ! წიგნებს ნუ მთხოვთ!/ შეისმინეთ ჩემი თქმული“. დაასახელე ეს პოეტი.**

— ვერ დავასახელებ.

**— იოსებ გრიშაშვილი. ამ ძაღლის ჯიში სად გაჩნდა, უცნობია. ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლო იყო ინდოეთი, საიდანაც მოხვდა საბერძნეთში, იუგოსლავიაში, ვენეციის ყურეში. დიდი ხნის მანძილზე ეს ჯიში ნაკლებად პოპულარული იყო. ინტერესი 1960 წლიდან, დისნეის მულტფილმის გამოსვლის შემდეგ გაჩნდა. დაასახელე ამ ძაღლის ჯიში.**

— დალმატინელი.

**— რომელი ფილმის პერსონაჟია ბოლოკა?**

— „ღიმილის ბიჭების“.

**— მზის სისტემის რომელი პლანეტა ანდომებს ღერძის გარშემო შემობრუნებას ყველაზე მეტ დროს?**

— არ ვიცი.

**— ვენერა. შემდეგი კითხვა ძველბერძნული მითოლოგიიდან არის. რომელი ქალღმერთი შეესაბამება ქალღმერთ თემიდას რომაული მითოლოგიიდან?**

— არ ვიცი.

**— მიგანიშნებ, ამ ქალღმერთის სახელობის სამინისტრო გვაქვს.**

— იუსტიცია ერქვა? არ ვიცოდი.

**— დიახ. „ეს არის ადამიანი, რომელიც გათხოვებს ქოლგას კარგ ამინდში და წაგართმევს მაშინ, როცა წვიმს“. რომელი პროფესიის წარმომადგენლებზე ამბობდა ამ სიტყვებს მარკ ტვენი?**

— ბანკირებს გულისხმობდა.

**— რომელი სახელმწიფოა მეორე ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით?**

— ინდოეთი.

**— დაბოლოს, დასრულე მარკ ტვენის ცნობილი გამონათქვამი: „გემოვნებაზე არ დაობენ, მის გამო ერთმანეთს ლანძღავენ და...“**

— ქილიკობენ.

**— „...და ომობენ“.** ■



# მაიკლ დობსი

**(ფრაგმენტები რომანიდან)**
**მოამზადა რუსუდან ლებანიძემ**

**გაგრძელება.**
**დასაწყისი იხ. „გზა“ №17-22**



# ბანქოს სახლი

როგორც კი ფრენსის ურჰარტი მათ მიუახლოვდა, სამუელმა მაშინვე პირზე ნაძალადევი ღიმილი აიწება:

— გილოცავთ, ფრენსის. 17000-ხმიანი უპირატესობა სახუმარო საქმე როდია. მე პირადად პარლამენტის წევრებიდან ძალზე ცოტა ვინმეს თუ დავასახელებდი, ხვალინდელი გაზეთებიდან ასეთი წარმატების ამბავს რომ შეიტყობს და შენი არ შეშურდება.

— შენ კი, მაიკლ, დარწმუნებული ვარ, უწინდელივით სურბიტონის ლამაზმანების მოხიბვლას გადაჰყევი, — ახალგაზრდა კოლეგას ვალში არ დარჩა ურჰარტიც.

— არც მთლად უმაგისობა ყოფილა, — თვალები ეშმაკურად მოწკურა მაიკლმა.

— მაშინ მეც გილოცავ. თუმცა, მათი ქმრების ხმების ასეთივე წარმატებით მოგროვებაც რომ შეგეძლოს, ალბათ, შენიც ბევრს შეშურდებოდა.



ამის შემდეგ დაუძინებელ მტრებს ერთმანეთისთვის ესოდენ „მეგობრულად“ სათქმელიც კი აღარაფერი დარჩათ და, ამიტომაც, ერთხანს საკმაოდ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენს საზოგადოებაში ყოფნას არაფერი სჯობს, მაგრამ სამწუხაროდ, უნდა დაგტოვოთ, — სიტუაციის განმუხტვა მაინც დროულად მოასწრო უილიამსმა, — ეს წუთია, შემატყობინეს, პრემიერ-მინისტრი წუთი-წუთზე აქ იქნებაო და უნდა შევეგებო.

— მეც თქვენთან ერთად მოვდივარ, — მაშინვე აეკიდა თავმჯდომარეს ფრენსისიც.

— შენ რას იზამ, მაიკლ? — ჰკითხა უმცროს მეგობარს პარტიის თავმჯდომარემ.

— მე აქ მოვუცდი, თორემ ჰენრი რომ მოვა, დაბლა ისეთი ზედახორა დაიწყება, რომ მაინც ვერაფერს დავინახავ და ვერც თვითონ შემამჩნევს.

ურჰარტი წამით შეყოვნდა, რადგან მოეჩვენა, რომ სამუელმა ამ სიტყვებით პირველ რიგში მას წაჰკბინა, მაგრამ უფრო მკვეთრი რეაქციის გაკეთებას ბოლოს მაინც უკვე კიბეზე ჩამავალი პარტიის თავმჯდომარის დაწევა ამჯობინა.

პარტიის თავმჯდომარისა და მთავარი შოლტის ერთად დანახვისთანავე ღონისძიების ორგანიზატორებმა შეკრებილთა აყოლიება კიდევ ერთხელ სცადეს და ამჯერად მგონი, გამოუვიდათ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მოედანზე პრემიერ-მინისტრის დაჯავშნული „დაიმლერის“ გამოჩენას ენერგიული ჩოჩქოლი და ხმამაღალი შეძახილები ნამდვილად მოჰყვა. „დაიმლერს“ თან უამრავი სხვა მანქანა და ესკორტის მოტოციკლი ახლდა. მათ ტელევიზიის გადამღებ ჯგუფთან ერთად შეკრებილი პროფესიონალი ფოტორეპორტიორები და ფოტომოყვარულებიც ფოტოაპარატების ენერგიული ხჩაკუნით შეეგებნენ.

ჰენრი კოლინრიჯი მანქანიდან გადმოსვლისთანავე მოედნისკენ შებრუნდა და იქ შეკრებილთ მისალმების ნიშნად ხელი ენერგიულად დაუქნია. ურჰარტი ყველანაირად ეცადა, პრემიერ-მინისტრს პირველი შეჰგებებოდა, მაგრამ ზედმეტი მოუვიდა და ხელის ჩამორთმევის მაგივრად გზა გადაუღობა, რის გამოც ბოდიშის მოხდა და განზე გადგომა მოუხდა. სამაგიეროდ, სამთავრობო მანქანის მეორე მხარეს აღმოჩენილმა ლორდმა უილიამსმა წლების მანძილზე გამომუშავებული გალანტურობითა და ახლო ნაცნობობისთვის სრულიად მისაღები ბუნებრიობით შეაშველა ხელი მანქანიდან გადმოსულ პრემიერ-მინისტრის მეუღლეს და ლოყაზე მამაშვილურადაც ეამბორა.

მსგავსი დაგეგმილ-დაუგეგმავი მომენტები შენობაში შესვლის შემდეგაც არაერთხელ გამეორდა,

რის გამოც პრემიერ-მინისტრსა და მის თანმხლებ პირებს კიბის ზედა ბაქნამდე ასაღწევად საკმაოდ დიდი ჯაფა დაადგათ. იქ კი კოლინრიჯი უკვე თავად, პერსონალისთვის ტრადიციული მადლობის სიტყვების სათქმელად, შეჩერდა და შემდეგ ყველაფრის კიდევ ერთხელ გამეორებაც მოუხდა, რადგან კორესპონდენტებმა ამ მოვლენის ადგილამდე დროულად აღწევა ვერაფრით მოახერხეს.

ჰენრი კოლინრიჯმა შვებით მხოლოდ ლორდ უილიამსის კაბინეტში მოხვედრის შემდეგღა თუ ამოისუნთქა და სახეზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გულმოდგინედ შენიღბული გადაღლაც მაშინვე დაეტყო. ოთახის კუთხეში მდგარ ტელევიზორში სამთავრობო უმრავლესობის მორიგ შემცირებაზე გამოაცხადეს. ამის გამგონე პრემიერ-მინისტრმა ერთი ღრმად ამოიოხრა და ოთახს უნუგეშო მზერა მოავლო.

— ჩარლზი არ გამოჩენილა? — ხმადაბლა ჰკითხა მან შემდეგ თავმჯდომარეს და, თან, თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა.

— გამოჩნდა, — უხალისოდ უპასუხა უილიამსმა.

— მერე?

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ როგორც ყოველთვის... — სათქმელი აღარ დაასრულა თავმჯდომარემ.

„მაინც რაზე წუხს? — დაფიქრდა კოლინრიჯი. — იმაზე, რომ ჩემი ძმა უკვე უგონოდ მთვრალია თუ იმაზე, რომ პრაქტიკულად, საპარლამენტო უმრავლესობის გარეშე დავრჩი და ჩემთან ერთად მასაც მოუწევს ამ ტვირთის ზიდვა?.. ასეა თუ ისე, მადლობის მეტი მაინც არაფერი მეთქმის“. უცბად პრემიერ-მინისტრს საშინელი დაღლა და მარტოდ დარჩენის ისეთი დაუძლეველი სურვილი მოეძალა, რომ თვალით ოთახში ყველაზე მყუდრო ადგილის სრულიად ანგარიშმიუცემლად ძებნაც კი დაიწყო, თუმცა ამის ნაცვლად მისი მზერა მთავარ შოლტს გადააწყდა, რომელმაც მაშინვე რაღაც ფურცელი გაუწოდა.

— ეს რა არის? — ფურცელს უხალისოდ დახედა კოლინრიჯმა.

— ჩამონათვალი, — მკვირცხლად უპასუხა ურჰარტმა.

— რისი ჩამონათვალი?

— არჩევნების შემდეგ ხელმძღვანელობაში განსახორციელებელი გადაადგილებების... და რადგანაც მსგავს შემთხვევებში ზოგადად ფიქრს ყოველთვის რაღაც კონკრეტული მონახაზის ქონას ამჯობინებთ, მეც გავკადნიერდი და მასზე დამოუკიდებლად წავიმუშავე.

— ესე იგი, დამოუკიდებლად, ხომ?

— დიახ... რა თქმა უნდა, ვხვდები, რომ ახლა ამის გადახედვის თავი არ გაქვთ, მაგრამ...

— ნამდვილად არ მაქვს, — საკმაოდ უხეშად გააწყვეტინა პრემიერმა მთავარ შოლტს და, თან, დაბინდული მზერა გაკვირვებით შეავლო. — და საერთოდაც, იქნებ, სჯობდა, ჯერ იმაზე გვეფიქრა, თუ უმრავლესობაში როგორ დავრჩენილიყავით და ჩვენი კოლეგების მიყრა-მოყრა ამის შემდეგ დაგვეწყო.

— ნამდვილად არ მიფიქრია არავის მიყრა-მოყრა... — გულზე ლახვარივით დაესო პრემიერ-მინისტრის სიტყვები ურჰარტს.

კოლინრიჯი მიხვდა, რომ ცოტა გადაამლაშა და, ამიტომაც, მაშინვე დაყვავებაზე გადავიდა:

— მაპატიეთ, ფრენსის, მაგრამ მართლა ძალიან დავიღალე... თქვენ კი, რაღა თქმა უნდა, სწორად მოიქეცით, რომ მომავალზე წინასწარ იფიქრეთ. ასე რომ, მოდი, ამაზე



უკვე კვირას, ტედისთან ერთად ვიმსჯელოთ.

— ტედისთან?

— დიახ. ამიტომ ძალიან გთხოვთ, თქვენი წერილის ასლი მასაც მისცეთ, თავად წერილი კი ხვალ დაუნინგ-სტრიტზე გამომიგზავნოთ.

— დიახ, პრემიერ-მინისტრო, როგორც თქვენ იტყვით... — თავი მოწიწებით დახარა მთავარმა შოლტმა. — ტედის ასლს ახლავე გადავცემ.

ერთსა და იმავე ციფრს, 24-ს უტრიალებენ.

სერ უილიამსის ხმაში არც კმაყოფილება იგრძნობოდა და არც გამარჯვების სიხარული, რადგან ბოლო ოცი წლის განმავლობაში მისი პარტიის მაჩვენებელი ასე დაბლა არასდროს ჩამოსულა.

— ასე ძალიანაც კი ნუ განიცდი, ტედი, — მისი გამხნევება სცადა პრემიერ-მინისტრმა. — უმრავლესობა ხომ მაინც უმრავლესობაა.



— ჯობს, ის თავადვე, ხელით გადაუწეროთ, თორემ ძალიან უხერხული იქნება, თუ მსგავსი სიის მანქანით გადაღებული ასლი ხელიდან ხელში გადავა, — მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა პრემიერ-მინისტრმა მთავარ შოლტს და ამით დაუნინგ-სტრიტისთვის ჩვეულ ინტრიგებში მის მონაწილეობას გაუსვა ხაზი. — ახლა კი ცოტა თავსაც უნდა მივხედო, თორემ ოთხ საათზე ბი-ბი-სიზე მაქვს გამოსვლა და იმ დროისთვის უკვე სიხარულით უნდა ვბრწყინავდე.

საუბრის დამთავრების ნიშნად, პრემიერ-მინისტრი ფეხზე ნელ-ნელა წამოიმართა და ოთახიდან გასვლამდე პარტიის თავმჯდომარეს ჰკითხა:

— მართლა, ტედი, ახლა რაღას გვიწინასწარმეტყველებენ კომპიუტერები?

— უკვე საათ-ნახევარია, რაც თანაც, თუ ჩვენი მთავარი შოლტი ადრე ასზე მეტ ხმას განაგებდა და ამის გამო საერთოდ გულხელდაკრეფილი იჯდა, ახლა რაღაცის გაკეთება მაინც მოუწევს, ხომ ასეა, ფრენსის?

ამ სიტყვების შემდეგ პრემიერ-მინისტრი ოთახიდან უკვე უკანმოუხედავად გავიდა, ურჰარტს კი ხელში კონვერტი შეატოვა, რომელსაც ის უკვე კარგა ხანია, ხელს ნერვიულად უჭერდა.

პრემიერ-მინისტრის წასვლის შემდეგ როგორც შენობაში, ისე მის წინ, მოედანზე შეკრებილები ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ და ცოტა ხანში ფრენსის ურჰარტიც პირველი სართულის ერთ-ერთი შორეული ოთახისკენ გაემართა, სადაც ასლის გადამღები აპარატი ეგულებოდა.

ეს მომცრო ზომის უფანჯრო ოთახი საკანცელარიო ნივთების მარაგის შესანახად და ფოტოასლების კონფიდენციალური გადაღებისთვის იყო განკუთვნილი. ოთახის კარის შეღებისთანავე ურჰარტს საშინელი სუნი ეცა და სინათლის ასანთებად ჩამრთველისკენ წაღებული ხელი მაშინვე ცხვირზე მიიჭირა, თუმცა დერეფნიდან შეღწეულ შუქზეც კარგად გაარჩია, იატაკზე მიგდებული პრემიერ-მინისტრის ძმა საკუთარ შარვალს ძილშიც კი როგორ ხვავრიელად „რწყავდა“. მთელი ოთახი ერთმანეთში არეული სასმლისა და შარდის მძიმე სუნით იყო გაჟღენთილი. ურჰარტს ჯერ ხველა აუტყდა, მერე კი წამოაზიდა კიდეც, ამიტომაც სასწრაფოდ ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირ-პირზე გამეტებით მიიჭირა. შემდეგ დაიხარა, მძინარე ჩარლზი ზურგზე გადააბრუნა და, გრძნობაზე მოსაყვანად, ნჯღრევა დაუწყო. პასუხად ჩარლზმა მხოლოდ ერთი ამოიხრიალა და ხვრინვაც და „რწყვაც“ ძველებურად განაგრძო.

ფრენსის ურჰარტი მის წინ დაგდებულ უღონო სხეულს თავიდან მხოლოდ ზიზღით აკვირდებოდა, მაგრამ მერე, პრემიერ-მინისტრის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა რომ გაახსენდა, ზიზღს შურისძიების მძაფრი სურვილიც დაემატა. ამიტომაც, ნელ-ნელა დაიხარა და მძინარეს სახეში გამეტებით გაულაწუნა. ერთ გარტყმას მეორე და მესამეც მოჰყვა. მთავარი შოლტის ტვიფრებიანმა ბეჭედმა ჩარლზს სახე დაუნდობლად გაუკაწრა, ტუჩის კუთხეებიდან წამსკდარმა სისხლმა კი იატაკზე დაიწყო წვეთა. თუმცა, ურჰარტი ამის შემდეგაც კარგა ხანს არ გაჩერებულა, მერე წელში ზამბარასავით გასწორდა და სახეზე ხელი ისე გამეტებით ჩამოისვა, თითქოს მრისხანებისგან დაბრეცილი ნაკვთების ძალით გასწორებას აპირებსო. ნაცემ-ნაგვემმა ჩარლზმა კი კიდევ ერთხელ ამოიხრიალა და გვერდი წვალებით იცვალა.

მთავარი შოლტი პრემიერ-მინისტრის მძინარე ძმას აუწერელი ზიზღითა და სიძულვილით კიდევ კარგა ხანს დასცქეროდა, შემდეგ კი, შენი ძმაც შენნაირი ნაგავიაო, ერთი წაუსისინა, ასლის გადასაღებ აპარატთან მივიდა, წერილის ასლი გადაიღო და ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა. ■

# ლაშა ღლონტის ექსპერიმენტი — საკუთარი ხელით მოხვეული ხინკალი და ქაბაბი

ექიმი და მომღერალი ლაშა ღლონტი „გურმანის“ „სტუმარი“ ადრეც იყო, თუმცა, გადავწყვიტე, მისი კულინარიული შესაძლებლობები ამჯერად სხვა კუთხით წარმომეჩინა და ექსპერიმენტის ჩატარება — სპეციალურად ჩვენთვის რაიმე კერძის მომზადება ვთხოვე, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდა და საკუთარ რესტორანში მიმიპატიჟა. საჭმლის მომზადება ძალიან სახალისოდ წარიმართა. სანამ იქაური შეფ-მზარეულის დახმარებით, ლაშა შამფურზე საქაბაბე ხორცს აგებდა, თავისი ატრიბუტებით და წითლად აგუზგუზებულ ნაკვერჩხალზე წვავდა, მე შეკითხვებს ვუსვამდი და ისიც, პარალელურ რეჟიმში ამბებს მიყვებოდა, თან ვპაპარაცობდი და მისთვის იშვიათ ამპლუაში ფოტოებს ვუღებდი. ხინკლის მოხვევის პირველმა მცდელობამაც ასეთი ხალისით ჩაიარა და საბოლოოდ, ქალბატონი ლიას მომზადებული თხელცომიანი და კარგად შეზავებული ფარშიანი ხინკალი უგემრიელესი აღმოჩნდა.

თამთა დადეშელი

*მოკლედ, შემიძლია ვთქვა, რომ ექსპერიმენტმა გაამართლა. ლაშას მიერ, მზარეულებთან ერთად, მომზადებული ქაბაბი და ხინკალი მართლაც კარგი გამოვიდა, დეგუსტაციის პროცესმა კი ორი გურმანისთვის — რესპონდენტ-ჟურნალისტისთვის კიდევ უფრო სასიამოვნოდ ჩაიარა.*



კახეთში შემწვარ მწვადს სულ სხვა გემო და ხიბლი აქვს

## გემრიელი საჭმელი და მისი ჭამის „მუღამი“

— ცხოვრებაში სამი თემა მაქვს ყველაზე მთავარი — სიმღერა, კულინარია და მოგზაურობა, რომელზეც უარს ვერასდროს ვამბობ. კულინარია, შეიძლება ითქვას, რომ პირველ ადგილზე დგას, რადგან ის მხოლოდ გასტრონომიული მოთხოვნის დაკმაყოფილება არ არის, ყველა კერძს თავისი ისტორია აქვს, შესაბამისი გარემო, სიტუაცია სჭირდება და ა.შ. ეს ყველაფერი კი იმ წარმატებას განაპირობებს, რაც იმ კერძში დევს. ელემენტარულად, ქვევრის ღვინო ავიღოთ, ჩვენ რომ არ ვიცოდეთ, რა ტექნოლოგიით და როგორ მზადდება, რა შრომა დევს ამის უკან, ალბათ გემოს სათანადოდ ვერ გავუგებდით. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი იცოდე ისტორია, კულტურა და ა.შ. კულინარიის მხრივ, ძალიან განვითარებული ქვეყნები, მაგალითად, საფრანგეთი, იტალია, ჩინეთი, იაპონია და სხვები, განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევიან და შეზავების დიდოსტატები არიან. ქართველები კი არავის ჩამოუვარდებიან, უბრალოდ, ყველა კერძს თავისი ადგილი აქვს. მაგალითად, მწვადს თბილისშიც შესანიშნავად წვავენ და სხვაგანაც, მაგრამ კახეთში შემწვარ მწვადს სულ სხვა გემო და ხიბლი აქვს, სხვა სიტუაცია, სხვა გარემოა და იმიტომ. აჭარული ხაჭაპური ბათუმში უნდა ჭამო, მარილიან წყალში რომ იბანავებ და ზღვიდან მშიერი ამოხვალ, აი, მაშინ უფრო გეგემრიელება. ბჟიტი მაყვალში და წიწილი ისრიმ-მაყვალში, ხაჭაპური, იმერეთში უნდა ჭამო. ასეთი მიდგომები მაქვს.

## ქაოსური მცდელობები კულინარიაში და წინ გადადგმული ნაბიჯი

— კულინარიული მცდელობები ჩემს სამზარეულოში მქონდა, მაგრამ ჩემმა მეუღლემ იქიდან გამომაგდო (*იცინის*). მოუწესრიგებელი კაცი ვარ, ჰიგიენური თვალსაზრისით არა, სხვა მხრივ და იქაურობას ძალიან ვურევდი. კერძების კეთებას გადავეჩვიე, მაგრამ ახლა მეორე სუნთქვა გამეხსნა და გადავწყვიტე, ჩემი რესტორანი გამეხსნა. თბილისიდან 90 კილომეტრის სავალზე, აზერბაიჯანის საზღვართან, ერთი მივარდნილი სოფელია. ჩემმა მეგობარმა, რომელიც ექიმია და მარნეულის რაიონში მუშაობს, იქ ქაბაბზე დაგვპატიჟა და ისეთი გემრიელი იყო, აღფრთოვანებული დავრჩი. მომზადების წესი საიდუმლოაო და არავინ გვინდობდა. ნახევარი წელი ვეხვეწებოდი იმ მზარეულ სეიმანს, რომ სამუშაოდ თბილისში წამოსულიყო, ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე და მეგობრებმა პატარა რესტორანი გავხსენით. საჭმელების დეგუსტაციაში სიამოვნებით ვმონაწილეობ ხოლმე და ზოგჯერ — მომზადებაშიც, თუ ამის დრო და სურვილი მაქვს. ამ მიმართულებით რაღაც-რაღაცები მაინტერესებს და საერთოდ, ჩემი ოცნებაა, საკუთარი კულინარიული გადაცემა მქონდეს, არატრადიციული და განსხვავებული. მცდელობები მაქვს და ვნახოთ, რა იქნება.

## ლაშას მომზადებული ქაბაბი

— ქაბაბის კეთება, პირველ რიგში, კარგი ხორცით იწყება და ხორცი თუ უმაღლესი ხარისხის არაა, არაფერი გამოვა. კერძის წარმატება და მომზადება ბაზრიდან, მისი შეძენიდან იწყება. ჩემი აზრით, ქაბაბი კარგმა ადამიანმა უნდა გააკეთოს, უემოციო და გულჩათხრობილ კაცს ეს არ გამოუვა, რაღაცნაირი ტიპი

უნდა იყო. ქაბაბს, რომელსაც ახლა გიმზადებ, თავისი ატრიბუტები ახლავს — ბადრიჯანი, პამიდორი და წიწაკა, ოღონდ ეს ყველაფერი შამფურებზე, ნაკვერჩხალზე შემწვარი, რაც ამ ქაბაბს განსაკუთრებულ ელფერსა და არომატს აძლევს. ვისაც აზერბაიჯანული წესით გაკეთებული ქაბაბი უყვარს, ამ დამატებებს აუცილებლად მოითხოვს. შეწვის ტექნიკას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, არც ზედმეტი უნდა მოგივიდეს და არც — ნაკლები, ზუსტად იმ დროს უნდა გადმოიღო ცეცხლიდან, როცა საჭიროა, ამის განსაზღვრა და ის „სიგნალი“ კი დიდი გამოცდილების შემდეგ ირთვება. ამას ვერავინ გასწავლის და ვერ გეტყვის, შენით უნდა მიხვდე.

### ხინკლის მოხვევის პირველი მცდელობები

— ხინკლის მოხვევა რთული ყოფილა... ხინკლის უამრავი ვარიანტი არსებობს, მაგრამ ის ვერსია,



ხინკლის მოხვევა რთული ყოფილა...

რომელსაც ახლა ქალბატონი ლია მასწავლის, ძალიან გემრიელი უნდა გამოვიდეს. ცომის ტექნიკა ხომ გადამწყვეტია, მაგრამ როგორც ის ამბობს ხოლმე, მთავარია, მაღალი ხარისხის ხორცი და ფქვილი. ხელზე კი, რა თქმა უნდა, ბევრი რამაა დამოკიდებული. როგორც კინოშემოქმედება — მუსიკაც კარგი უნდა იყოს, რეჟისურაც და მსახიობიც, კარგი ხინკალიც ასეა. კულინარიას, როგორც ხელოვნებას ყოველთვის ისე ვაფასებდი. რა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვანია ის ადამიანები, ვინც შენ გარშემო არიან და შემდეგ, ამ ყველაფრის დეგუსტაციაში შენთან ერთად მონაწილეობენ. როდესაც რესტორანში შევდივარ, გაკეთებული კერძით ვხვდები, რა ადამიანებთან მივედი სტუმრად.

### დეგუსტაცია

— ახლა კი დეგუსტაციის დროა და როგორც ჩემი მეგობარი, ქაბაბის დიდოსტატი — სეიმანი ამბობს, ურიგო არ გამომივიდა. გამოცდილება მაინც თავისას შვრება და ალბათ, მინიმუმ ერთი წელი მაინც დამჭირდება, რომ იმას მივაღწიო, რაც სეიმანს შეუძლია. შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ ამ ქაბაბს კარგი ჩაიც უნდა დააყოლო მურაბით, რათა ცხიმოვანი თუ ხორცის მასის ე.წ. ჩაწმენდა მოხდეს, საკვების მონელებას უწყობს ხელს და ჩაი ხომ ისედაც სასარგებლოა. მოკლედ, დესერტის სახით, შეგიძლიათ ეს მურაბიანი ჩაი დააყოლოთ, ნატეხი შაქრითა და კანფეტით, როგორც აზერბაიჯანელებმა იციან.

### რჩევები არასწორად კვების თავიდან ასაცილებლად

— როგორც ექიმმა, შემიძლია გირჩიოთ, რომ წყალი სასურველია ჭამამდე ერთი საათით ადრე მიირთვათ, უმჯობესია ბოთლის, ანუ „დამდგარი“. კვება აუცილებლად ბოსტნეულით უნდა დავიწყოთ, რასაც ქართველები ძალიან იშვიათად ვაკეთებთ, პურს მოვერიდოთ, თუმცა როცა კახურ დედაპურს მოგიტანენ, ცხელ-ცხელს, რთულია, თავი შეიკავო. მალე ალბათ პურის ცხობასაც ვისწავლი (*იცინის*). მოკლედ, წვნიანის ჭამა აუცილებელია და 1-ლი, მე-2 და მე-3 კერძი რომ არსებობს, ეს ტყუილად არაა. ექიმების რეკომენდაციაა, რომ საჭმელს ხილი და წყალი არ უნდა დავაყოლოთ! მესმის, რომ ბევრი რამ არ გვიხერხდება, მაგრამ მაინც, მეც რომ ასე აწყობილი მქონდეს კვების რეჟიმი, ამხელა წონაზე არ ვიქნებოდი (*იცინის*). თუმცა, მინდა ვთქვა, რომ სწორი კვება, დღეში 4-5-ჯერ, აუცილებელია, ოღონდ, უკაცრავად და „გადასკდომამდე“ არა, ცოტ-ცოტა, ორგანიზმი არ უნდა მოაშიო და არც უნდა გადატვირთო. ძილის წინ, 4 საათით ადრე აღარ უნდა იკვებო, წესი ასეა, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ვერავინ ვიცავთ.

### პიკნიკები, კომფორტი და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა

— ადრე ძალიან მიყვარდა პიკნიკებზე სიარული, მაგრამ კომფორტი იმდენად მიყვარს, ახლა მაგის მცდელობები აღარ მქონია. კარვის გაშლა და მდინარის პირას ქვაზე დაჯდომა ადრეულ ასაკში უფრო შეიძლება მოგეწონოს. ჩვენ იმდენად მაგარი ბუნებრივი პირობები გვაქვს, რომ ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, კოლორიტული რესტორნების გაკეთება, იმავე კლდეზე, ამა თუ იმ ადგილის იერსახეში რომ ჩაჯდეს და ელემენტარული კომფორტი იყოს. სოფლებში უმეტესობას კი სახლში წყალი, აბაზანა არ აქვს. ჩვენ თუ გვინდა, ევროპის პირობები დავაკმაყოფილოთ და ტურისტი მოვიზიდოთ, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, ყველანაირი კომფორტი შევქმნათ. ბევრ სასტუმროში ვარ ნამყოფი და განსაკუთრებით, თურქეთის მინდა აღვნიშნო, ყველა გეოგრაფიული არეალი აქვთ მოცული, მაქსიმალურად კომფორტული პირობებით. როგორ შეიძლება, ელემენტარულად, საპირფარეშოს პრობლემები არსებობდეს. ყველაფერი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვიდან იწყება. ეს პრობლემები თუ არ მოვაწესრიგეთ, ვერავის დავეწევით და გავუსწრებთ.

მოკლედ, როგორც აღვნიშნე, კულინარია ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია და ვინაიდან ახლა ბევრი საქმე მაქვს, საზოგადოებრივად დატვირთული ვარ, იმდენი გასტროლი და ღონისძიებაა, კეთებას ვერ ვახერხებ ხოლმე, თუმცა ეს პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს და მიხარია, როცა ჩემს გაკეთებულ კერძს ვინმე აგემოვნებს. ახლა, ეს ექსპერიმენტი სპეციალურად შენთვის და ჟურნალ „გზისთვის“ გავაკეთე და შეფასება შენთვის მომინდვია. ■

„გზის“ ამ ნომერთან ერთად შეგიძლიათ შეიძინოთ „ჩემი რჩეული მსოფლიოს“ ოსკარ უაილდის რომანი — „დორიან გრეის პორტრეტი“.

# ოსკარ უაილდის პირადი დრამა — კატორღა, შეცვლილი ორიენტაცია და დანგრეული ცხოვრება

**„მხატვარი ის არის, ვინც მშვენიერს ქმნის. გაუხსნა ადამიანებს საკუთარი თავი და დაფარო მხატვარი — აი, რისკენ მიილტვის ხელოვნება“.**

ირინა ჯანდიერი

ოსკარ ფინგალ ო'ფლაერტ უილს უაილდს უყვარდა სილამაზე, ის მისი კერპი იყო. მაგრამ სად უნდა პოვო სილამაზე ამ საშინელ, ობივატელურ, მეშჩანურ ყოფაში? მატერია — მშვენიერი ხელოვნების ნიმუშთა შესაქმნელად?

მას აზრებით თამაში მოსწონდა, მათი მოულოდნელი მიმართულებით წარმართვა და საყოველთაოდ მიღებულის ეჭვისთვის დაქვემდებარება. ამით თითქოს საზოგადოების დაჭაობებული ყოველდღიურობის აზვირთებას ცდილობდა.

აღიარებულ ფასეულობათა დაცინვა დეკადანსის ერთ-ერთი თვისებაა. მერედა, რარიგ ბრწყინვალეა და შეუდარებელი, ბრჭყვიალა, ნათელი ფერებით. საიდან აქვს ეს ბრწყინვალება? დაცემით ხომ არა? — დიახ, ერთი მხრივ, ეს ცივილიზაციის გვიანი შემოდგომის ხმელი ყვავილია, რომელიც დაღუპვისკენაა მიდრეკილი.

„არ არსებობს არც უზნეო და არც ზნეობრივი წიგნები. არსებობს მხოლოდ კარგად ან ცუდად დაწერილი ნაწარმოებები“, — წერდა უაილდი „დორიან გრეის პორტრეტის“ შესავალ ნაწილში.

მრავალი რამ, რაც ინგლისური ლიტერატურის ამ დიდოსტატის მიერ იყო ნათქვამი, ატარებდა სურვილს — მოულოდნელობით განეგმირა, შოკისებური ზეგავლენა მოეხდინა საუკუნეთა მიჯნაზე მყოფ საზოგადოებაზე; ზოგჯერ გაებრაზებინა კიდეც ის. საბოლოოდ კი, მისი სამიზნე გახდა.



უაილდი ლონდონის საზოგადოებაში ძალზე პოპულარული გახდა

ოსკარ უაილდი 1854 წლის 16 ოქტომბერს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში დაიბადა. მამამისი — სერ უილიამ უაილდი, ცნობილი ექიმი — ამ დროს 39 წლის იყო. დედა — ჯეინ ფრანჩესკა ელჯი — პოეტი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, ელიტური პოეტური სალონებისა და კლუბების მუდმივი წევრი — 30 წლის. უაილდების ოჯახის კარი ხელოვანთათვის მუდამ ღია იყო. მშობლებმა ვაჟის ინტელექტუალურ განვითარებასა და ხელოვნებისადმი მისწრაფებას ხელი შეუწყვეს. უნდა აღინიშნოს, რომ ოსკარი მშობლებისთვის მეორე ვაჟი იყო. დედამისს ისე უნდოდა ქალიშვილის ყოლა, რომ ბიჭუნას გოგოს ტანისამოსს აცმევდა, კულულებს უზრდიდა და შედეგებზე სულაც არ ფიქრობდა. ის მაღალი, მოხდენილი და ელეგანტური ყმაწვილი გაიზარდა.

20 წლის ოსკარი სამოგზაუროდ იტალიაში წავიდა და პროტესტანტობიდან კათოლიკურ რწმენაზე მოექცა. დროდადრო სონეტებსა და ლექსებს თხზავდა. 1878 წელს, ბაკალავრის ხარისხი მიანიჭეს. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, უაილდი ლონდონის საზოგადოებაში ძალზე პოპულარული გახდა. ის ნებისმიერ კლუბსა თუ წვეულებაზე სასურველ სტუმრად ითვლებოდა. ახალგაზრდა შემოქმედი საკუთარ შემოსავალს ხელოვნების ნიმუშებზე რეცენზიების წერითა და ლექციების კითხვით გამოიმუშავებდა. ასევე, კომედიური ნაწარმოებების წერასაც მიჰყო ხელი, რითაც დიდ წარმატებას მიაღწია.

ოსკარი ექსტრავაგანტურად, ხელგაშლილად, სკანდალურად და რაც მთავარია, ბედნიერად, განცხრომით ცხოვრობდა.

1882 წელს, ამერიკაში ლექციების წასაკითხად ჩასულ უაილდს აღტაცებით შეხვდნენ. მისმა არაორდინარულმა აზრებმა ყურადღება მიიქცია. გარდა ამისა, ყურადღებას ჩაცმულობითაც იქცევდა — წელში გამოყვანილი ხავერდის კამზოლი, გოფრირებული საყელო, მუხლებამდე შარვალი, ნაცრისფერი აბრეშუმის წინდები და ა.შ.

ამერიკაში გამომუშავებული ფულით პარიზში სამი თვე დაჰყო. სწორედ იქ გაიცნო ვერლენი, ჰიუგო, მალარმე, ზოლა, დეგა, დოდე და სხვანი.

ახალგაზრდობისას ის ერთმნიშვნელოვნად ჰეტეროსექსუალი გახლდათ. ოსკარის პირველი სიყვარული ფლორი ბელკუმი იყო, რომელიც 21 წლისამ გაიცნო. ახალგაზრდა მწერალს გული გაუტყდა, როცა ქალმა გადაწყვიტა, ცოლად გაჰყოლოდა ბრემ სტოკერს („დრაკულას“ ავტორს). ამის

შემდეგ, უაილდი ერთხანს მსახიობმა ლილი ლანგტრიმ გაიტაცა, რომელიც მაშინ გათხოვილი იყო. ამას კიდევ რამდენიმე ხანმოკლე რომანი მოჰყვა. არც მეძავთა მომსახურებაზე ამბობდა უარს. 1881 წელს კი, ოსკარ უაილდმა კონსტანცია ლოიდი გაიცნო — ლამაზი და ალერსიანი გოგონა, რომელსაც ვნებიან, პოეტურ წერილებს სწერდა. ისინი ერთმანეთზე უზომოდ იყვნენ შეყვარებულნი და 1884 წელს იქორწინეს კიდეც. თაფლობის თვე პარიზში გაატარეს. შემდგომი რამდენიმე წელიც წყვილისთვის ბედნიერი იყო. მათ ორი ვაჟი შეეძინათ — სირილი და ვივიანი.

ქორწინებიდან პირველ წლებში მწერალმა თავისი გამორჩეული ნაწარმოებები შექმნა: „ქანთერვილის მოჩვენება“ (1887), „ლორდ ართურ სევილის დანაშაული“ (1891) და რომანი „დორიან გრეის პორტრეტი“ (1891).

მიუხედავად იმისა, რომ ოსკარს ცოლ-შვილი ძალიან უყვარდა, ოჯახურ ყოფას მაინც ვერაფრით მოერგო. მისი ბიოგრაფები დღემდე



დროთა განმავლობაში, უაილდისა და დუგლასის შესახებ ჭორებმა იმატა

ცდილობენ, ამოხსნან — რამ უბიძგა მწერალს, შეეცვალა სექსუალური ორიენტაცია?

1891 წელს, უაილდმა 22 წლის არისტოკრატი, ლორდი ალფრედ ბრიუს დუგლასი გაიცნო (მარკიზ ქუინსბერის მესამე ვაჟი), რომელმაც მის ცხოვრებისეულ დრამაში ბოროტი გენიის როლი შეასრულა. ის მწერალზე 16 წლით უმცროსი იყო. მეორე შეხვედრისთანავე ოსკარმა მას „დორიან გრეის პორტრეტი“ აჩუქა. დუგლასი ცნობილი ოჯახის შვილი, ძალიან ლამაზი, ვნებიანი, იმპულსური და ამაყი ახალგაზრდა გახლდათ. დროთა განმავლობაში, უაილდისა და დუგლასის შესახებ ჭორებმა იმატა, მაგრამ ყველაფერი შესაძლოა, ჩუმადაც დასრულებულიყო, რომ ამ საქმეში ახალგაზრდა ლორდის მამა არ ჩარეულიყო. ქუინსბერის მარკიზს, ჯონათან დუგლასს შვილის სექსუალური მიდრეკილებების მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. მისი მრისხანების გამოვლენის კულმინაცია ღია ბარათი იყო, რომელიც მან უაილდს კლუბ „ალბემარში“ გაუგზავნა. ბარათზე შეურაცხმყოფელი სიტყვები ეწერა. ოსკარმა ცხელ გულზე დაუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა და მარკიზს სასამართლოში უჩივლა. ალფრედის მამა სასამართლოსთვის კარგად მომზადებული აღმოჩნდა. მას დეტექტივთა და ფასიან ინფორმატორთა მთელი ჯგუფი ჰყავდა დაქირავებული. სასამართლოში მიიყვანეს ყმაწვილები, რომლებმაც უაილდთან სექსუალური კავშირები დაადასტურეს. პროკურორი იძულებული გახდა, ქუინსბერის მარკიზის მიმართ აღძრული საქმე შეეწყვიტა. ჯონათან დუგლასი გამართლდა.

მეგობრები ოსკარს სთხოვდნენ, სასწრაფოდ დაეტოვებინა ლონდონი, მაგრამ მწერალმა ამაზე უარი თქვა. ერთი თვეც არ იყო გასული, რომ უაილდი დააპატიმრეს. ახლა უკვე ალფრედის მამა უჩიოდა მას სასამართლოში, გაუკულმართებული სექსუალური ურთიერთობების გამო. ამ სასამართლო პროცესზე მწერალს ზოგიერთი საკუთარი ნაწარმოების დაცვაც კი მოუხდა — მაგალითად, „დორიან გრეის პორტრეტის“. უაილდს მახვილგონიერება არც აქ ღალატობდა. ის შთამბეჭდავი სიტყვებით უპირისპირდებოდა უხამს ბრალდებებს. მსაჯულთა სასამართლომ გადაწყვეტილება ვერ მიიღო და საქმე მესამე პროცესისთვის გადაიდო. თავისუფლებაში მყოფმა ოსკარმა ქვეყნიდან გამგზავრება კვლავ არ ისურვა.

მესამე პროცესი მისთვის ტრაგიკულად დამთავრდა: უაილდს ორი წლის კატორღული შრომა მიუსაჯეს, რაც იმხანად ბრიტანული კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული.

ინგლისის სატუსაღოს მძიმე პირობებმა პოეტური სულის მქონე უაილდზე მძიმე კვალი დააჩნია: მას ღრმა დეპრესია დაეწყო, მძიმე სენმა დარია ხელი; დაყრუვდა და მხედველობაც დააკლდა; გარდაეცვალა დედა; ცოლ-შვილს დაშორდა. ერთი სიტყვით, ვიქტორიანული ინგლისის საზოგადოების მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო. სწორედ ამ დროს დაიწერა მისი ცნობილი პოემა — „რედინგის ციხის ბალადა“ და პროზაული წერილი — De Profundis („სიღრმიდან“).

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მორალურად და ფიზიკურად გატეხილი მწერალი ინგლისში აღარ დარჩენილა. სებასტიან მელმოტის სახელით, ჯერ საფრანგეთში, შემდეგ, იტალიაში ცხოვრობდა. ახალგაზრდა მეგობართან, ალფრედ დუგლასთან ურთიერთობაც ისევ გაგრძელდა. მისი წყალობით უაილდის პიესები ისევ იდგმებოდა სხვადასხვა თეატრის სცენებზე. მაგალითად, 1896 წელს, პარიზის „ხელოვნების“ სცენაზე დაიდგა პიესა — „სალომე“. ეს პიესა უაილდის მიერ ფრანგულად იყო დაწერილი. მან ის, თავის დროზე, დიდი ფრანგი მსახიობის — სარა ბერნარისთვის დაწერა და ამით ასახა არა იმდენად ბიბლიური გმირის, არამედ — ტრაგიკული მსახიობის სახე.

1898 წელს, „რედინგის ციხის ბალადა“ ავტორის სახელის გარეშე გამოვიდა.

1899 წლის შემოდგომაზე მწერალი ახალგაზრდა მეგობართან ერთად ნეაპოლში გაემგზავრა, მაგრამ დეკემბერში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

1900 წლის 30 ნოემბერს, 46 წლის ასაკში სახელგანთქმული მწერალი — ოსკარ უაილდი საფრანგეთში, ერთ უსახურ სასტუმროში გარდაიცვალა. ის ნაჩქარევად „ბანიოს“ სასაფლაოზე დაკრძალეს. თუმცა, დაახლოებით ათი წლის შემდეგ, „ლაშეზის“ სასაფლაოზე გადაასვენეს, სადაც ჯეიქობ ეფსთაინის ფრთოსანი სფინქსის ქანდაკება დაუდგეს.

1905 წელს, გამოვიდა მისი აღსარების De Profundis პირველი გამოცემა.

ოსკარ ფინგალ ო' ფლაერტ უილს

უაილდი თანამედროვე ინგლისური ენის უდიდეს რეფორმატორადაა მიჩნეული. მისი ზღაპრები, პიესები, რომანი, ლექსები, პოემები, მოთხრობები, ესეები, წერილები, კრიტიკა, პუბლიცისტიკა გამუდმებით ითარგმნება და გამოიცემა მსოფლიოს ოთხმოცზე მეტ ენაზე.

**„დორიან გრეის პორტრეტი“**

რომანის შესავალ ნაწილში ავტორი წერს: „თუ ხელოვნების ნაწარმოები კამათს იწვევს, — მაშასადამე, მასში არის რაღაც ახალი, რთული და მნიშვნელოვანი“.

უაილდის იდეა იმის შესახებ, რომ სილამაზესა და მორალს ერთმანეთთან კავშირი არ აქვს, „დორიან გრეის“ საწყის პუნქტად გვევლინება. მორალი თითქოსდა, ბოჭავს ადამიანს და სიამოვნების მიღებაში ხელს უშლის. ამიტომაც, რომანის მთავარი პერსონაჟი და მასთან ერთად უაილდი მორალს უარყოფს. სილამაზე და სიამოვნების მიღება დორიანის დევიზად იქცევა. საით მიჰყავს ყოველივე ამას?.. — ის ანგრევს საკუთარ თავს, როგორც პიროვნებას. სულიერი სილატაკე მას ჩიხში აქცევს, რომელშიც სიამოვნების მიღების უნარს და სილამაზის განცდასაც კარგავს.

თუკი დორიან გრეის ბედს რაიმენაირი ობიექტური აზრი მაინც გააჩნია, ის მხოლოდ ერთში მდგომარეობს: მორალური მუხრუჭის დაკარგვას ადამიანი დაღუპვისკენ მიჰყავს. ამ აზრს მხატვრული სახის ლოგიკიდანაც ვიგებთ. გამოდის, რომ ავტორი თავის რომანს იწყებს მორალური ფასეულობების უარყოფით, ხოლო ასრულებს სრულიად საწინააღმდეგო დასკვნით — მთავარი გმირის ამორალურობის ბრალდებით. ნაწარმოების რთულ სიმბოლიკაში ეს ნიშნავს, რომ რეალურ ადამიანში ჭეშმარიტებას ვერ შეიცნობ, ის მხოლოდ ხელოვნებით შეიძლება ასახო. აქვე ხდება უაილდის პრინციპის ილუსტრაციაც, რომ „ხელოვნება ცხოვრებასთან შედარებით, უფრო მეტად რეალურია. ცხოვრება ხელოვნებას ჰბაძავს და არა პირიქით“. მწერალმა ეს საიდუმლო იცოდა და მისით სარგებლობაც შეეძლო. მან მოიგონა ეს თამაში — რეალობისა სიმბოლურთან; გაგვიტაცა ამ თამაშით, შემდეგ კი, მოგვცა საშუალება — გვეფიქრა, რაც გვსურდა... ■

# მიმტანის პროფესიასთან დაკავშირებული სირთულეები

**ჩემი რესპონდენტი ჭკვიანი, მშრომელი და რაც მთავარია, ძლიერი ადამიანი გახლავთ. ის ჯერ 22 წლის არის. მომავალში მსახიობობას აპირებს, მაგრამ წლებია, მიმტანად მუშაობს. ამჟამინდელ პროფესიას აფასებს და სხვებსაც იმავეს მოუწოდებს...**



ეთო ყორღანაშვილი

*მარიამ ჟამუტაშვილს მიმტანის პროფესიის შესახებ ვესაუბრე, თუმცა აღმოჩნდა, რომ პატარა ასაკის მიუხედავად, გოგონას საინტერესო ცხოვრება აქვს გავლილი და გვერდი ვერც ამას ავუარეთ... იმედია, მარიამთან ინტერვიუ მიმტანის პროფესიის გაცნობაში დაგეხმარებათ და მეტიც — თავდაჯერებას შეგმატებთ, განურჩევლად იმისა, თუ რომელი პროფესია გაქვთ არჩეული.*

— 5 წელია, მიმტანად ვმუშაობ. სკოლა რომ დავამთავრე, სამსახური მჭირდებოდა. თეატრალურ უნივერსიტეტში, სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარება მინდოდა. ბავშვობაში, ჰოლივუდის ვარსკვლავების ბიოგრაფიებს ვკითხულობდი და უმრავლესობა წინათ მიმტანად მუშაობდა. ამ საკითხს ჩავეძიე და მივხვდი: მსახიობს სითამამე, ხალხთან ურთიერთობა აუცილებლად უნდა ჰქონდეს. მიმტანობა მსახიობობას ჰგავს. ამიტომაც ავირჩიე. თან, ასე ვთქვათ, ამ საქმით ფულიც ნორმალურად იშოვება. მაინტერესებდა სხვადასხვა ღვინის, კერძის შესწავლა და საერთოდ, ამ პროფესიაში რა როგორ იყო. ხალხთან ურთიერთობა მჭირდებოდა. მსიამოვნებდა, რომ ადამიანებს ღიმილით ვემსახურებოდი (*იღიმის*)...

**— სამსახური როგორ იპოვე?**

— გამიმართლა, რომ მცდელობის პირველსავე დღეს ამიყვანეს.

**— ვაკანსია სად მოიძიე?**

— ვაკანსია არ მინახავს. რადგან სამსახური მჭირდებოდა, ინტერნეტში „შევძვერი“, რესტორნები მოვძებნე, შემდეგ კი რამდენიმე მათგანში მივედი. გამიმართლა და ერთგან სამსახურში ამიყვანეს.

**— დამსაქმებლებს შენთან რა მოთხოვნები ჰქონდათ?**

— თავდაპირველად შევთავაზე, გადამზადებას გავივლიდი, მათთან მუშაობა რომ დამეწყო. მათი პირველი მოთხოვნა იყო, რომ აუცილებლად მოწესრიგებული ვყოფილიყავი, სამსახურში დროულად მივსულიყავი და ა.შ. ასევე, რუსული და ინგლისური ენა

უნდა მცოდნოდა და გამართულად მემეტყველა, რადგან მიმტანებს სტუმრებთან ურთიერთობა გვიხდება. შემდეგ, სერვისი ვისწავლე, რაც მომსახურების ტერმინებსა და უამრავ რამეს გულისხმობს. მერე მომინდა, ახალი სამსახური მეშოვა. იქ მისულს გამომკითხეს, სერვისი ვიცოდი თუ არა. ყველა რესტორანში სუფრის სხვადასხვანაირი, თავისებური გაწყობის სტილი აქვთ. ყოველ ახალ სამსახურში ახალ-ახალ რაღაცებს ვითვისებდი.



მიმტანს თავისი პროფესია ძალიან უნდა უყვარდეს

**— თავდაპირველად, გადამზადებისთვის თანხა თავად გაიღე თუ რესტორანმა?**

— ფულს თავად მაძლევდნენ, ოღონდ — გასამრჯელოს ნახევარს. ტრენინგები გავიარე.

**— რა სირთულეებთანაა დაკავშირებული მიმტანის პროფესია?**

— როგორც გითხარით, მიმტანობა მსახიობობას ჰგავს და სირთულეც ამას უკავშირდება: სამსახურში მისულებმა ჩვენი განწყობილება კარის ზღურბლს მიღმა უნდა დავტოვოთ, რადგან რთული დღის შემდეგ, რესტორანში მოსული სტუმარი უნდა გამხიარულდეს, გული გადააყოლოს და ა.შ. ჩვენს პრობლემებს ვივიწყებთ და მომსახურებაზე ვართ ორიენტირებული. მიმტანს თავისი პროფესია ძალიან უნდა უყვარდეს, რადგან თავად თუ არ დააფასა, სხვა არ დააფასებს. საერთოდაც, საზღვარგარეთ მიმტანობა ძალიან დაფასებული პროფესია გახლავთ. უკვე საქართველოშიც აფასებენ, მაგრამ როცა მუშაობა დავიწყე, მაშინ ჩემი თანატოლები ამ სფეროში დიდად არ იყვნენ დასაქმებულები.

**— რესტორნის მეპატრონე, მენეჯერი თუ სტუმარი უსამართლოდ მოგპყრობია?**

— რატომღაც, სტუმრებთან დაკავშირებულ მსგავს შემთხვევას ვერ ვიხსენებ. ამ პროფესიას ძალიან ანალიტიკური აზროვნება, ფსიქოლოგიის ცოდნა სჭირდება. რთული სიტუაციებიდან იოლად „გამოძრომა" უნდა შეგეძლოს. ალბათ, ეს მეხმარებოდა, რომ არც ერთ სტუმართან პრობლემა არ შემქმნია, რაც ძალიან მიხარია და მეამაყება. უფროსებს რაც შეეხება, პატარ-პატარა უთანხმოებები ყოფილა, მაგრამ როცა ყველაფერი გარკვეულა, სიტუაცია დამშვიდებულა. სადაც კი მიმუშავია, ყველგან კარგად მიცნობენ და მგონი, ვუყვარვარ კიდეც...

**— რთული სიტუაციები ახსენე. რა სირთულეებს გულისხმობ?**

— მაგალითად, მიმტანს ჩაბარებული მაქვს „პოზიცია" — დაახლოებით, 10 მაგიდა. ამ 10 მაგიდიდან 1 საათში 6 მაგიდა შეივსო. ერთის შეკვეთა უნდა მიიღო, მზარეულებს გადასცე, შეკვეთა წამოიღო, მეორე შეკვეთა მიიღო, მესამე... თან, სუფთად და ლამაზად უნდა მოემსახურო. ეს დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული, თუმცა გამოცდილი მიმტანები კარგად უმკლავდებიან და რესტორნიდან სტუმარიც კმაყოფილი მიდის.

**— მიმტანებს ერთმანეთთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ? ე.წ. „ჩაის" როგორ ინაწილებთ?**

— არის რესტორნები, სადაც ინდივიდუალური „ჩაია" ანუ „ჩემი" მაგიდის სტუმარი რა თანხასაც დამიტოვებს, ის მხოლოდ ჩემია, მაგრამ ზოგ რესტორანში „ჩაის" ყუთში ვყრით, დღის ბოლოს კი შეგროვებულ თანხას ყველანი ვინაწილებთ. მართალია, გულის სიღრმეში, ერთმანეთის კონკურენტები ვართ, მაგრამ ყველანი იმისთვის ვმუშაობთ, რომ სტუმარი რესტორნიდან მაქსიმალურად ნასიამოვნები წავიდეს. რაკი ჩვენს პროფესიას პატივს ვცემთ, ვცდილობთ, საქმე ხარისხიანად გავაკეთოთ. ერთმანეთს ხელს ვუწყობთ.

**— შენთვის ინდივიდუალური „ჩაი" უფრო მოსახერხებელია თუ საერთო?**

— ჩემთვის თავისი ხიბლი ორივეს აქვს: ინდივიდუალურს ის კარგი მხარე აქვს, რომ თანხა მთლიანად მიმტანისაა და არავინ ედავება, მაგრამ პირადად მე, პრობლემა არასოდეს მქონია, სხვაზე მეტ ფულს ვშოულობ და თანხა სხვას რატომ უნდა გავუნაწილო-მეთქი. საერთოდ, მიმტანს ინდივიდუალური „ჩაით" უფრო მეტი თანხა გრჩება, რადგან შეიძლება, კოლეგას იმ დღეს არ გაუმართლოს და თანხა უნდა უწილადო. შესაბამისად, — ფული გაკლდება, მაგრამ შეიძლება, მეორე დღეს შენ არ გაგიმართლოს და შენს თანამშრომელს გაუმართლოს. საერთო „ჩაის" ეს ხიბლი აქვს.

**— მსახიობობა ხომ არ გადაიფიქრე?**

— არა. ამ ხნის განმავლობაში, პრობლემები მქონდა, მაგრამ ჩემი სამსახურის დახმარებით, ნელ-ნელა მოვაგვარე. დედა ავად მყავდა (ახლაც ავად არის) და უფრო მეტად, ამის გამო ვმუშაობდი. სწავლას დრო ვერ დავუთმე, მაგრამ პიესებს ვწერდი, ახლაც ვწერ. მიმტანის პროფესია წერაშიც დამეხმარა: პიესებში ჩემ მიერ ნანახია ასახული, გადატანითი მნიშვნელობით. წელს, თეატრალურ უნივერსიტეტში, სამსახიობო და რეჟისურის ფაკულტეტებზე ვაბარებ. ვნახოთ, რომელზე გამიმართლებს...

**— შენს ოჯახზე მოგვიყევი — როგორ ცხოვრობთ?**

— დედა, მამა და 2 ძმა მყავს. ახლახან ბებია გარდამეცვალა. თავის დროზე, დედა იტალიაში სამუშაოდ გაემგზავრა, მე რომ უნივერსიტეტში ჩაბარება შემძლებოდა — მოსამზადებლად... დედას სიმსივნე აღმოაჩნდა. იქ მკურნალობდა. ძალიან ბევრი ფული დასჭირდა. ამიტომ ჩემი სწავლა გვერდზე გადავდე და ამ ხნის განმავლობაში, ოჯახისთვის ვმუშაობდი.

**— ოჯახის სხვა წევრები რას საქმიანობენ?**

— მამა სპორტითაა დაკავებული: ბავშვებს ჭიდაობას ასწავლის. თავისუფალ ჭიდაობას, ძიუდოს და

> ვისაც მუშაობა „უტყდება“, მათ მოვუწოდებ, რომ ჯობია, იმუშაონ, რადგან ბევრ რამეს ისწავლიან...

სამბოს ფლობს. შვიდგზის ჩემპიონი გახლავთ... თავის დროზე, ჩემი უფროსი ძმა მოკრივე იყო, მაგრამ მერე, ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და სპორტს თავი დაანება. ახლა ხელოსანი გახლავთ. უმცროსი ძმა სკოლაში დადის. მასაც რესტორნის სფეროში მუშაობა უნდა, ოღონდ, ჩემგან განსხვავებით, მზარეულობას აპირებს.

**— მოდი, შენს პროფესიაზე საუბარს დავუბრუნდეთ: მიმტანს ფიქსირებული ხელფასი გაქვს?**

— ბოლო დროს, ძირითადად, „მოძრავი“ ხელფასები მაქვს, რადგან პარალელურად, ვსწავლობ და მხოლოდ გარკვეულ დღეებში ვმუშაობ. როგორი ხელფასი გამომდის, მეც არ ვიცი (*იცინის*). სამსახურშიც ხელს მიწყობენ. გამოცდებს რომ ჩავაბარებ, ისევ სრული დატვირთვით ვიმუშავებ.

**— მიმტანების საშუალო ხელფასი რამდენია?**

— რესტორანს, მიმტანის გამოცდილებას გააჩნია. ხანდახან დღეში 60-70 ლარი გამომდიოდა. ამას პლუს „ჩაი“. ამიტომ, ვისაც მუშაობა „უტყდება“, მათ მოვუწოდებ, რომ ჯობია, იმუშაონ, რადგან ბევრ რამეს ისწავლიან... ზოგ რესტორანში „მოჭრილი“ ხელფასია.

**— დღეში 70 ლარი ყველაზე მაღალი გასამრჯელოა თუ ამაზე მეტიც მიგიღია?**

— სიმართლე გითხრათ, მეტიც ყოფილა. ასეთი სასწაული დღე იყო, როცა 150 ლარი ავიღე, პლუს — „ჩაი“ (შეიძლება, ერთმა სტუმარმა 100-200 ლარი დაგიტოვოს). ვიცი, რომ მიმტანებს უფრო მეტიც აუღიათ. ვოცნებობ, ამერიკაში (ნიუ-იორკში ან ლოს-ანჯელესში) ვიმუშაო და იქ კინოაკადემიაში ვისწავლო. ამერიკაში მიმტანებს გასამრჯელო თვეში 10-12 ათასი დოლარი გამოსდით. ეს ძალიან დიდი თანხაა (*იცინის*)!..

**— მიმტანების მანერებზე, მომსახურების ტექნიკაზე გვესაუბრე...**

— კლასიკური მომსახურებისთვის მანერები და ტექნიკა აუცილებელია. ალბათ, ფილმებშიც გინახავთ, რომ მიმტანს ხელი უკან, ბეჭებზე აქვს მიდებული, მეორე ხელი კი — მუცელთან. მაგალითად, როცა სტუმარს წითელ ღვინოს უსხამ, ამასაც თავისი მანერა აქვს, ისევე, როგორც — ბოთლის გახსნას, ჭიქისა თუ თეფშის დაჭერას. მიმტანი ამ ტექნიკას აუცილებლად უნდა ფლობდეს. მიმაჩნია, რომ ოფიციანტის სამუშაო პატარა თეატრია (*იღიმის*).

**— ბათუმში მუშაობა უფრო კომფორტულია თუ თბილისში?**

— საერთოდ — თბილისში, მაგრამ ზაფხულში — ბათუმში მირჩევნია, რადგან ამ დროს თბილისი ხალხისგან დაცარიელებულია. თან, ბათუმში, რესტორანში უცხოელები შემოდიან და უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების პერსპექტივაც არსებობს. ბევრ ამერიკელს, ინგლისელს შევხვედრივარ, თუმცა უფრო მეტად, უკრაინელი და რუსი ტურისტები შემოდიან.

**— მიმტანად მუშაობა როცა დაიწყე, უცხო ენები იცოდი?**

— სკოლაში ვსწავლობდი და იმ დონეზე ვიცოდი, რომ სტუმართან მივსულიყავი და შეკვეთა ამეღო.

**— უცხოურ რესტორნებში გიმუშავია?**

— არა, მაგრამ ევროპულ-ქართულ რესტორნებში მიმუშავია. ჩემთვის სამუშაოდ კლასიკური რესტორანი უფრო კომფორტულია, ვიდრე პრემიუმკლასის. კლასიკურში ყველაფერი წინასწარ გათვლილია და ამიტომ მუშაობა შედარებით იოლია, თუმცა ზოგს პრემიუმკლასი ურჩევნია, რადგან შეიძლება, იქ უფრო მაღალი გასამრჯელო იყოს — უფრო მეტი ხალხი მოძრაობს...

**— მიმტანად მუშაობის დაწყება დღესდღეობით ხომ არ გართულდა?**

— ალბათ, ცოტათი გართულდა, რადგან ამ სფეროში უფრო მაღალი დონისკენ წავედით. უპირველეს ყოვლისა, მიმტანის გარეგნობას, აზროვნებას, მეტყველებას აქცევენ ყურადღებას, შემდეგ — პროფესიულ ტექნიკას. აუცილებელია, რომ სადაც მივალთ, იქაურ სიტუაციას მოვერგოთ: შევისწავლოთ იქაური კერძები, სასმელი და ა.შ.



ოფიციანტის სამუშაო პატარა თეატრია

**— მიმტანის პროფესიაში ასაკობრივი ზღვარი არსებობს?**

— არის რესტორნები, სადაც უფროსი ასაკის ადამიანები მიმტანად არ სურთ. პირადად მე, მაგალითად, 70 წლის მიმტანი (რომელსაც კლასიკურ რესტორნებში შეხვედრით) ძალიან მხიბლავს, რადგან მას დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს.

■

# მარჯანიშვილის თეატრის კოსტიუმერი და მეწაღე

თეატრის კულისები არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე თვით სპექტაკლი. თუმცა მაყურებელი სულაც არ ფიქრობს, რამდენი ადამიანი შეიძლება მონაწილეობდეს იმ ყველაფრის სრულყოფილად წარმოჩენაში, რასაც სცენაზე ვხედავთ. ამ პიროვნებებს სადადგმო ჯგუფში მნიშვნელოვანი ადგილი და თავიანთი მისია აკისრიათ. გავიცნოთ მარჯანიშვილის თეატრის კოსტიუმერი ქეთევან მამოიანი და მეწაღე გიორგი ედილაშვილი.



არ მინდოდა, პროფესია დაკარგულიყო

ნანული ზოტიკიშვილი

**— როგორ მოხვედით თეატრში და რა იყო მანამდე?**

**ქეთევანი:** ბავშვობაში სპექტაკლებსა და ქართულ ფილმებს ტელევიზიით ხშირად და დიდი სიამოვნებით ვუყურებდი. მომწონდა გივი ბერიკაშვილი, მედეა ჯაფარიძე, ელენე ყიფშიძე, დოდო ჭიჭინაძე და ბევრი სხვა მსახიობი. მათთან ერთად, კინოში ან თეატრში მუშაობაზე ვოცნებობდი. მამაჩემი მაღაზიის თანამშრომელი იყო და ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანს ემსახურებოდა. შემთხვევით, ქალბატონი მედეა კუჭუხიძე გაიცნო. მარჯანიშვილის თეატრში სწორედ მან მომიყვანა. სრულიად ახალგაზრდა, ჩამცმელად გამაფორმეს, ოღონდ წელიწად-ნახევარი არაჩვეულებრივ ადამიანთან, ნატო ჭიკაძესთან ერთად, გარდერობში რეზერვად ვიმუშავე. მერე ქალების ჩამცმელი წავიდა და 31 წელია, მე შემოვრჩი. თავიდან ჩაცმა-გახდაში ისეთი გაწაფული არ ვიყავი, როგორიც ახლა ვარ. მორიდებულიც ვიყავი, მსახიობები ნელ-ნელა გავიცანი.

**გიორგი:** დედა ოპერის თეატრის მკერავი იყო. 3-4 წლისა უკვე თეატრში დავყავდი. უამრავ სპექტაკლსა და „პრაგონს" დავსწრებივარ, ირგვლივ ყველაფერი ლამაზი იყო. აი, ასეთ ატმოსფეროში ვიზრდებოდი.

მამა, თამაზ ედილაშვილი მეწაღეა, ისნის ფაბრიკასა და ოპერაში მუშაობდა. ის არაჩვეულებრივ აზიურებს კერავს. საერთოდ, ძალიან კარგი ხელი აქვს და არ მინდოდა, მისი პროფესია დაკარგულიყო. ეს ხელობაც ამიტომ ავირჩიე. მამის გვერდით 13 წელი ვიმუშავე. მარჯანიშვილის თეატრის საამქროსთან ურთიერთობა ხშირად მიწევდა. აქ ჩემი მეგობრები მუშაობენ და მეც 3 წელია, რაც მომიწვიეს. სხვადასხვა დროს იურიდიული, ეკონომიკური და ქორეოგრაფიული განათლებაც მივიღე, მაგრამ ყველაფერი ამ საქმის სიყვარულმა გადაწონა. ბავშვობაში ანსამბლ „მზიურში" ჭიჭიკო ბოხუასთან ვცეკვავდი, სოლისტი ვიყავი. მახსოვს პირველი გასტროლი, მაშინ 7 წლისა ვიყავი, ლენინგრადში ერთი თვის მანძილზე კონცერტები გვქონდა. მშობლების გარეშე ყოფნა ცოტა გამიჭირდა, მაგრამ საინტერესოც იყო. სერგო ზაქარიაძის სახელობის კოლეჯში როცა ვსწავლობდი, ჩვენი ქორეოგრაფი, ბატონი კონსტანტინე (კოწო) მანჯგალაძე გახლდათ, რომელმაც გვასწავლა ილეთი — ტრიალი-ფეხცვლა-მუხლზე ორი ტრიალი. მე და გიზო ჯალაღონია ვასრულებდით. ლამაზი ილეთია, თუმცა, დღეს თითქმის აღარავინ აკეთებს.

**— მსახიობებთან ურთიერთობაზე რას იტყვით, რთულია? ვინმესთან მეგობრობთ?**

**ქეთევანი:** დროთა განმავლობაში ყველას შევეჩვიე. განსაკუთრებით დავუახლოვდი მანანა კოზაკოვას, ირმა ბერიანიძეს, ეკა ნიჟარაძეს, ლიკა ქობულაძეს. ბევრნი არიან. მანანასთან დაბადების დღეზე, ყოველ წელს ბეთანიაში ვარ. თუ თბილისიდან ვულოცავ, იქ ასვლას მთხოვს. გოგონები (ასე მივმართავ მათ), ერთმანეთის ოჯახებშიც ვიკრიბებით ხოლმე. თითოეული მსახიობის ხასიათი ვიცი. შევხედავ და უკვე ვხვდები, როგორ უნდა მივუდგე, რომ არ გაღიზიანდეს და სპექტაკლის წინ არ ინერვიულოს. თითოეულის ჩაცმის სტილიც ვიცი, ვის რა სამოსი უხდება, იმას ვარჩევ. თუ ტანსაცმელში რაღაც ნიუანსი არ მომეწონა, ვეუბნები და ისინიც ითვალისწინებენ. სპექტაკლებს მხოლოდ კულისებიდან ვუყურებ, არ არსებობს სპექტაკლი, გადაცმა რომ არ იყოს საჭირო. ზოგჯერ, ერთდროულად რამდენიმე გადაცმაა საჭირო და ვერ ვასწრებ. ამ დროს ია ჩანტლაძე, თამილა ჯიქია და ნანული სოლოლაშვილი მეხმარებიან. ადრე ერთი მსახიობი იყო, ყველაფერში პრეტენზიული. ვინმეზე გაბრაზებული, ჯავრს ჩემზე იყრიდა ხოლმე, მაგრამ რა ვქნა, მეც არ ვუთმობდი. ყოველთვის ისეთ გარემოს ვქმნი, რომ კონფლიქტი და ცუდი განწყობა გამოირიცხოს.

იეზიდი ვარ და მართლმადიდებლურად მონათვლა მინდოდა.




## დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რამდენად აქცევთ ყურადღებას თქვენი ყურების ჯანმრთელობას?

არადა, მთელი ცხოვრების მანძილზე უამრავი სხვადასხვა წარმოშობის ხმაური, გარეშე და შიდა ფაქტორები: ტემპერატურის ცვალებადობა, გაცივება, გამუდმებული ხმაური, სხვადასხვა სახის დაავადებები, არაჯანსაღი ეკოლოგია და ცხოვრების რიტმი და ა.შ. თავისთავად ახდენენ მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ჩვენი სმენის ორგანოებზე. ხდება სისხლძარღვების შევიწროება, შესაბამისად, შიდა ყურს აღარ მიეწოდება საჭირო რაოდენობის სისხლი, რაც შემდგომში რიგი დაავადებებისა და სმენის დაქვეითების მიზეზი ხდება. აქედან გამომდინარე, სწორი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია, მას დროულად მიეწოდოს აუცილებელი ნივთიერებები.

## რა იწვევს ყურის ტკივილს?

ყურის ტკივილის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ყურის ცხიმოვანი და გოგირდის ჯირკვლების ანთება, რომელიც გამოწვეულია: ბამბიანი ჩხირების არასწორი გამოყენებით, დაქვეითებული იმუნიტეტით, ყურის ნიჟარის დაინფიცირებით, რაც ხშირად არის პროვოცირებული გაცივებით, ჭუჭყიანი წყლის მოხვედრით.

ყოველი ადამიანის ყურში წარმოიქმნება გოგირდი, რომელიც წმენდს და იცავს შიდა ყურის ზონას ინფექციებისგან, ხოლო მისი გაღიზიანების შედეგად ხდება გოგირდის ჭარბი რაოდენობით გამოყოფა, ჯირკვლების ასეთი გაძლიერებული სეკრეციის გამო გარეთა სასმენ მილში გროვდება გოგირდოვანი მასა და ჩნდება საცობი, რომელიც ხდება სმენის დაქვეითებისა და ყურის ტკივილის მიზეზი.




„უხონორმი“ რეკომენდებულია, როგორც ყურის ნიჟარის გამწმენდი, მატონიზებელი და აღმდგენი საშუალება. მისი ეფექტიანობა მდგომარეობს — მდიდარ ბიოლოგიურად აქტიურ შემადგენლობაში. მასში შემავალი ნაერთები (მთრიმლავი, ფისოვანი, ფლავანოიდები, კაროტინი და სხვა) ახდენენ მძლავრ ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკურ, გამაჯანსაღებელ, ადაპტოგენურ, შემკვრელ ზემოქმედებას, აჩქარებენ აღდგენისა და შეხორცების პროცესებს.

**„უხონორმში“ შედის: დაფნის ფოთლის, ანისულის თესლის, ევკალიპტის, კოთხუჯის ფესვის, ტირიფის ქერქის, მუმიოს ექსტრაქტები, პანთოტენის მჟავა (ვიტამინი-B5), ნიკოტინის მჟავა (PP ვიტამინი), სალიცილის მჟავა და კალიუმის სორბატი.**

### შემავალი ნივთიერებები დადებითად მოქმედებენ შემდეგ შემთხვევებში:

● გარეთა ყურის ოტიტი; ● შუა ყურის არაჩირქოვანი ოტიტი; ● სასმენი (ევსტაქის) მილის და შიდა ყურის ანთება; ● სასმენი ნერვის და დაფის აპკის ფუნქციონირების დარღვევა; ● რეაქტიული ოტიტის და წყლის პროცედურების ჩატარებისას; ● გოგირდოვანი საცობების და მათი რეციდივის საწინააღმდეგოდ; ● ყურის ტკივილი, დაგუბება, შუილები ყურისა და თავის არეში; ● ჩირქოვანი ინფექციები; ● პროფილაქტიკის მიზნით: ქრონიკული ოტიტების გამწვავების, ყურის ანთებითი დაავადებების, ცივ ამინდებში ძლიერი გაცივებისას; ●ცხვირხახისა და ცხვირის დანამატი წიაღების მწვავე დაავადებების დროს (სინუსიტი, ჰაიმორიტი) ქრონიკული ოტიტის გამწვავების თავიდან ასაცილებლად.

**დიდი ფასდაკლება!!!**

**«ტონგკატ ალი»**

**ქილა ~~350 ლ~~ – 218 ლ (60 კაფსულა)**

**ყუთი ~~135 ლ~~ – 98 ლ (20 კაფსულა)**




## გამოფენა-გაყიდვის განრიგი

**თბილისი** I. მის. ბაქტრიონის №22. — 9,10,11,12,13; 21,22,23,24,25,26,27 ივნისი 15.00-17.00 სს.

II. მის. მ. ასათიანის №14 **(ფასდაკლება არ მოქმედებს)** — ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00-18.00 სს.

III. მის. ვარკეთილი 3. 2 მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის №1 „სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი, (167 და 150 მარშუტკის ბოლო გაჩერება, ავერსის აფთიაქის თავზე) — ყოველდღე, 10.00-20.00 სს.

**რუსთავი** შარტავას გამზირი №15, ქალთა კონსულტაციის შენობაში „ელიტელექტრონიკის“ მოპირდაპირე მხარეს — 12 და 26 ივნისი 12.00-13.00 სს.

**ბათუმი** მის. ყაზბეგის №15. სასტ. „ყაზბეგი“ — 14 და 28 ივნისი 10.00-11.00 სს.

**ქუთაისი** მის. კოსტავას №25. სასტუმრო „ლია“ — 15 ივნისი 12.00-13.00 სს.

მის. გამსახურდიას №45, სასტუმრო „ტირიფი ჰოლიდეი“ — 29 ივნისი 12.00-13.00 სს.

**„უხონორმი“ ერთი შეფუთვის ფასი – 33,20 ლ. ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის – 30,20 ლ.**

**ასევე გაყიდვაშია ვარიკოზის საწინააღმდეგო მალამო „ვენომაზი“**

**მიმდინარეობს ერთთვიან კურსზე –10% ფასდაკლება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პროდუქციაზე**

**ბალზამი „პრომედინი“, „ქვის ზეთი“, „ციმბირული ბალაზამი“, „ლიტოზეთი“ ჟივიცასთან, ბალზამი „პრომიოდი“, „ალტაის ათმაგი ძალა“, მალამო „ეფექტუმი“, თვალის წვეთები „ფაურინი“, ზეთი „ჟივიცა“.**

ქ. თბილისში ფუნქციონირებს ადგილზე მიტანის სერვისი (ფასდაკლება არ მოქმედებს), **პროდუქცია სერტიფიცირებულია, არ წარმოადგენს მედიკამენტს!**

**(+995) 571 22 98 98**

www.apifito.net

5 წლის წინ, ირმა ბერიანიძე და ეკა ნიჟარაძე ჩემი ნათლიები გახდნენ. ერთ დღესაც სახლში დამირეკეს, თეატრში მოდიო. ირმამ და ეკამ მანქანაში ჩამსვეს, ვიფიქრე, საქეიფოდ მივდიოდით და ეკლესიაში აღმოვჩნდი. მონათვლის შემდეგ ქეთევანად დავრჩი, ჩემი სახელი ძალიან მიყვარს. მერე კაი პურმარილიც გაიშალა, თამადა ბატონი ლევან წულაძე გახლდათ და გა-



სცენაზე დგომა მინდოდა და მსახიობობაზეც მიოცნებია

დასარევად მოვილხინეთ. სხვათა შორის, ზურა გაგლოშვილიც შესანიშნავი თამადაა.

**გიორგი:** ყველა მსახიობთან კარგი ურთიერთობა მაქვს. გამორჩეული იუმორი აქვთ გიორგი კიკნაძეს და ბაჩუკი დოლონაძეს. სახელოსნოში ჩემთან სტუმრობა გიორგი ყორღანაშვილსა და ნიკა კუჭავას უყვართ. მე ფეხსაცმელს „ვაპაჩინკებ“, არ ვკერავ. როცა სპექტაკლისთვის სპეციალური ფეხსაცმელია საჭირო, ისინი სხვაგან იკერება. ასე რომ, ჩემი მისამართით პრეტენზიები გამორიცხულია. უფრო ხშირად ქუსლები უფუჭდებათ, ზოგი მალე ცვეთს. ზოგჯერ მსახიობს ახალშეკერილი ფეხსაცმელი უჭერს, ფეხს სტკენს ან დასაპატარავებელია. მაშინ სახელდახელოდ მიწევს დაშლა და გასწორება. ჩემთან სასცენო ფეხსაცმელი მსახიობს არ მოაქვს, ეს ჩამცმელის მოვალეობაა. პირადი ფეხსაცმელი კი თავად მოაქვთ და შეკეთებას მთხოვენ. თუ შემიძლია, რა თქმა უნდა, ვაკეთებ. ისრაელში თამაზ ციციაშვილის ანსამბლისთვის საცეკვაო „აზიაცკებს“, ლეკვერთხებს, ქამრებს ვამზადებ. ეს არის ერთადერთი ანსამბლი, რომელსაც სახელი — „ქართული ნაციონალური ბალეტი ისრაელიდან“, თავად თენგიზ სუხიშვილმა მიანიჭა.

**— სახელოსნოში უამრავი ნივთი გაქვთ, მოგვიყევით მათ შესახებ.**

**გიორგი:** ამ დოლზე ხანდახან განტვირთვისთვის ვუკრავ. ეს ნამუშევარი ღვინით დავხატე, არაჩვეულებრივი ნაცრისფერი გამოვიდა, მაგრამ დამთავრებული არაა. ხატვა ფეხსაცმლის საღებავითაც დავიწყე. მხატვარი არა ვარ, ალბათ შინაგანი განწყობის გადმოსაცემად მჭირდება. ერთი მუსიკალური ნახატი გავაკეთე (სურათთან მიდის და ქოქავს, ისმის მელოდია), როგორც უნდა გადააბრუნოთ, ყველა რაკურსით რაღაცა მოჩანს. ჩემი ბავშვობის დროინდელი ქალამნებიც მაქვს, მამამ ამომისხა და ბაღში გლეხის როლისთვის მეცვა, ვცეკვავდი. ეს ძველი მაგიდა ისტორიულია, რადგან აქ, პირდაპირი მნიშვნელობით, პური უჭამიათ ვასო გოძიაშვილს, ჟორა შავგულიძეს, სიკო დოლიძეს. ნამდვილი რელიკვიაა. მაგიდის შეცვლა დავაპირე და უფროსმა მეგობრებმა მაშინ ამიხსნეს მისი მნიშვნელობა. ზედაპირი შელახული იყო და ზედ ლამინატი გადავაფარე. ჯაზის მოყვარული ვარ და ქალბატონმა ციცინო კობიაშვილმა თავისი ხელით მოხატული დეკორატიული თეფში მაჩუქა. აქ არის სერგო ზაქარიაძის ცალი ქალამანი, უზადოდ დაწნული, თუმცა დახეული, ზედ აწერია კიდეც — „სერგო ზაქარიაძე“ (რომელი სპექტაკლის იყო, არ ვიცი). მეწაღეობა კარგი სპეციალობაა, ქართული კულტურის სამსახურში ვარ. ვამაყობ და მიხარია, რომ მიმიღეს ამ დიდ ლამაზ ოჯახში, რომელსაც მარჯანიშვილის თეატრი ჰქვია.

## აქ არის სერგო ზაქარიაძის ცალი ქალამანი, უზადოდ დაწნული, თუმცა დახეული, ზედ აწერია კიდეც – „სერგო ზაქარიაძე“

*ახლა, ქალბატონი ქეთევანის გარდერობისკენ გადავინაცვლოთ. გზად თანამშრომლები გვხვდებიან და გვესალმებიან. მსახიობი თამარ ბუხნიკაშვილი მეუბნება: ეს ისეთი კარგი ადამიანია, მასზე დადებითის გარდა ვერაფერს იტყვიო.*

**ქეთევანი:** ადრე სცენაზე დგომა მინდოდა და მსახიობობაზეც მიოცნებია. თეატრში ახალი მოსული ვიყავი, ერთხელ ძველი კოსტიუმებიდან ერთ-ერთი ჩავიცვი. ამ დროს ქალები 8 მარტის აღსანიშნავად სუფრასთან მიგვიპატიჟეს. სოფიკო ჭიაურელის მიბაძვა დავაპირე, მაგრამ დავიბენი და ვერ გავბედე, კოსტიუმი კი მეცვა.

როცა კულისებში ვარ და სპექტაკლი კარგად მიდის, ჩემზე ბედნიერი არავინაა. სპექტაკლისთვის ტანსაცმელი წინასწარ შემიძლია გავამზადო, მაგრამ არ მინდა. იმ დღეს ადრე მოვდივარ, ვაუთოებ, ვაწესრიგებ და გაწიკწიკებული მიმაქვს მსახიობთან. ასე მირჩევნია. ძველ ტანსაცმელსაც მე ვუვლი. აი, ვერიკოს ივდითის კოსტიუმი. სოფიკოს ეს არ ჩაუცვამს, მას სხვა კაბა შეუკერეს. ძველი კოსტიუმები ხანდახან გამოფენაზე გაგვაქვს. ამას წინათ, სპექტაკლის პრემიერაზე, მეორე მოქმედების წინ ერთი კოსტიუმის გამოტანა დამავიწყდა. მსახიობმა რომ მითხრა, კოსტიუმი არ მაქვსო, ჯერ გამიკვირდა, შემდეგ უცებ ვიკივლე და გავიქეცი. პირველად ცხოვრებაში, მაყურებლის წინ სცენა გადავჭერი, ფარდა არ იყო ჩამოშვებული. კაბა მოვიტანე, გოგოები შემომეხვივნენ, ჩვენ გავაუთოებთო. არავის დავანებე. როცა მოვრჩი, იმაზე ვწუხდი, დირექციამ რომ გაიგოს, რა მოხდება-მეთქი? ტექნიკურმა რეჟისორმა, ნინო კალანდაძემ მითხრა: — მე ვიტყვი, ზარი გვიან იმიტომ მივეცი, რომ მსახიობი მზად არ იყოო. თუმცა, ეს ჩემი მიზეზით მოხდა. აი, ასე დაგიდგებიან გვერდით. ყველა ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ. ■



# მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბი



**იმისათვის, რომ თქვენი განცხადება „მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბში“ მოხვდეს, მესიჯი უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 95 130 მესიჯის ფასი 50 თეთრი. ტექსტის რაოდენობა შეზღუდული არ არის.**



## ქალები

113562 ვარ 37 წლის, მეუღლეს გაცილებული, მყავს 1 შვილი, ვცხოვრობ მშობლებთან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, მშვიდ, მოწესრიგებულ მამაკაცს.

113703 ვარ 38 წლის, ქმარს გაშორებული, მყავს 1 შვილი. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, 55 წლამდე ასაკის მამაკაცს.

113384 მყავს ნათესავი გოგო, დასაოჯახებელი, ოღონდ მეუღლეს გაშორებული. ქალბატონებო, თუ ვინმე გყავთ ახლობელი ბიჭი, ცოლგანაშვები, რომელსაც არ გაუმართლა და აპირებს დაოჯახებას, დამიკავშირდით და ჩემს ნათესავ გოგოს დაგაკავშირებთ.

113208 ვარ 45 წლის, ქმარს გაშორებული ქალბატონი, მოწესრიგებული, მშრომელი. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 52 წლამდე ასაკის მამაკაცს, გორის სოფლიდან, შინდისიდან ან ყელქცეულიდან.

113234 გამომეხმაუროს ქართველი, თბილისში მცხოვრები, უცოლშვილო მამაკაცი, 40-დან 48 წლამდე, დასაქმებული, ერთოთახიანი ბინით მაინც. ჩემი ახლობელი, უკარება, ექიმი გოგონასათვის. 43 წლისაა, ლამაზია, თბილი და ადვილად შესაყვარებელი. გარეგნულად თანამედროვე.

112944 ვარ 53 წლის ქალბატონი. გავიცნობ ჩემი ასაკის შესაფერის მამაკაცს, რომელიც უზრუნველმყოფს ფინანსურად და ამომიდგება მხარში ყველანაირად.

112946 ვეძებ ასაკოვან, ქვრივ მამაკაცს, თბილსა და ყურადღებიანს, დასაოჯახებლად. ვარ 50 წლის, ქვრივი, თბილისელი.

112965 ოჯახის შექმნის მიზნით მსურს, გავიცნო ცოლს გაცილებული მამაკაცი. თუ გსურთ, ნორმალური ოჯახი, დამიმესიჯეთ. ვარ მეუღლეს გაშორებული, 25 წლის.

